კვირის პალიტრა

გზა

N39 (277) 29/IX.-5/X.2005. ფასი 60 თ.

1168
2005

ქართული დეტექტივი:

შუშის თვალში ჩარჩენილი სიყვარული

ფრიდონ სულაბერიძე: „ასე თუ გაგრძელდა, ქართული ცეკვა საერთოდ დაიკარგება...“

გზავნილები: ქეიფი სასაფლაოზე ანუ ბექჰემს ცოლად არ გავყვები...

ვაჟა ბოჯგუა ცოლს ირთავს

„მის ვარცხნილობასაც კი ვაკონტროლებ...“

ფეხბურთელი გია ჯაფარიძე: „რუსეთის გარდა, ვთამაშობდი პორტუგალიაში, გერმანიაში, ესპანეთში...“

50 საუკეთესო სპორტსმენში ორი ფეხბურთელია...

ოქტომბრის ნომერში იხილეთ:

5 პოსტერი

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

მსოფლიოს უძლიერესი საპილოტაჟო გუნდები

ყველაზე მშვიდი ძალი

მოძველებული, მაგრამ მაინც ეფექტიანი „შილკა“

ცხოვრების ფესი - საშურაი

VOLVO CX90

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

№39 (277)
29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„მახსოვს პირველად, სასწავლებელში“ ანუ დიდება 26 სექტემბერს!.. 3
ერთი კითხვა 4
პრობლემა
რამ გაამგელა მგლები – ერთმა მგელმა წლის განმავლობაში 10 სული ჩლიქოსანი მაინც უნდა შეჭამოს... 6
კოლეგა
როგორ „გაიცოცხლა“ ჟურნალისტმა ჯონ ლენონი, როგორ „მონათლა“ ბილ კლინტონი და... სევდიანი რეპორტაჟები დანგრეული სოხუმიდან 8
პირადი ცხოვრება
ჯაბა ბოჯგუა ცოლს ირთავს – „მის ვარცხნილობასაც კი ვაკონტროლებ...“ 12
კრიმინალი
ყაჩაღებმა დიასახლისი ქმარ-შვილის თვალწინ დაცხრილეს 14
გზავნილები
ქეიფში სასაფლაოგე ანუ ბექჰემს ცოლად არ გავყვები 18
ასპარეზი
რუსეთის წამყვანი ფეხბურთელი ქალის მიერ 10 დღეში დაკომპლექტებულმა გოგონების ნაკრებმა ევროტურნირამდე ვაჟების ორ გუნდს სძლია 22
შეჩერებული წამი
„ცალი ხელით კლდეგე თავს იმაგრებ, მეორე ხელში კი ფოტოაპარატს იმარჯვებ...“ 24
გემოვნება
მოგვიმრავლდნენ „ჰიუსტონები“, „მერაია ქერები“, გოიმები და ქაჯები... 26
თემა
კავკასიური ცარცის წრე – როცა ბავშვი დავის საგანი ხდება 28
ჯანმრთელობა
- როგორ დავანებოთ თავი სიგარეტს 31
- გაუგონარი ბავშვის სინდრომი 31

საკითხავი ქალებისთვის
სახის კანი და მისი მოვლის თავისებურებანი 33
ტაძარი
რა გზა განვლო ნინოს ჯვარმა სიონის ტაძარში დავანებამდე? 34

ქართული საცეკვაო ანსამბლის ხელმძღვანელმა ფრიდონ სულაბერიძემ დარბაზი დატოვა



„ქართულ ცეკვას სიახლეები არ სჭირდება. ის მაინც გააოცებს მაყურებელს. მე შეიძლება, ძველებურად მოაზროვნე ადამიანად ჩამთვალონ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არასწორი შეხედულება იქნება ჩემზე...“

35

ჯაბა ბოჯგუა ცოლს ირთავს

რამდენიმე დღის წინ, ჩემთვისაც მოულოდნელად, ხელში ექსკლუზიური ინფორმაცია ჩამივარდა: თურმე, ის ჯაბა ბოჯგუა, რომელიც თურქეთში გაცილებით პოპულარული და კომერციული ქართველი მომღერალია, ვიდრე ჩვენში, ცოლს ირთავს. ცოლს ირთავსო!.. რა თქმა უნდა, ამ ამბით მაშინვე დავინტერესდი, ჯაბას დავუკავშირდი და ინტერვიუ ვთხოვე...

12

რამ აატირა ლიზა ბაგრატიონი სტამბოლში

„გვესაუბრებოდნენ, გვეფერებოდნენ, გულში გვიკრავდნენ და ტიროდნენ... სანამ ჩვენი ავტობუსი არ დაიძრა, არც ერთი მათგანი არ წასულა. ტაშით გაგვაცილეს. ეს არასოდეს დამავიწყდება. ბატონი ზვიადი ალბათ, ამ ინტერვიუს წაიკითხავს და მინდა, რომ მას დიდი მადლობა გადავუხადო ამ დღესასწაულისთვის“.

56

ზაზა ფაჩულია – ადამიანი, რომელსაც ბავშვებისთვის სიხარული მოაქვს



მომავალ სეზონს ქართველი ცენტრალური თავდამსხმელი კვლავ ახალ გუნდში შეხვდება. განვლილ ზაფხულს ფაჩულიამ „ატლანტა ჰოუქსთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი შრომის ანაზღაურება წელიწადში 4 მილიონი დოლარი იქნება...

38

საგანძური

● სცენაზე ქართული საცეკვაო ილეთების ხილვისას გულდაწყვეტილმა ფრიდონ სულაბერიძემ დარბაზი დატოვა 35

● პირველი დიდი ტურნე – 6 ქვეყანა, 11 კონცერტი, ფილმი, რომელიც ევროპული ტელეარხების ეთერში გავა 37

ლეგიონერი

გაგა ჩაფულია – ადამიანი, რომელსაც ბავშვებისთვის სიხარული მოაქვს 38

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 40

ბომონდი 43

ვარსკვლავი

მიკი რურკმა ჰოლივუდთან ომი დამთავრებულად გამოაცხადა 44

ავტო 47

კოლექციონერი

ტიკების უკანასკნელი ოსტატი ანუ კაცი, რომელიც ბრძულ გამონათქვამებს აგროვებს... 48

ტესტი

ერთგული მკითხველი 49

ქართული დეტექტივი

შუშის თვალში ჩარჩენილი სიყვარული 50

მოდა

ბისერები ისევ აქტუალურია ანუ სამოსი ბევრ რამეზე მეტყველებს 54

სახე

რამ აატირა ლიზა ბაგრატიონი სტამბოლში 56

ფავორიტები

რობინიო: თავმდაბლობა არასოდეს არ უნდა დავკარგო 58

ჰოროსკოპი

კვირის (29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

რამდენად დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ფეხბურთელი ქალის მიმრ დაკომპლექტებულმა გოგონათა ნაკრებმა ვაქვეს ორ გუნდს სძლია

„ჩემი ძმა და მამა ფეხბურთელები არიან. მეც, ფეხი ავიდგი თუ არა, მაშინვე ბურთის თამაში დავიწყე. მშობლებმა შენიშნეს ჩემი გატაცება და რომ წამოვიზარდე, ფეხბურთზე მიმიყვანეს. ძალზე სწრაფად მივიწევდი წინ. 9 წლის ასაკში, პირველი ხელფასი ავიღე...“

22

სახის კანი და მისი მოვლის თავისებურებანი

„ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ქალებს ჩვეულებრივ, ცხვირზე, შუბლსა და ნიკაპზე ცხიმიანი კანი აქვთ, ლოყებზე, კისერზე და განსაკუთრებით თვალებთან კი – მშრალი. კომბინირებული კანი ძალიან ცუდად იტანს წყალს და საპონს. ადგილები, სადაც მშრალია კანი, ხშირად იქერცლება და ნაოჭებიც ადვილად ჩნდება“...

33

მიკი რურკმა ჰოლივუდთან ომი დამთავრებულად გამოაცხადა

არავის აუწონ-დაუწონია მისხალ-მისხალ ჰოლივუდის ავი და კარგი ისე გულმოდგინედ, როგორც მიკი რურკს. ამ მმანებათა იმპერიისადმი მისი არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება, მის მიერ დაშვებული შეცდომები დადასტურებაა იმისა, რომ ვარსკვლავებიც ადამიანები არიან. „მიყვდი, რომ ნაგავი მე ვიყავი და არა ისინი, ვინც მეჯავრებოდა...“

44

შუშის თვალში ჩარჩენილი სიყვარული



კაცი სახურავზე სწრაფად ავიდა, ჯერ წაბარბაცდა, მერე წელში გასწორდა და მოპირდაპირე სახლის მესამე სართულის ერთ-ერთ ფანჯარას პისტოლეტი დაუმიზნა. კაცი ცალთვალა იყო და გასროლას არც აპირებდა... ინსტინქტურად იყურებოდა ამოჩემებული ფანჯრისკენ და ორივე უპიდან ცრემლი მოსდიოდა. მერე ფეხი დაუცდა და...

50

„მახსოვს პირველად, სასწავლებელში“ ანუ ლიდება 26 სექტემბერს!..

ჩვენს ხალხს რომ ხელისუფლების კრიტიკა სიამოვნებას ჰგვრის და საყვედურებით ენასთან ერთად გულსაც რომ იფხანს, ფაქტია, მაგრამ „მთლად დამნაშავე“ არც ხალხია და არ შეიძლება, ზოგ რამეში მაინც არ დაეთანხმო. მაგალითად, რა დასაწყები იყო ახალი სასწავლო წელი 26 სექტემბერს?! აღშფოთდნენ მშობლები. ერთი ქალბატონი გაიძახოდა, ვის გაუგია სექტემბერში დასვენება, გამომიშტერდა ბავშვიო... ახლა, სიმართლე რომ ვთქვათ, თუ ბავშვი მთელი წელიწადი სწავლით ანგრევდა ყველაფერს, მარტო სექტემბერში რა გამოაშტერებდა, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა...

თუ ქართულ კალენდარში 364 დღე უცოდინროობისაა, ერთი ცოდნის დღეც გვქონდეს, რა გაფუჭდება ამით?! ხომ იყო 1-ელი სექტემბერი ცოდნის დღე და ამ დღეს მაინც ვიცოდით, რომ არაფერი ვიცოდით. ახლა არც ეს ვიცით, რადგან ზოგმა 26 სექტემბერს დაიწყო სწავლა და ზოგმა — 2 აგვისტოს. დაგვეწყო ბარემ 1-ელ ოქტომბერს. თან შაბათი უწევდა, მერე — კვირა და ვინ ოხერი იტყოდა რამეს?! ყველაზე კარგი ის იქნება, თუ კალენდარში თვეების თანმიმდევრობას გადავანაცვლებთ: აგვისტოს მერე პირდაპირ ოქტომბერი ჩავსვათ, მერე — სექტემბერი, ჩვენი ნება არაა? სწავლა მაინც ოქტომბერში დაიწყება, და 1-ელ სექტემბერიც დაგვრჩება ცოდნის დღესასწაულად.

მომავალი წლიდან მაინც ვქნათ ასე, თორემ ხომ ხედავთ, ცხრა მარჩიელი ვერ გაარჩევს ახლა, რომელ რაიონში როდისაა ეს ცოდნის დღე. რა თქმა უნდა, მე ჩვენი მამა-მარჩენალისაც მესმის: უნდა, ყველა რეგიონში თვითონ ჩავიდეს და საკუთარი თვალით ნახოს, როგორ მდგომარეობაშია სკოლები, ბუფეტები და რა ღირს „კორჟიკი“ თუ „მთვარე“, მაგრამ რისთვის ჰყავს ნდობით აღჭურვილი გამგებლები და რწმუნებულები? ნაკლებად შეამოწმებენ „სასისკისა“ და „პავიდლოიანი ბულკის“ გემოს, თუ რა?!. თბილისის სკოლები არ ეყოფა? იმდენია, თითო დღეს რომ თითოში მივიდეს, შაბათ-კვირასაც უნდა იაროს, ერთ წელიწადში ყველგან რომ მოასწროს მისვლა.

ისე, სადაც მოასწრო მისვლა, ყოჩაღ, რას ნახავს თვალი უკეთესს!.. ისე გაურემონტებიათ სკოლები, რომ შატალოზე წასვლა აღარ მოუნდება ბავშვს. ჯერ მარტო იატაკებია ისეთი, რომ სარკესავით პრიალებს. აღფრთოვანებულები იყვნენ უფროსკლასელი ბიჭები, ფეხზე სარკის დამაგრება აღარ დაგვჭირდებაო.

ყველაზე მეტად ის მომეწონა, მოსწავლეთა კომფორტზე რომ ზრუნავს მთავრობა და კიბეზე სიარულით რომ არ დაღალონ ბავშვები, რამდენიმე სკოლაში ლიფტიც კი დაუმონტაჟებიათ. კარგი ლიფტებია: ექვსი ბავშვი შედის კაბინაში. ისე, სანამ 6-6 ბავშვით სკოლა გაივსება, შაბათ-კვირაც კი მოვა ამასობაში. თანაც, ბავშვების ჩხირკედელაობისაკენ მიდრეკილებას თუ გავითვალისწინებთ, ალბათ ამ სკოლებში ყოველდღე გაისმება მასწავლებლისადმი შეკითხვები: „ბატონო ვასო, თქვენზე ამბობენ, ლიფტში გაიჭედაო, მართალია?!“ ჰოდა, აქამდე არსებულ მალულ ფრაზებს: „ფონდის, ცოცხის და შეშის ფულს“ „ლიფტის ფულიც“ დაემატება...

ჩვენს ხელისუფლებას ერთი კარგი ტრადიცია აქვს კიდევ: სასწავლო წლის დაწყების დღეს, ყველა მინისტრი თუ დეპუტატი თავის მშობლიურ სკოლაში მიდის. ასე რომ, 26 სექტემბერს გაივსო სკოლები მთავრობის წევრებით. ზოგი ასე ახსენებდა საკუთარ თავს მასწავლებლებს: ვალოდია ვარ ჯინჭარაძე, რადიატორთან რომ ვიჯექიო, ზოგის ცნობა კი არ გასჭირვებიათ მოხუც მასწავლებლებს და გახარებულები გაიძახოდნენ: ამისგან თუ კაცი დადგებოდა, ვინ იფიქრებდაო!..

P.S. 25 სექტემბერი. მთავრობის სხდომა:

— კოლეგებო, ხვალ თავისუფლები ბრძანდებით, რადგან ახალი სასწავლო წელი იწყება და ტრადიციისამებრ, ყველანი იქ უნდა წაბრძანდეთ, სადაც სკოლის საუკეთესო წლები გაატარეთ.

— (ჩურჩულით) ვა, რა მაგარია! ე.ი. ხვალ სახინკლეში ვიკრიბებით. 5-5 ლარი იქონიეთ ჯიბეში...

— რატომ სახინკლეში?

— ხომ გაიგონე, რა გვითხრა: სადაც სკოლის წლები გაატარეთო...

პროვოკატორი

„საეჭვოა, რუსებმა საკუთარი ქმედებების კორექტირება მოახდინონ“

— რეალურად თუ არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი იმისათვის, რომ პარლამენტის დადგენილების შედეგად, რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის ზონებში ისე იმოქმედებენ, როგორც ამას მათი მანდატი ითვალისწინებს?

კოტე გაბაშვილი, *საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:*

— დიპლომატიური თვალსაზრისით, გამართლებულია, რომ საქართველოს პარლამენტმა გარკვეული დრო მისცეს რუსეთის ხელისუფლებას, რათა მან გადახედოს საკუთარ სამშვიდობო ქმედებას კონფლიქტის ზონებში და გაარკვიოს — კონფლიქტის მონაწილეა ის თუ მედიატორი. კონფლიქტის ზონებში კრიმინალური დიქტატურა დამყარდა. გახშირებულია გატაცება, მკვლელობა, ტერორისტული ჯგუფების ჩამოყალიბება და საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერა, ყალბი ფულის დამზადება და გავრცელება, იარაღით ვაჭრობა, დევნილთა სახლების მითვისება და ა.შ. აქედან გამომდინარე, პარლამენტის მიერ შემუშავებულ დადგენილებაში მითითებული იქნება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონებში ამგვარი რამ იმიტომ ხდება, რომ სეპარატისტულ მთავრობებს რუსეთის სახით ძლიერი ზურგი აქვთ. პარლამენტის დადგენილება რეალისტური და მკაცრი იქნება. ჩვენ მიერ შემუშავებულ დოკუმენტში განსაზღვრული იქნება ვადებიც, რომელთა გასვლის შემდეგ, უკვე გადაჭრით დადგება სამშვიდობოების პასუხისმგებლობის, ასევე მათი გაყვანის საკითხი. დღეს იმის რეალური შანსი, რომ რუსებმა საკუთარი ქმედებების კორექტირება მოახდინონ და სეპარატისტების მხარდაჭერა შეწყვიტონ, ძალიან მცირეა. ჯერ მივცემთ დროს, შემდეგ — ვითარების შესაბამისად ვიმოქმედებთ. ■

არის თუ არა „თბილგაზის“ სისტემაში ფეთქებადსაშიში მდგომარეობა?

— როგორც „თბილგაზის“ გათავისუფლებული თანამშრომლები აცხადებენ, საწარმო პროფესიონალების გარეშე დარჩა და ნებისმიერ წუთს შეიძლება ფეთქებადსაშიში სიტუაცია შეიქმნას. თქვენ იღებთ ქალაქის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას?

გია გვიჩიანი, *„თბილგაზის“ გენერალური დირექტორი:*

— როცა ამ თანამდებობაზე დავინიშნე, დამხვდა კორუმპირებული სისტემა, იყო გაბერილი შტატები, დადიოდა უამრავი ადამიანი, რომლებიც კაცმა არ იცის, რას აკეთებდნენ. იყვნენ ისეთებიც, ვინც თვეში ერთხელ, მხოლოდ ხელფასის ასაღებად მოდიოდნენ. მოკლედ, „თბილგაზში“ დიდი ბალასტი იყო. ჩვენ შევამცირეთ ის ადამიანები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ ეჭვმიტანილები. შევამცირეთ ისინიც, ვინც ფუნქციების დუბლირებას ახდენდა. სამსახურიდან მათი დათხოვნით ქალაქის გაზმომარაგებას საფრთხე არ შეჰქმნია, რა პრობლემებიც იყო, კვლავ ის პრობლემები დარჩა. ერთ მაგალითს გეტყვით: ჩვენთან მუშაობდა 175 „შემომვლელი“ ქალი. მათ ფუნქციაში შედიოდა, რომ მთელი დღის განმავლობაში ქალაქში წითელი ფორმით ევლოთ და ჭებში და ტრასებზე დაეფიქსირებინათ გაზის გაჟონვები. არადა, იმ მოწყობილობის უმეტესი ნაწილი, რომელსაც ისინი ამოწმებდნენ, წლებია, არ მუშაობს. თუ ქალაქში მხოლოდ 25 აპარატია მწყობრში, მის შემოწმებას 25 ქალი არ ეყოფა?!. ჩემი ოპონენტები ირწმუნებიან — ქალაქი „ბომბზე“ ზის და შესაძლებელია, ზამთარში გაზის მიწოდება „თბილგაზმა“ საერთოდ ვერ მოახერხოსო. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ გაზს ჩვეულებრივ რეჟიმში ვიღებთ და ამ მხრივ არც ზამთრის პერიოდში შეიქმნება პრობლემა. ■

„ციხეში, სადაც 1600 საწოლია, 2700 პატიმარია მოთავსებული“

— იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან კოტე კემულარიას გათავისუფლების შემთხვევაში, პრეზიდენტი მხოლოდ არასამთავრობოების გულს მოიგებს თუ ციხეებში რეალურად შეიცვლება მდგომარეობა?

თინა ხიდაშელი, *რესპუბლიკური პარტია:*

— მე არ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი და არ ვფიქრობ, რომ საკაშვილი კოტე კემულარიასთან განშორების გადაწყვეტილებას მიიღებს... კარგი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტს ერთხელ მაინც შეეხედა ციხეებში და მიხვდებოდა, რაზე ლაპარაკობენ მონიტორინგის საბჭოს წევრები. ჩვენ პენიტენციარულ სისტემაში ყოველთვის ცუდი მდგომარეობა გვქონდა, მაგრამ რაც დღეს ხდება, ამის მსგავსი არასოდეს ყოფილა. ჩვენ მხოლოდ კემულარიას პასუხისმგებლობაზე ვერ ვილაპარაკებთ. თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს პროკურატურამაც: ციხეები სავსეა უკანონო პატიმრებით. ამდენი კანონდარღვევით პატიმრობამისჯილი არასოდეს გვყოლია. ეს კიდევ ერთ პრობლემას ქმნის: ციხეში, სადაც 1600 საწოლია, 2700 პატიმარია მოთავსებული. ვის ადარდებს მათი ბედი?! როგორც ჩანს, ჩვენთან პატიმრობის მისჯა სიკვდილს უნდა ნიშნავდეს და არა თავისუფლების აღკვეთას. როცა იუსტიციის მინისტრი ხარ, საპატიმროში ადამიანის გარდაცვალების გამო სინანულს უნდა გამოთქვამდე და ბოდიშს იხდიდე, კემულარია კი სხვისი ლანძღვა-გინებით არის დაკავებული. თუ საკაშვილი გამჭრიახობას გამოიჩენს, კემულარიას გვერდიდან მოიცილებს და მის ადგილზე ცოტა პროგრესულად მოაზროვნე მინისტრს დანიშნავს, ეს აუცილებლად განმუხტავს სიტუაციას. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ კემულარიას წასვლის შემდეგ, ევროპული სტანდარტების ციხეები გვექნება, მაგრამ არსებული განუკითხაობა გარკვეული დოზით შემცირდება. ■

„თუ საკოორდინაციო საბჭოში შიდადაპირისპირება არ იქნება, რეალურ შედეგს მალე დავინახავთ“

— პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ყალიბდება საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება დაევალება. თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა საბჭო კოორდინირებულ მუშაობას?

პაატა დავითაია, *პოლიტიკური ექსპერტი:*

— ამ საბჭოს შემადგენლობაში შევლენ სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი. საბჭოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უხელმძღვანელებს. დღემდე ზემოთ ჩამოთვლილი უწყების ხელმძღვანელები სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდნენ, მათი ერთ საბჭოში გაერთიანება კი სრული კოორდინაციის საფუძველი გახდება. აშკარაა, რომ დღემდე, კონფლიქტებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა შემუშავებული არ არის. ეს სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ის სავალალო რეალობა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ წავიწიეთ, ჩვენი არათანმიმდევრული პოლიტიკის ბრალია. თუ ხელისუფლებამ ეს გააცნობიერა და საკოორდინაციო საბჭოში შიდადაპირისპირება არ იქნება, რეალურ შედეგს მალე დავინახავთ. ■

„სომხებს ავტონომიის მოთხოვნის ისტორიული საფუძველი გვაქვს“

— როგორც ამბობენ, სომხური ეროვნების მოქალაქეები აცნობიერებენ იმას, რომ ავტონომიის მოთხოვნა აბსურდულია. მაშ, ლიდერები რატომ ახდენთ ამ თემით მუდმივ სპეკულირებას?

დავით როსტაპიანი, *საზოგადოებრივი მოძრაობა „ვირქის“ თავმჯდომარე:*

— ჩვენ მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის განხილვისას, გაითვალისწინოს ჯავახეთის მოსახლეობის თხოვნა და ახალქალაქის რეგიონს საქართველოს ფედერაციის ფარგლებში ავტონომიის სტატუსი მიანიჭოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჯავახეთში სომხური სეპარატიზმი არსებობს. ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ და საქართველოსთან ინტეგრაციისკენ მივისწრაფვით. შეიძლება, ჩვენმა მოთხოვნებმა თბილისში ცალკეული პირები გააღიზიანა, მაგრამ სომხებს ავტონომიის მოთხოვნის ისტორიული საფუძველი გვაქვს: ახალქალაქში სომხური მოსახლეობა ყოველთვის არსებობდა და ამის გაუთვალისწინებლობა საქართველოს ხელისუფლების და მოსახლეობისთვის დაუშვებელია. ჩვენ ამ ეტაპზე კმაყოფილები ვართ, რომ ხელისუფლებამ სომეხთა მესამე ფორუმის ჩატარებას ხელი არ შეუშალა, უფრო მეტიც, მისი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ჩვენს შეკრებას. იმედი გვაქვს, მომავალში, ქართული პოლიტიკური ელიტა და საქართველოს მოსახლეობა გაგებით მოეკიდება ჩვენს მოთხოვნას. ■

„არჩევნებზე შემოსულ საჩივრებს პროკურატურა განიხილავს“

— პრაიმერის შემდეგ, ექსპერტები ეჭვობენ, რომ უმრავლესობა არჩევნების გაყალბებაზე წავა. რა თანხა დაჯდება შუალედური არჩევნები და ვინ აგებს პასუხს დარღვევებზე?

გია ძავთარაძე, *ცესკოს თავმჯდომარე:*

— შუალედური არჩევნები ობიექტურად წარიმართება. არავითარ გაყალბებას არ შევეგუებით და ამ მხრივ, არავის დანდობას არ ვაპირებთ. არ გვაინტერესებს, რომელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი გახდება დეპუტატი. პარლამენტში შევა ის კანდიდატი, რომელიც კონკურენტებს აჯობებს და მათზე მეტ ხმას დააგროვებს. ხუთივე საარჩევო ოლქში ამომრჩეველთა სიები მაქსიმალურად დაზუსტებულია და პირველ ოქტომბერს, ყოველგვარი დამატებითი სიის შედგენა გამოირიცხება. ცესკო ყველა საარჩევნო უბანს დამკვირვებლებით უზრუნველყოფს. არჩევნების დღეს, ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებელთა გვერდით, საერთაშორისო დამკვირვებლებიც იმუშავებენ. პირველ ოქტომბერს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის 25 წარმომადგენელი გვესტუმრება. შუალედურ არჩევნებზე შემოსული ყველა საჩივარი კი, რეაგირებისთვის პირდაპირ პროკურატურას გადაეგზავნება. არის კიდევ ერთი სიახლე: ამიერიდან, არჩევნები კვირადღეს აღარ გაიმართება. მე მივმართე პარლამენტს თხოვნით, შეეტანა კოდექსში ცვლილებები, რომ არჩევნები სამუშაო დღეს დაინიშნოს და ის დასვენების დღედ გამოცხადდეს. რაც შეეხება თანხებს, შუალედური არჩევნები სახელმწიფოს 1.219.000 ლარი დაუჯდება. ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა წინა არჩევნებთან შედარებით, რაც თანამშრომელთა ხელფასების გაზრდით არის განპირობებული. ■

ნაქებ კოდექსს ცვლილებები ესაჭიროება...

— ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მთავრობა საგადასახადო კოდექსის კორექტირებას აპირებს. ეი. ნაქებმა დოკუმენტმა თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა?

ალეკო შალამბერიძე, *პარლამენტის წევრი:*

— შეიძლება, ვინმეს გაუკვირდეს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის გადასინჯვა იწყება, მაგრამ ასეთი დოკუმენტის ლაფსუსები მისი ამოქმედების შემდეგ გამოიკვეთება ხოლმე. საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ, ადამიანების ცხოვრება წინ ვერ წავიდა. სამწუხაროდ, ვერ გაუმჯობესდა მათი სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობა. მაღალი საგადასახადო განაკვეთები რომ არ გვქონოდა, დღეს უფრო ნაკლებად გაუჭირდებოდათ ცხოვრება ჩვენს მოქალაქეებს. სწორედ ამიტომ, მთავრობამ მოგვმართა თხოვნით, წარმოვადგინოთ წინადადებები და მოსაზრებები საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით. პირველ ოქტომბრამდე, შენიშვნები საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს უნდა ჩავაბაროთ. ამის შემდეგ, საკომიტეტო მოსმენები დაიწყება. მთავრობა გაითვალისწინებს ჩვენს რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და როგორი საგადასახადო კოდექსი სჭირდება ქვეყანას. პირადად მე, ამ საგადასახადო კოდექსის ამუშავებით ნეგატიურ შედეგებს ვხედავ. თუ თითოეულმა მოქალაქემ არ იგრძნო სასიკეთო ცვლილებები, თუ მას ჯიბეში ფული არ მოემატა, ეკონომიკურ წარმატებებზე ვერ ვილაპარაკებთ. ვიცით, რომ ქართველებს შეუძლიათ, ყველანაირ სიდუხჭირეს გაუძლონ, როცა ქვეყანას ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი, როცა თანხები მიმართულია სახელმწიფოსთვის უმწვავესი პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ სწორად გათვლილი ეკონომიკური ღონისძიებებით შესაძლებელია გლობალურ პრობლემებთან ერთად, გაჭირვებული მდგომარეობიდან მოსახლეობის გამოყვანა მოხერხდეს. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

რამ გააბედვინა მგლები

ერთმა მგელმა წლის განმავლობაში 10 სული ჩლიქოსანი მაინც უნდა შეჭამოს...

კახეთში მგლები ვენახებში დასეირნობენ, გურიაში — საქონელს სოფლად ესხმიან თავს, დუშეთში — ადამიანებს კბენენ. გამოუსწორებელი ფაქტიც მოხდა — მგელმა ბავშვი სასიკვდილოდ დაკბინა. პროგნოზს ამ ყველაფრის შესახებ წლების წინ აკეთებდა ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილი, მათი არგუმენტები კი ყურად არავინ იღო. დღეს შეწუხებული მოსახლეობა იმასაც ამბობს — გეგონება, ჩვენი მგლები არ გვყოფნიდა, თურმე სადღაც გრანტით უცხოური უყიდიათ და აქ გაუშვიათო...

ლელა ჯიყამშვილი

რა თქმა უნდა, საკითხი გაცილებით სერიოზულია და მგლების პრობლემა საქართველოს ტყეებში არსებულ ბევრად დიდ პრობლემებთან არის გადაჯაჭვული. ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ავთანდილ ჭოლოკავას და აკადემიის ხერხემლიან ცხოველთა ლაბორატორიის გამგეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ჯემალ რატიანს. როგორც მათ აღნიშნეს, საქართველოში მგლების შემოყვანის ეჭვი გაუჩნდა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ალექსანდრე არაბულს. მას აქვს ფოტოებიც, რომლებზე აღბეჭდილი წითელი მგელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა გავრცელებული. მისი გავრცელების ადგილი მხოლოდ ჰიმალაის მთებშია, თანაც წითელ წიგნშია შეტანილი. ყოფილა შემთხვევა, როცა მეცნიერებათა აკადემიაში არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ესა თუ ის მეცნიერი დამოუკიდებლად ატარებდა ექსპერიმენტებს მგლებზე. ასე მაგალითად, ზოოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი იასონ ბადრიძე სპეციალურად აშენებდა მგლებს, მერე კი უშვებდა ბუნებაში. ეს მგლები მხოლოდ გარეულ ჩლიქოსნებს უნდა დასხმოდნენ თავს... მაგრამ აქტუალური რჩება კითხვა: საიდან გაჩნდა წითელი მგელი საქართველოში? თუმცა კი არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენთან ბოლო დროს გავრცელდა წითელი ფერის მგელძაღლა (ძაღლისა და მგლის ნაჯვარი).

ავთანდილ ჭოლოკავა:

— ჩვენი უბედურება ის არის, რომ საქართველოში მგლის კონსერვაციაზე გრანტია დახარჯული. აქ კი ისეთი ბუნებრივი გარემოა, მგლისთვის ყოველთვის იყო ხელსაყრელი პირობები და მით უმეტეს არანაირი კონსერვაცია არ სჭირდებოდა. რაც შეეხება მგლების შემოყვანას, ეს დაუმტკიცებელი ფაქტია. საერთოდ, შემოყვანას სჭირდება ჯერ ნებართვა, შემდეგ კომისიის დასკვნა, შემოსაყვანი სულადობის ატესტირება, ვეტერინარული შემოწმება. ამის შესახებ უნდა შემდგარიყო ოქმი, თუ სად გაუშვეს მგლები. არანაირი დოკუმენტი არ არსებობს. საქართველოში გადაღებულ ფოტოზე კი ნამდვილად წითელი მგელია, აღნაგობაზე ეტყობა!

— არ შეიძლებოდა ჩვენამდე თვითონ მოეღწია წითელ მგელს?

— გამორიცხულია! ასე მარტივად არ ხდება ცხოველთა გავრცელების არეალის ჩამოყალიბება და მით უფრო, შეცვლა.

— არსებობს აზრი, რომ მგლები დაავადებული არიან...

— ვინ შეამოწმა? ათასობით ლარი დაიხარჯა შარშანწინ მგლების ცოფის საწ-

ინააღმდეგო აცრებზე. სად ჩატარდა, ვინ ჩაატარა? ამ ამბავს მაშინ ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარე შეეწირა. ჩვენ ძაღლებს ვერ ვცრით ქალაქში და ტყეში მგელს ვინ აცრის? არსებობს წამლის დაყრის მეთოდიც, მაგრამ წამალი მაშინ მთელ საქართველოში უნდა დაეყარათ, მგელი ყველგანაა... ეს კი ასე უცებ არ მოხერხდებოდა. ერთი თვის წინ გამოვაქვეყნეთ ვრცელი წერილი, როგორ შეჭამა საქართველო მგლებმა. 7 აკადემიკოსი აწერდა ხელს. ამის პასუხად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გვითხრეს: — მგლები არ მოვკლათ, დავიჭიროთ და გავუშვათ სხვა ადგილებშიო. ისე გვეუბნებიან ამას, თითქოს საქმე მგლებს კი არა, ქათმებს ეხებოდეს... ცოცხლად მგლის დაჭერა ურთულესია, ეგეც არ იყოს, სადაც გაუშვებ, იქაც ხომ მოსახლეობას დაესხმება თავს? მგელი რომ ფარას შეეჩვევა ან სოფელს, მერე ველარ მოაშორებ. თანაც, ტყეში საკვები ფაქტობრივად, არ არსებობს, ჩლიქოსნები გადაშენდნენ... ყველაფერი კი ერთი „დრაკონული“ კანონის ბრალია!

— მეცნიერებმა რატომ არაფერი გააკეთეთ მის საწინააღმდეგოდ და კერძოდ, რას ითვალისწინებს აღნიშნული კანონი?

— როცა გავიგეთ კანონპროექტის არსებობის შესახებ, დავწერეთ ვრცელი, დასაბუთებული შენიშვნები, მაგრამ გარემოს დაცვის სამინისტროდან გვითხრეს, დააგვიანეთო. ვინ მიაღებინა პარლამენტს ეს კანონი, ახლა თვითონ გამოიძიონ. იცით, რა ალოგიკური კანონია? მგელი ფარაში რომ შევარდეს, მეცხვარე უნდა გაიქცეს რაიონულ ცენტრში, აიღოს მტაცებლის მოკვლის ნებართვა, გადაიხადოს 100 ლარი ლიცენზიაში, დაბრუნდეს ცხვარში, მოკლას მგელი (ვითომ იგი მშვიდად დაწვება და მწყემსის დაბრუნებას დაელოდება!). სასაცილო სიტუაციაა. არადა, მწყემსი ასე თუ არ მოიქცა, 400 ლარით დააჯარიმებენ, იარაღსაც ჩამოართმევენ.

ჯემალ რატიანი:

— ეს კანონი დილეტანტების შედგენილია, იმათი, ვინც არაფერი იცის ამ საქმისა. ჯერ მარტო ჩამონათვალი მეტყველებს ამაზე: ჯიხვის, ირმის, არჩვისა და შურთხის მოკვლა ერთსა და იმავე პუნქტშია გაერთიანებული ერთი სალიცენზიო ფასით. საერთოდ, სალიცენზიო ფასი წონის მიხედვით დგინდება. ჯიხვი, ირემი, არჩვი — ჩლიქოსნები არიან, შურთხი — ფრინველია. იცოდა ეს მან, ვინც ამ კანონზე მუშაობდა? კანონში ისიც წერია, რომ თუ ვინმე ირემს ან გარეულ ღორს უნებართვოდ მოკლავს, ჯარიმა 65 ლარია, თუ მგელი მოკლეს — 400. ეს მაშინ, როცა მგელი დღეს ათჯერ მეტია, ვიდრე ერთად აღებული ყველა ჩლიქოსანი საქართველოში. ამ უკანონო კანონის ბრალია, რომ ჩლიქოსანთა განადგურების პროცესი კატასტროფამდეა მისული. დღეს საქართველოში 4000 მგელი ყოფილა (ეს სწორედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემია, მგლებს რომ იცავს). თითო მგელს დღეში ნახევარი კილოგრამი ხორცი ხომ მაინც სჭირდება. ერთმა მგელმა წლის განმავლობაში სულ ცოტა 10 სული ჩლიქოსანი მაინც უნდა შეჭამოს. არსებული რაოდენობის გამოკვებას კი 40 ათასი სული ჩლიქოსანი სჭირდება წელიწადში. ამდენი ირემი, შველი, ჯიხვი, არჩვი, ტახი სად გვყავს... კანტიკუნტად თუა შემორჩენილი ერთეულები... თითოეროლა ირემი ლაგოდეხის ნაკრძალშია დარჩენილი, ბორჯომის ნაკრძალში უკვე აღარ არის. ძალიან ცოტაა შველი, ღორი, ამიტომაც შეესივნენ მგლები სოფელს, თავს ესხმიან ადამიანებსაც. ეს მხოლოდ მგლების შიმშილის გამო ხდება. კონსერვაციამ სავალალო შედეგი გამოიღო...

ავთანდილ ჟოლოკავა:

— 15 წელია, ერთი გროში არ მიუღია ზოოლოგიის ინსტიტუტს დაფინანსება. ეს ხომ ლიტერატურის ინსტიტუტი არ არის, კაბინეტებში ვიმუშაოთ. არადა ველზე გასვლის არანაირი შანსი არ გვაქვს, შექმნილი მდგომარეობის შესახებ კი გვეკითხებიან... იცით, ამას წინათ, ამაზონის ხეობაში აღმოაჩინეს თუთიყუში, რომელიც 80 წლის გადაშენებული ეგონათ. ამერიკის მთავრობამ 1 მილიონი დოლარი გამოყო, რომ ექსპედიცია მოწყობილიყო ამაზონის ხეობაში. გადაიღეს 4-წუთიანი ფილმი ამ თუთიყუშზე. ამხელა თანხით ჩვენ 10 წელი ვიმუშავებდით, თანაც ბევრად უფრო შედეგიანად... კვლევებს ჩავატარებდით, იშვიათ ჯიშებს გადავარჩენდით. არასამთავრობოები გრანტებს იღებენ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არც ერთი იშვიათი ჯიში არავის გადაურჩენია საქართველოში.

— ყველაზე ცუდ დღეში რომელი გარეული ცხოველები არიან?

— ირემი პრაქტიკულად აღარ არსებობს. არადა, 10 წლის წინ 900 სული იყო ლაგოდეხში, ბორჯომში — 500. თუ დარჩა ერთეულები, მათი თავისუფალი შეჯვარება აღარ ხდება, ნათესაური შეჯვარებით კი 5-6 წლის შემდეგ ეს ერთეულებიც არ გვეყოლება. ჯეირანი 30 წლის წინ თბილისის ქუჩებში დარბოდა, ახლა ტყეშიც აღარ გვხვდება. იყო მცდელობა, შემოეყვანათ ჯეირნები ვაშლოვანის ნაკრძალში. მგელი დაესხა თავს და გაანადგურა. მაღლა მთაში გადაიტანეს სანაშენე. იქაც ზოგი მგელმა შეჭამა, ზოგი — ორფეხა მგელმა. აზერბაიჯანში არის ჯეირანი, ჩვენთან კი აღარ! გადაშენდა ჯიქი, აფთარი... ამბობენ, ვიღაც გლეხმა ჯიქი ნახაო. ტყუილია. ის ფოტო ჩვენც გვაქვს. საჭმლის ძებნაში გამხდარი ჯიქი შეიძლებოდა მოსულიყო საქართველოს ტყეებში, ფოტოზე კი კარგა ნაპატივები მტაცებელია. მერე იყო და, წავიდა 25 კაცი ვაშლოვანის ნაკრძალში ჟივილ-ხივილით ჯიქის საძებნელად. ჯიქი რომ დააფიქსირო, ერთი კვირა მაინც ხეზე უნდა იჯდე გაუნძრევლად. სირცხვილია ასეთი შოუების მოწყობა. ჯიხვები საერთოდ კატასტროფის წინაშე არიან. წლების წინ მონადირეები ამბობდნენ, ჯიხვის რქებით არის მოფენილი სანადირო ადგილებიო. ეს ავადმყოფობის ბრალია, რომელიც თავის ქალაზეც ვრცელდება. ვინ გამოიკვლია ეს პრობლემა? შეიძლება ამ დაავადების გამო ერთი ჯიხვიც აღარ იყოს საქართველოში. შარშან ყაზბეგში ვიყავი. შალვა ქირიკაშვილს ვკითხე, როგორ ფიქრობ, ჯიხვების რა რაოდენობა იქნება-მეთქი? 5 წლის წინ 100-200-სულიან არვეს სადაც ნახულობდნენ, ახლა 7-9-სულიანი არვე თუ ნახეს, დიდი ამბავია! ისიც მითხრა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი თრუსოს ხეობაში ვერტმფრენებით ნადირობენ ჯიხვებზეო. აი, ეს არის ქართული მენტალიტეტი.

ჯემალ რატიანი:

— შარშან ხელში ჩამივარდა ბუკლეტი, რომელიც სანადიროდ იწვევდა ტურისტებს, ჰპირდებოდნენ მეგზურობას, ჯიხვის მონადირებას. მივედით ამ ბუკლეტით გარემოს დაცვის კომიტეტში, ვაჩვენეთ. ამას გამოვიკვლევთო. არავის არაფერი გამოუკვლევია დღემდე... სწორედ მაშინ იყო, 12 ჯიხვი რომ მოინადირეს იტალიელებმა საქართველოში.

ორი წელია, სანადირო სეზონი არ გაიხსნა ჩლიქოსნებზე. მე რომ მომმართეს რეკომენდაციისათვის გარემოს დაცვის დეპარტამენტიდან, შეკითხვა მივწერე, სანადირო მეურნეობები სადა გვაქვს-მეთქი?! მიხვდნენ, რომ მართლაც არა გვაქვს სანადირო მეურნეობა და აღარ დაუშვეს ლიცენზიები. სწორედ ამ აკრძალვის პერიოდში ტელევიზიით ვნახეთ, როგორ უმასპინძლდებოდნენ მესაზღვრეები ჯიხვის ხორცით საპატიო სტუმარს. ეს გახლავთ უბედურება... ასეთ პირობებში, როცა ჩლიქოსნები გადაშენდნენ, მგლების გამოხშირვა აუცილებელია. ჩვენც ვიცით, რომ მგელი სანიტარია, მაგრამ ეს იქ, სადაც ჩლიქოსნების დიდი პოპულაციაა, მაგალითად ავსტრალიაში... ევროპაში მგელი საერთოდ აღარ არის, სამანქანო გზაზე შვლები და ირმები დარბიან... არ ითხოვენ ისინი მგლის შეყვანას! ჩვენ, რა თქმა უნდა მგლების გადაშენება არ გვინდა, მაგრამ მათი ასეთი არასწორი კანონით დაცვა კიდევ უარეს შედეგებამდე მიგვიყვანს!

■

სარეპეტიტორო სკოლა

ს ტ ს

იწყებს აბიტურიენტების მომზადებას უმაღლესში ჩასაბარებელი ტესტებისთვის.

ფასები ხელმისაწვდომია.

ტელ: 22-69-15; 91-31-62

www.sts.caucasus.net

ბობ ფრენჩის ჯაზ ბენდის წევრებთან ერთად – ახალი ორლეანი. 2001 წ.

ჟურნალისტი ქეთი ბოჭორიშვილი რადიო „ბი-ბი-სის“ ეთერით მსმენელს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აცნობს. მისი პროფესიონალური დებიუტი გაზეთში შედგა და პირველი სტატია თურმე, ერთ-ერთ მასწავლებელზე დაუწერია... ბოლოს, გარემოებებმა ლონდონში, უმსხვილესი სამაუწყებლო კომპანიის ცენტრალურ ოფისში მიიყვანა... შემდეგ ქეთიმ აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობის შესახებ რამდენიმე საინტერესო სიუჟეტი მოამზადა, რომლის შესახებაც მოგვიანებით, ნიუ-ორლეანში გამართულ კონფერენციაზე ამერიკელ კოლეგებს უამბო...

როგორ „გაასოცხლა“ ჟურნალისტმა ჯონ ლენონი, *როგორ „მონათლა“ ბილ კლინტონი და...* სევდიანი რეპორტაჟები დანგრეული სოხუმიდან

ემა ტუხიაშვილი

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. მაშინვე მე და ჩემმა მეგობარმა, მალვინა იაკობაშვილმა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციაში დავიწყეთ მუშაობა. სხვათა შორის, ეს გახლდათ ერთადერთი გამოცემა, რომლის პირველ გვერდზეც, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ფოტოები იმ დღესვე დაიბეჭდა. ეს ფოტოები მოსკოვიდან ჩამოსულმა ფოტოოსტატმა, იური როსტმა გადაიღო. გაზეთის რედაქტორი მაშინ, ვახტანგ აბაშიძე გახლდათ. ამ ფოტოების გამოქვეყნების გამო, ბევრ ჩვენს კოლეგას გარკვეული პრობლემები შეექმნა... მალვინა იაკობაშვილი ახლა ამერიკაშია, ფილადელფიაში ცხოვრობს. იქ საკუთარი რუსულენოვანი გაზეთი გამოსცა, რომელიც ემიგრანტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

— „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტი როგორ გახდით?

— ჩვენს კურსზე ერთი საინტერესო გოგონა, ეროვნებით აზერბაიჯანელი, სადაგატ იზმაილოვა სწავლობდა... არ იფიქროთ, რომ ამბავს განგებ ვაჭიანურებ, „ბი-ბი-სიში“ ჩემი მუშაობის დაწყება სწორედ ამ ადამიანის დამსახურებაა, ამიტომ მინდა, ყველაფერი ისე გადმოგცეთ, როგორც სინამდვილეში მოხდა. თანატოლებს სადაგატი უცნაურ ადამიანად გვეჩვენებოდა. მახსოვს, ერთხელ, საკურსო თემა ლექსად დაწერა, რამაც ძალიან გაგვაოცა. გვიკვირდა ისიც, რომ თუ მთელი ჯგუფი ლექციის გაცდენას დავაპირებდით, ჩვენთან ერთად მოდიოდა, მაგრამ მალევე დაბრუნდებოდა ხოლმე ცარიელ აუდიტორიაში და დაფაზე არაბულ ტექსტებს წერდა... როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, სადაგატი თვითონ, დამოუკიდებლად სწავლობდა არაბულ ენას და უნივერსიტეტის დამთავრების დროს, უკვე კარგად ფლობდა ამ ენას. ეს გოგონა დმანისიდან იყო, ამიტომ როდესაც სტუდენტობას გამოვეთხოვეთ, მის შესახებ ვერაფერს ვიგებდით. 1989 წელს კი, მარნეულსა და დმანისში სერიოზულ პოლიტიკურ პროვოკაციებს ჰქონდა ადგილი. რამდენიმე აზერბაიჯანელისგან შექმნილი ჯგუფები დადიოდნენ რაიონის ქუჩებში შეძახილით — „ალაჰ აკბარ!“ — და სახლებს ქვებს უშენდნენ. რა თქმა უნდა, სამართალდამცავებს შეეძლოთ, წესრიგის დამრღვევები დაეკავებინათ და პასუხი მოეთხოვათ, მაგრამ ამ პროვოკაციამ გაცილებით სავალალო შედეგი გამოიწვია: რამდენიმე ასეული აზერბაიჯანული ოჯახი იძულებული გახდა, ღამით, ყველასგან მალულად გახიზნულიყო საქართველოდან. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მათ შორის, სადაგატის მშობლებიც იყვნენ. სადაგატი ამ დროს, თურმე, ერაყში მუშაობდა თარჯიმნად, იქ კარგი ხელფასი ჰქონია, ამიტომ მშობლებთან ერთად ბაქოში გადასულა საცხოვრებლად. სწორედ ამ პერიოდში, აზერბაიჯანში „ბი-ბი-სის“ წარმომადგენლობაც გაიხსნა და ჩემმა მეგობარმაც იქ დაიწყო მუშაობა.

— ახლა უკვე ვხვდები, როგორი დასასრული ექნება ამ ამბავს...

— ამ დროს, თბილისში საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ წარმომადგენლები სტაჟირებისთვის არჩევდნენ ჟურნალისტებს. მახსოვს, გასაუბრებაზე ანკეტები მე და ლიკა ბასილაიამ შევავსეთ. დაახლოებით 20 დღეში კი, „როიტერიდან“ დამირეკეს და ლონდონში, მის სათავო ოფისში ლექციების მოსასმენად მიმიწვიეს. ლექციების გარდა, სხვადასხვა სახის ექსკურსიას გვიწყობდნენ. ერთ-ერთი ბოლო ექსკურსია კი „ბი-ბი-სის“ სათავო ოფისში გვქონდა. კომპანიის ცენტრალური აზიისა და კავკასიის სამსახურის რედაქტორს შეგვახვედრეს.



ალბათ იცით, რომ უზბეკეთის პარლამენტს დეოგორკუკინეში ეწოდება... (სადაგატ ისმაილოვასთან ერთად. ლონდონი 1997 წ.)

რა თქმა უნდა, გაგვაცნეს იქაური სამუშაო სპეციფიკა, გვიხსნიდნენ, თუ როგორ უნდა მომზადდეს ე.წ. „ნიუსი“. წამოსვლის წინ კი, რედაქტორმა უბრალოდ, გამომკითხა, ვინ ვიყავი და სად მქონდა მიღებული განათლება. როცა ჩემი პასუხები მოისმინა, მშვიდად მომიგო: ჩვენთან ახალგაზრდა გოგონა მუშაობს, რომელსაც ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და იქნებ, იცნობთო. მაშინვე თანამშრომლებს სთხოვა, ის გოგონა მოეძებნათ, ცოტა ხანში კი, ჩემ წინ ჩემი თანაკურსელი სადაგატი იდგა. როგორც გაირკვა, ის ლონდონში წლების განმავლობაში ცხოვრობდა და „ბი-ბი-სიში“ მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა... რამდენიმე დღე მის სახლში გავატარე, წამოსვლისას კი მითხრა: როდესაც გადაცე-

მის მორიგე პროდიუსერი ვიქნები, თბილისში დაგირეკავ და სიუჟეტები მომიმზადეო. რადიოში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, ამიტომ მისი სიტყვებისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმინიჭებია.

— მაგრამ დღეს, საქართველოს ამბებს „ბი-ბი-სის“ მსმენელები თქვენგან იგებენ...

— ალბათ გახსოვთ, პრეზიდენტ შევარდნაძის ინაუგურაცია ცივ ზამთარში. მე ეს მოვლენა განსაკუთრებით კარგად დამამახსოვრდა, რადგან ცოტა ხნით ადრე, მდუღარე წყალი გადამესხა და დამწვარი ვიწექი შინ. არ გვქონდა ელექტროენერგია, სახლში ყინავდა, მე კი ტანსაცმელს ვერ ვიცვამდი, რადგან სიცივეზე მეტად, დამწვრობა მაწუხებდა... მოულოდნელად, სატელეფონო ზარი გაისმა. როდესაც ყურმილი ავიღე, ჩემმა მეგობარმა „ბი-ბი-სიდან“ საქმიანი ტონით მომახალა: ნახევარ საათში დაგირეკავ და პრეზიდენტის ინაუგურაციაზე 3-4-წუთიანი რეპორტაჟი მომიმზადეო. ჩემს ახსნა-განმარტებებს არც კი დალოდებია, ისე დაკიდა ყურმილი. უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და ჩემს ერთ-ერთ კოლეგას ინაუგურაციის შესახებ ყველაფერი გამოვკითხე. დათქმულ დროს, ლონდონიდან ზარი გაისმა და ჩემი პირველი საქმიანი ურთიერთობა „ბი-ბი-სისთან“ შედგა.

— იმ დროს ალბათ, ბევრ ტექნიკურ სირთულესთან გამკლავება გიხდებოდათ...

— მაშინ ხომ არ არსებობდა პირდაპირი საერთაშორისო სატელეფონო კავშირი! უცხო ქვეყანას ტელეფონით რომ დაჰკავშირებოდი, შეკვეთა ცენტრალური ფოსტამტის შენობიდან უნდა მიგეცა. მახსოვს, გავრბოდი ფოსტამტში, ვაძლევდი შეკვეთას (თანაც გაითვალისწინეთ, რომ იმ დროს, ერთი სასაუბრო წუთის ღირებულება 3 ლარზე მეტი ღირდა და მთელი ჩემი ჰონორარი ამაში მეხარჯებოდა) და სწრაფად ვბრუნდებოდი შინ, რომ შეკვეთილი ზარისთვის მომესწრო. ზოგჯერ ეს მოლოდინი საათები გრძელდებოდა და ლონდონიდან ზარს უშედეგოდ ველოდი... ახლაც მიკვირს, როგორ გავუძელი ამ ყველაფერს და არ ჩავიქნიე ხელი.

მე და ჩემმა მეგობარმა, მალვინა იაკობაშვილმა გაჩეთ „მოლოდიოუ ჯრუპის“ რედაქციაში დავიწყეთ მუშაობა თბილისი. 1988 წ.

— ახლა რას უამბობთ ხოლმე „ბი-ბი-სის“ მსმენელს საქართველოს შესახებ?

— ძირითადად, საქართველოში განვითარებულ, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს ვაშუქებ. მაგრამ გვიწევს იმის გათვალისწინებაც, რომ თემა, რომლის გაშუქებასაც ვაპირებ, მთელი კავკასიის რეგიონისთვის იყოს აქტუალური. მაგალითად, ჩვენთან კარგა ხნის განმავლობაში, საინფორმაციო საშუალებებისთვის მთავარი თემა, ბექაური-რამიშვილის ამბავი იყო. ამის შესახებ ორჯერ შეიძლება ვაუწყოთ „ბი-ბი-სის“ მსმენელს: ერთხელ, როდესაც ამბავი ახალი მომხდარია და მეორედ, როდესაც მისი კვანძის გახსნა მოხდება.

— ალბათ, პირდაპირი ეთერითაც გიხდებათ მაუწყებლობა, ხომ?

— პირდაპირ ეთერში ჩართვა ძირითადად, არჩევნების დროს გვიწევს. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ვიმუშავე რადიო „ბი-ბი-სის“ სათავო ოფისში პროდიუსერად და იქიდან ღია ეთერით უფრო ხშირად მივმართავდი მსმენელს.

— საეთერო კურიოზები თუ გადაგხდენიათ თავს?

— რამდენიმე შემთხვევა მართლაც, მქონდა. ერთხელ, მსმენელისთვის უნდა მეთქვა, რომ მოსკოვიდან ჩვენი კორესპონდენტი, ჯონ ლენი ჩაგვერთვებოდა, ამის მაგივრად კი ვაუწყე, რომ ეთერში ჯონ ლენონი შემოდიოდა... ერთხელაც, ბილ კლინტონის მაგივრად, ბლინ კლინტონი ვთქვი. გაცილებით სახალისო კურიოზი გადახდა თავს ჩემს ერთ-ერთ კოლეგას. ალბათ იცით, რომ უზბეკეთის პარლამენტს დჟოგორკუკინეში ეწოდება. მივიღეთ ინფორმაცია, რომელიც იქაური პარლამენტის ერთ-ერთი წევრის დაღუპვას იუწყებოდა, მაგრამ მისი ვინაობა ტექსტში გამორჩენოდათ. ამიტომ ჩემმა კოლეგამ რადიოეთერით გამოაცხადა, რომ თავად დჟოგორკუკინეში გარდაიცვალა — ე.ი. უზბეკეთის მთელი პარლამენტი „გაისტუმრა საიქიოში“...

— როგორც ვიცი, „ბი-ბი-სის“ ეგიდით, სოხუმშიც მოგიხდათ რადიოსიუჟეტების მომზადება. ამის შესახებ გვიამბეთ.

— ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ რამდენიმე წლის წინ, კონფლიქტურ რეგიონებში სიუჟეტების მოსამზადებლად გამოყო თანხები. მე, როგორც „ბი-ბი-სის“ წარმომადგენელს საქართველოში, უნდა მომემზადებინა რეპორტაჟები სოხუმიდან, ხოლო თბილისში ამ მიზნით ამავე რადიოს წარმომადგენელი აფხაზეთში, ინალ ხაშიგი უნდა ჩამოსულიყო. საერთო ჯამში, 10 სიუჟეტი მოვამზადეთ და რადიოს ეთერითაც გავუშვით.

— რთული იყო ქართველი ჟურნალისტისთვის სოხუმში მუშაობა?

— ფსიქოლოგიურად მძიმე იყო იმის აღქმა, რასაც იქ ვხედავდი. წლების წინ ულამაზესი ქალაქი, სადაც ჩემი ცხოვრების რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა (მაგალითად, იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე), ნანგრევებად იყო ქცეული. ვხედავდი, როგორ ამოზრდილიყვნენ მიტოვებულ სახლებში ახალგაზრდა ხეები... როდესაც იქაურებთან ვურთიერთობდი, ყოველთვის მახლდა თან ჩემი კოლეგა, ინალ ხაშიგი. მართალია, მასთან ერთად თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ რესპონდენტებს მისი თანდასწრებით გულახდილად ლაპარაკი უჭირდათ. ამიტომ ერთხელ მარტო გავემართე იმ მოედნისკენ, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთ თავმოყრა და ყავის სმა უყვართ. სასაუბროდ ერთ-

პირდაპირ ეთერში ჩართვა ძირითადად, არჩევნების დროს გვიწევს. ლონდონი. 1997 წ.

საერთო ჯამში, 10 სიუჟეტი მოვამზადეთ და რადიოს ეთერითაც გავუშვით (ინალ სამაკთან ერთად. თბილისი, 2001 წ.)

ერთ შუახნის მამაკაცს მივაშურე, მხოლოდ ის ვუთხარი, რომ „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტი ვიყავი და პირდაპირ ვკითხე: შეძლებდნენ თუ არა მომავალში ქართველები და აფხაზები ერთად ცხოვრებას? მან მიპასუხა, რომ ამ კონფლიქტში 4 შვილი დაკარგა, ამიტომ ტკივილი ჯერაც არ განელებია, მაგრამ ისიც დასძინა, რომ ვერაფერს მიპასუხებდა თავისი შვილიშვილების მაგივრად, რადგან მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რა სურთ... ამის გამგონეს, უნებლიეთ წამომცდა — ე.ი. ჩვენ არასოდეს ვიცხოვრებთ ერთად-მეთქი?! აფხაზი მაშინვე მიხვდა, რომ ქართველი ვიყავი და ჩემთვის აღარაფერი უთქვამს... ამ სიუჟეტებზე მუშაობისას გავიცანი აფხაზი სნაიპერი ქალი, რომელიც სოხუმში ჩემი ყოფნისას, ბაზარში ვაჭრობდა და როგორც მითხრა, სნაიპერობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც თვალწინ მეგობარი გოგონა მოუკლეს... ჩემს სიუჟეტებში ისეთი ადამიანებიც მოხვდნენ, ვინც აღიარებდნენ, რომ ამ კონფლიქტში არც ქართველებს მიუძღვით ბრალი და არც აფხაზებს და ქართველებთან ურთიერთობა ენატრებათ... სხვათა შორის, ამ სიუჟეტების სერიისათვის მე და ინალი მოსკოვშიც ვიყავით, იქ მყოფ აფხაზ ლტოლვილებს შევხვდით და იმ რუს პოლიტიკოსებსაც ვესაუბრეთ, ვისაც ამ კონფლიქტთან უშუალო კავშირი ჰქონდათ.

— როგორც ვიცი, თქვენ იმ ჟურნალისტთა რიგს მიეკუთვნებით, ვისაც შეუძლია, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ადამიანებთან ურთიერთობა...

— ყოველ წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის იმართება კონფერენცია, სადაც მათ ექიმები და ფსიქოლოგები უხსნიან, თუ როგორ უნდა იურთიერთონ ძალადობის მსხვერპლთან (ეს ძალადობა ოჯახში მოხდა თუ სხვა სოციალურ გარემოში), იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ა.შ. ერთხელ, შემთხვევით ჩამივარდა ხელში ანკეტა, რომლითაც ამ სემინარებზე დასასწრებად იწვევდნენ ჟურნალისტებს, მაგრამ პირველად უარი მივიღე, რადგან მსგავსი ღონისძიება მხოლოდ ამერიკელი ჟურნალისტებისთვის იმართებოდა. ფარ-ხმალი მაინც არ დავყარე და სოხუმში მომზადებული სიუჟეტები ამერიკაში ჩემი იქაური მეგობრის დახმარებით გავგზავნე. სულ მალე კი, ამ კონფერენციაზე დასწრების მიწვევა მივიღე და პირველი უცხოელი ჟურნალისტი გავხდი, ვინც მსგავს სემინარში ყოველწლიურად მონაწილეობს. ამერიკელები ინტერესით ისმენდნენ ჩემს მოხსენებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის, იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების შესახებ. სხვათა შორის, სემინარი, რომელსაც პირველად დავესწარი, ნიუ-ორლეანში გაიმართა და ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი მშვენიერი ქალაქი დღეს პრაქტიკულად განადგურებულია... ამერიკელ ჟურნალისტებს შორის, ბევრი მეგობარი შევიძინე და სისტემატური მიმოწერა გვაქვს ერთმანეთთან. ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ ერთ-ერთი ჩემი კოლეგა, ნატალი პომპილიო ნიუ-იორკიდან ნიუ-ორლეანში ჩასულა და დატბორილი რედაქციის შენობიდან საკუთარი ზურგით 10 ჟურნალისტი გამოუყვანია. ნატალი კვლავ ნიუ-ორლეანშია და იმის გამო, რომ ინტერნეტი მისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის, ხშირად ვერ მწერს... ამ ბოლო დროს, ამერიკელი ჟურნალისტები იმასაც მეკითხებიან: ქარიშხალი თუ ყოფილა ოდესმე თქვენს ქვეყანაშიო?.. აქვე მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული სემინარის ფარგლებში, ჟურნალისტს შეუძლია, სამუშაოდ აირჩიოს რომელიმე კონფლიქტური ზონა და იქ გასამგზავრებლად დაფინანსებაც მიიღოს. ამ პროგრამის ეგიდით ნეპალში, კატმანდუში მინდა გამგზავრება, თუმცა იქ არსებული დაძაბულობის გამო, ჯერჯერობით თავის შეკავებას მირჩევენ.

სასაუბროდ ერთ-ერთ შუახნის მამაკაცს მივაშურე, მხოლოდ ის ვუთხარი, რომ „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტი ვიყავი და პირდაპირ ვკითხე: შეძლებდნენ თუ არა მომავალში ქართველები და აფხაზები ერთად ცხოვრებას?

■

საგუშაგოთიდან იკითხეთ
ოქტომბრის ნომერი

ლიტერატურული პალიტრა

- მიხო მილორავა
- ბერო ხვედელიძე
- ვახტა გოგუაძე
- დავით ჭავჭავაძე
- ბექა ქუთათელი
- რევაზ რობიტაშვილი

მონატრება

- ქეთევან ქასრაძე

პოეზია

- რევაზ ლეონიძე
- ვახტა ხარანაული
- თამარ შალიკაშვილი
- ანა ფოფორაძე

ზაპირი

- ირინეს ჭეიშვილი

აღმოხდების მზე (ფიესტა)

№ 10 (13), ოქტომბერი 2005

ფასი 1,5 ლარი

თქვენ ხომ გვემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ჯაბა ბოჯგუა ცოლს ირთავს

„მის ვარცხნილობასაც კი ვაკონტროლებ...“

რამდენიმე დღის წინ, ჩემთვისაც მოულოდნელად, ხელში ექსკლუზიური ინფორმაცია ჩამივარდა: თურმე, ის ჯაბა ბოჯგუა, რომელიც თურქეთში გაცილებით პოპულარული და კომერციული ქართველი მომღერალია, ვიდრე ჩვენში, ცოლს ირთავს. ცოლს ირთავსო!.. რა თქმა უნდა, ამ ამბით მაშინვე დავინტერესდი, ჯაბას დავუკავშირდი და ინტერვიუ ვთხოვე. თავიდან კი მითხრა, ამას ყველაფერს სიურპრიზად ვაპირებდიო, მაგრამ ვინ აცალა სიურპრიზი?! უარს არ მივიღებ-მეთქი, — გამოვუცხადე და დიქტოფონი მოვიმარჯვე. საპატარძლოს ვინაობა, მათი გაცნობის დეტალები და მომავალი ქორწილის პერსპექტივა თავად ჯაბამ გაგვაცნო, რომელიც თავის რჩეულს ისეთი თვალებით შეჰყურებდა, მივხვდი, რომ სიყვარული მართლა უცნაური და ძლიერი გრძნობა ყოფილა...

ნათია ქივიძე

— ჯაბა, თავდაპირველად შენი საცოლე გაგვაცანი.

— ჩემი საცოლე არის ნინო წკრიალაშვილი, 19 წლის, რომელიც თეატრალურში სწავლობს. ერთი წლის წინ, ჩემი სიმღერის პრემიერა იყო რადიო „საქართველოს ხმის“ ეთერში. ნინოს სიმღერაც ამ რადიოს ეთერში ტრიალებდა და რამდენჯერმე მოვისმინე. მოგვიანებით, კონცერტის ჩატარება გადავწყვიტე. მაშინ დავრეკე ამ რადიოში და ნინოს კოორდინატები ვიკითხე, იმისთვის, რომ ჩემს კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მომეწვია. მაშინ პირველად შევხვდით ერთმანეთს. მას შემდეგ, ნინოს ჩემი არც ერთი კონცერტი არ გამოუტოვებია, ყველაზე ვიწვევდი. საქმიანი ურთიერთობა ძალიან კარგ მეგობრობაში გადაიზარდა.

ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის

— რატომ გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც ეს მომღერალი გჭირდებოდა შენს კონცერტზე გამოსაყვანად? ნინო ხომ ცნობილი სახე არ იყო.

— მე სხვა ცნობილი მომღერალიც გამომყავდა ჩემს კონცერტზე, მაგრამ მჭირდებოდა ახალი სახე, რომელიც კონცერტს მრავალფეროვნებას შესძენდა და მაყურებელს არ მოჰბეზრდებოდა ერთი და იგივე სახეები.

— თუ ამდენი მომღერალი გყავდა მოწვეული, რატომ დაუმეგობრდი მაინცდამაინც ნინოს?

— ნინოს არაჩვეულებრივი ხასიათი აქვს. ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის. თავიდანვე სულ მხარში მედგა. კონცერტების მოწყობა ძალზე შრომატევადი საქმეა და ასეთ დროს ნინო სულ გვერდით მყავდა და მეხმარებოდა. მას ძალიან ვენდობოდი და ვენდობი. მოკლედ, მთელი წლის განმავლობაში ვმეგობრობდით, რის გამოც, გასულ ზაფხულს ნინო თურქეთში დავპატიჟე. მაშინ უფრო დავახლოვდით, რადგან სულ ერთად ვცხოვრობდით. ზაფხული ჩვენი ურთიერთობისთვის დიდი „სკოლა“ იყო. აქედან გამომდინარე, ჩვენი მეგობრობაც სიყვარულში გადაიზარდა. ამას ორივე ჩვენგანი თურქეთში მივხვდით.

— პირველად რომელი გამოტყდით სიყვარულში?

— ორივემ ერთად შევამჩნიეთ, რომ ჩვენ უკვე დიდი გრძნობა გვაკავშირებდა. ჩვენი აზრები თითქმის ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა.

— ნინოს კარიერაში თუ ერევი?

— რა თქმა უნდა. ნინოს ავუკრძალე, თავისი ძველი რეპერტუარი იმღეროს. ამასთანავე, შევუცვალე სტილი და სულ ჩემი გემოვნებით შევურჩიე და ვუყიდე თითოეული სამოსი. მის ვარცხნილობასაც კი ვაკონტროლებ. სადაც არ უნდა მივდიოდეთ, მე ვურჩევ ხოლმე, რა ჩაიცვას და თმა როგორ დაივარცხნოს... ახლა ახალი სიმღერა ჩავწერეთ ერთად, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულია. ეს არის თურქული სიმღერა, რომელსაც ნიშინ ქარაჯა მღერის. ქართული ტექსტი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის. მართლა ძალიან კარგი გამოვიდა, ამას ძალიან მალე იხილავთ ყველა. მინდა, რომ ნინო არა მხოლოდ ცხოვრებაში, არამედ სცენაზეც იყოს ჩემი პარტნიორი. ძალიან მალე, ნინო კიდევ ერთ ახალ სიმღერას ჩაწერს. ჩვენს დუეტზე კლიპსაც გადავიღებთ, ოღონდ — არა საქართველოში, რადგან აქაური კლიპები არ მომწონს, იმის საშუალება კი არ მაქვს, რომ ისეთი კლიპი გადავიღო, როგორიც მე მინდა. ახლა ამ კლიპს აუცილებლად გადავიღებთ და გარწმუნებთ — ძალიან ხარისხიანი იქნება. კლიპს თურქეთში გადავიღებთ, თუმცა, იქაურ ტელეეთერში ვერ დატრიალდება, რადგან ქართულენოვანი სიმღერაა.

— რასაც ეუბნები, ნინო ყველაფერს გიჯერებს?

— კი, რა თქმა უნდა! ნინო ჯერ პატარაა. ის ჯერჯერობით გაურკვევლობაში იმყოფებოდა — არ იცოდა, რა უნდა ემღერა და როგორი სტილი შეერჩია... ასეთ ასაკში მეც ვიყავი, მაგრამ ახლა ზუსტად ვიცი, რა უნდა გავაკეთო. მგონია, რომ ნინოს დავეხმარე წინსვლა-

ში და მივახვედრე, რა უნდა გააკეთოს.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ნინოსთვის რაიმე აგიკრძალავს? ჩაცმულობას ან სადმე წასვლას ვგულისხმობ.

— როგორ არა, ვუკრძალავ რაღაცებს. ნინოს ძალიან დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, რომლიდანაც ბევრი ვინმე არ მომწონდა. ისეთი ხალხი იყო, პირში რომ გაქებენ და ზურგს უკან სამარეს გითხრიან... ნინოს ვასწავლე, თუ ვინ არის სალმის ღირსი...

— თავად მას თუ მოსწონს შენი მეგობრები?

— რა თქმა უნდა. ცუდი მეგობრები არ მყავს, რადგან მე უკვე კარგად ვიცი, ვინ არის გამარჯობის ღირსი.

— თქვენმა ოჯახებმა თუ იციან თქვენი გადაწყვეტილების შესახებ?

— რა თქმა უნდა, იციან. მე ოჯახთან ერთად ვცხოვრობ და რომ გითხრა, დედაჩემი აღფრთოვანებულია ჩემი ცოლის მოყვანის პერსპექტივით-მეთქი, მოგატყუებ, რადგან ოჯახი ჯერ ჩემი ახალი ოჯახისთვის მზად არ არის. მაგრამ დედას ნინო ძალიან მოსწონს და კარგი დამოკიდებულებაც აქვთ ერთმანეთთან.

— შენ თუ იცნობ ნინოს მშობლებს?

— ვიცნობ და მეც მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ნინოს ოჯახში ძალიან ხშირი სტუმარი ვარ.

— შენზე ძალიან ბევრს ჭორაობენ, კარგს, ცუდს ან სასაცილო რაღაცებს ჰყვებიან. ნინოს ამ ყველაფერზე რეაქცია არა აქვს?

— არა, ნინო ძალიან კარგად მიცნობს და იცის, რისი გამკეთებელიც ვარ. ის დარწმუნებულია, რომ ეს ჭორები არარეალურია. ენა უძვლოა. შავზე თეთრს ამბობენ და — პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ვმოღვაწეობ, მე ქართველი ადამიანი ვარ, ტრადიციების მიმდევარი, ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი და ყოველთვის ვცდილობ, რომ აქ ჩამოსვლისას, ქართულ ჩარჩოებში ჩავჯდე, მიუხედავად იმისა, რომ შოუები მაქვს და სცენაზე სხვადასხვა კოსტიუმით გამოსვლა მიწევს. არ მინდა, მაყურებელი და მასა გავაღიზიანო.

— შენ თვითონ არ გაღიზიანებს შენზე გავრცელებული ჭორები?

— როგორ არ მაღიზიანებს?! ძალიან დიდ სტრესში ვვარდებით ხოლმე მეც და ჩემი ოჯახიც. ყველას მტკიცებას ხომ ვერ დავუწყებ — იცით, ეს ჭორია და სიმართლესთან ახლოს არ დგას-მეთქი?! ამიტომ მირჩევნია, ერთ ყურში შევუშვა და მეორიდან გამოვუშვა. თუმცა კი, ყველა ჭორი დიდ ტკივილს მაყენებს და სტრესში მაგდებს.

— მოდი, ნინოს დავუბრუნდეთ. ამის შემდეგ ალბათ, ის ყველა შენს კონცერტში მიიღებს მონაწილეობას, არა?

— თითქმის ყველაში. ხანდახან ისეთ კონცერტზე მიწვეს გამოსვლა, სადაც დუეტები მიღებული არ არის და მარტო უნდა გამოვიდე. ასეთი შემთხვევა შესაძლოა, ნინოსაც ჰქონდეს და ისიც მარტო გამოვიდეს. 25-26 ოქტომბერს ჩავატარებ დიდ კონცერტს, სადაც მე და ნინო ჩვენი სიმღერის პრემიერით წარვდგებით მსმენელის წინაშე.

— ნინო თეატრალურში სწავლობს. თანახმა ხარ, რომ ის მსახიობი გამოვიდეს?

— მე მირჩევნია, რომ იმღეროს. ვფიქრობ, რომ სიმღერის დროს, სცენაზე ძალიან კარგად „იკითხება“. თეატრალურში ისწავლოს და მსახიობის ოსტატობასაც დაეუფლოს, ეს სიმღერის დროს ძალიან გამოადგება... ჩვენ უერთმანეთოდ არსად დავდივართ, ნინოს საქმე ჩემი საქმეც არის და — პირიქით.

— როგორ იწყება შენი და ნინოს დილა?

— ვიღვიძებ თუ არა, მაშინვე ვურეკავ, შეხვედრაზე ვთანხმდებით, შეხვედრის შემდეგ კი, მთელ დღეს ვგეგმავთ და თუ რაიმე საქმე გვაქვს, ყველგან ერთად მივდივართ. საღამოს თუ არანაირი „ტუსოვკა“ არ ტარდება, ან ნინოსთან მივდივარ, ან ის მოდის ჩემთან.

— დაოჯახების შემდეგ ალბათ, ცალკე იცხოვრებთ, ხომ?

— არ ვიცი, ეს საკითხი ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

— მაშინ ის მითხარი, კონკრეტულად როდის გეგმავთ შეუღლებას?

— ოქტომბერში კონცერტი რომ მექნება, იქ ყველასთვის ძალიან დიდ სიურპრიზს მოვაწყობ. სპეციალურად შევარჩიე ამ კონცერტისთვის ორი დღე...

— დაახლოებით მივხვდი, რა სიურპრიზიც იქნება.

— მაშინ არ თქვა.

— კარგი. ახლა ის მითხარი, ნინოს თაყვანისმცემლებზე რა აზრის ხარ? მის გამო ხომ არ გიჩხუბია ვინმესთან?

— არა, არავინ მიცემია. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყველა მშვენიერ ქალს უნდა უყურონ და თქვან — რა ლამაზიაო!.. ქართველი მამაკაცი ამას აუცილებლად გააკეთებს და მე ამის წინააღმდეგი არ ვარ, რადგან მეც მიმაჩნია, რომ ნინო ძალიან ლამაზია.

— ქართული ტრადიციული ქორწილი გექნებათ თუ შეუღლებას ვიწრო წრეში აღნიშნავთ?

— ჩვენი ქორწილი აუცილებლად ქართული ტრადიციული იქნება. მეგრელებმა როგორი პურმარილი და პატივისცემა იციან, შენც ხომ კარგად იცი!.. ჯვარსაც აუცილებლად დავიწერთ და ხელსაც მოვაწერთ — აბა, ისე რა ქორწილი იქნება?!. მიმაჩნია, რომ რელიგიურმა ადამიანებმა ჯვარი აუცილებლად უნდა დაიწერონ.

— რელიგიური კანონებით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ წყვილს ჯვრისწერამდე ინტიმური ურთიერთობა ეკრძალება. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— რაც შეეხება ინტიმურ ურთიერთობას — მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ახალგაზრდები ვართ, ჩვენ ალბათ, რელიგიის კანონებს დავიცავთ და დაქორწინებამდე ჩვენ შორის ფიზიკური ურთიერთობა არ იქნება.

■

ყაჩაღებმა ფიასახლისი ქმარ-შვილის თვალწინ დახვრიტეს

ბანდის წევრი მეცხრეკლასელი მოზარდი აღმოჩნდა

„მათ დანაშაულის ერთი ხელწერა ჰქონდათ. მსხვერპლს სასტიკად ექცეოდნენ. პირველ რიგში, მას ხელ-ფეხს უკრავდნენ, გაკოჭილს სცემდნენ, იარაღით ემუქრებოდნენ, მოკვლით აშინებდნენ და ოდნავ განძრევის საშუალებასაც არ აძლევდნენ. ამის შემდეგ, სახლში თავად ეძებდნენ ძვირად ღირებულ ნივთებსა და ფულს, რადგან უმეტეს შემთხვევაში, ოჯახის ქონებისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობდნენ. თუკი ვერაფერს მიაგნებდნენ, გაკოჭილ დაზარალებულს აიძულებდნენ, მიეთითებინა ოქრულობისა და ფულის სამალავზე. როცა მიზანს მიაღწევდნენ, აუცილებლად გამოაღებდნენ ხოლმე სურსათის კარადას, იქიდან რაიმე ალკოჰოლურ სასმელს იღებდნენ და სვამდნენ. ამის შემდეგ, იქიდან მიდიოდნენ, თუმცა, დაზარალებულს ისევ გაკოჭილსა და პირაკრულს ტოვებდნენ“, — ასე აღწერს გამომძიებელი იმ ბანდიტური დაჯგუფების წევრთა ქმედებებს, რომლებიც პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, თბილისში წლების მანძილზე დათარეშობდნენ და დედაქალაქის მოსახლეობას აწიოკებდნენ.

სამართალდამცველების თქმით, ბანდა კარგად ორგანიზებული იყო და მოქალაქეებს განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდა. კბილებამდე შეიარაღებული ნიღბიანი ბოროტმოქმედები, როგორც პროკურატურის თანამშრომლები აღნიშნავენ, დაზარალებულს სასტიკად უსწორდებოდნენ, თუკი ეს უკანასკნელი მათთვის წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებოდა. ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ჩამონათვალში, ყაჩაღურ თავდასხმებთან ერთად, გვხვდება განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით და მკვლელობის მცდელობაც. მსხვერპლთა შორის არის ერთი ქალიც. ბოროტმოქმედთა შორის კი — მეცხრეკლასელი მოზარდი...

გამოძიების მასალების თანახმად, ბანდა 2001 წელს ჩამოყალიბდა და თითქმის 3 წლის მანძილზე მოქმედებდა. პოლიციამ ჯგუფის 7 წევრი დაიკავა, თუმცა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ბანდის შემადგენლობა მხოლოდ ამ პირებით არ შემოიფარგლებოდა. მათი თქმით, დანაშაულებში სხვებიც მონაწილეობდნენ. მათი ვინაობა უკვე დადგენილია. ზოგი მათგანი ძებნილია, ზოგიც უკვე პასუხისგებაშია მიცემული.

უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე ბადრაგმა 7 განსასჯელი — მ. ვარდუაშვილი, ი. ბაქაქური, მ. ოქრუაშვილი, შ. და მ. აბრამოვები, მ. გაგნიძე და გ. კოშუაშვილი წარადგინა. მათ მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში 6 სხვადასხვა მუხლი და 11 დაზარალებული ფიგურირებდა.

წარდგენილ ბრალდებებში განსასჯელებმა — ვარდუაშვილმა, ბაქაქურმა, ოქრუაშვილმა — თავი ნაწილობრივ ცნეს დამნაშავედ, დანარჩენებმა კი განაცხადეს, რომ სრულიად უდანაშაულოები იყვნენ. პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნა 5 სხვადასხვა დანაშაულის ეპიზოდს მოიცავდა.

გამოძიების მასალების თანახმად, წარსულში ნასამართლევმა ვარდუაშვილმა ასევე ნასამართლევ ალოევთან და იმ დროისთვის განზრახ მკვლელობისთვის ძებნილ გაგნიძესთან ერთად, ბანდის შექმნა გადაწყვიტა. შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და მოქალაქეებზე ყაჩაღური თავდასხმებისთვის მოემზადნენ.

პირველი დანაშაული, რომელიც საბრალდებო დასკვნაშია ნახსენები, 2001 წლის ივნისის მიწურულს, თბილისში მოხდა. ბანდის წევრებმა იორდანიშვილების ოჯახის დაყაჩაღება განიზრახეს. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, იორდანიშვილის საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე ჯერ იარაღი გადაზიდეს, შემდეგ ერთმანეთში როლები გაინაწილეს, გაიკეთეს ნიღბები და ღამის 3 საათსა და 30 წუთზე სახლის სახურავიდან თოკით დაეშვნენ იორდანიშვილების ბინის ღია აივანზე. აღსანიშნავია, რომ კორპუსი რვასართულიანი იყო, დაზარალებული კი მეშვიდე სართულზე ცხოვრობდა. აივნიდან ბოროტმოქმედებმა საძინებელი ოთახის ფანჯარა ჩაამსხვრიეს და ისე შეაღწიეს ბინაში. ოთახში მძინარე ცოლ-ქმარს — ვ. იორდანიშვილსა და ლ. ბალანდინას დაადგნენ თავზე. *„სახლში დაახლოებით 40 წლის, მძინარე ქალი და მამაკაცი დაგვხვდა. ორივე გავაღვიძეთ და დანების მუქარით გავთოკეთ ისინი. ამის შემდეგ ბინა გავჩხრიკეთ“*, — აღნიშნა დაკითხვისას **ვარდუაშვილმა**. ბოროტმოქმედებმა გაკოჭილი ცოლ-ქმარი სასტუმრო ოთახში მოათავსეს. გეგმის მიხედვით, ერთ-ერთი მათგანი, დაზარალებულებთან სადარაჯოდ დარჩა, ორი კი, ფულისა და ძვირფასეულობის ძებნას შეუდგა. ჩხრეკის შედეგად, ძვირფასეულობასა და 500 დოლარს მიაგნეს. მაგრამ ბანდის წევრები აშკარად უკმაყოფილონი დარჩნენ და ცოლ-ქმრისადმი მუქარა და ძალადობა კიდევ უფრო გაამძაფრეს. მათი ინფორმაციით, სახლში გაცილებით მეტი ფული უნდა ყოფილიყო, ამიტომაც დაჟინებით სთხოვდნენ დაზარალებულებს, დაუყოვნებლივ გადაეცათ მათთვის სრული თანხა. ცოლ-ქმარი თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებდა. როცა დაინახეს, რომ მათი აგრესია სულ უფრო და უფრო მატულობდა, იძულებული გახდნენ, დამორჩილებოდნენ. მაშინ იორდანიშვილმა ბოროტმოქმედებს ჰოლში მდებარე ფეხსაცმლის კარადისკენ მიუთითა. აღმოჩნდა, რომ კარადაში რკინის სეიფი იყო ჩამონტაჟებული, სეიფში კი 3.000 დოლარი იდო. აშკარა იყო, რომ თავდამსხმელებს ამ სეიფის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, რადგან მისი აღმოჩენით ისინი საკმაოდ გაოცებული დარჩნენ. სახლში ყოფნის დროს, ბოროტმოქმედებმა სასმლის კარადიდან კონიაკი გამოიღეს და დალიეს. ბინიდან დაახლოებით დილის 5 საათისთვის წავიდნენ, ცოლ-ქმარი კი ისევ გაკოჭილი დატოვეს. დიასახლისმა, რომელიც მართალია, ხელფეხშეკრული იყო, მაგრამ ბოროტმოქმედთა წასვლის შემდეგ, ტელეფონამდე როგორღაც მიაღწია, ნათესავს დაურეკა და საშველად უხმო მას. რამდენიმე წუთში, ბინაში ცოლ-ქმრის ახლობლები მივიდნენ და გათოკილი დაზარალებულები გაათავისუფლეს. *„ბინიდან ფულთან და ძვირფასეულობასთან ერთად, გაზის პისტოლეტიც წავიღეთ. პისტოლეტი მეორე დღეს, მტკვარში გადავაგდე, დანარჩენი ქონება კი ერთმანეთში გავინაწილეთ“*, — წერს **ვარდუაშვილი** ბრალდებულის სახით დამატებითი დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში.

როგორც პროკურატურა აღნიშნავს, ბანდის წევრები არა მარტო ოჯახების დაყაჩაღებას, არამედ მოქალაქეებისთვის ავტომანქანების წართმევასაც ისახავდნენ მიზნად. უცხოური მარკის გატაცებული მანქანების რეალიზაციას ისინი ცხინვალის რეგიონში გეგმავდნენ. ამ განზრახვის განხორციელების გასაიოლებლად გადაწყვიტეს, გაგნიძის ერთ-ერთ ნაცნობს, გორში მცხოვრებ, წარსულში

ქურდობისთვის ნასამართლევ და ცხინვალში „საჭირო კონტაქტების“ მქონე გ. კოშუაშვილს დაჰკავშირებოდნენ და ბანდის სრულუფლებიან წევრად მიეღოთ იგი. კოშუაშვილს ისინი გორში შეხვდნენ. გაანდვეს მას, რომ კარგად შეკრული შეიარაღებული ჯგუფი ჰქონდათ ჩამოყალიბებული და გატაცებული ავტომანქანების ცხინვალში სარეალიზაციოდ დახმარება სთხოვეს. კოშუაშვილი მათ მაშინვე დათანხმდა.

კოშუაშვილის ჩვენებიდან:

„გაგნიძე 1994 წელს თბილისში, „ლაგუნა ვერეში“ ვარჯიშის დროს გავიცანი. 1998 წლიდან, საცხოვრებლად გადავედი გორში, მაგრამ გაგნიძესთან მეგობრობა არ შემიწყვეტია და პერიოდულად ვუკავშირდებოდით ერთმანეთს. 2002 წლის ზაფხულზე, ის მეგობრებთან ერთად — ჩემთვის უცნობ გაბოსთან (მისი ვინაობა დაუდგენელია. — ავტ.) *ვარდუაშვილთან და ალოევთან ერთად მესტუმრა. გაცნობა სახინკლეში აღვნიშნეთ. მაშინ შემომთავაზეს — მოპარული და გატაცებული მანქანების ცხინვალში რეალიზაციაში დაგვეხმარე და თითოეულ მანქანაში შენ 200 დოლარს მოგცემთო...“*



ამ შეთანხმების შემდეგ, ბანდის სამიზნედ, თბილისში მცხოვრები, ბაკურიძეების ოჯახი იქცა. იცოდნენ, რომ ოჯახის ერთ-ერთ წევრს „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა ჰყავდა. შეიარაღებული ბოროტმოქმედები საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის მიადგნენ საცხოვრებელ კორპუსს. ბინაში, ოჯახის წევრების გარდა, სტუმრებიც იმყოფებოდნენ. *„...კორპუსი ქუჩის კუთხეში, საბილიარდოს პირდაპირ იდგა. ვიცოდით, რომ ოჯახი მე-5 სართულზე ცხოვრობდა. პირადად მე, ნიღაბი არ მეკეთა, „მაკაროვით“ ვიყავი შეიარაღებული. გაგნიძე და ალოევი ნიღბებით იყვნენ. ალოევს უცხოური წარმოების იარაღი ეკავა, გაგნიძეს კი, „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი ჰქონდა... ბაკურიძეებს კარი მოტყუებით გავაღებინეთ. ვუთხარით, რომ მათი მეგობრის — კვარაცხელიასგან ვიყავით. სახლში ორი ძმა, ერთ-ერთის მეუღლე და მათი მეგობრები — ორი ახალგაზრდა მამაკაცი იყვნენ. ცოლ-ქმრის გარდა, ყველა გავთოკეთ და იარაღის მუქარით მათგან ოქროულობა წამოვიღეთ. ამის შემდეგ, ერთ-ერთ ძმას დავარეკვინეთ ავტოსადგომის დარაჯთან და ვათქმევინეთ, რომ მისი კუთვნილი „მერსედესი“ ჩვენთვის გაეტანებინა...“* — წერს **ვარდუაშვილი**.

კოშუაშვილის ჩვენებიდან:

„ელსმენით დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ჩემთან გატაცებული „მერსედესი“ მოჰყავდათ. მანქანა მოწითალო ფერის იყო. იმ ღამით ის ჩემს ავტოფარეხში გავაჩერე, მეორე დილით კი, ერგნეთის ბაზრობასთან შევხვდი ჩემს ნაცნობს — ალან ფუხაევს და მას მანქანა 2.000 დოლარად მივყიდე, თანხა ვარდუაშვილს გადავეცი, მან კი იმ ფულიდან 300 დოლარი მე მომცა...“

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკების თანახმად, მთელი ამ ხნის მანძილზე, ბანდის ორი წევრი — ალოევი და გამოძიებით დაუდგენელი პირი, ბაკურიძეების სახლში დარჩნენ. ვარდუაშვილმა და გაგნიძემ მათ გორიდან ტელეფონით დაურეკეს და გეგმის წარმატებით განხორციელების შესახებ შეატყობინეს. ბოროტმოქმედები მხოლოდ ამის შემდეგ წავიდნენ ბინიდან, მაგრამ ბაკურიძეები და მათი სტუმრები გათოკილები დატოვეს.

ამ წარმატებამ ბანდას მეტი სტიმული მისცა. იმავე თვეში მათ თბილისელი მოქალაქის, გ. გოგიშვილის დაყაჩაღების გეგმა შეიმუშავეს. დაადგინეს, რომ მას 15.000 დოლარად ღირებული „აუდი-ა6“ ჰყავდა. გოგიშვილს ბოროტმოქმედები საკუთარ ავტოფარეხთან ჩაუსაფრდნენ. დაახლოებით ღამის 1-ლი საათი იქნებოდა, როცა შინ დაბრუნებულმა გოგიშვილმა ავტოფარეხის კარი გააღო, მანქანა შიგნით გააჩერა, ძრავაც გამორთო და ის იყო, გადმოსვლა დააპირა, როცა 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი დაადგა თავზე. ორი მათგანი, ავტომანქანის უკანა სავარძელზე დაჯდა, მესამე — მძღოლთან მიიჭრა და რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა თავში იარაღი. დაუძლურებული და შოკში ჩავარდნილი დაზარალებული აიძულეს, გვერდით სავარძელზე დამჯდარიყო, თან აუკრძალეს მათკენ გახედვა და ხმის ამოღება. ამის შემდეგ, მანქანა მათ დიღმის მასივის მიმართულებით წაიყვანეს. დაზარალებული, დიღმის საავტომობილო გზის გასწვრივ განლაგებული საავადმყოფოების მიმდებარე ტერიტორიაზე, უკაცრიელ ადგილას გადასვეს. მასთან ერთად მანქანიდან გაგნიძე და ალოევი გადმოვიდნენ. ვარდუაშვილმა კი, გატაცებული მანქანა გორში, კოშუაშვილთან წაიყვანა. თანამზრახველებს ის პერიოდულად ტელეფონით უკავშირდებოდა. მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედებმა გეგმა განხორციელებულად ჩათვალეს და მანქანა თავისად დაიგულეს, დაზარალებული გაათავისუფლეს, მაგრამ მანამდე მას ფული და პირადი ნივთები წაართვეს.

შემდეგი ოჯახი, რომელიც ბანდამ დააზარალა, გორში მცხოვრები, აკოფაშვილები აღმოჩნდნენ. როგორც სამართალდამცველები აღნიშნავენ, ბანდის წევრებს აკოფაშვილების დაყაჩაღება კოშუაშვილმა შესთავაზა, რადგან ამ ოჯახის მეზობლად ცხოვრობდა და სათანადო ინფორმაციით მათ უზრუნველყოფასაც შეძლებდა.

წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ბოროტმოქმედებმა თბილისიდან გორში გადაზიდეს ყაჩაღური თავდასხმისთვის საჭირო ცეცხლსასროლი იარაღი. ამის შემდეგ, მანქანა მათ აკოფაშვილების სახლის შორიახლოს, კერძოდ, კოშუაშვილის კუთვნილი ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე გააჩერეს და თავდასხმისთვის ხელსაყრელ მომენტს დაელოდნენ.

ბანდის წევრებმა წინასწარ იცოდნენ, რომ აკოფაშვილი გერმანიიდან ჩამოყვანილი ავტომანქანებით ვაჭრობდა და გარდა ამისა, რამდენიმე სასურსათო მაღაზიაც ჰქონდა. იცოდნენ იმის თაობაზეც, რომ ოჯახში „ვინჩესტერის“ სისტემის სანადირო თოფი ინახებოდა. დიასახლისს ბანდის წევრებმა მოტყუებით გააღებინეს კარი. უთხრეს, თითქოს გერმანიიდან სარეალიზაციოდ ჩამოყვანილი მანქა-

ნის დათვალიერება სურდათ და ამ გზით შეაღწიეს ბინაში. სახლში, დიასახლისის გარდა, მისი ქმარი, მათი 16 წლის ვაჟი და ორი მეზობელი ქალი იმყოფებოდნენ.

ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ალოევი, გაგნიძე და ვარდუაშვილი ბინაში შეღწევისთანავე შეუდგნენ განზრახვის განხორციელებას. მოკვლის მუქარით იძულებული გახადეს ოჯახის წევრები, მათთვის უკლებლივ გადაეცათ ფული და ძვირფასეულობა. ამის შემდეგ, აკოფაშვილს ავტოფარეხისა და იქ დაყენებული „ბე-ემ-ვეს“ მარკის ავტომანქანის გასაღების გადაცემა უბრძანეს. ერთი ბოროტმოქმედი ბინაში დარჩა, დანარჩენები კი ავტოფარეხისკენ გაემართნენ. მაგრამ ბანდიტებმა ავტოფარეხის კარის გაღება ვერ მოახერხეს. ამიტომ იძულებული გახდნენ, ამისთვის 16 წლის ლ. აკოფაშვილი ჩაეყვანათ ეზოში. ბოროტმოქმედებმა ავტომანქანა გაიტაცეს და გაყიდეს კიდეც. მაგრამ ამ დანაშაულს მათთვის არასასიამოვნო ფაქტი მაინც მოჰყვა შედეგად. ცოტა ხანში პოლიციამ გაგნიძე აიყვანა.

გაგნიძის დაპატიმრების შემდეგ, ბოროტმოქმედებმა ბანდის შევსება გადაწყვიტეს. არჩევანი ვარდუაშვილის დეიდის თანასოფლელზე — დუშეთის რაიონის სოფელ ოძისის მკვიდრ ი. ბაქაქურზე შეაჩერეს. ბანდაში მალე ბაქაქურის ახლობელი, წარმოშობით იმავე სოფლის მკვიდრი, იმ პერიოდში თბილისში მცხოვრები მ. ოქრუაშვილი და ვარდუაშვილის მეზობელი — შ. აბრამოვიც გააწევრეს. მალე მორიგ დანაშაულზეც დაიწყეს ზრუნვა.

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, ვარდუაშვილს დიდი ხანია, შეთვალიერებული ჰყავდა მეზობლად მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახი. სისტემატურად ხედავდა, რომ მამა-შვილი დარჩიაშვილები შინ უცხოური მარკის ავტომანქანებით — ერთი „ბე-ემ-ვეთი“, მეორე კი „მერსედესით“ ბრუნდებოდა. აქედან გამომდინარე ივარაუდა, რომ მათ შინ დიდი ოდენობით ფულიც უნდა ჰქონოდათ. ეს ვარაუდი ვარდუაშვილმა ბანდის სხვა წევრებსაც გაანდო. მაგრამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მათ უფრო დეტალური ინფორმაცია სჭირდებოდათ. უნდა დაეზუსტებინათ, თუ რა დროს გადიოდნენ ოჯახის წევრები სახლიდან, რა დროს ბრუნდებოდნენ შინ. ვინაიდან ამას სისტემატური თვალთვალი სჭირდებოდა, გადაწყვიტეს, ნაკლებად თვალში საცემი პიროვნება შეერჩიათ. არჩევანი შ. აბრამოვის არასრულწლოვან ძმაზე — მეცხრეკლასელ მ. აბრამოვზე შეაჩერეს. მას დაწვრილებით აუხსნეს საქმის ვითარება და ბანდის წევრობაც შესთავაზეს. როგორც ჩანს, ამ წინადადებით მოზარდი აშკარად მოიხიბლა და მაშინვე დათანხმდა მათ დახმარებაზე. მ. აბრამოვი აქტიურად ჩაერთო ბანდის საქმიანობაში. ოჯახის წევრების სახლიდან გასვლისა და დაბრუნების ზუსტი დროის გარკვევის გარდა, შეეცადა, მათი ავტომანქანების გამოშვების თარიღები და ღირებულებაც დაედგინა. მთელი 10 დღის მანძილზე, იგი სისტემატურად აკვირდებოდა დარჩიაშვილების ოჯახის წევრებს. როგორც მოგვიანებით დაზარალებულებმა აღნიშნეს, ეს მათ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, თუმცა, ამით მათ მოსალოდნელი საფრთხე და უბედურება მაინც ვერ აიცილეს თავიდან. შეიარაღებული ბოროტმოქმედები მათთვის ხელსაყრელ დროს ჩასაფრდნენ დარჩიაშვილების ბინის კართან. დილის 9 საათსა და 40 წუთზე, ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა სახლიდან გასვლა დააპირა და სადარბაზოში გასასვლელი კარი გააღო. ამ მომენტით ისარგებლეს თავდამსხმელებმა. სახეზე ნიღბებაფარებული ალოევი, ვარდუაშვილი, ბაქაქური, ოქრუაშვილი და შ. აბრამოვი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით შეიარაღებულები შეიჭრნენ ბინაში. სახლში ცოლ-ქმარი, მათი ვაჟი, რძალი და მცირეწლოვანი შვილიშვილი იმყოფებოდნენ.

ჰოლში თავდამსხმელებმა ზ. დარჩიაშვილს ცემა დაუწყეს. ხმაურზე გვერდით ოთახიდან მამამისი, გ. დარჩიაშვილი გამოვიდა. ბოროტმოქმედებმა მისკენ გადაინაცვლეს, ჩხუბისას დანა გამოიყენეს და. გ. დარჩიაშვილს სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. ამასობაში, ბანდის ორი წევრი ზ. დარჩიაშვილს აკავებდა და არ აძლევდა მას, მოსაკლავად განწირული მამისთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობას. რაღაც მომენტში, ზ. დარჩიაშვილმა თავი დააღწია თავდამსხმელებს და თაროდან გაზის პისტოლეტის აღება მოახერხა. მაშინვე ისროლა იმ ბოროტმოქმედთა მიმართულებით, რომლებიც მამამისს დანით აყენებდნენ ჭრილობებს. სწორედ მაშინ დაიჭრნენ ბაქაქური და ალოევი. ბოროტმოქმედნი ამ ფაქტმა არ დააფრთხო. ისინი მაშინვე ეძგერნენ ზ. დარჩიაშვილს, წააქციეს იგი და დანით დაუწყეს ჭრილობების მიყენება. დარჩიაშვილი ცდილობდა, მოეგერიებინა ისინი და სწორედ ამ ხელჩართულ ბრძოლაში, როგორც დაზარალებულის ჩვენებაშია აღნიშნული, ერთ-ერთ თავდამსხმელს — შ. აბრამოვს სახიდან ნიღაბი მოსძვრა.

ხმაურზე დიასახლისს — ზ. დარჩიაშვილის დედას გაეღვიძა. იგი მაშინვე გაემართა ჰოლისკენ და როცა დაინახა, თუ რა ხდებოდა იქ, თხოვნით მიმართა ბოროტმოქმედებს — ოღონდაც ძალადობა შეეწყვიტათ, ყველაფერს გაატანდა, რასაც მოისურვებდნენ. იგივე გაუმეორა თავდამსხმელებს ზ. დარჩიაშვილმაც. მაგრამ ძალადობაზე ხელის აღების ნაცვლად, ამას საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა. „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატმომარჯვებულმა ალოევმა ჯერ დაიყვირა — მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო! — შემდეგ კი, ოჯახის წევრთა მიმართულებით ცეცხლი გახსნა. იგი უწყვეტი ჯერით, ავტომატურ რეჟიმში ისროდა. ტყვიები, როგორც ზ. დარჩიაშვილს, ასევე დედამისს — ა. შალამბერიძესაც მოხვდა. ქალი სასიკვდილოდ დაიჭრა და მაშინვე უსულოდ დაეცა იატაკზე. ზ. დარჩიაშვილი შედარებით მსუბუქად დაჭრილი აღმოჩნდა. ის, ისევე, როგორც მამამისი, ალოევს მივარდა და მისთვის იარაღის წართმევას შეეცადა. ავტომატის ცხელ ლულაზე შეხებით, მამა-შვილმა ხელის მტევნის დამწვრობაც მიიღეს.

ბოროტმოქმედებმა ვეღარ შეძლეს დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობის დაძლევა და იმის გამო, რომ ბანდის ორი წევრი დაჭრილი იყო, გადაწყვიტეს, იქაურობა დაეტოვებინათ. ჯერ ვარდუაშვილის, ხოლო შემდეგ, აბრამოვების ბინას შეაფარეს თავი. მომხდარის შესახებ პოლიციამაც შეიტყო. რამდენიმე წუთში, კორპუსის წინ პოლიციისა და „სასწრაფო დახმარების“ მანქანებმა მოიყარა თავი. შეიკრიბნენ მოქალაქეებიც. ბოროტმოქმედნი მთელი 3 საათის განმავლობაში იმალებოდნენ ბინაში იმ იმედით, რომ ამ მოკლე ხანში პოლიცია ვერ მოახერხებდა თავდამსხმელთა ვინაობის დადგენას და მათ იქაურობის დატოვებისა და სხვაგან გადაადგილების შესაძლებლობა მიეცემოდათ. მაგრამ ასე არ მოხდა. პოლიციამ ყველა მათგანი დააკავა.

იმის მიუხედავად, რომ განსასჯელები მხოლოდ ნაწილობრივ ცნობდნენ თავს დამნაშავედ, ზოგი კი საერთოდ უარყოფდა საკუთარ ბრალეულობას, სასამართლომ ისინი უკლებლივ ყველა ბრალდებაში ცნო დამნაშავედ. ვარდუაშვილს 20 წლით, ბაქაქურს 18 წლით, ოქრუაშვილს 18 წლით, შ. აბრამოვს 18 წლით, გაგნიძეს 18 წლით, კოშუაშვილს 15 წლით, არასრულწლოვან მ. აბრამოვს კი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გარდა ამისა, სასამართლომ დაზარალებულების — დარჩიაშვილების სამოქალაქო სარჩელიც დაკმაყოფილა და მსჯავრდებულებს, მათთვის ფიზიკური ზიანის 10.000 ლარით, ხოლო მორალური ზიანის — 30.000 ლარით ანაზღაურება დააკისრა.

■

ნარკორეალიზაციაში ეჭვმიტანილი, ქალი აღმოჩნდა

ქვემო ქართლის რეგიონის სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფონიჭალაში სპეცოპერაცია ჩაატარეს და ეჭვმიტანილი ქალი — ალილა ახმედოვა დააკავეს. სამართალდამცველები ახმედოვას ნარკორეალიზაციაში ადანაშაულებენ. მათივე ინფორმაციით, ეჭვმიტანილმა გაქცევა სცადა. ჩხრეკისას კი, მას დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოაჩნდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სპეცოპერაცია 26 სექტემბერს, საღამოს ჩატარდა, ნარკოტიკები კი პოლიციამ ახმედოვას სახლში იპოვა. სამართალდამცველები, ფონიჭალაში სხვა ნარკორეალიზატორების არსებობასაც არ გამორიცხავენ. კანონის თანახმად, ეს სამართალდარღვევა 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, სასჯელის მაქსიმუმი კი, სამუდამო პატიმრობა გახლავთ. ■

ხობის რაიონის მკვიდრი შინ 10 ტომარა ჰაშიშს ინახავდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების ოჯახში 10 ტომარა დაფასოებული მარიხუანა — ე.წ. ჰაშიში აღმოაჩინეს. იქ პოლიციელები ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მივიდნენ და ჩხრეკა ჩაატარეს. ტომრებში ჩაწყობილი ტოტების გარდა, მზეზე გასახმობად ნედლი და გამხმარი ტოტებიც იყო გაფენილი. დაკავებული — ზარანდია, როგორც სამართალდამცველები ვარაუდობენ, მარიხუანის რეალიზაციას აპირებდა.

ზარანდია ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს მკვიდრია. იგი დანაშაულს ჯერჯერობით, არ აღიარებს და ირწმუნება, რომ წარმოდგენა არა აქვს, თუ საიდან აღმოჩნდა მის სახლში ამდენი ნარკოტიკული საშუალება. სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ მოყვანა-რეალიზაციის მუხლითაა აღძრული. იმ შემთხვევაში, თუკი ზარანდიას ბრალი დაუდასტურდება, შესაძლოა, მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ, რადგან როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ნარკოტიკული ნივთიერება განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს. ■

ყაჩაღები მოლარისთვის 30.000 დოლარის წართმევას აპირებდნენ

26 სექტემბერს, ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე პოლიციამ ყაჩაღობის მცდელობისას დააკავა გოჩა ძანძავა. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, იგი თხილის გადამამუშავებელ საამქროზე თავდასხმას აპირებდა. მათივე ინფორმაციით, ძანძავა სამ თანამზრახველთან ერთად იმყოფებოდა, მაგრამ მათ პოლიციელთა ხელიდან დასხლტომა და მიმალვა მოახერხეს. რაც შეეხება ძანძავას, სამართლადამცველებმა ის შემთხვევის ადგილზე დააკავეს. დანარჩენი ორი ბოროტმოქმედის ვინაობა, როგორც ამბობენ, უკვე დადგენილია და ამჟამად, მათი ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, ოპერატიული ღონისძიებები ტარდება. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ძანძავა, რომელიც ყაჩაღური დაჯგუფების ხელმძღვანელია, მსგავს თავდასხმებს ზუგდიდის რაიონის სოფლებშიც ახორციელებდა. ამჯერად კი, მათი თქმით, ეჭვმიტანილს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იმ დღეს საამქროს მოლარესთან, თხილის რეალიზაციისგან მიღებული თანხა — დაახლოებით 30 ათასი დოლარი ინახებოდა. ■

„სტრასბურგის სასამართლოში შეტანილმა სარჩელმა აქტუალობა დაკარგა“, — აცხადებენ მოლაშვილის ადვოკატები

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის — სულხან მოლაშვილის საქმეს სტრასბურგის სასამართლო განიხილავს. მოლაშვილის ადვოკატის, შალვა შავგულიძის თქმით, სტრასბურგის სასამართლოში შეტანილმა სარჩელმა აქტუალობა მას შემდეგ დაკარგა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მოლაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. „არ არის გამორიცხული, სტრასბურგის სასამართლომ ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნა, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ჯერჯერობით, ძალაში არ არის შესული“, — აცხადებს შავგულიძე.

სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი, დაკავებულის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით შეიტანეს. ადვოკატების განმარტებით, მოლაშვილის დაპატიმრებისას კანონის ნორმები იქნა დარღვეული და აღკვეთის ღონისძიებაც მას არაგანსჯადმა სასამართლომ შეუფარდა. ადვოკატების თქმით, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი ხელისუფლების ზეწოლით გამოიტანა. „თანაც — საქმე დაჩქარებული ტემპით განიხილეს, რათა მანამდე, სტრასბურგის სასამართლოს არ მოესწრო და მისი ძალით არ მომხდარიყო მოლაშვილის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება“, — აცადებენ ადვოკატები.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოსა და იურიდიული პირებისთვის 3 მილიონი ლარის ოდენობით ზარალის მიყენებაში ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ადვოკატები აღნიშნული განაჩენის, საოლქო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ. ■



სასკოლო მოგონებები

ქეიფი სასაფლაოზე ანუ ბექჰემს ცოლად არ გავყვები

კარგად მახსოვს, როცა სკოლაში დავდიოდი, მაშინ სწავლა 19 ან 26 სექტემბერს კი არა, პირველში იწყებოდა და საყოველთაო ზეიმიც იმართებოდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მაშინ ფორმის გარეშე სკოლის ზღურბლსაც ვერ გადააბიჯებდი, ვერც მოკლეკაბიან მასწავლებელს შეხვდებოდი დერეფანში და ვერც იმას ეტყოდი — მასწ, თქვენ რა მაგარი „სექსი“ ხართო!.. არა, არც იმას უარვყოფ, რომ სასკოლო რეფორმას თავისი დადებითი მხარეც აქვს. ახლა ყველა მოსწავლეს შეუძლია, ე.წ. „ბარხატნი“ სეზონზე, ზღვაზე დაისვენოს, გაირუჯოს და სკოლაში დაბრუნებულმა, მინიკაბაში გამოწყობილმა ახალ-ახალი თაყვანისმცემლები თამამად შეაბას. მასწავლებელთან მეგობრულ-ძმაკაცური ურთიერთობა კი წლის ბოლოს, მაღალი ნიშნის გარანტიაა...

დღევანდელ „გზავნილებში“ უფრო მოკლე მესიჯები ჭარბობს, მაგრამ მკითხველები ძალზე საინტერესო ამბებს გვიყვებიან.

მარი ხაფარიძე

ასტრონომიის გაკვეთილებზე პედაგოგები ხშირად უამბობენ ბავშვებს იმის შესახებ, რომ ოდესღაც დედამიწა კომეტას შეეჯახება და საშინელი კატასტროფა მოხდება. ამ შემთხვევის ზუსტ თარიღს ვერც პედაგოგები, ვერც მეცნიერები და თვით „გამოჩენილი“ მკითხავებიც ვერ ასახელებენ. მაგრამ მოსალოდნელი უბედურების შიში წლების მანძილზე მიგვყვება ხოლმე. თუმცა, შესაძლოა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, რომ უნებლიეთ გავიფიქრებთ — ნეტავ, სწორედ ახლა დადგებოდეს ის წამიო!.. „სასკოლო მოგონებებს“ პედაგოგის ნაამბობით დავიწყებ.

კარგად შენახული საიდუმლო

„გონში ჩავვარდი თუ არა, იმის შემდეგ, პედაგოგობაზე ვოცნებობდი. ჯერ თოჯინებს ვუტარებდი გაკვეთილებს, შემდეგ — მეზობლის ბავშვებს... შემდეგ, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე და ქართულის მასწავლებელი გამოვედი. მუშაობა უნივერსიტეტის დამთავრებისთანვე დავიწყე. პირველი გაკვეთილი მეათეკლასელებს ჩავუტარე. უზომოდ ვღელავდი. იმ დღისთვის მთელი ორი კვირა ვემზადებოდი. ვმეცადინეობდი და ვფიქრობდი, რომ გაკვეთილი სწორედ იმ გეგმის მიხედვით წარიმართებოდა, რომელიც წინასწარ დავსახე. როდესაც მოსწავლეების პირისპირ მარტო დავრჩი, დავიბენი. როგორც იქნა, სიის ამოკითხვა მოვახერხე, მაგრამ დაბნეულობისგან იცით, რა გავაკეთე? რომელი ბავშვიც ამბობდა — ვარო, — იმის გვარის გასწვრივ საკლასო ჟურნალში პლუსი ჩავწერე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი. დავიწყე გაკვეთილის გამოკითხვა. თითქოს მეუხერხულებოდა, ჩემი კბილა გოგო-ბიჭებთან მასწავლებლის როლში ყოფნა. მაშინ 21 წლის ვიყავი, ისინი — 15-16 წლის. ინტერესით მაკვირდებოდნენ, ბიჭები რეპლიკებს მესროდნენ, გოგონები ირონიულად იღიმებოდნენ... გადავედი გაკვეთილის ახსნაზე. დაფისკენ შევბრუნდი, ცარცი ავიღე და ის იყო, თემის სათაურის დაწერა დავიწყე, რომ დაბნეულობისა და ნერვიულობისგან ცარცი გამივარდა. სასწრაფოდ დავიხარე ასაღებად და... ფხრიიიწ! — „დაიძახა“ ჩემმა შარვალმა. ქვეშ წითელი საცვალი მეცვა და ეს ყველამ კარგად დაინახა. უცებ დავჯექი სკამზე, მაგრამ ბავშვები უკვე ისე ხარხარებდნენ, რომ მათი დამშვიდება შეუძლებელი იყო. უხერხულობისგან ტირილი დავიწყე. რატომ მიწა არ გასკდება და თან არ ჩამიტანს-მეთქი?! — ვფიქრობდი და ხმამაღლა ვზლუქუნებდი. მოსწავლეებს შევეცოდე. დამამშვიდეს, დამპირდნენ, — ამ ამბავს ჩვენ გარდა, ვერავინ გაიგებსო. მაგრამ მეორე დღეს, მთელმა სკოლამ იცოდა... დღემდე ამ სკოლაში ვმუშაობ. ამ ამბავზე კი, უკვე ბავშვებთან ერთად ვხალისობ ხოლმე. პატივისცემით, ნანა მასწავლებელი“.

ახლა, როცა კოსმოსური თანამგზავრის საშუალებით დედამიწაზე დამნაშავის დაჭერა და ლამის ასდოლარიან კუპიურაზე ფრანკლინის პორტრეტის დეტალურად დათვალიერებაც კი შესაძლებელია, თანამედროვე კოლუმბებსა და კუკებს ახალი მიწების აღმოჩენის ნაკლები შანსი აქვთ. მარსი ძალზე შორსაა, მარიამის ღრმული — ძალზე ღრმად. სწორედ ამიტომ, სპელეოლოგია (მეცნიერება გამოქვაბულების შესახებ) გაცილებით ხელმისაწვდომი დარგია...

მეცნიერული კვლევა მსხვერპლს მოითხოვს

„სკოლა წელს დავამთავრე. ბანკეტისა და ბოლო ზარის შემდეგ ექსკურსია გვქონდა დაგეგმილი. ვერა და ვერ გადავწყვიტეთ, სად წავსულიყავით. ბოლოს, რაჭა ავირჩიეთ. ულამაზესი ადგილები მოვიარეთ, ღამე კი ტყეში უნდა გაგვეთია. სადაც დავბანაკდით, იმ ადგილიდან კარგად ჩანდა მთის კალთაზე მდებარე რაღაც გამოქვაბული. უკვე ბინდდებოდა, ამიტომ მე და ჩემმა მეგობარმა იმ ადგილის მონახულება მეორე დღისთვის გადავდეთ. მთელი ღამე კოცონთან გავათენეთ. ოდნავ ინათა თუ არა, მე და ჩემი ძმაკაცი გავიპარეთ. მთელი 5 საათი მოვუნდით გამოქვაბულამდე მისვლას. მობილური ტელეფონი არ იჭერდა, ამიტომ ვერ მოვახერხეთ, დანარჩენებისთვის ჩვენი ადგილსამყოფელი შეგვეტყობინებინა. შევედით გამოქვაბულში. ძალზე ბნელოდა. წელში მოხრილებმა განვაგრძეთ გზა, რადგან დაბალი ჭერი ჰქონდა. მობილური ტელეფონით ვანათებდით და გზას ისე მივიკვლევდით. კედლებზე თითქოს თაროები იყო გაკეთებული. აქა-იქ თიხის ჭურჭლის ნამსხვრევებს წავაწყდით. ამან ინტერესი უფრო გაგვიმძაფრა და წინ მივიწევდით. უეცრად, ორივე ღრმა ორმოში ჩავცვივდით. შიშისგან სული შეგვეხუთა. ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ვერ ამოვდიოდით. მაჯიდან საათი მოვიხსენი, უკუნ სიბნელეში ლითონის სამაჯურით ორმოს კედლებზე საფეხურების გაკეთება დავიწყე. ჩემს მეგობარს ფეხი ეღრძო და სიმწრისგან ღმუოდა... ბევრი წვალების შემდეგ, ძლივს ამოვძვერით ორმოდან. ტელეფონების ელემენტებიც დაჯდა. სიბნელეში ძლივს მივიკვლევდით გზას. როგორც იქნა, გამოსასვლელი მოვძებნეთ, მაგრამ გარეთ უკვე უკუნი სიბნელე იდგა. მანუჩარსაც სიარული აღარ

შეეძლო. ის ღამე იქვე გავათენეთ. სიცივისა და ნერვიულობისგან ღამის მოვკვდით. ისე მალე გათენდა, რომ მივხვდით, მთელი დღე და თითქმის მთელი ღამე გაგვიტარებია გამოქვაბულში. როცა წარმოვიდგინე, რა დღეში იქნებოდნენ ჩვენი მეგობრები და მასწავლებლები, ტანზე დამბურძგლა. როგორც იქნა, გათენდა და მე და მანუჩარმა გზა განვაგრძეთ. იმ ადგილს ველარ მივაგენით, სადაც მეგობრები დავტოვეთ. ერთ-ერთ სოფელს მივადექით. შემდეგ ონში წავედით და თბილისის გზასაც დავადექით. მანამდე კი ტელეფონით დავუკავშირდით მასწავლებელს და დავამშვიდეთ. აი, ასე დავამთავრე სკოლა და ეს ჩემი უკანასკნელი სასკოლო თავგადასავალი გახლდათ“.

ცუდი მაგალითი

„თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში ვსწავლობდი. ქართულის მასწავლებელი, მამაკაცი გვყავდა. ის სასწავლო ნაწილის გამგეც გახლდათ, ცალკე კაბინეტი ჰქონდა და როცა ჩვენთვის საყვედურის თქმა სჭირდებოდა, იქ გვიბარებდა ხოლმე. სანდრო მასწავლებელი ძალზე მკაცრი და შეუბრალებელი იყო. გარეგნობით კი, ნებისმიერ კინოვარსკვლავს დაჯაბნიდა. მთელი სკოლის გოგონები შეყვარებული ვიყავით მასზე. ვეპრანჭებოდით, ყველანაირად ვცდილობდით, მისი ყურადღება მიგვეპყრო. ვიცოდით, რომ ძალზე კარგი გარეგნობის ცოლი ჰყავდა და სილამაზით მის დაჯაბნაში ერთმანეთს ვეცილებოდით. ერთ დღეს, სკოლაში დიდი აურზაური ატყდა. სანდრო მასწავლებლის კაბინეტის კარზე აბრახუნებდნენ. ელენე მასწავლებელი კი გამწარებული ამბობდა: — მაგათ ვუჩვენებ სეირს, ახლა ვნახოთ, რას იზამენ, თუ არ გააღებენ, აუცილებლად კარს შევამტვრევო!.. ამასობაში, რამდენიმე კაცი კარის გაღებას ცდილობდა. შემდეგ თქვეს — ელენე მასწავლებლის რძალი და სანდრო კაბინეტში არიან ჩაკეტილი, ელენემ მიუსწრო და ახლა კარს არ უღებენო... ელენეს რძალიც ჩვენს სკოლაში მუშაობდა. თურმე, დედამთილი დიდი ხანია ეჭვობდა, რომ მათ რომანი ჰქონდათ, ახლა კი ფაქტზე დაიჭირა... მართლაც, კარი შეამტვრიეს, იქ კი სანდრო და ელენეს რძალი ისხდნენ და შიშჩამდგარი თვალებით იყურებოდნენ... სანდრო სკოლიდან წავიდა. ერთ კვირაში კი, ოჯახი მიატოვა და საყვარელზე დაქორწინდა. გოგონებს ძალზე დაგვწყდა გული, რომ სანდრო მასწავლებელმა დაგვტოვა. ეს მოგონება კი ყველაზე მძაფრად შემორჩა ჩემს მეხსიერებას“.

ჩაშლილი შატალო

„გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ მოსაყოლი არაფერი მქონდა, რომ მესიჯი გამომეგზავნა. ახლა კი მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელზეც დღეს გულიანად მეცინება, მაგრამ მაშინ თვალების ამოღამებამდე ვიტირე. ქალაქში ერთ-ერთ მოწინავე სკოლაში ვსწავლობდი. დირექტორიც და მასწავლებლებიც ძალზე მკაცრად გვექცეოდნენ. შატალოზე წასვლას ვინ გაბედავდა?! რას აღარ ვჩალიჩობდით ხოლმე, მაგრამ იშვიათად გვიმართლებდა. ხშირად, შუა გზიდან გვაბრუნებდნენ გაკვეთილზე. ერთ-ერთი ასეთი მცდელობის შესახებ მინდა გიამბოთ. შესვენების დროს, ღვეზლის საყიდლად სკოლის გარეთ მივდიოდით, ოღონდ — ჩანთების გარეშე, ისე არ გვიშვებდნენ. გადავწყვიტეთ, გოგონებს ჩანთები ეზოში ბიჭებისთვის გადაგვეყარა. ჩემი ჯერი რომ დადგა, ბიჭებმა ხელებით რაღაც მანიშნეს, მაგრამ მე მთელი ხმით დავიყვირე და ჩანთა გადავაგდე. თურმე, ჩვენ ქვემოთ, დირექტორი ატარებდა გაკვეთილს და იმ დროს ფანჯრიდან მიყურებდა, თავი რომ არ გაეწია, ჩემი ჩანთა არ ასცდებოდა. თქვენს მტერს, მე ისეთი დღე დამადგა! ახსნა-განმარტების გარეშე მომთხოვა სკოლიდან წასვლა. ეს ჩემთვის მეხის გავარდნასავით იყო. იმწუთას სიკვდილი მინდოდა. როგორ გინდა, დედას მოუყვე ამის შესახებ?!. ბევრი ვიტირე. მთელი სკოლა ფეხზე დავაყენე, ვინ აღარ სთხოვა დირექტორს, ეპატიებინა ჩემთვის... საბედნიეროდ, გადავრჩი. მას შემდეგ, შატალოზე წასვლა აღარც მიფიქრია. უკვე 3 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ არ მავიწყდება. ბევრმა ისიც მითხრა — ნეტავ, ის შენი ჩანთა თავში მოხვედროდაო!.. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, რა მეშველებოდა? ველარ გადავრჩებოდი ნამდვილად.“

როგორც დასაწყისში გამცნეთ, ამჯერად, შედარებით მოკლე მესიჯები ჭარბობს, სამაგიეროდ, უამრავ სახალისო ამბავს შევიტყობთ. ხომ იცით — „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“. ჩვენმა მკითხველებმაც გამოიჩინეს ნიჭიერება და ლაკონიურად გადმოგვცემენ მათ თავს გადახდენილ საინტერესო შემთხვევებს.

„მას შემდეგ, ბედისწერად მექცა სახელი „კახა“...“

„ერთხელ სკოლიდან გამოპარვა მოვინდომე და კარისკაცს ვაბამდი, რომ გამოვეშვი. რა არ ვუთხარი, „პერაშკის“ ფულიც კი მივეცი, მაგრამ არც ამან გაჭრა. ბოლოს, შევაშინე: ვუთხარი, რომ თუ არ გამიშვებდა, უბედურებას ავუტეხდი საკუთარ თავს. თავიდან, მართლა ვიხუმრე, მაგრამ მერე და მერე, თამაშს აყოლილმა, მეორე სართულიდან ვისკუპე და სკოლის ეზოში მოვადინე ბრაგვანი. ისე შეზანზარდა ყველაფერი, რომ სკოლაში გაკვეთილები შეწყდა და ყველამ გარეთ გამოიხედა. გაქცევა ვცადე, მაგრამ ტკივილებისგან იქვე ჩავიკეცე... მთელი თვე საწოლზე ვიყავი მიჯაჭვული. ფეხი მოვიტეხე, ზოგიერთი ადგილი ვიღრძე და ბევრი ცრემლიც ვღვარე... გამწარებული დედაჩემი ეკლესიაში დადიოდა და ჩემთვის ლოცულობდა. როგორც იქნა, მოვრჩი... ეს 2 წელია, ერთი გოგო ამოვიჩემე და რას არ ვაკეთებ, რომ ყურადღება მომაქციოს. არ ვიცი, ეს საქმე როგორ დამთავრდება, მაგრამ ვეცდები, ვენები არ გადავიჭრა, თავი არ ჩამოვიხრჩო, წყალშიც ფრთხილად ვიქნები... გაზის დედაც!.. და რაც მთავარია, ფანჯარას საერთოდ არ გავეკარები. პავლიკა“.

„როგორც ყოველთვის, ალბათ, არც ამ მესიჯს გამომიქვეყნებ. მარი, არ გამაბრაზო, თორემ სვანი ვარ და ხომ იცი!.. მინდა, ჩემს სასკოლო მოგონებაზე მოგიყვეთ, რომლის გახსენებაზეც მუდამ მეტირება. ჩემი კლასელი მიყვარდა ძალიან. ერთ დღეს სწორედ ამ ბიჭმა სიყვარული ამიხსნა და უარი მხოლოდ იმიტომ ვუთხარი, რომ საშინელი მექალთანეა. არც მაშინ და არც ახლა მისი არ მჯერა, თუმცა ისევ ძველებურად და ისევ უიმედოდ მიყვარს. ხვალ რომ ისევ სიყვარული ამიხსნას, მაინც იმავეს ვუპასუხებ. ჩემი უბედურება ისაა, რომ არავის ვენდობი, მაგრამ აბა, როგორ დავიჯერო ისეთი „ავადმყოფის“, რომელიც ყველა კაბიანს აბამს. არადა, იცით, როგორი ლამაზია და რა მაგარი თვალები აქვს?!. სულ მინდა, რომ დავუკოცნო, მაგრამ... იდიოტია, რა! ყველა ვარიანტში უნდა დავივიწყო, მაგრამ როგორ? მარი, არ „გადამაგდო“, გეხვეწები! „დამწვარი“ სვანი“.

„სასკოლო მოგონებებში მეგობრები ამომიტივტივდნენ. „სასტავი“ ვიყავით და გვეგონა, ვერავინ დაგვაშორებდა ერთმანეთს. მე ორ გოგოს დავუახლოვდი ზაფხულში და რა თქმა უნდა, ჩემს „სასტავსაც“ გავაცანი. დროთა განმავლობაში ვიგრძენი, რომ ჩვენი მეგობრობა თითქოს ირღვეოდა. იმ ორ, ახალგაცნობილ გოგოს დაუახლოვდნენ, მე და ჩემი დაქალი კი, „ოფსაიტში“ დავრჩით. დაიშალა ჩვენი „სასტავი“, დავრჩით მე და ჩემი ერთი დაქალი. ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვართ... ამის შემდეგ, 3 წელი გავიდა. ბევრი ახალი და საყვარელი მეგობარი მყავს, მაგრამ ჩემი დაქალი მაინც სიცოცხლეს მირჩევნია“.

„ჩემი მოგონებები სულ ახალი და ცინცხალია და თანაც, ძალზე მტკივნეული. სკოლაში პატარა შეცდომისთვის უმოწყალოდ დავისჯე. სხვა შევიბრალე და ახლა მე თვითონ ვარ „შესაბრალის“ სიტუაციაში“.

„ჯერ 20 წლისაც არ ვარ, ამიტომ ჩემი სასკოლო მოგონებები სულ ახალია. ბედნიერი ბავშვობა მქონდა და ბევრი კარგი რამ გადამხდენია თავს, მაგრამ სკოლის დროინდელი მოგონებები ყველაზე ხალასი და ნათელია. კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ ცოტა მათემატიკაში „ვიჭედებოდი“. ისეთი მკაცრი მასწავლებელი მყავდა, რომ მთელ სკოლას აზანზარებდა. ძალზე იშვიათად აცდენდა გაკვეთილებს და იმ დღეს, მთელი სკოლა ზეიმობდა ხოლმე. ჩემზე

იყო გადაკიდებული, ყოველ გაკვეთილზე მიძახებდა, მთელ დაფას გამავსებინებდა მაგალითებითა და ამოცანებით და მაინც სამიანს მიწერდა. წლის ბოლოს, ყველა საგანში ხუთიანი მეწერა, მათემატიკაში — სამიანი. არადა, მართლა დიდი მონდომებით ვცდილობდი, მესწავლა და მისი ქება დამემსახურებინა, მაგრამ ამაოდ... ისე, ძალზე კეთილი ქალი იყო და ყველა მასწავლებელზე მეტად სწორედ ის დამამახსოვრდა. ახლა გზაში რომ შემხვდება ხოლმე, სულ მეფერება და ღიმილით მეუბნება — შენნაირი მოსწავლე არ მყოლია, შენსავით შეშინებული თვალებით არავის უცქერია ჩემთვისო... აი, ასე!“

„სკოლა 2 წლის წინ დავამთავრე. მთელი 3 წელი, დათო მიყვარდა. X კლასში ლეომ მომიტაცა. რადგან დათოსთან ნაჩხუბარი ვიყავი, მასთან დავრჩი. ახლა ბედნიერი ვარ. დავით, ეს მე ვარ, სოფი“.

„მარი, მიშველე რამე, დამიბეჭდე ეს მესიჯი: ნივთის მოპარვისთვის ისჯება ყოველი და ეს კანონი ყველგან წერია, მე მაინტერესებს და პასუხს მოველი, გულის მოპარვისთვის რამდენი წელია?.. ჩემი გული ჩემმა კლასელმა, ტატომ მომპარა. ია“.

„სკოლის მოგონებებიდან დამრჩა „იდიოტი“ მასწავლებლები და ერთი მაგარი ბიჭი. მას ზაზა ჰქვია და მაგრად ვუყვარვარ. „ბარბი“.

„ჯერ მხოლოდ X კლასში ვარ, მაგრამ ისეთი ამბები გაგდამხდა თავს, რომ ო-ოო! მოკლედ, შარშან ჩვენს კლასში ერთი ბიჭი გადმოვიდა და მისი შებმა დავიწყე. მაგრად შევაბი. ძალზე უნდოდა, რომ ჩემთვის ეკოცნა, მაგრამ უკარებას როლს ვთამაშობდი. ერთხელ სკოლაში ცუდად გავხდი და გაკვეთილებიდან ადრე წამოვედი. გზაში სწორედ ის ბიჭი დამეწია და ყველას დასანახად მაკოცა. ეს დღე ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება“.

„მესამე კლასში ვიყავი, როცა ახალ სკოლაში გადავედი. მორცხვი, დიდბაფთიანი გოგო ვიყავი. მალე დაიწყეს ჩურჩული, კახა ქ-ვას შეუყვარდა ახალი მოსწავლეო. კლასის ყველაზე აქტიური გოგონები მოვიდნენ და მომიწოდეს, დამეცვა ჩემი ღირსება. გაკვეთილების შემდეგ, კახას დავხვდით და ბავშვებმა სულ ჩანთები ურტყეს საცოდავს. მე ხმას ვერ ვიღებდი. ჩემს ბავშვობაში, სიყვარული სირცხვილად ითვლებოდა... ის ბიჭი მეორე დღიდან სხვა სკოლაში გადავიდა. მას შემდეგ, ბედისწერად მექცა სახელი „კახა“, ჩემს ყველაზე დიდ სიყვარულს სწორედ ეს სახელი ერქვა. ჩემს ქმარსაც კახა ერქვა და მასაც გავშორდი. ვეღარ ვიტან ამ სახელს, მაგრამ... სკოლის წლების გახსენებაც კი არ მინდა“.

„სკოლა მაგარია, მაგარია, მაგრამ სანამ არ დავამთავრე, ვერ მივხვდი. წელს, სკოლის ნაცვლად, ინსტიტუტში წავალ. ერთი მხრივ, კარგია, რადგან ჩემს სიყვარულს, „მიშუტკის“ უფრო მეტ დროს დავუთმობ. ბასა“.

„ჩემს სკოლაში ერთი ბიჭი სწავლობს. მას ერთი წლის წინ გარდაეცვალა დედა და ძალზე განიცდიდა ამას. ამ ბიჭს მხოლოდ შორიდან ვიცნობდი. ერთხელ, ერთმა მეგობარმა ძალზე მატკინა გული, ცრემლიანი თვალებით სკოლის ეზოში გავედი და გულიანი ტირილი მოვრთე. ამ დროს ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. ეს საბა იყო. მან დამამშვიდა, დამელაპარაკა და სულ გადამავიწყდა, რისთვის ვტიროდი. ამ ამბის შემდეგ დავმეგობრდით. ვხვდებოდი, რომ ჩემთან ურთიერთობა გულისტკივილს უამებდა. ყველას უკვირდა, როგორ მოვახერხე მისი გაღიმება... საბა ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე წავიყვანე. გვიან ღამით, სახლამდე მომაცილა. როცა ვემშვიდობებოდი, მითხრა — მიყვარხარ, შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისთვისაც ვცხოვრობო... შემდეგ მაკოცა... აი, ასეთი საყვარელი არსება მაჩუქა სკოლამ. მარი, 17 წლის“.

„როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა ღაშა სკოლაში მაკითხავდა ხოლმე!.. ახლა კი, მხოლოდ მოგონება დამრჩა. სკოლა დავამთავრე და თითქოს ჩემი სიყვარულიც დამთავრდა. თეო.“

„ერთი ბიჭი სკოლაში ჩემს შებმას 3 წლის განმავლობაში ცდილობდა. ალბათ ნაძლევი ჰქონდა დადებული. კარგად ვიცოდი, ვინც იყო და რასაც წარმოადგენდა. ამიტომაც მისი ყოველი ცდა, ჩემთვის სიყვარული დაემტკიცებინა, უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს, ამ ხუმრობა-ხუმრობაში, თვითონ დარჩა შებმული. მართლა შევუყვარდი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — მატყუარას მართალსაც აღარ უჯერებენო... ნინიკო“.

„მენატრება სკოლა, მისი კედლები, ყველა მასწავლებელი, ბუფეტი და სკოლის ექიმიც, რომელმაც არაჩვეულებრივი მოგონება მაჩუქა. მისი დახმარებით... თუმცა, ყველაფერს თანმიმდევრულად მოგიყვებით. X კლასში ვიყავი. ერთ დღეს, გაკვეთილი გაგვიცდა და ბავშვები კლასში ყირაზე გადავდიოდით. თავიდან, მეც მათთან ერთად ვმხიარულობდი, მერე ცუდად გავხდი და სკამზე დავჯექი. ხელები ყურებზე ავიფარე და მოვიწყინე. კლასელებმა ეს შენიშნეს და ექიმს დაუძახეს. მან თავიდან, რაღაც წამალი დამალევინა და თავის ოთახში დამაწვინა. ნახევარი საათის შემდეგ კარგად გავხდი და წამოდგომა დავაპირე. ამ დროს, უფროსი კლასის გოგონები შემოვიდნენ, მათთვის აცრა უნდა ჩაეტარებინათ. ისე ვიწექი, რომ გოგონებმა ვერ შემნიშნეს. იმ დალოცვილ ექიმსაც დაავიწყდა, რომ ოთახში ბიჭი ჰყავდა და იცით, რა მოხდა?.. ასე, 15 გოგონა რიგრიგობით შემოდიოდა, „ერთ ადგილს“ იშიშვლებდა და ექიმიც ცრიდა და ცრიდა... ფიქრები და აზრები სწორედ მაშინ „დამიბინძურდა“... აი, ასე...“

„ჩემმა კლასელმა, გიომ მაგრად გამაღადავა. მთელი ზაფხული მეორე თანაკლასელის — ჩემი დაქალის სახელით მიმესიჯებდა. მე კი ისეთი რამეები ვუთხარი... გუშინ ჩამოვიდა ჩემი დაქალი და ყველაფერი გაირკვა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ თურმე სხვა თანაკლასელებმა ეს ამბავი იციან. ქოია“.

„დილა მშვიდობისა! მეც მომინდა, რაღაც გავიხსენო. ერთხელ ფიზკულტურის გაკვეთილზე მასწავლებელი „ლელობურთს“ გვათამაშებდა. გოგოები ბიჭებს ვეთამაშებოდით. ერთი ტანმორჩილი ბიჭი ბურთს ჩაეხუტა და ცოცხალი თავით არ თმობდა. მე და ჩემმა კლასელმა გოგომ ავიყვანეთ და „ლელობიჭი“ ხაზს იქით წავაძუნძულეთ. ასე ვაჯობეთ ბიჭებს. ქართულის მასწავლებელი გვყავდა, მხცოვანი ქალბატონი. ვყვები „მერანს“... მაწყვეტინებს. შემდეგ — განაგრძეო, მეუბნება. — ისევ ძველებურად მიქრის-მეთქი, ვეუბნები. — შენ მართლა გიქრისო, — მითხრა. გვაფრთხილებდა, აბოზე და შუშანიკზე მეტი წამება თქვენ გელით გამოცდაზეო... ერთხელ, სკოლაში კვასკვასა წითელი ლაქი წავისვი. ქართულის მასწავლებელმა რომ შენიშნა, ფანჯრიდან სოფლის გაღმა მცხოვრები კაცის სახლზე მიმითითა და მითხრა — ის ახლა ბლის ხეზე რომ იყოს ასული, შენი ლაქის ელვარება თვალს მოსჭრიდა და ხიდან ჩამოვარდებოდა, ოჯახს რატომ ღუპავო?! მერე ბიჭებმა იატაკი ამოჭრეს და იქ, ყავას, შაქარს და არაყს ვინახავდით ხოლმე. გაგვიგეს. ერთმა წინადადება წამოაყენა, სასაფლაოზე მაგარი კომფორტული ადგილი ვიცი და იქ ვიქეიფოთო. ყველამ ავიტაცეთ აზრი და პარალელური კლასის დამრიგებლის დედამთილ-მამამთილის საფლავებს შორის დავსხედით. კარგად მოვილხინეთ. სურათებიც გადავიღეთ. ეს სურათები მასწავლებელს ჩაუვარდა ხელში და წავიდა სკოლის დირექტორთან „ჩვენებების მიცემა“... მერე, მასწავლებელი გვეუბნებოდა: რაღა იმ მიცვალებულებთან იქეიფეთ, თქვენები იქ არ იყვნენო?!. ასე გადიოდა წლები. ახლა კი, ამ ყველაფერს ღიმილით ვიხსენებ...“

„მე თეა ვარ, ისტორიის გაკვეთილი გვქონდა. კლასში ვიღაც უცხო შემოვიდა. მასწავლებელმა მასთან საუბარი გაიბა. ბავშვებმა კი ამასობაში, „ამის პატრონმა რა ქნას“ ვითამაშეთ, მე კარადაში შეძრომამ მომიწია. უეცრად, სტუმარი წავიდა და მე კარადაში დავრჩი. გაკვეთილი გაგრძელდა. ბევრი ვიფიქრე, რა მექნა, ბოლოს კარადა გამოვაღე და შუა გაკვეთილზე იქიდან გამოვძვერი... მერე, მასწავლებლის წყალობით, კლასის გარეთაც აღმოვჩნდი“...“

„მაგარი „სტერვა“ მასწავლებელი მყავდა მათემატიკაში. ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, მისი საგნის გარდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩინურს უფრო იოლად გავიგებდი, ვიდრე მის მიერ ახსნილ გაკვეთილს. მეორეც — საშინლად ვერ ვიტანდი ამ დამსახურებულ პედაგოგს. დედაჩემი მასთან შინ მატარებდა და მამეცადინებდა. შესაბამისად, ფულსაც უხდიდა. არც კი წითლდებოდა, ისე

მიწერდა ხუთიანს. მეცხრე კლასამდე გავქაჩე. მერე კატეგორიულად განვაცხადე, — „ამასთან აღარ ვივლი-მეთქი. ის ისეთსავე მოწადინებით მიწერდა ორებს, როგორადაც წინათ — ხუთებს. წლის ბოლოს კი, ამ „ნიჭიერ“ გოგოს, სამიანი გამომაყოლა. ტკბილად შევირგე. სამიანი და ჯანმრთელობა!.. მაინც ხატვის მეტი არაფერი მაინტერესებდა. მოდელირებაზე ჩავაბარე და ახლა წარმატებით ვამთავრებ. გკოცნით, ნინია“.

„ისეთი ქართულის მასწავლებელი გვყავდა, რომ თუ გაკვეთილი არ იცოდი, არანაირი თხოვნა არ ჭრიდა, მაშინვე ორიანს „გამოგიცხობდა“. ერთხელ, მთელმა კლასმა არ ვისწავლეთ „ავთანდილის ანდერძი“. ავდექით და იმ დილით, ყავაში ძილის წამალი ჩავურიეთ. საწყალი, ისეთ დღეში ჩავარდა, რომ „სასწრაფო“ გამოიძახეს. მთელი კვირა სკოლაში არ მოსულა“.

„ერთ დღეს, სკოლაში წასვლა დამეზარა და გადავწყვიტე, ჩემი დაქალიც ამეყოლიებინა. ეს მოვახერხე, მაგრამ დედაჩემი შინ ხომ არ გამაჩერებდა?! ჰოდა, ორივენი კაფეში წავედით. ბევრი ვიჭორავეთ... ის კი არ ვიცოდით, რომ თურმე, ჩვენი სკოლის დირექტორი სწორედ იქ საუზმობდა. მეორე დღეს, კაბინეტში დაგვიბარა და ჩვენი საუბრის შინაარსი სიტყვასიტყვით გადმოგვცა. აბა, ამ დღეს რა დამავიწყებს?!“

„არასოდეს დამავიწყდება, მეთერთმეტე კლასში ყოფნის დროს, როგორ გავაგდეთ რუსულის მასწავლებელი. მაშინ ვერ ვხვდებოდით, თუ რა დიდ ტკივილს ვაყენებდით. ახლა კი მინდა, ბოდიში მოვუხადო მას. ჩვენ გულწრფელად ვინანიებთ ჩვენს დანაშაულს... სალო. ბათუმი“.

„იმის შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ზაფხული იყო. მეტეხის ეკლესიის ეზოში 2 გოგონა გავიცანი. ისინი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე და მესამეკურსელები იყვნენ — ნანა დადეშქელიანი და მარი ჯაფარიძე. ერთმანეთი გავიცანით. რამდენჯერმე შევხვდით კიდეც. მე მაშინ აბანოთუბანში ვცხოვრობდი. შემდეგ ის ბინა გავყიდე და უკრაინაში წავედი... ახლა დავბრუნდი და დიდი სურვილი მაქვს, ეს გოგონები მოვძებნო. ახლა ისინი ასე, 28-29 წლისანი იქნებიან. თუ გასათხოვრები არიან, გამომეხმაურონ. თუ არა და — ღმერთმა ბედნიერად ამყოფოს!.. პატივისცემით, იმედა“.

„დღეს სწავლა იწყება. ჩემი და, წუთიწუთზე შინიდან გავა. წინათ ყოველთვის უხაროდა პირველი სექტემბერი, ახლა კი აინუნშიაც აღარ აგდებს. რატომ? იცის, რომ პირველსავე დღეს, მასწავლებლები უგულოდ მიულოცავენ; ფარდის, ცარცის, დაფის, ნავთის, მაგნიტოფონის, დამლაგებლის, თავიანთი დღეობისთვის „შესაწირს“ მოსთხოვენ...“

„მე განსაკუთრებულად მიყვარს სკოლა, რადგან ჩემი სიყვარული სწორედ იქ მეგულებოდა. ის სკოლის დიექტორი გახლდათ — ახალგაზრდა, 29 წლის მამაკაცი. ერთ დღეს, გაკვეთილზე თავი შეუძლოდ ვიგრძენი და ტუალეტში წავედი. დირექტორის კაბინეტს რომ ჩავუარე, ზურა (დირექტორი) კაბინეტიდან გამოვიდა. გაკვეთილზე რატომ არ ხარო? — მკითხა. კაბინეტში შემიყვანა. რაღაც ძალზე უცნაურად მიყურებდა... რამდენიმე ხნის შემდეგ, მე მას თავისსავე კაბინეტში დავნებდი... რამდენიმე დღის განმავლობაში, სკოლაში ვეღარ მივდიოდი. ძალზე მრცხვენოდა მისი. მეგონა, მთელმა სკოლამ იცოდა იმის შესახებ, რაც ჩვენ შორის მოხდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ზურამ ამის შესახებ რომ შეიტყო, წარბიც არ შეუხრია. იმ დღესვე ცოლად მომიყვანა. ახლა ტყუპი ბიჭი გვყავს... აი, ეს გახლავთ ჩემი სასკოლო მოგონება. იანა“.

„მეთერთმეტე კლასში მომხდარ ამბავს გავიხსენებ. ერთ დღეს, ჩვენი კლასის ჟურნალი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დირექტორი ყველა საგანში გამოცდის ჩატარებით დაგვმუქრა. ყველა იფიცებოდა, არაფერი ვიცითო, მაგრამ ბანკეტზე გაირკვა, რომ ნახევარ კლასს მიუღია მონაწილეობა მის დაწვაში. მის ბუფონი“.

„მეთერთმეტე კლასში ქიმიის მასწავლებელი შეგვეცვალა. წლების განმავლობაში, ქიმიის წიგნი არც გადაგვიშლია და ამ ქალმა გადაწყვიტა, მთელი ქიმიის კურსი შეგვესწავლა... მერე გავიგეთ, რომ თურმე, საშინლად შინებია გველის. ავდექით და სკამზე რეზინის გველი დავუდეთ. მასწავლებელმა ჯერ ბევრი იყვირა, მერე გული წაუვიდა... მეორე დღეს, გაკვეთილზე მაინც მოვიდა. ისეთი დღე გვაყარა... გვიყვიროდა, გვლანძღავდა და გვემუქრებოდა — არც ერთს ნიშანს არ გაღირსებთო!.. მართლაც ასე მოიქცა. ორი კვირის მანძილზე ყველას ორებს გვიწერდა. მაგრამ ამ ამბავმა დიდხანს არ გასტანა. ერთ მშვენიერ დღეს, საკლასო ოთახში ბანანის ქერქზე დაუცდა ფეხი და მოიტეხა კიდეც. ჩვენ სიცილი დავაყარეთ... ამის შემდეგ, ის სკოლაში აღარც ფეხის მოშუშების შემდეგ მოსულა. თეონა“.

„ჩემს სასკოლო მოგონებას სახელი ჰქვია, რომლის დავიწყებასაც მთელი ზაფხული დიდი მონდომებით ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ უნივერსიტეტში წასვლის პირველსავე დღეს, ამ ტკბილ-მწარე სასკოლო მოგონებას ჯანდაბაში გავუშვებდი, მაგრამ ეს ოხერი, მოუშორებელი ჭირივით ისევ თავში მიტრიალებს. ისე, სულაც არ მოვინდომებდი მის დავიწყებას, ერთი ბიჭი თვალებს რომ გაახელდეს და დამინახავდეს. იმედია, ჩემი მოგონება ამ მესიჯს გაჰყვება და მე თავს დამანებებს...“

„სკოლიდან ერთი მოგონება დამრჩა. ეს გრძნობა დღემდე გაუმხელელი მაქვს. ახალგაზრდა ხატვის მასწავლებელი შემიყვარდა, ოზურგეთის რაიონში, სოფელ ბასილეთში მცხოვრები დათო კ-ძე. V კლასში ვიყავი, რომ შემიყვარდა და დღემდე მიყვარს. მახსოვს, მერხთან მჯდარი დამხატა. მაშინ ისეთი გრძნობა დამეუფლა!.. მაგრამ რა? ახლა მე განათხოვარი ვარ, მას ცოლ-შვილი ჰყავს... დათო, მაპატიე, რომ ჩემს სახელს ვერ ვწერ, მაგრამ იცოდე, რომ შენს სიყვარულს გულში სათუთად ვინახავ“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სიმთვრალეში დაშვებული შეცდომები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

რუსეთის წამყვანი ფეხბურთელი ქალის მიერ 10 დღეში დაკომპლექტებულმა გოგონათა ნაკრებმა ევროტურნირამდე ვაჟების ორ გუნდს სძლია

საქართველოში დასახელებულ 50 საუკეთესო სპორტსმენს შორის, მხოლოდ ორი ფეხბურთელია — კახა კალაძე და მაია ჯაფარიძე. მაია უკვე 17 წელია, საქართველოში არ ცხოვრობს. ის რუსეთისა და ევროპის წამყვან გუნდებში თამაშობდა. ახლა, ბატონი მიხეილ სააკაშვილის თხოვნით დაბრუნდა და საქართველოს ქალთა ფეხბურთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. რა გზა გაიარა მაიამ, ვიდრე სამშობლოში დაბრუნდებოდა, რატომ უჭირს ქართულად ლაპარაკი, როგორ შეკრიბა გოგონები საქართველოს ნაკრებისთვის და იოლია თუ არა ფეხბურთელი ქალის ხვედრი — ყოველივე ამის შესახებ საკუთარ შეხედულებებს გვიზიარებს. ინტერვიუ მისთვის უფრო მოსახერხებელ — რუსულ ენაზე წარიმართა.

მარი ჯაფარიძე

— ჩემი ძმა და მამა ფეხბურთელები არიან. მეც, ფეხი ავიდგი თუ არა, მაშინვე ბურთის თამაში დავიწყე. მშობლებმა შენიშნეს ჩემი გატაცება და რომ წამოვიზარდე, ფეხბურთზე მიმიყვანეს. ძალზე სწრაფად მივიწევდი წინ. ეს საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა. 9 წლის ასაკში, პირველი ხელფასი ავიღე, როგორც ფეხბურთელმა. 120 მანეთი მაშინ საკმაოდ სოლიდური თანხა იყო: დედაჩემი მაშინ უნივერმაღში მუშაობდა და ყოველთვიურად 70 მანეთს იღებდა... ძალზე ბევრ ქვეყანაში გვიხდებოდა თამაში, ხშირად დავდიოდით თურქეთში, ჰოლანდიაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ჰოლანდიაში 12 წლის ასაკში მოვხვდი. იქ ერთ-ერთ თამაშს რუსეთის გუნდის მწვრთნელი ესწრებოდა. ჩემი თამაში მოეწონა და საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში სათამაშოდ მიმიწვია. მშობლები გვერდით დამიდგნენ და მოსკოვში გამიშვეს. ამის შემდეგ, ჩემმა საფეხბურთო კარიერამ ერთბაშად წინ წაიწია.

— კონკრეტულად რომელ გუნდებში თამაშობდით?

— ნაკრების შემადგენლობაში უცვლელად ვიყავი. ფედერაციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ერთ-ერთ ძლიერ გუნდში გავემწესებინე და თავიდან, კალუგის „კალუჟანკაში“ ვთამაშობდი. იქ 7 წელი გავატარე. უმაღლესი ლიგის გუნდი გახლდათ. შემდეგ მოხდა ცვლილებები: უმაღლეს ლიგას სახელი გადაარქვეს და სუპერლიგა დაარქვეს. ქალთა ფეხბურთი თანდათან ვითარდებოდა და მეც ვოსტატდებოდი. შემდეგ, წლების განმავლობაში, ვორონეჟის „ენერგიაში“ ვთამაშობდი. ეს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში — ევროპის ხუთეულში შედის.

— როგორ მოხდა საქართველოში თქვენი დაბრუნება?

— რუსეთის გარდა, ვთამაშობდი გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში. გერმანიაში ბუნდესლიგაში გამოვდიოდი. პორტუგალიის ტურნირში, ერთ-ერთი თამაშის დროს, განსაკუთრებით გამოვიჩინე თავი. ხანდახან ხდება ისე, რომ თამაში გამორჩეულად კარგად გამოგდის. სწორედ ასე მოხდა იმ მატჩის დროსაც. მნახეს ამერიკელებმა და მიმიწვიეს... სწორედ ამ დროს მივიღე მოწვევა საქართველოს პრეზიდენტისგან, რომ ჩამოვსულიყავი საქართველოში და ქალთა ფეხბურთის განვითარებაში ჩემი წვლილი შემეტანა.

რუსეთის გარდა, ვთამაშობდი გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში...

— პირადად შეხვედრიხართ პრეზიდენტს?

— 2 წლის წინ, „ჰოპკიდსის“ ტურნირი მიმდინარეობდა და ამ დროს მომიწვიეს. სწორედ იქ შევხვდი ბატონ მიშას. ისეთი პირობები შემომთავაზა, რომ ამაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა. პირობებში მე ვგულისხმობ ხელშეწყობას საიმისოდ, რომ ძლიერი ქალთა საფეხბურთო ნაკრები შეიქმნას. იოლი არ იყო, ამერიკაში გამგზავრებასა და საკუთარ კარიერაზე უარის თქმა, მაგრამ მაინც დავთანხმდი და მივიღე გადაწყვეტილება, საქართველოში დავბრუნებულიყავი. მთელი 17 წელია, წასული ვარ აქედან, ქართულად მეტყველებაც კი მიჭირს, მაგრამ ჩემი თანამემამულენი ამას ალ-

ბათ, მაპატიებენ... საზღვარგარეთ თამაშის დროს, არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, რომელიმე ქვეყანაში გაეგოთ, რომ გუნდში ქართველი ჯაფარიძე თამაშობდა და იქაური ქართველები საქართველოს დროშით ხელში, საქომაგოდ არ მოსულიყვნენ. ეს ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავდა.

— მახსოვს, წლების წინ, საქართველოდან ამერიკაში ფეხბურთელ ქალთა მთელი გუნდი გაემგზავრა და ყველა იქ დარჩა. თქვენზე მითხრეს, რომ ერთ-ერთი იმათგანი იყავით.



საქართველოში დასახელებულ 50 საუკეთესო სპორტსმენს შორის, მხოლოდ ორი ფეხბურთელია — კახა კალაძე და მაია ჯაფარიძე

— არა, მე მაშინ ამერიკაში არ წავსულვარ. შემოთავაზება მქონდა, რომ მათთან ერთად გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ მათ სულ სხვა მიზანი ჰქონდათ... მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ, ეს ჩემს კარიერას არაფერს შესძენდა. ამიტომ მათთან ერთად გამგზავრებაზე უარი ვთქვი. არც ვნანობ... ახლა იმ ასაკში ვარ, ვფიქრობ, დროა, ბავშვების აღზრდას მოვკიდო ხელი, მით უმეტეს, რომ მხარში მიდგანან ქვეყნის პრეზიდენტიც და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი ნოდარ ახალკაციც. ნოდარმა მითხრა — შენ ოღონდ მოინდომე, ყველანაირად დაგეხმარებით, ხელს შეგიწყობთ, რომ ჩვენმა საქმემ წინ წაიწიოსო. ის თავის სიტყვას პირნათლად ასრულებს და ცდილობს, ყველანაირი სამუშაო პირობა შეგვიქმნას. საქართველოს ფეხბურთელ ქალთა ნაკრები ბოსნიაში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე სათამაშოდ მიმყავს. ძალზე გამიჭირდა გოგონების მოგროვება. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოვიარე, სათითაოდ ვარჩევდი ფეხბურთელებს. ეზო-ეზო დავდიოდი და გოგონებსა და მათ მშობლებს ველაპარაკებოდი, ვარწმუნებდი, რომ მათი შვილებისთვის აუცილებელი იყო ამ ტურნირში მონაწილეობა. ჩემთვის შოკის მომგვრელი იყო იმ სტადიონების ნახვა, სადაც ეს ბავშვები ვარჯიშობენ — მათ ჩაცმულობაზე აღარაფერს ვამბობ... ბოლოს აღმოჩნდა, რომ მსურველი გოგონების რიცხვი გაცილებით მეტი გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ, ყველამ ვერ შეძლო ჩვენს ნაკრებში მოხვედრა. ვინც შევარჩიეთ, მათთან ბევრი მუშაობა დაგვჭირდა, რომ იმ შედეგისთვის მიგვეღწია, რომელიც დღეს გვაქვს: 10 დღეში, გოგონებისგან კარგი ფეხბურთელები დავაყენეთ. გავმართეთ მეგობრული მატჩი ბიჭების ორ გუნდთან. ორივე შეხვედრა გოგონებმა მოიგეს.

სწორედ იქ შევხვდი ბატონ მიშას. ისეთი პირობები შემომთავაზა, რომ ამაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა...

— ბავშვებთან მკაცრი ხართ?

— სხვაგვარად სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. თავზე ხელის გადასმა არაფერს მოგვცემს. იცით, ჩემთვის ძნელია ფეხბურთელის კარიერის გაცვლა მწვრთნელის პროფესიაზე. ჩემთვის ფეხბურთი ყველაფერია. პროფესიონალი ვარ და მინდორზე ბურთის დევნა და ადრენალინის გამოყოფა ძალზე სასიამოვნო პროცესია...

— ვხედავ, რომ არ ატარებთ სამკაულებს, არ იკეთებთ მაკიაჟს. მიგაჩნიათ, რომ ფეხბურთელი ქალბატონისთვის ეს ზედმეტია?..

— თქვენ ამ კითხვას არ დასვამდით, ჩემ გვერდით რომ გეცხოვრათ ამ 17 წლის განმავლობაში: როდესაც დღეში ოთხჯერ ვარჯიშობ, კვირაში სამჯერ მატჩს ატარებ, დილის 6 საათზე დგები და საღამოს 10 საათზე იძინებ, როცა წელიწადის განმავლობაში 364 საათს თვითმფრინავში ატარებ, შეუძლებელია, დრო მაკიაჟის გაკეთებასა და სამკაულების მორგებაში დაკარგო...

— თქვენი ოჯახური მდგომარეობა როგორია?

— 28 წლის ვარ. გათხოვილი არ ვყოფილვარ. პირადი ცხოვრებისთვის ჯერჯერობით, ვერ მოვიცალე. ვერ გეტყვით, რომ ამაზე არ ვფიქრობ. უკვე დროა, ოჯახის შექმნაზე სერიოზულად ვიზრუნო. მშობლებიც მსაყვედურობენ — შვილიშვილები გვინდაო. იმედია, ძალზე დიდი ხნით აღარ გადავდებ ამ საკითხს...

— ბოსნიიდან დაბრუნების შემდეგ, თქვენი გეგმები როგორია?

— ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. ძალზე სერიოზულად ვაპირებ, ხელი მოვკიდო ქალთა ფეხბურთის აღორძინებას საქართველოში. იმედია, ყველანაირ სირთულეს დავძლევთ... ■

წლების განმავლობაში, ვორონეჟის „ენერგიაში“ ვთამაშობდი. ეს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში



როდესაც რაღაც ლამაზს ხედავ, გსურს, რომ წამი ცოტა ხნით მაინც შეაჩერო და თუ თან ფოტოაპარატი არ გაქვს, ეს სურათი მეხსიერებაში მაინც აღბეჭდო. ჩემი რესპონდენტი ფოტოკამერის გარეშე თითქმის არსად დადის. მით უფრო მთაში, სადაც ცხოვრების გარკვეულ ნაწილს ატარებს. ფოტოგრაფიაც და ალპინიზმიც ლევან შერვაშიძისთვის ჰობია, პროფესიით კი ფრანგული ენის სპეციალისტია, რაზეც თავად უყვარს ხუმრობა, რადგან ახლა პროფესიით არ მუშაობს. მთის სიყვარულმა ლევანი ევროპის ყველაზე მაღალ მწვერვალზე აიყვანა, ხოლო ფოტოგრაფიისადმი ლტოლვამ აიძულა, სურათები ყველაზე გაუსაძლის პირობებშიც კი გადაეღო...

„ცალი ხელით კლდეზე თავს იმაგრებ, მეორე ხელში კი ფოტოაპარატს იმარჯვებ..."

ემა ტუხიაშვილი

— მამაჩემი იყო გატაცებული ფოტოგრაფიით და ბავშვობაში უამრავ სურათს მიღებდა. წარმოიდგინეთ, რომ დღესაც ვპოულობ სახლში მის მიერ გადაღებულ და გაუმჟღავნებელ ფირებს. ხოლო როდესაც 25-26 წლის წინ აღბეჭდილ წამს „აცოცხლებ", გეუფლება განცდა, თითქოს წარსულის უცნობ ან კარგად დავიწყებულ მოვლენებს ეცნობი. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ არ მიყვარს ციფრული ფოტოაპარატით გადაღება: სასიამოვნო მოლოდინია, როდესაც მთიდან დაბრუნებული, ფირს გასამჟღავნებლად აბარებ და არ იცი, როგორი იქნება შენი მცდელობის შედეგი. ბავშვობაში, ჩვენი სახლის სააბაზანო ოთახში, მამასთან ერთად თავადაც დამიბეჭდავს სურათები. არ დამავიწყდება ის პირველი შთაბეჭდილება, როდესაც სუფთა ფურცელი ერთი სითხიდან მეორეში გადაგაქვს და ზედ ნელ-ნელა გამოსახულება ჩნდება. პატარა რომ ვიყავი, ხშირად ვერთობოდი იმით, რომ მამის ფოტოაპარატის ობიექტივით ვაკვირდებოდი ჩემ ირგვლივ მყოფთ, ხოლო 15-16 წლის ვიქნებოდი, როდესაც ფოტოკამერა მარტოს მანდვეს და ქობულეთში წავიღე, სადაც მეგობრებთან ერთად ვისვენებდი. მახსოვს, ერთ-ერთი პირველი ფოტო სანაპიროზე მზის ჩასვლისას გადავიღე. პატარა იმპროვიზაცია მოვაწყვე, ჩემი მეგობარი კამერის წინ ზურგით დავსვი და ხელები ისე დავაჭერინე თითქოს მზე ეკავა. მართლაც, კარგი ფოტო გამოვიდა, სადაც ჩანს ადამიანის სილუეტი, რომელსაც თავის ხელებში დიდი ცეცხლოვანი რგოლი აქვს მოქცეული. რა თქმა უნდა, ეს სურათი ჩემს მეგობარს ვაჩუქე, დღეს ის ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ ამ ფოტოსთან განშორება არც უფიქრია. ამის შემდეგ ბევრჯერ გადამიღია დაისი, მაგრამ ისეთი საინტერესო ფოტო აღარ გამოსულა.

— ალბათ ხატვაც გეხერხება, ხომ?

— ხატვის ნიჭით ნამდვილად ვერ დავიტრაბახებ, თუმცა, ერთი საინტერესო გატაცება მაქვს — შემიძლია, ასნაირი კალიგრაფიით და თანაც ძალიან ლამაზად ვწერო. ამ ყველაფერთან ერთად, წერა ორივე ხელით თანაბრად მეხერხება, რადგან ცაცია ვიყავი და მარჯვენა ხელით კალმის ხმარებას სკოლაში მიმაჩვიეს.

— მეგობრები ხშირად ხვდებიან შენი ფოტოაპარატის ობიექტივში?

— როგორც უკვე გითხარი, სურათების გადაღება 15-16 წლისამ დავიწყე. ეს სწორედ ის ასაკია, როდესაც საფუძველი ეყრება მეგობრული თავშეყრის ტრადიციას, დაბადების დღის აღსანიშნავად თანატოლებს ეპატიჟები, ვიღაც შენს მეგობართაგან ბედნიერდება და ა.შ. ჩემს წრეში სწორედ მე აღმოვჩნდი ის ადამიანი, ვინც ყველა ამ მოვლენას ფოტოფირზე იღებდა, შემდეგ კი ჩვენი ცხოვრების დაუვიწყარი და განუმეორებელი წამების ამსახველ სურათებს მეგობრებს ვურიგებდი. სასიამოვნო განცდა გეუფლება, როდესაც ახლობელთან შინ მისულს, ჩარჩოში ჩასმული ფოტოდან ის სახეები გიმზერს, რომლებიც წლების წინ, თავად აღბეჭდე.

— შენი ფოტოკოლექციის დიდ ნაწილს ბუნების პეიზაჟები წარმოადგენს. ადამიანების გადაღება ნაკლებად გიყვარს?

— მიმაჩნია, რომ ეს უფრო პროფესიონალი ფოტოხელოვნის პრეროგატივაა: საკმაოდ რთულია, ფოტოზე საინტერესოდ აღბეჭდო ადამიანი. მეტიც, ვიცნობ ისეთ პროფესიონალებს, ვისაც ქაღალდზე უსულო საგნების გაცოცხლება შეუძლიათ. რაც შეეხება პეიზაჟებს — საქართველოს ბუნება იმდენად ლამაზია, რომ კარგი ფოტოს გადასაღებად საკმარისია, მხოლოდ აპარატის ღილაკს დააჭირო თითი...

— გამოფენებში თუ მიგიღია მონაწილეობა?

— გამოფენებში — არა, მაგრამ ყოველი სამთო სეზონის დასრულების შემდეგ, მისი მონაწილენი შეხვედრას მართავენ, სადაც ამ მოვლენის ამსახველი ფოტოებია წარმოდგენილი. სწორედ ასეთი შეხვედრების შედეგად, ჩემი ფოტოები რამდენიმე გამოცემაში დაიბეჭდა.

— ვიდრე შენს კიდევ ერთ გატაცებაზე — ალპინიზმზე ვი-



სასიამოვნო მოლოდინია, როდესაც მთიდან დაბრუნებული, ფირს გასამჟღავნებლად აბარებ და არ იცი, როგორი იქნება შენი მცდელობის შედეგი



ყინვის, ქარბუქის მიუხედავად, მაინც ყოველთვის პოულობ ძალას საკუთარ თავში, რომ ხელთათმანი გაიძრო და წამი შეაჩერო...

საუბრებდეთ, მინდა, იმ ფოტოების შესახებ მიამბო, რომლებიც ამერიკის პრეზიდენტს თბილისში ვიზიტის დროს გადაუღე...

— იმის გამო, რომ როგორც ფოტოხელოვანი, არც ერთ პერიოდულ გამოცემასთან არ ვთანამშრომლობ, არ მქონდა აკრედიტაცია იმისათვის, რომ თავისუფლების მოედანზე პრეზიდენტ ბუშის გამოსვლისთვის პრესისთვის განკუთვნილი ლოჟიდან მედევნებინა თვალი. არადა, ამერიკის პრეზიდენტისთვის ფოტოს გადაღების სურვილი მოსვენებას არ მაძლევდა. 26 მაისს დილაადრიანად ავდექი და თავისუფლების მოედნამდე სწორედ იმ დროს მივაღწიე, როდესაც ხალხი გროვდებოდა. მაგრამ ფოტოს გადაღების ბოლო იმედი მაშინ გადამეწურა, როდესაც დავინახე, რომ მოედანზეც კი ადამიანებს მხოლოდ სპეციალური საშვის წარდგენის შემდეგ უშვებდნენ. თუმცა, აქაც გამიმართლა — უნიფორმაში გამოწყობილი ადამიანი ჩემი

დილის 8 საათზე, პრეზიდენტ ბუშის მოლოდინში, ფოტორეპორტიორისთვის საუკეთესო პოზიცია დავიკავე...

ნაცნობი აღმოჩნდა, რომელსაც საშვის დაშვება ვთხოვე და მისი წყალობით, დილის 8 საათზე, პრეზიდენტ ბუშის მოლოდინში, ფოტორეპორტიორისთვის საუკეთესო პოზიცია დავიკავე. საკმაოდ ახლო მანძილიდან მართლაც, კარგი კადრები გადავიღე, მაგრამ თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს ფოტოები იმ დღესვე ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებისთვის შემეთავაზებინა — არადა, ჩემ მიერ გადაღებული კადრები გაცილებით სჯობდა იმ კადრებს, რომლებიც ქართულ პრესაში დაიბეჭდა.

— ლევან, ალპინიზმსა და მთის სიყვარულს როგორ ეზიარე?

— ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინისტური კლუბი მსურველებს ალპინიადაში მონაწილეობის მისაღებად იწვევდა. მე და ჩემი მეგობრები იმდენად გამოუცდელები ვიყავით ამ სფეროში, რომ მთაში ჯინსითა და ისეთი ფეხსაცმლით წავედით, რომელიც წყალს ატარებდა... პირველად მთას ბატონმა შოთა მირიანაშვილმა მაზიარა. ხდის ხეობამ ყაზბეგის რაიონში იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ, როგორც იტყვიან, მთით „მოვიწამლე“. ამ ლაშქრობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, როგორც პიროვნებაც შევიცვალე. დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში შთაბეჭდილება, რომელიც მთის მწვერვალიდან ქვემოთ ჩახედვისას მივიღე... მას შემდეგ არ მიყვარს დახურულ სივრცეში ყოფნა და ვერ ვეგუები, როდესაც ჩემს თავისუფლებას ზღუდავენ. რა თქმა უნდა, პირველი ლაშქრობიდან უამრავი ფოტო ჩამოვიტანე, მაგრამ ვერც ერთი ფოტოობიექტივი ვერ გადმოგცემთ იმ სილამაზეს, რომლის აღქმაც თვალს შეუძლია.

— როგორც ვიცი, პროფესიონალ ალპინისტად არ მიიჩნევ საკუთარ თავს, თუმცა პროფესიონალებთან ერთად, არაერთი მწვერვალი დაგიპყრია...

— ვერ ვიტყვი, რომ ალპინიზმში წმინდა სპორტული მიღწევები მაქვს, მაგრამ ევროპის უმაღლეს მწვერვალზე ვარ ნამყოფი. ეს არის იალბუზი, რომლის სიმაღლეც 5642 მეტრი გახლავთ. სამთო შეკრებებზე ხშირად მიწევს ქართველ წამყვან მთამსვლელებთან ერთად სიარული. 2000 წლის 6 იანვარს ბეთლემის გამოქვაბულში შევხვდი შობას. მიშა ჩაჩანიძე, იგივე „კასალაპა“, როგორც მას მეგობრები ეძახდნენ, გორში გავიცანი, კერძოდ — ატენის ხეობაში, სადაც ზამთარში ალპინისტები ყინულზე ცოცვაში ვარჯიშობენ. ცოტა მოგვიანებით კი, კონკრეტულად, 2003 წელს, მე და „კასალაპა“ ერთ თოკში ჩაბმულები, მყინვარწვერზე ავედით. წლევანდელი წელი კი განსაკუთრებით მტკივნეული იყო ყველა მთასვლელისთვის, რადგან მერაბ ხაბაზიც დავკარგეთ, ზალიკო ქიქოძეც და მიშა ჩაჩანიძეც...

— ფოტოაპარატი მთაშიც შენი მუდმივი თანამგზავრია...

— ფოტოკამერას ისე ვუფრთხილდები, როგორც ცოცხალ არსებას: არ უნდა „შესცივდეს“, არ უნდა დასველდეს, არ გატყდეს, ამიტომ ზურგჩანთაში ისე „გიზის“, როგორც პატარა სულიერი არსება... გადაღებას ჯერ კიდევ მწვერვალის ძირში იწყებ, სადაც ქარაფებიდან და ჭიუხებიდან შეიძლება მოულოდნელად, ჯიხვი გამოვარდეს. ეს იმდენად შთამბეჭდავი სურათია, რომ გძულს ზოოპარკი, სადაც ასეთი ლაღი ცხოველი, რომელიც ჩვეულებისამებრ დღეში 100 კმ-ის რადიუსზე გადაადგილდება, რამდენიმე მეტრის მოცულობის გალიაში ჰყავთ გამოკეტილი... უკვე მყინვარზე კი, ფერადი სამყარო ქრება და განუმეორებელი თეთრი პეიზაჟის გადაღების საშუალება გეძლევა. ზოგჯერ ისეთი მაცდურია ბუნების სილამაზე, რომ ცალი ხელით კლდეზე თავს იმაგრებ, მეორე ხელში კი ფოტოაპარატს იმარჯვებ... ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როდესაც ლაშქრობისას საშინელი ამინდი დამდგარა და მხოლოდ იმაზე მიფიქრია, როგორმე დანიშნულების ადგილამდე მიმაღწევინა-მეთქი... მაგრამ მერწმუნეთ, რომ ყინვის, ქარბუქის მიუხედავად, მაინც ყოველთვის პოულობ ძალას საკუთარ თავში, რომ ხელთათმანი გაიძრო და წამი შეაჩერო... ■



ფოტოკამერას ისე ვუფრთხილდები, როგორც ცოცხალ არსებას: არ უნდა „შესცივდეს“, არ უნდა დასველდეს...

მოგვიმართავენ „ჰიუსტონები“, „მერაია ჭერები“, გოიმები და ჭაჯები...

გემოვნებაზე საუბარი და კამათი უსასრულოდ შეიძლება. მაგრამ თუ პოლემისტების გემოვნება ერთმანეთს არ ემთხვევა და ისინი ბევრი კამათის შემდეგაც საერთო აზრს ვერ მიაღწევენ, ხელს ჩაიქნევენ ხოლმე და იტყვიან — გემოვნებაზე არ დაობენო... მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძეც მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე დავა უადგილოა, თუმცა, ამავე დროს, აღნიშნავს: ხშირად, ადამიანს ერთი რამ მოსწონს, მაგრამ სულ სხვას ამბობს იმიტომ, რომ ის, ვინც მის გემოვნებას აკმაყოფილებს, მოცემულ მომენტში მოდაში აღარ არის, მოდაში კი, ვიღაცის მიმბაძველობით გაკეთებული კლიპები და სიმღერებიაო...

ლიკა ქაჯაია

— გემოვნება პირველ რიგში, ღვთისგან ბოძებული დიდი ნიჭია, რომლის სრულყოფა, დახვწა შეიძლება. თუმცა, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს — სად და როგორ იზრდება, ყალიბდება მისი გემოვნება. ვფიქრობ, რომ ქართველებს გემოვნება სისხლში გვაქვს გამჯდარი. მე მინახავს ადამიანი, რომელიც ისეთ ოჯახში იზრდებოდა, რომ ვფიქრობდი — ამას გემოვნება არ ექნება-მეთქი, — მაგრამ ის საოცრად დახვწილი გემოვნების პატრონი აღმოჩენილა.

— შეიძლება თუ არა გემოვნებაზე დავა?

— გემოვნებაზე დავა არ შეიძლება. თუმცა ის ხშირად, ჩემთვის ორჭოფობის საგანი ხდება, რადგან მიჩნდება კითხვა: მართლაც არის კი ეს ნამდვილად მისი გემოვნება?.. იმიტომ, რომ ძალიან ხშირად ხდება, როცა პიროვნება, თავისი გემოვნებიდან გამომდინარე არ ლაპარაკობს, მდაბიოებას წამოჰკრავს ხოლმე ხელს, თაკილობს თავისი გემოვნების გამომჟღავნებას, იმის გამო, რომ დინების საწინააღმდეგოდ არ მოიქცეს...

— თქვენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე ვინ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა?

— საოცარი მამა მყავდა, რომელსაც ვერ შეედავებოდი. თუმცა გემოვნება ერთი გვქონდა, მაგრამ იყო რაღაც სადავო საკითხები, რომლებიც დისკუსიის საგნად იქცეოდა და საბოლოო ჯამში, ორივენი მართალი გამოვდიოდით. მთავარია, დაასაბუთო, რატომ მოგწონს ან არ მოგწონს ის, რაზეც საუბრობთ... დედ-მამა *(მუსიკოსები. — ავტ.)* იმდენად სწორად გვზრდიდა და ისეთ ღირებულ მუსიკას, წიგნებს, მწერლებს, პოეზიას გვაზიარებდა, რომ არ შეიძლებოდა, დახვწილი გემოვნება არ გვქონოდა.

— ყველა თაობის მომღერლებს საკუთარი ფანები ჰყავდათ. თქვენ თუ ხართ ვინმეს ფანი?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვობაში რობერტინო ლორეტის ფანი ვიყავი. ისიც ბავშვი იყო, თუმცა ჩემზე 15-20 წლით უფროსი, მაგრამ საოცარი გემოვნების მქონე მომღერალი გახლდათ. ძალიან ბევრი მომღერალი მომწონდა, მაგრამ მათი ფანი არასდროს ვყოფილვარ. ყველა მომღერალში, ვინც კი მომეწონებოდა, თავისებურებებს ვხედავდი. თუ მომღერალი ვიღაცას ჰგავს, ის ჩემთვის საინტერესო აღარაა. საქართველოში მომრავლდნენ პატარა „ჰიუსტონები“, „მერაია ქერები“, პატარა გოიმები და ქაჯები (მათივე ტერმინებით რომ ვთქვათ). ეს საშინელებაა. ვუყურებ ახალ კლიპებს და ვერ ვიგებ — რას მღერიან!.. ყოველთვის ძალიან მომწონდა ნანი ბრეგვაძე, მედეა ძიძიგური, თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე. უკანასკნელ ორს თქვენი თაობა საერთოდ არ იცნობს. არსებობს XX საუკუნის ჩანაწერები, სადაც ჩანს, რომ მათ მთელი რუსეთი უჩოქებდა. არსებობს ფოტოსურათები, როცა თამარ წერეთელი რუსეთში მღერის, მას მთელი ელიტა ფეხქვეშ ეგება და მომღერალი კოზლოვსკი საჩუქრად გადასცემს სიმბოლურ ფირფიტას წარწერით: „როცა თქვენ მღერით, ჩვენ ყველანი ვჩუმდებით“. არ შეიძლება, თაყვანი არ სცე ასეთ მომღერლებს. საოპერო მომღერლებიდან მომწონს პლასიდო დომინგო და ლუჩანო პავაროტი.

მარიამი ღღეს საკმაოდ თანამედროვედ იცვამს...

— თქვენ თვითონ თუ ჰბაძავდით ვინმეს?

— სიმღერაში არასდროს არავისთვის მიმიბაძავს. მახსოვს, გარეგნობით ძალიან მომწონდა ხათუნა კოტრიკაძე („მხიარული რომანი“, „მოიტაცეს თამარ ქალი“) და ძალიან სასაცილო ვიყავი, როცა ვცდილობდი, მას დავმსგავსებოდი. სარკეში, ხშირად ვიყურებოდი, ჩემს ბუნებრივ ხვეულ თმას ვერაფერი რომ ვერ მოვუხერხე, „ჩოლკა“ შევიჭერი...

— თქვენ მიერ წაკითხული, პირველი მხატვრული ნაწარმოები რომელი იყო?

— „ჰეპი გრძელი წინდა“ მახსენდება. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო „ბიძია თომას ქოხი“. ქართული ლიტერატურიდან, ძალიან პატარა ასაკში წავიკითხე ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები. იგივე ლიტერატურა, უფრო მოწიფულ ასაკშიც გადავიკითხე. მახსოვს, როგორ დამიდებდა მამაჩემი სხვადასხვა პოეტის ლექსებს და მეტყოდა: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ლექსი ტვინის სავარჯიშოაო. ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი, შოთა რუსთაველი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე... ძალიან მიყვარს ეს პოეტები. ბედნიერი ვარ, რომ რუსულ პოეზიასაც მაზიარეს (თუმცა — უფრო გვიანდელ ასაკში).

— შვილების მუსიკალური ან ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაში თუ ერევით? ცდილობთ თუ არა მათზე რაიმე გავლენის მოხდენას?

— შემიძლია ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში ჩემს მშობლებს ვბაძავ: ვცდილობ, სწორად

აღვზარდო ისინი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც არსებობს კომპიუტერი და სხვა ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უხეშ ტალღად გადაუვლის ხოლმე ბავშვებს... მე, ძალიან ადრეული ასაკიდან დამყავდა შვილები ოპერის თეატრში. არ შეიძლება, ბავშვმა ვერდისა და ბიზეს ნაწარმოებები არ მოისმინოს, არ გაეცნოს იმ შემოქმედებას, რომელიც მელოდიურობით გამოირჩევა. მელოდია ხომ სულის გამოძახილია... მახსოვს, მარიამი 3 თვის იყო, როცა მას ბეთჰოვენის „ზაზუნას“ მელოდიას ვუმღეროდი, ბავშვი ტირილს იწყებდა. მართალია, ეს დაუჯერებელია, მაგრამ ამის კადრებიც არსებობს. უკვე საჩვენებელ გამოსვლებს ვაწყობდი ხოლმე სტუმრებისთვის... ბოლოს, ეს დედაჩემმა ამიკრძალა: ბავშვს ნერვულ სისტემას დაუავადებო! — მითხრა. ეს ყველაფერი მომწონდა, რადგან, მარიამს სწორი რეაქცია ჰქონდა... როცა წამოიზარდა, დაახლოებით 2 წლის ასაკში მითხრა: ეს რა „საწყალი მუსიკაა“, — და მართალიც იყო... ჩემი ბიჭი, კოკო, ტინეიჯერობის ასაკშია. ის სხვადასხვა გემოვნების, ჟანრის, მიმდინარეობის მუსიკას უსმენს, მხატვრობას ეცნობა, სპორტის ყველა სახეობა აინტერესებს და ვერ წარმოიდგენთ, როგორ საუბრობს ამ ყველაფერზე... ბავშვმა სწორად აზროვნება უნდა ისწავლოს.

— სპორტის რომელიმე სახეობა თუ მოგწონთ?

— ფეხბურთის ნამდვილი ფანი ვიყავი მაშინ, როცა ქართველი ფეხბურთელები და ქართული ფეხბურთი სათანადო სიმაღლეზე იდგა. მადლობა ღმერთს, რომ მომასწრო იმ ბედნიერ ხანას: გუცაევის, ყიფიანის, ჩივაძის პერიოდს... ახლა ფანი ნამდვილად აღარ ვარ. დღეს უფრო ვგულშემატკივრობ ჩვენებს და ამისთვის ვუყურებ, თორემ, ამით სიამოვნებას ნამდვილად ვერ ვიღებ... მიყვარს კალათბურთი და ჩოგბურთი. სპორტის ძალიან ლამაზი სახეობებია.

— თქვენი და ბატონი გიას გემოვნება თუ ემთხვევა ერთმანეთს?

— ხშირ შემთხვევაში — კი, ხშირ შემთხვევაში — არა.

— თქვენს ჩაცმულობაში თუ ერევა ხოლმე მეუღლე?

— მე თითქმის ყოველთვის კლასიკურად ვიცვამ. ეს ჩემი სულიერებიდან მოდის. მიუხედავად იმისა, რომ მარიამი დღეს საკმაოდ თანამედროვედ იცვამს, გამომწვევ ჩაცმულობას ვერ იტანს და ეს არც მე მიყვარს. გია ჩვენს ჩაცმულობაში საერთოდ არ ერევა. მახსოვს, 5 წლის წინ, მკვეთრი ფერები შემოვიდა მოდაში. ჩემი მეგობრის სვიტრი ჩავიცვი და სახლში შემოვედი. გიამ ეს ვერც შეამჩნია. ძალიან გავბრაზდი: თვალი, ფერმა მაინც არ მოგჭრა-მეთქი?.. ვერ ამჩნევს.

— თქვენ თქვით, რომ მარიამს გამომწვევად ჩაცმა არ უყვარს, მაგრამ ერთხელაც ასე ჩაცმა რომ მოინდომოს?..

— თუ შემეწინააღმდეგა და ეს ყველაფერი მოიხდინა, შეიძლება, ჩავაცვა... სამწუხაროდ, ჩემი თაობის წარმომადგენელი კოლეგისგან მომისმენია: მე ისეთი ფეხი, ფიგურა მაქვს, აუცილებლად უნდა გამოვაჩინოო... რატომ უნდა გამოაჩინოს — ეს ვერ გავიგე. ვისთანაც საჭიროა, იმასთან ხომ ისედაც გამოჩნდება?!. ერთმა მომღერალმა თქვა ფრაზა, რომელმაც გამაოგნა: ჩემს სოლო კონცერტზე, 5 სიმღერა „გადაგდებული“ მაქვს, ამიტომ ნაკლებად საინტერესო სიმღერებს ვარჩევო. როდესაც ვკითხე — რატომ-მეთქი? — ასეთი პასუხი გამცა: ისეთი კაბები მაცვია, პირველ 5 სიმღერას არ უსმენენ, ჩაცმულობას აკვირდებიანო... მის ყველა კონცერტზე ვარ ნამყოფი. არც ერთი არ გამომიტოვებია და არც ერთხელ, მისი კაბისთვის არ შემიხედავს, სიმღერას ვუსმენდი. მისი კაბა ჩემთვის მეორეხარისხოვანი იყო. ამ მომღერალმა, თავისდა უნებურად, საკუთარი სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ მსმენელს, მაყურებელს... გადამეტებული არაფერი ვარგა. გემოვნებაში ზომიერების გრძნობასაც ვგულისხმობ.

გია ჩვენს ჩაცმულობაში საერთოდ არ ერევა...

— რომელი ფერები მოგწონთ?

— თეთრი და შავი, ჭაობისფერი, მუქი ლურჯი. მკვეთრი ფერის სამოსს ვერ ვიცვამ, რადგან მგონია, რომ ამ ყველაფერში „ვყვირი“.

— როგორც ყველა ქალს, ალბათ, სამკაულების ტარება თქვენც გიყვართ...

— ვგიჟდები ოქროზე. ბრილიანტებზე გართულება არ მაქვს — მთავარია, კარგი ნახელავი იყოს. მე თვითონ ერთდროულად ბევრი ნივთის გაკეთება და ბიჟუტერია არ მიყვარს. ყველაზე ლამაზ სამკაულად, საქორწინო ბეჭედს ვთვლი, რომელიც უკვე 17 წელია, თითიდან არ მომიხსნია.

— ალბათ, საჩუქრად ოქროს მიღება გიყვართ, ხომ?

— ძალიან მიყვარს ორიგინალური საჩუქარი, რომელიც მართლაც, სახსოვარი იქნება. შეიძლება, იყოს ძალიან პატარა, თხელი ოქრო ან ლამაზად, გემოვნებიანად შეკრული თაიგული... რამდენიმე დღის წინ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა საჩუქრად მომიძღვნა ნივთი, რომელიც უძვირფასესია ჩემთვის. რა მასალისგანაა დამზადებული, ვერ გეტყვით. მას იის ფორმა აქვს. პატრიარქი ყვავილს ეამბორა და მითხრა: ეს არანაირ კავშირში არ არის რევოლუციებთანო... ჩემი და გიას მეჯვარემ, რეჟისორმა ოთარ ეგაძემ და მისმა მეუღლემ ხათუნამ, ხელის მოწერის დღეს მაჩუქეს ოქროს ნაკეთობა, რომელშიც „თ“ და „ჭ“ ასო, ერთმანეთზეა გადაჭდობილი. ძალიან მიყვარს ეს ნივთი.

— მკვეთრი მაკიაჟის გაკეთება არ გიყვართ...

— მაკიაჟიც, ისევე როგორც ტანსაცმელი, არასდროს მაქვს გამომწვევი. უბრალოდ, ძალიან მიყვარს თვალის იმ ფორმის უფრო მეტად გამოყვანა, რომელიც მაქვს. მაქვს საკმაოდ გრძელი, მაგრამ ღია ფერის წამწამი, რომელსაც ტუშით ვიმუქებ. ტანსაცმელთან შეხამებით შეუმჩნევლად ვისვამ თვალის ჩრდილს და იშვიათად ვხმარობ „რუმიანას“. პომადას მხოლოდ სცენაზე გასვლის წინ ვისვამ.

— რომელი სუნამო მოგწონთ?

— ძალიან მომწონს „შანელი“. თუმცა, აქ რაღაც პერიოდულობა მაქვს. ზოგჯერ რა მომწონს, ზოგჯერ — რა. ამ წუთას CERRUTI 1881-ს ვისხამ.

— ყვავილი?

— სურნელის თვალსაზრისით და ისედაც — ვარდი მომწონს, მაგრამ საოცრად ვეტრფი მინდვრის ყვავილებს.

— წელს სად ისვენებდით?

— წელს, ჩემს საკუთარ აგარაკზე, არაშენდაში ვისვენებდით, რომელიც საგურამოს თავზეა. იქ იყვნენ ჩემი დებიც. ამოდიოდნენ კოკოს, მარიამის მეგობრები, რომელთაც იქაურობა შეუყვარდათ... აგარაკი სულ ჩემი გემოვნებით მოვაწყვე. იქ სისადავის მეტს ვერაფერს ნახავთ.

— გაქვთ თუ არა სახლში საყვარელი ადგილი, სადაც შეხვალთ და ყველაფრისგან დაისვენებთ?

— არაშენდას სახლში ერთი ოთახია, სადაც ხატების კუთხეც მაქვს მოწყობილი. ჩვენ პატარა ლიზი გვყავს — ჩემი დისშვილი, რომელიც 1 წლის გახდა. დილით ხელს გაიშვერდა — იქით წამიყვანეთო — და ხატებს ეამბორებოდა... ძალიან საინტერესო ხატები მაქვს. ერთ-ერთი არის ის, სადაც უფალი ბავშვებს ლოცავს. ასეთი ხატი, იშვიათად მინახავს... ოთახში კიდია სურათები. დგას რბილი სამეული, ერთი მაგიდა, რომელიც თბილისის ბინიდან წავიღე და მართკუთხედის ფორმა აქვს; 6 სკამი და ფორტეპიანო, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს: ამ ინსტრუმენტის ირგვლივ კედელზე დიდი მარაოები კიდია. ეს ჩემი ოთახია...

■

როცა ბავშვი დავის საგანი ხდება

„ხვალ მე და გვიდო სოფლიდან წავალთ. ამ სახლში სხვა ბავშვები იცხოვრებენ. მამა ამბობს, სათამაშოებს არ გაგატანთ, ჩემი ნაყიდიაო. თუ სათამაშოები გინდათ, ჩემთან დარჩითო. დედა გვეუბნება, ახალ სათამაშოებს გიყიდითო. მე დედოფალა მინდა, ანანოს რომ აქვს, ისეთი. გვიდოს არ ვიცი, რა უნდა, მას ორი დღეა სიცხე აქვს. არ მელაპარაკება“. ეს ფრაზები 10 წლის ლანამ რუსული ენის რვეულის ბოლო ფურცელზე დაწერა. რას წარმოიდგენდა, თუ ამ რვეულს შემთხვევით მამამისი აღმოაჩენდა და საგულდაგულოდ შეინახავდა?! მას შემდეგ 38 წელი გავიდა. ლანა გაიზარდა, დაქალდა, შვილები გააჩინა. მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. უცვლელი მხოლოდ მშობლების განშორებით გამოწვეული სევდა დარჩა.

ლელა ჭანკოტაძე

ლანა, *48 წლის:*

— ახალციხის რაიონში ვცხოვრობდით. მე, მამა, დედა და ჩემი ძმა გვიდო ერთად ბედნიერები ვიყავით, მაგრამ მოხდა გაუგებრობა. მშობლებმა იჩხუბეს და განქორწინება გადაწყვიტეს. მე 10 წლის ვიყავი, გვიდო — 11-ის. ყველაფერს ვხედავდით და განვიცდიდით. მამა ყვიროდა: წადი, მაგრამ იცოდე, შვილებს ვერ წაიყვან, ბავშვები ჩემთან დარჩებიანო!.. დედა პასუხად გაიძახოდა: ჩემს შვილებს შენ არ დაგიტოვებ, ნახავ, სასამართლო ვის მხარეს დაიჭერსო!.. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსამართლემ ბავშვებთან გასაუბრება მოინდომა. იმ ღამეს მამა მე და გვიდოს გვერდით მოგვიჯდა და გვითხრა: თუ დედათქვენს გაჰყვებით, ორივეს თავებს დაგაჭრით, ვერსად დამემალებით, ცოცხლებს არ დაგტოვებთო... მთელი ღამე ვეღარ დავიძინეთ. მამა დედას ხშირად სცემდა, ამიტომ გვეგონა, რომ ჩვენც სასტიკად გაგვისწორდებოდა. მაინც მოვიკრიბე გამბედაობა და როცა მოსამართლემ მკითხა — ვისთან გსურს დარჩენა, დედასთან თუ მამასთანო? — ვუპასუხე — დედასთან-მეთქი. გვიდომ ვერ გაბედა მამის წინააღმდეგ წასვლა. მან თქვა — მამასთანო. მოსამართლემ საშინელი განაჩენი გამოიტანა — და-ძმა ერთმანეთს დაგვაშორა, მე დედასთან ცხოვრების ნება მომცა, გვიდოს კი — არა. ჩვენი უბედურებაც ამ განაჩენიდან დაიწყო. მამაჩემმა და მისმა ნათესავებმა გადაწყვიტეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ და მე და დედა ერთმანეთისთვის დავეცილებინეთ. ასე ვიქეცი დავის საგნად. ვინ მოთვლის, ამის გამო რამდენი ტანჯვა გადავიტანე!

— განქორწინების შემდეგ სად ცხოვრობდით?

— სასამართლომ ბინა შუაზე გაყო. ნახევარ სახლში მე და დედა ვცხოვრობდით, მეორე ნახევარში კი — მამა, მამიდა, ბებია და გვიდო. მამა უფლებას არ გვაძლევდა, რომ ერთად გვეთამაშა. ეზო გადაღობა. რომ დაენახა, ღობესთან ვიდექით და ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ორივეს სასტიკად დაგვსჯიდა. ჩვენთვის სატანჯველის შემსუბუქებას არც მამიდა და ბებია ცდილობდნენ, პირიქით, გვიდოს ათასგვარი ნუგბარით ანებივრებდნენ, მაშინ, როცა მე და დედა თითქმის სულ მშივრები ვიყავით. დედა არ მუშაობდა. მისი მშობლები თუ გამოგვიგზავნიდნენ საჭმელს, ეს იყო და ეს. თითქოს მამას და მის ნათესავებს ჩემზე შურისძიება უნდოდათ. ერთ დღეს, მეზობლის ქალმა დედა სამუშაოდ ქარხანაში წაიყვანა. დედას მუშაობა ღამის ცვლაშიც უწევდა. მე შინ მარტო ვრჩებოდი. ამ დროს ბებია მთელი ხმით გაკიოდა: დედობის უფლება უნდა ჩამოართვან, ბავშვს ღამით მარტო როგორ ტოვებსო!.. რამდენჯერმე შუაღამისას უბნის რწმუნებული და სკოლის დირექტორი მოვიდნენ. მკითხეს: სახლში მარტო ხარო?.. მოგვიანებით კი მათ სასამართლოზე თქვეს: შვილს არ უვლის, ღამით სახლში არ მიდის, ბავშვს მარტო ტოვებსო...

— სასამართლო რატომღა გაიმართა?

— მამას და ბებიას უნდოდათ, დედაჩემისთვის დედობის უფლება ჩამოერთმიათ. ისინი ჰყვებოდნენ, რომ დედა უწესო ქალი იყო, სვამდა, სახლში კვირაობით არ მოდიოდა, ზოგჯერ კი მამაკაცები მოჰყავდა. მათ მოწმეებად მეზობლები დაუდგენენ, არ ვიცი, ასე რატომ მოიქცნენ. დედაჩემს რას ერჩოდნენ, დღემდე ვერ ვხვდები. ალბათ, მიზეზი ის გახლდათ, რომ დედა სიგარეტს ეწეოდა. სოფელში ეს განსაკუთრებით ცუდ საქციელად აღიქმებოდა. როცა დედა ეზოში სიგარეტით გადიოდა, ვინც კი ხედავდა, ყველა წყევლიდა... ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ სასამართლოზე ჩემი ძმაც ალაპარაკეს. გვიდომ თქვა: დედაჩემი ცუდი ქალია, სახლში ვიღაც კაცი მოჰყავს ხოლმე, ისინი ერთმანეთს კოცნიან, მე ჭუჭრუტანიდან ვუყურებო... სანამ მოსამართლე განაჩენს გამოიტანდა, დედამ მითხრა: აქედან გავიქცეთ, თორემ, ერთმანეთს დაგვაშორებენო — ხელი ჩამკიდა და ქუჩაში გამოვცვივდით. დიდხანს ვირბინეთ. ბოლოს ორივენი გავჩერდით. ძალიან დავიღალე, ვეღარ ვსუნთქავდი. ისეთი შეშინებული ვიყავი, ხმას ვერ ვიღებდი. მეგონა, მამაჩემი გამოგვეკიდებოდა, დაგვიჭერდა და დაგვხოცავდა. ერთხანს ასე ვიდექით. მოულოდნელად მამაჩემი გამოჩნდა. დედას ცემა დაუწყო, მე ისევ გავიქეცი. მამამ ეს რომ დაინახა, დამედევნა, თმაში მწვდა და ისე მომცხო, მიკვირს, რომ არ მოვკვდი. იმავე წუთს საბურავების ღრჭიალის ხმა გავიგონე. დედაჩემი ავტობუსის ქვეშ ეგდო. ხალხი ყვიროდა. სხვა აღარაფერი მახსოვს... რამდენიმე დღე მაღალი სიცხე მქონდა, ვბოდავდი, საწოლიდან წამოდგომას ვერ ვახერხებდი. ყველანი მეზიზღებოდნენ: მამა, ბებია, მამიდა, გვიდოც კი... მითხრეს: დედაშენი დაიღუპაო. თურმე, ცოცხალი გადარჩენილა.

— არ მოგაკითხა?

— არა. ექიმებმა თქვეს, რომ დედა 3 თვის ფეხმძიმე ყოფილა და ბავშვი დაკარგაო. ამის შემდეგ როგორღა გაბედავდა მოსვლას?! მამაჩემი ხომ მოკლავ-

და. ორსულად სხვა კაცისგან იყო. თანაც ჩვენზე არანაირი უფლება აღარ ჰქონდა — სასამართლომ მას დედობა ჩამოართვა... გავიდა წლები. სკოლას რომ ვამთავრებდი, ჩემმა ნათლიამ საიდუმლოდ გამანდო, დედაშენი ცოცხალია, თბილისში ცხოვრობსო. მე კი ეს საიდუმლო ჩემს ძმას გავუმჟღავნე. გვიდო სანამ ჯარში წავიდოდა, დედა მოძებნა. თურმე, საბრალო ქალი ცუდად გამხდარა, კარი რომ გაუღია და თავგადაპარსული ბიჭი დაუნახავს, მაშინვე უგონოდ დაცემულა... გვიდომ ეს ამბავი მაშინ მიამბო, როცა სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა და დაგვიბრუნდა. მამას უკვე მეორე ცოლი და 9 წლის გოგონა ჰყავდა. ვერ ვიტყვი, ცუდი მამობა გაგვიწია-მეთქი. იმ ავბედითი დღის შემდეგ, როცა დედას ავტობუსი დაეჯახა, მამა ერთიანად შეიცვალა. სულ თვალებში შემოგვციცინებდა, ჩვენზე ზრუნავდა. ავად თუ ვიყავით, ღამეებს გვითენებდა. გვეუბნებოდა, რომ ჩვენი ბედნიერებისთვის სიცოცხლესაც კი გასწირავდა. ორივეს ძალიან შეგვაყვარა თავი. არც ბებიას და მამიდას მოუკლიათ სითბო, ჩვენ კი მაინც დედა ვარჩიეთ. მე და გვიდომ ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ და თბილისში ჩამოვედით ქალთან, რომელიც მთელ სამყაროს გვერჩივნა...

განქორწინების დროს ყველაზე მეტად რომ ბავშვები იჩაგრებიან, ეს უდავოა. მაგრამ კიდევ უფრო რთულდება მდგომარეობა, როცა ცოლ-ქმარი შვილებს ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იყენებს. რას ითვალისწინებს კანონი? როცა განქორწინება გარდაუვალია, ვისთან რჩებიან ბავშვები?

ლარისა ზარნაძე, *ადვოკატი:*

— როგორც წესი, შვილი დედასთან რჩება. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სასამართლო შვილს მამას მიაკუთვნებს. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ქალს დედობის უფლება აქვს ჩამორთმეული ან თავად ამბობს შვილებზე უარს. სულ ახლახან სასამართლო პროცესზე ქალმა განაცხადა, რომ შვილს ვერ მოუვლიდა. ლაპარაკი იყო 2 წლის გოგონაზე, რომელიც ამ ქალბატონს მეორე ქმართან შეეძინა. რადგან ის პირველ ქმართან ბრუნდებოდა, ფიქრობდა, რომ ბავშვი ოჯახური მყუდროების შექმნაში შეუშლიდა ხელს... არის შემთხვევები, როცა ჯობს, ბავშვმა მამასთან იცხოვროს, რადგან დედა თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. წლების წინ მოხდა ასეთი შემთხვევა: ორშვილიანი ქალი გათხოვდა. ერთ ავბედით საღამოს კი, მამინაცვალმა ბავშვები ღამით ქუჩაში გამოყარა. საბრალო პატარებმა მთელი ღამე რკინიგზის სადგურში გაათენეს. დედა მათ არ გამოჰყვა. მიზეზად ასეთი რამ დაასახელა: არ მინდოდა, ბავშვების გამო მეორე ქმართან ურთიერთობა გამფუჭებოდაო... ხომ ჯობდა, ეს ბავშვები სასამართლოს თავიდანვე მამისთვის მიეკუთვნებინა?!

— როცა მოსამართლე ამბობს, რომ ბავშვები დედასთან რჩებიან, მამების პრეტენზიები მთავრდება თუ ისინი განაჩენს აპროტესტებენ?

— სასამართლო უპირატესობას დედას ანიჭებს. ამიტომ მამა იძულებულია, რომ დათანხმდეს. ამის შემდეგ იწყება დავა ნახვის საათებზე. კაცს 5-6 წლამდე ასაკის ბავშვის დედის გარეშე ბინიდან გაყვანის უფლება არა აქვს. მას შეუძლია, მივიდეს ქალის სახლში და იქ მარტო დარჩეს ბავშვთან. მაგრამ შვილს ვერც სასეირნოდ წაიყვანს და ვერც დასასვენებლად. თუ ბავშვი 6 წელზე მეტისაა, მამას შეუძლია, გარკვეული ვადით ის თავისთან წაიყვანოს. განსაკუთრებით რთული ვითარება იქმნება, როცა ბავშვები გარდატეხის ასაკში არიან. ისინი აგრესიულობით გამოირჩევიან და ზოგჯერ მამას მუშტებსაც კი უღერებენ. სამწუხაროდ, ასეთ დროს დედები იოლად ახერხებენ, შვილები ყოფილი ქმრების წინააღმდეგ აამხედრონ. მოზარდები დედის გავლენის ქვეშ იოლად ექცევიან და მამას შეურაცხყოფენ. სულ ახლახან გვქონდა შემთხვევა, როცა ერთმა ასეთმა მოზარდმა მამის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა — აქაოდა, ჩემს უფლებებს არღვევსო...

— როცა ბავშვი 6 წლამდე ასაკისაა და მამასთან ცხოვრება სურს, სასამართლო მის სურვილს ითვალისწინებს?

— არა. როცა ბავშვი 10 წლის გახდება, მხოლოდ მაშინ აქვს უფლება, აირჩიოს, თუ ვისთან სურს დარჩენა. ასეთ დროსაც კი, მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ბავშვი სანდო ხელში ხვდება. სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევაც ხშირია, როცა ქალი და კაცი დაობენ, მაგრამ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, შვილი აღარც კი ახსენდებათ. ერთი მამა გაშმაგებული დაობდა, რომ 2 საათის მაგივრად ორსაათ-ნახევრით ჰქონოდა ბავშვთან ურთიერთობის უფლება. ამ ნახევარი საათის გამო ვერ თანხმდებოდნენ. ბოლოს, ქალმა დათმო. რამდენიმე თვეში კაცი საზღვარგარეთ წავიდა და წლების მანძილზე შვილი აღარც კი გახსენებია.

— თუ არის შემთხვევები, როცა ბავშვის გამო ახლო ნათესავები დაობენ?

— როცა ქალი გარდაიცვლება, მისი დები იწყებენ დავას. მათ სურთ, რომ დისშვილები დედინაცვლის ხელში არ ჩააგდონ და თვითონ აღზარდონ. ასეთი სასამართლო პროცესები განსაკუთრებული ხმაურიანობით გამოირჩევა. იყო შემთხვევა, როცა ქმარმა ცოლი მოკლა. ბავშვების მზრუნველობა დეიდამ იკისრა. საერთოდ, როცა ბავშვი ქუჩაში რჩება, მასზე მზრუნველობა სახელმწიფომ უნდა იკისროს. მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, რომელიც ცოლ-ქმრის განქორწინებისას, იცავს საკუთრების უფლებას და არ იცავს იმავე სახლში გაზრდილი ბავშვების უფლებას. ასე რომ, ჩვენს ქვეყანაში ბავშვის უფლებებს პირველ რიგში, სახელმწიფო არღვევს...

პატარა ინგა სულ რაღაც 4 წლის იყო, როცა მისი მშობლები განქორწინდნენ. მაგრამ მას კარგად ახსოვს მაშინ განცდილი ტკივილი. მისი მშობლები ცივილიზებული ადამიანებივით შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა აღეზარდათ შვილი. მაგრამ როცა კაცმა მეორედ დაოჯახება გადაწყვიტა, ყველაფერი თავდაყირა დადგა. ყოფილმა ცოლმა შურისძიება გადაწყვიტა და მამას შვილის ნახვა აუკრძალა. პატარა ინგამ გადაწყვიტა, ხელები დაეწვა. მამა ხომ მის სანახავად აუცილებლად მოვიდოდა და აღარც დედა ეტყოდა უარს ავადმყოფ შვილს მამიკოსთან ჩახუტებაზე...

ინგა, *38 წლის:*

— მახსოვს, დიდი სახლი გვქონდა. მამაჩემის საწოლიც უზარმაზარი იყო. როცა ბებია იტყოდა — აბა, ინგა, მოემზადე, მალე დედაშენი მოვა და წაგიყვანსო, — საწოლში ვიმალებოდი, საბანს თავზე ვიფარებდი და გულამოსკვნილი ვტიროდი. დედა მიყვარდა, მაგრამ იმ სახლში მინდოდა ყოფნა, სადაც დავიბადე... სკოლაში რომ მივედი, მამამ სწორედ იმ დღეს მითხრა, რომ დაქორწინებას აპირებდა. მე ეს ამბავი დედას „ვახარე“. მაშინვე მითხრა — ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ვეღარასდროს განახავსო.

— მუქარა შეასრულა?

— მეორე დღეს, როცა მამამ სკოლაში მომაკითხა, მასწავლებელმა უთხრა: თქვენმა მეუღლემ გამაფრთხილა, ბავშვი მის გარდა არავის გავატანოო. მალე დედაც მოვიდა. მახსოვს, როგორ გაფითრდა მამაჩემი, როცა დედა წინ ამეფარა და თქვა: გეფიცები, შენი შვილის ნახვას ვეღარასდროს ეღირსებიო... მამას ეგონა, გადაიფიქრებდა, მაგრამ 2 თვის მანძილზე დედამ ჩემთან დალაპარაკების უფლებაც რომ არ მისცა, მამაჩემმა სასამართლოს მიმართა. ცხადია, მოსამართლემ მამას ჩემი ნახვის უფლება მისცა, მაგრამ დედამ ჯიუტად განაცხადა, მოვკვდები, მაგრამ ბავშვს არ ვაჩვენებო. ყოველთვის მოწესრიგებულმა და გაწონასწორებულმა მამამ ერთ საღამოს დედას ჩხუბი აუტეხა. დედამ მილიციაში დარეკა. მამა დაიჭირეს და 7 დღე საკანში ჰყავდათ გამომწყვდეული. 2 კვირის შემდეგ, იგივე გამეორდა. ფანჯრიდან ვუყურებდი, როგორ გადაუგრიხეს მილიციელებმა მამას ხელები და მანქანაში ჩასვეს. ვტიროდი, სხვა რა შემეძლო?! მამისეული სახლი ისე მენატრებოდა, რომ სულ ვოცნებობდი, სიზმარში მაინც მენახა...

— დიდხანს გაგრძელდა მშობლების დავა?

— მამამ სმა დაიწყო. დათვრებოდა ხოლმე და ჩვენს კარზე ბრაგაბრუგს ატეხდა. ასეთ დროს, ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანდა. მეგონა, დედას სი-

ბრაზე გადაუვლიდა და მამას დაუთმობდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ალბათ, მამას დავიდარაბა მოსწყინდა. დედასთან სამსახურში მივიდა და უთხრა: თუ არ გინდა შვილის აღზრდაში დაგეხმარო, შენი ნებაა. იცოდე, შემეხვეწები — მოდი და ბავშვი მოინახულეო... იმ დღიდან მოყოლებული, მამა აღარ გამოჩენილა. მე კი ველოდი. მეგონა, ახალ წელს მოვიდოდა. ახალი წელი რომ გავიდა, ვიფიქრე, 8 მარტს მოვა-მეთქი, მერე — პირველ მაისს ველოდი. ჩემს დაბადების დღეზეც რომ არ გამოჩნდა, მივხვდი — მიმატოვა. ერთადერთი რაც მოვიფიქრე, ხელების დაწვა იყო. თუ ავად გავხდები, გული არ გაუძლებს და მოვა-მეთქი. დედა მურაბას ადუღებდა. „გაზთან“ მივიპარე და ორივე ხელი შიგ ჩავყავი. მეტი აღარაფერი მახსოვს — ტკივილისგან გონება დავკარგე. ხელები ისე დავიწვი, რომ მაშინდელი იარების კვალი ახლაც მემჩნევა. საავადმყოფოში ერთი თვე ვიწექი, არ ეგონათ, თუ ოდესმე თითებს ავამოძრავებდი. დედამ მამას დაურეკა და ეს ამბავი შეატყობინა. მამამ უპასუხა — ახლა შენ მეხვეწე, ჩემი ხვეწნა ხომ არ შეისმინეო!.. ჩემს სანახავად არ მოვიდა. მათ ჩემზე არ იფიქრეს. არ აინტერესებდათ, მე რას ვგრძნობდი. რომ შესძლებოდათ, შუაზე გამგლეჯდნენ და ისე გამიყოფდნენ...



სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უმიზეზო შიში და შფოთიანობა უვითარდებათ, უფრო მოზრდილები შეიძლება, ღრმა დეპრესიაში ჩაცვივდნენ...

იმ ბავშვების სულიერი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მშობლებმა ბრძოლის იარაღად აქციეს, განსაკუთრებით ბევრ ინფორმაციას პედაგოგები ფლობენ. როგორც მათგან შევიტყვე, კლასს თვალს რომ გადაავლებენ, უკვე ხვდებიან, რომელი ბავშვის მშობლები არიან განქორწინებულები...

ვენერა მაისურაძე, *პედაგოგი:*

— ბევრი შემთხვევა მახსენდება, როცა ბავშვები გამუდმებით იმის მოლოდინში იყვნენ, თუ ვინ მოვიდოდა მათ წასაყვანად — დედა თუ მამა. მაგრამ გიგას ამბავი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. გიგა მეოთხე კლასში იყო, როცა დედამისმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სულ მალე, სხვა მოსწავლეებმა მითხრეს — მასწავლებელო, გიგა სხვა სკოლაში გადადის, დეიდას მიჰყავს აღსაზრდელადო. მაშინ მასწავლებლებს გვევალებოდა, ჩვენი მოსწავლის ოჯახის შესახებ ყველაფერი გვცოდნოდა. ამიტომ დაკრძალვის მეორე დღეს, გიგას მამას ვესტუმრე. მან მითხრა: ცოლის ნათესავებს გიგას წაყვანა უნდათ, მაგრამ მე არ დავთმობ, შვილს ვერავინ წამართმევსო. მართლაც, სასამართლომ ბავშვის აღზრდა მამას დააკისრა. ვფიქრობდი, რომ ამით პრობლემა მოგვარდებოდა, მაგრამ ერთ საღამოს, გიგა სკოლიდან სახლში არ მივიდა. ატყდა აღლიაქოთი, ბავშვი დაიკარგა. ცხადია, დეიდასაც მიაკითხეს, მან იუარა, თქვა — გიგასთვის თვალიც არ მომიკრავსო. 3 თვის მანძილზე არავინ იცოდა ბიჭის ადგილსამყოფელი. თბილისში რას აღარ ამბობდნენ, ჭორებს ბოლო არ უჩანდა, ბიჭუნას მამა და ბებია სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. ბავშვი თითქოს ცამ ჩაყლაპა... მახსოვს, ახალი წლის საღამო იყო. ერთმა მშობელმა შემატყობინა — გიგა იპოვეს, მაგრამ მძიმედ არის, საავადმყოფოში წევსო. მაშინვე მის სანახავად წავედი. თურმე, დეიდას ჰყოლია დამალული. გვიან საღამოს ისინი სასაფლაოზე წასულან. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ნაცნობს დაუნახავს და მილიციისთვის შეუტყობინებია. ჩელუსკინელების ხიდთან რომ მისულან, ქალს საფრთხე უგრძნია. მიმხვდარა, ალყაში რომ იყო. ჩემი დის მკვლელს შვილს არ ვაღირსებო, — დაუყვირია და სწრაფი მოძრაობით გიგა ხიდიდან გადაუგდია. თვითონაც ხტებოდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. მილიციამ დააკავა... ამ ამბავში ყველაზე დაუჯერებელი ის არის, რომ პატარა გიგა ყინულივით ცივი წყლიდან ცოცხალი ამოიყვანეს. გადარჩა. უფროსების შურისძიების მსხვერპლი არ გახდა. თუმცა ამ ამბავმა საშინელი კვალი დატოვა მის სულში. მთელი წლის მანძილზე სკოლაში სიარული ვერ შეძლო. შიშები დასჩემდა, ეჩვენებოდა, რომ მისი მოტაცება უნდოდათ. დიდი სულიერი ტრავმა გადაიტანა. მაგრამ მაინც გაუძლო... ახლა კარგი კაცია, კარგი ოჯახი აქვს და დარწმუნებული ვარ, თავისი შვილების ფსიქიკას მუდამ გაუფრთხილდება.

განქორწინების დროს, იფიქრეთ იმაზეც, როგორ აისახება ოჯახის დანგრევა თქვენს შვილებზე. ნუ აქცევთ ბავშვებს დავის საგნად. იცოდეთ, ისინი იტანჯებიან. მათ ცხოვრებაში ყველაზე მძიმე ეტაპი, სწორედ მშობლების განუწყვეტელი ჩხუბი და უსიამოვნებაა.

ძეთინო თავართქილაძე, *ფსიქოლოგი:*

— ასეთ დროს, პატარები იწყებენ ჩასველებას, ხშირად ტირიან, ცდილობენ, მშობელს გვერდიდან წუთითაც არ მოსცილდნენ. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უმიზეზო შიში და შფოთიანობა უვითარდებათ, უფრო მოზრდილები შეიძლება, ღრმა დეპრესიაში ჩაცვივდნენ, გაუჩნდეთ ფიზიოლოგიური დარღვევები: თავის, კუჭის ტკივილი, ღამის კოშმარები, ენურეზი. სკოლაში ეს ბავშვები უმართავები ხდებიან და ყურადღების კონცენტრირებას ვერ ახერხებენ, ნორმალურ სწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუმცა, ზოგიერთ ბავშვს შეიძლება, სრულიად საწინააღმდეგო რეაქცია გაუჩნდეს — ყურადღება მთლიანად სწავლაზე გადაიტანოს. ეს მძიმე ყოფითი სიტუაციისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესანიშნავი ხერხია. ზოგიერთ მოზარდს იმის შიშიც უჩნდება, რომ მშობლების მსგავსად, მომავალში მასაც ოჯახური დრამა ელის.

— როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა განქორწინება გარდაუვალია? უნდა ვკითხოთ ბავშვს, რომელ მშობელთან სურს დარჩენა?

— ამ ურთულეს მდგომარეობაში ბავშვებს ნუ ჩააყენებთ. ნუ გაიმეტებთ შვილებს ისეთი სატანჯველისთვის, რომელსაც ასე პირდაპირ და უხეშად დასმული კითხვა გამოიწვევს. ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, განქორწინების დროს შვილი დედასთან რჩება, მაგრამ იშვიათი გამონაკლისებიც ხდება. ამიტომ რა საჭიროა, შვილი ასეთი სასტიკი არჩევანის წინაშე დააყენოთ?!. თქვენი ემოციური მდგომარეობა უდიდეს როლს ასრულებს შვილების ცხოვრებაში. ამიტომ ყველა ღონე უნდა იხმაროთ, რათა ისე განქორწინდეთ, როგორც ცივილიზებულ ადამიანებს შეშვენის. ბავშვებს განქორწინების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ უნდა აცნობოთ, როცა საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ამ საუბარს ორივე მშობელი უნდა ესწრებოდეს, რათა ერთ-ერთი მათგანი მეორის დადანაშაულების სურვილმა არ აცდუნოს. აუხსენით პატარებს, თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი მათ ცხოვრებაში. დაარწმუნეთ ბავშვები იმაში, რომ ისევ ძველებურად გიყვართ და ორივეს მაშინაც ძალიან გეყვარებათ ისინი, როცა ერთად არ იცხოვრებთ. პატარა ადამიანისათვის ეს სიტყვები სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნება. ■

როგორ დავანებოთ თავი სიგარეტს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ათასობით ადამიანი, როგორც კი აცნობიერებს ორგანიზმზე ნიკოტინის მავნე ზეგავლენას, განუწყვეტლივ ცდილობს, თავი დაანებოს სიგარეტს, მაგრამ მიზნის დასახვისა და დიდი სურვილის მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებს ამას.

აღმოსავლური სიბრძნე ღაღადებს: „ათასმილიანი გზაც კი პირველი ნაბიჯით იწყება“. როგორ გადავდგათ ეს ყველაზე რთული პირველი ნაბიჯი, რათა განვმტკიცდეთ მიზანში და შემდგომ, ყოველდღიურად სულ წინ მივიწევდეთ? ამაში მწეველებს შემდეგი მარტივი წესები დაეხმარება:

● შეარჩიეთ სიგარეტის გადაგდებისათვის კონკრეტული დღე და ეცადეთ, ამ დღის დადგომამდე სათანადოდ განეწყოთ. წინადღეს კი უბრძანეთ საკუთარ თავს — „არ მოსწიო!“

● თქვენი მხედველობის არიდან (სახლიდან, სამუშაო მაგიდიდან, საკუთარი ავტომანქანიდან) გააქრეთ სიგარეტის წევასთან დაკავშირებული ყველა ნივთი: ასანთი, სანთებელა, სიგარა ან სიგარეტი, საფერფლე.

● სთხოვეთ კოლეგებსა და მეგობრებს, რომლებთან ერთადაც გიწევთ ყოფნა, ნუ

შემოგთავაზებენ სიგარეტს და ნუ მოსწევენ თქვენი თანდასწრებით.

● თუ ეს შესაძლებელია, დაარწმუნეთ თქვენთან კონტაქტში მყოფი ადამიანები, რომ მათაც თქვენთან ერთად დაანებონ თავი მოწევას: თანამოაზრეებთან ერთად გაგიიოლდებათ მიზნისკენ სიარული.

● ყოველთვის დაისახეთ ერთდღიანი მიზანი. უთხარით საკუთარ თავს, რომ სიგარეტს სამუდამოდ კი არ აგდებთ, არამედ მხოლოდ დღეს არ მიეკარებით. ხვალაც იგივე გაიმეორეთ და ასე განაგრძეთ ყოველდღე. ასეთნაირად თავის მოტყუება აუცილებელია, რადგან სტაჟიან მწეველს სიგარეტისთვის სამუდამოდ თავის დანებება არარეალური ამოცანა ჰგონია, შორეულ პერსპექტივაზე ორიენტირებული მიზანი კი — მიუღწეველი.

● ყოველთვის, როცა მოწევა მოგინდებათ, ეცადეთ, თავიდან მოიშოროთ ეს ფიქრი და ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოთ: გამონახეთ საქმე, რომელიც ყურადღების კონცენტრირებას საჭიროებს, ან ვინმეს ეთამაშეთ ჭადრაკი, შაში, ამოხსენით კროსვორდი. თქვენ შეამჩნევთ, რომ 1-2 წუთში გადაგივლით სიგარეტის მოწევის სურვილი.

● გააცნობიერეთ სიგარეტზე უარის თქმის მატერიალური უპირატესობა. სიგარეტის გადაგდებიდან 1,5-2 თვის შემდეგ უეცრად აღმოაჩენთ, რომ ჯიბეში გაგიჩნდათ დამატებითი ფული, რომლითაც სიგარეტზე ბევრად უფრო სასიამოვნო ნივთების ყიდვა შეგიძლიათ. აუცილებლად გაანებივრეთ საკუთარი თავი ამ დანაზოგით.

● თუ სიგარეტისთვის თავის დანებება დღეს არ გამოგივიდათ, გულს ნუ გაიტეხთ, ნუ დაადანაშაულებთ საკუთარ თავს უნებისყოფობაში. ეცადეთ, ყველაფერი თავიდან დაიწყოთ. ოდესმე აუცილებლად შეძლებთ მიზნის მიღწევას.

● ყველაზე დიდი საჩუქარი კი, შემდგომში გელოდებათ. ეს გახლავთ ჯანმრთელობა, კარგი თვითშეგრძნება, სახის ჯანსაღი ფერი, სუფთა ბრონქები და მსუბუქი სუნთქვა.

■

გაუგონარი ბავშვის სინდრომი

რა აკავშირებს ერთმანეთთან ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ჯონ კენედის, მხატვარ სალვადორ დალის, რეჟისორ სტივენ სპილბერგს, კალათბურთელ მაიკლ ჯორდანსა და მომღერალ შერს? ახალგაზრდობაში ყველა მათგანს ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა და მეტისმეტი აგზნებადობა აწუხებდა. ექიმებს მათთვის ბავშვობაში რომ დაედგინათ დიაგნოზი: „ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტთან შერწყმული ფსიქიკური და ფიზიკური ჰიპერრეაქტიულობის სინდრომი (ADHD) და დაენიშნათ მკურნალობა ქიმიური პრეპარატებით, ამით გაანადგურებდნენ მათ უნიკალურ ხასიათსა და შესაძლებლობებს. ასე მსჯელობს ავტორი წიგნისა „ADHD — დიაგნოსტიკის დიდი შეცდომა“.

დაავადება, რომელსაც „გაუგონარი ბავშვის სინდრომს“ უწოდებენ, ექიმებისათვის XX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იყო ცნობილი, მაგრამ დაავადებულთა რაოდენობის გაუგონარი ზრდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. დღეს კი, ახალგაზრდებში ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. ADHD-თი დასნეულებულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობა აშშ-ში ბოლო ათწლეულში 3-დან 15-20%-მდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ კლასში სულ ცოტა 2 მოსწავლე მაინცაა ჭარბი აგზნებადობით შეპყრობილი. თითქმის შვიდჯერ იმატა ჭარბი აგზნებადობისა და ყურადღების კონცენტრაციის უკმარისობის სამკურნალო პრეპარატების რეალიზაციამ. „მთელი უბედურება კი ისაა — ამბობს ექიმი ჰაბერი, — რომ ADHD-ის დიაგნოსტირება და მკურნალობა შემთხვევათა თითქმის 80%-ში გაზვიადებულია და რეალურ მდგომარეობას არ შეესაბამება“.

დაავადება ძირითადად, სკოლის ასაკის ბიჭებში გვხვდება და ვლინდება კონცენტრაციის დარღვევით, იმპულსურობით, საკუთარ შეცდომებზე რაიმის სწავლის უუნარობით, მეტისმეტი უკონტროლო მოძრაობით. ხშირად ანალოგიურად იქცევიან აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანები, რომლებიც უბრალოდ დაიღალნენ მოსაწყენი საქმიანობით. ჭარბი აგზნებადობის დიაგნოზი უნდა დაისვას მხოლოდ მაშინ, თუკი ასეთი სიმპტომები ხშირად იჩენს თავს იმის მიუხედავად, ბავშვი სკოლაში იმყოფება თუ შინ.

ზოგჯერ ბავშვი, რომელსაც სკოლაში ავადმყოფად მიიჩნევენ, სახლში სავსებით ნორმალურად იქცევა. მისი ურჩობის მიზეზი შეიძლება იყოს მიმზიდველი სატელევიზიო გადაცემები. ამერიკელ ფსიქოლოგთა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სატელევიზიო გადაცემების ყურებამ 3 წლის ასაკამდე, შეიძლება გამოიწვიოს კონცენტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები სკოლის ასაკში. ტელევიზორის წინ გატარებული ყოველი საათი რისკს თითქმის 10%-ით ზრდის. ბავშვების ეკრანებთან მისატყუებლად, გადაცემათა პროდიუსერები ინტენსიურ ბგერით და ვიზუალურ იმპულსებს იყენებენ. ტვინი ეჩვევა ასეთ „დაბომბვას“ და ნორმალური ცხოვრება პატარას უკვე მოსაწყენი ეჩვენება. ასეთსავე ზემოქმედებას ახდენს რეკლამაც, რომლის ცქერაც ასე უყვართ ბავშვებს.

ჭარბი აგზნებადობა, რომელიც ფსიქიკური დაავადების ნიშნად შეიძლება

ჩაითვალოს, არ წარმადგენს ცუდი აღზრდის პროდუქტს. ფსიქიატრთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მხოლოდ ყოველი მეხუთე პაციენტის შემთხვევაშია დამნაშავე გარემო პირობები. მიზეზთა შორის შეიძლება იყოს ტვინის უმნიშვნელო ტრავმა ან დედის მიერ ალკოჰოლის მოხმარება ორსულობის პერიოდში. 80%-ში დაავადება გენეტიკურადაა განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ მომწიფების პროცესში ტვინს შეუძლია გაუმკლავდეს ჭარბ აგზნებადობას, დაავადებულთა ნახევარი მოზრდილობაშიც ვერ აღწევს თავს ADHD-ს. აგზნებადი ადამიანები ცდილობენ, თვითნებურად იმკურნალონ, ჯერ ტკბილეულით, შემდეგ — კოფეინით, სიგარეტით, ალკოჰოლით და ნარკოტიკებით. მათ არ შეუძლიათ კოლექტივში მუშაობა, არღვევენ ვადებს, რადგან ნებისმიერი წვრილმანი უფანტავთ გონებას. ცნობილია, რომ ADHD-თი დაავადებული მოზრდილი პაციენტები წლის განმავლობაში თითქმის 10 ათასი დოლარით ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე მათი ჯანმრთელი კოლეგები. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, დაავადება იქცევა საყვარელი საქმისადმი თავის მიძღვნის საშუალებად. კენედის, სპილბერგის და ჯორდანის მაგალითები მოწმობს, რომ ჭარბი აგზნება შეიძლება უპირატესობაც იყოს, მაგრამ — მხოლოდ გამორჩეულ ადამიანებში, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის კი იგი მძიმე ტვირთია.



ბოლო დრომდე, ADHD გამოგონილ დაავადებად მიაჩნდათ, რადგან არ იყო აღმოჩენილი დაავადებულთა ტვინის სტრუქტურული ცვლილებები. მაგრამ 2003 წელს, მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის მეშვეობით დაადგინეს, რომ პაციენტებს აქვთ ტვინის რუხი ნივთიერების კონცენტრაციის მატებისა და გაიშვიათების უბნები. ■

ყველაზე მარტივი დიეტა — სიცილი

სიცილი, ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ნებისმიერი დიეტის აუცილებელი დამატებაა. მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი და დაადგინეს, რამდენი კალორია იწვება სიცილისას.

მოხალისეები ჩასვეს სპეციალურ კამერაში, რომელიც ორგანიზმის ენერგეტიკულ დანაკარგებს განსაზღვრავს. გამოსაცდელებს ტელევიზორში უჩვენებდნენ სასაცილო სიუჟეტებს, უკრძალავდნენ მოძრაობასა და ლაპარაკს, რათა ზედმეტი ენერგია არ დაეკარგათ. აღმოჩნდა, რომ დღეში 10-15-წუთიანი ხარხარი 10-დან 50 კალორიამდე ენერგიას წვავს. ამგვარად, მხოლოდ სიცილის წყალობით, წლის განმავლობაში, 2 კგ წონის დაკარგვა შეიძლება. ■

სუნი ავარიის მიზეზი ხდება

სუნი მანქანის სალონში ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელთა გამოც მძღოლი საჭესთან სტრესს განიცდის, სიჩქარეს უმატებს და ავარიას ახდენს. ბრიტანელმა სპეციალისტებმა, რომელთაც საჭესთან ადამიანის ცხოვრების ხარისხი შეისწავლეს, დაადგინეს, რომ გვირილის, ჟასმინის, ლავანდის სუნი მეტისმეტად ადუნებს მძღოლს, რაც ზრდის ავარიის რისკს. ასევე ნეგატიურად ზემოქმედებს ავტომოყვარულებზე ახალმოწყვეტილი ბალახის სუნი, რომელიც ავიწყებს მძღოლს სიჩქარის არსებობას; სუნამოებისა და გაპარსვის შემდგომ მოსახმარი ლოსიონების სურნელი, რომლებსაც მძღოლის ყურადღება გზიდან ეროტიკულ ფანტაზიებზე გადაქვთ. ყურადღების კონცენტრირებას კი ხელს უწყობს ლიმონის, ყავის, „ახალი მანქანის“ სუნი, აგრეთვე ზღვის ჰაერი. ■



პირველ რიგში ოჯახის ჯანმრთელობა

ქალების 70% თავისი ოჯახის წევრების გულისათვის რისკავს საკუთარი ჯანმრთელობით — იტყობინებიან ინგლისელი სოციოლოგები. საუბარია არა განსაკუთრებულ გმირობაზე, არამედ იმაზე, რომ ამ რაოდენობის ქალი საკუთარ ჯანმრთელობას უკანასკნელ ადგილზე აყენებს და გაცილებით დიდ ყურადღებას უთმობს ქმრისა და შვილების ინტერესებს, მათ კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას. ამასთან, გამოკითხული ქალების 20% ამბობს, რომ საერთოდ არ აქცევს საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებას.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ასეთ გულგრილ დამოკიდებულებაში დამნაშავეა ბუნება, რომელმაც ქალს ყველაზე ძლიერ ინსტინქტად დედობისა და ჯანსაღი შთამომავლობის შენარჩუნების ინტინქტი ჩამოუყალიბა. ■



სახის კანი და მისი მოვლის თავისებურებანი

ლამაზ და ჯანმრთელ კანს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის, მით უმეტეს ქალის გარეგნობისთვის. სამწუხაროდ, ყველამ არ იცის, როგორ უნდა მოუაროს საკუთარი სახის კანს ისე, რომ მომხიბლავად გამოიყურებოდეს. რჩევებს იმის თაობაზე, თუ როგორ მოვუაროთ სახის კანს, კოსმეტოლოგი ლუიზა ძუთელია გვაძლევს.

სოფო ჭონიშვილი

— პირობითად, სახის კანის ოთხ ტიპს განასხვავებენ: ნორმალურს, ცხიმიანს, მშრალსა და კომბინირებულს.

— მაშინ, პირველ რიგში ის გვითხარით, როგორ დავადგინოთ, თუ რა ტიპის კანი გვაქვს?

— თუ თქვენი სახის კანი თანაბრადაა შეფერილი, მკვრივი, სუფთა და ცოცხალია, თუ არ შეიმჩნევა ფორები, ფერიმჭამელები, გაფართოებული სისხლძარღვები, თანაც კარგად იტანს ცივი წყლით დაბანას, საპონს, სხვადასხვა კოსმეტიკურ საშუალებას, დეკორატიულ კოსმეტიკას — მაშინ, თქვენი სახის კანი ნორმალურია. თუ თქვენი კანი უხეშია, პრიალებს, ზოგჯერ ჭუჭყიანს ჰგავს (ფორთოხლის ქერქს გვაგონებს), ჩვეულებრივ, ასეთი კანის ფორები მკვეთრად გაფართოებულია — მაშინ თქვენი კანი ცხიმიანია. მშრალი კანი კი, მეტი მგრძნობელობით გამოირჩევა, ძალიან ნაზია, ფორები თითქმის შეუმჩნეველია. ასეთი კანი სათანადოდ მოვლის გარეშე ხშირად იქერცლება და ადრეულ ასაკში ჩნდება ნაოჭები. მშრალი კანი მკვეთრად რეაგირებს ტემპერატურის ცვლილებებზე, ცუდად ან საერთოდ ვერ იტანს საპონს, ზოგიერთ მალამოს, კრემს ან კოსმეტიკას. 40-50 წლის ასაკში, ნებისმიერი ტიპის კანი, ნორმალურიც და ცხიმიანიც შეიძლება მშრალი გახდეს. კომბინირებული ანუ შერეული ტიპის კანი ყველაზე ხშირად გვხვდება. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ქალებს ჩვეულებრივ, ცხვირზე, შუბლსა და ნიკაპზე ცხიმიანი კანი აქვთ, ლოყებზე, კისერზე და განსაკუთრებით თვალებთან კი — მშრალი. კომბინირებული კანი ძალიან ცუდად იტანს წყალს და საპონს. ადგილები, სადაც მშრალია კანი, ხშირად იქერცლება და ნაოჭებიც ადვილად ჩნდება.

— როგორი ტიპის კანს სჭირდება მეტი მოვლა?

— საერთოდ, მოვლა და ყურადღება ყველა ტიპის კანს სჭირდება, მაგრამ განსაკუთრებით რთულია ცხიმიანი და მშრალი კანის მოვლა. ცხიმიანი კანისათვის მთავარია სისტემატურად გაწმენდა და ისეთი კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც დაარეგულირებს კანის მდგომარეობას და გაზრდის ინფექციებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ცხიმიანი კანი აუცილებლად უნდა გაიწმინდოთ დღეში ორჯერ. ეცადეთ, პირი წყლით არ დაიბანოთ, განსაკუთრებით ცხელი წყლით. ცხიმიანი კანისათვის ყოველდღე, რძის პროდუქტები უნდა გამოიყენოთ (მაწონი, კეფირი და სხვა); დაბანის შემდეგ კანი ლოსიონით უნდა გაიწმინდოთ. შესაძლებელია, ჩაის ფერიც გამოიყენოთ. ცხიმიან კანს, ყოველდღიურად სჭირდება სპეციალური — დღის და ღამის საცხები. კვირაში ორჯერ რეკომენდებულია მათეთრებელი და გამწმენდი ნიღბები. რაც შეეხება მშრალ კანს, მის მოსავლელად მთავარია სისტემატური კვება, წყლის ბალანსის რეგულირება, მზის სხივებისგან დაცვა. მშრალი კანი უნდა გაიწმინდოთ დღეში ორჯერ მცენარეული ზეთით, კოსმეტიკური რძით ან ნაღებით. ჯერ კიდევ ნამიან კანზე წაისვით დღის საცხები, 15-20 წუთის შემდეგ, თუ საჭიროა, საცხის ნარჩენები კოსმეტიკური ხელსახოცით მოიშორეთ. საღამოს კი ისევ გაიწმინდეთ თხევადი საცხით ან კოსმეტიკური რძით, შემდეგ წაისვით ღამის ცხიმიანი მკვებავი საცხი, რომელიც ვიტამინებს შეიცავს.

— ნორმალურ კანს როგორ მოვუაროთ?

— ნორმალური კანის მოვლის დროს, ეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ კანის ტიპის ეს მდგომარეობა. ამ შემთხვევაში მთავარია, კანი არ გამოშრეს. სახე აუცილებლად უნდა გაიწმინდოთ დღეში ორჯერ. დილით, გაწმენდის შემდეგ, კანზე წაისვით დღის საცხი, რომელიც კანს მზისგან, მტვრისგან ქარისაგან და ა.შ. დაიცავს. 10-15 წუთში საცხის ნარჩენები სახიდან მოიშორეთ კოსმეტიკური ხელსახოცით. საღამოს, პირველ რიგში, სახისა და კისრის კანი გაიწმინდეთ დეკორატიული კოსმეტიკისაგან. შემდეგ დაიბანეთ რბილი საპნით, გაიწმინდეთ ლოსიონით და წაისვით ღამის მკვებავი. კვირაში ერთხელ რეკომენდებულია მკვებავი ნიღაბი.

— დაბოლოს, როგორ მოვუაროთ კომბინირებულ კანს?

— კომბინირებული კანი ძალიან ცუდად იტანს წყალსა და საპონს, ამიტომ რეკომენდებულია დილით სახის დაბანა მცენარეული ნაყენით (პიტნის, სალბის), საღამოს კი, გამოიყენეთ გამწმენდი საცხები (გვირილის ნაყენი, რძიანი ჩაი). კანი გაიწმინდეთ რძიანი ბამბის ტამპონით (დღეში 2-3 ჯერ), შემდეგ კი, უხვად დაისველეთ სახე რძიანი ჩაით. სახის დაბანის შემდეგ, კანი ბამბით ან რბილი ხელსახოცით შეიმშრალეთ, ხოლო ცხიმიანი ადგილები (ცხვირი, ნიკაპი, შუბლი) — ლოსიონით, რის შემდეგაც, მკვებავი საცხი წაისვით. საცხის წასმა აუცილებელია ყოველი დაბანის შემდეგ, ხოლო ნიღაბი კვირაში ერთხელ გაიკეთეთ. ■

...ცენარე, ...ანაც ...შიშს	მსახიობი ... ჰანა	ცირკის მსახიობი, წონასწორობას იცავს მავთულზე	საქარგავი ძაფი	ქალაქი ბელგიაში. 1915 წელს დამარცხდა ნაპოლეონ ბონაპარტე
...ჩ ...ა		...ი ...ს ...ვ	...ი ...ა ...ა ...ლ ...ი ...ნ ...ვ ...ა	
დენით მკვებავი ხაზი	ძაღლის ნაშიერი	თეთრი ლაქა თვალის გუგაზე	ხალისის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი	მდინარე სანკტ-პეტერბურგში	სიმონ ... პეტროსიანი	დაბა დაგომისთან

რა ეზა განვლო ნინოს ჯვარმა სიონის ტაძარში დავანებამდე?

საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში დაცულ ქრისტიანულ სიწმინდეთა შორის, ერთ-ერთი გამორჩეული — ჯვარი ვაზისა, რომელიც ნინოს ჯვრის სახელწოდებითაა ცნობილი, — დღესდღეობით, სიონის საკათედრო ტაძარში ინახება. საეკლესიო გარდამოცემისა და ძველ მატიანეთა („მოქცევაი ქართლისაი“, ლეონტი მროველი, სომხური სვინაქსარი)...

მორენა მერკვილაძე



ჯვარი, რომელიც ვაზის რტოებისა და წმინდა ქალწულის თმისგანაა შეკრული, ნეტარი ქალწულისთვის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს უწყალობებია. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ყველაზე სრული, არსენ ბერისეული (XI-XII სს.) რედაქცია, შემდეგნაირად მოგვითხრობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წყალობის ამბავს. როდესაც რომის მხედართმთავრის, ზაბულონისა და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დის, სოსანას ერთადერთი ასული — ნინო 12 წლის შეიქნა, მისმა მშობლებმა, უფლისათვის მოღვაწეობის სურვილით, მთელი ქონება გაყიდეს და ღარიბ-ღატაკთ დაურიგეს, თავიანთი ასული აღსაზრდელად იერუსალიმის აღდგომის ტაძარში მოღვაწე მოხუც სარა ნიამფორს (ბეთლემელს) მიაბარეს, თვითონ კი, ცხოვრება უფალს მიუძღვნეს: ზაბულონი ბერად აღიკვეცა და უდაბნოში სამოღვაწეოდ გავიდა, ხოლო სოსანა, იერუსალიმის პატრიარქმა, იუბენალმა უძლურ დედათა მომვლელად დაადგინა. აღმზრდელი, ნეტარ ქალწულს ქრისტიანულად ზრდიდა: მოუთხრობდა უფლის ვნების, დაფვლის, აღდგომისა და ზეცად ამაღლების შესახებ. მისგან წმინდა ქალწულმა ისიც შეიტყო, რომ უფლის უკერველი კვართი (პერანგი), რომელიც მაცხოვრისთვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მოუქსოვია, საქართველოში იყო დაფლული. როდესაც წმინდა ნინომ ამის შესახებ შეიტყო, გულმხურვალედ შესთხოვდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ხილვისა და უფლის კვართის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა. ღვთისმშობელმა შეისმინა მისი ვედრება, ძილსა შინ გამოეცხადა და მოუწოდა: „წარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქვეყანასა ჩრდილოეთისასა, ერისა მიმართ ქართველთასა, წარვედ სიმხნით და უშიშრად და უქადაგე ჭეშმარიტებაი“. შემცბარმა ნინომ ჰკითხა — როგორ შემიძლია მე, უძლურ ქალს ასეთი დიდი — მოციქულთა სამსახური გავუწიო ქრისტეს და რით შემიძლია ვირწმუნო ასეთი ჩვენების ჭეშმარიტებაო? „მაშინ წმინდამან დედოფალმან მიყო ხელი ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვენახისასა და მოჰკუეთა მისგან და შექმნა ჯვრის სახედ და მისცა იგი ხელთა ნინოსთა და ჰრქუა: ამით ნიშნითა სძლიო ყოველთა მანქანებათა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგება შენი, და თანაშემწე გეყო და არად დაგიტეო შენ“. გამოღვიძებულ ნინოს მართლაც, ჯვარი ეჭირა ხელში. მან ვაზის ჯვარი დიდი სასოებით მიიღო და აღთქმა დადო, რომ ღირსეულად შეასრულებდა ღვთისმშობლისგან მიღებულ კურთხევას. ამის ნიშნად საკუთარი თმა მოიკვეცა და ვაზის რტოები შეკრა...

წმინდა ნინომ ამ უდიდესი სიწმინდით მრავალი სასწაული აღასრულა. ამა სოფლიდან გასვლამდე, ღვთისმშობლისგან ნაწყალობევი, ვაზის ჯვარი წმინდა ქალწულთან იმყოფებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, მცხეთაში, ჯვრის ეკლესიაში დაუსვენებიათ. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, გარდაცვალების წინ, წმინდა მეფე მირიანს, თავისი ძის, ბაქარისთვის, ნინოს ჯვრის მიტანა უბრძანებია: „მოაყვანინებია ჯვარი იგი ნინოსი, რომელი პირველთაგანვე აქუნდა, და დაჰკიდა გვირგვინი სამეფო ჯვარსა მას. და მოაყვანებინა ძე თავისი ბაქარ და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯვრისა და აღიღო გვირგვინი ჯვრისაგან და დადგა თავსა ძისა თვისისა“ — მოგვითხრობს მემატიანე. ამის შემდეგ, ვაზის ჯვარი კვლავ ჯვრის ეკლესიაში განისვენებს (ზოგიერთი ისტორიული წყაროს ცნობით, პატიოსანი ჯვარი ვაზისა 541 წლამდე, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში იყო დაბრძანებული).

„წმინდა შუშანიკის წამების“ სომხური სვინაქსარული საკითხავის ცნობით, ვაზის ჯვარი წილად ხვდა წმინდა შუშანიკს, რომელსაც გარდაცვალების წინ, ეს უდიდესი სიწმინდე თავისი მოძღვრის — ანდრიასთვის გადაუცია, მას კი, ტარონში დამალვა განუზრახავს, მაგრამ არეულობის — დამპყრობთა ლაშქრობის, ცეცხლთაყვანისმცემელთა და ხატმბრძოლთა აღზევების გამო, იქამდე ვერ ჩააღწია და ჯვარი ქალაქ სპერში გადამალა. შემდეგ, სომეხთა მთავარსარდლის — გრიგოლ მამიკონიანის თაოსნობით, ეს სიწმინდე კაპოეტში ანუ „ლურჯ ციხეში“ გადაასვენეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ვაზის ჯვარი ქალაქ ვანანდში, საგანგებოდ მისთვის აგებულ მონასტერში (რომელსაც ხაჩი ვანქი — ე.ი. „ჯვრის ეკლესია“ უწოდეს) დააბრძანეს, მაგრამ არაბთა შემოსევის გამო, ანისში გადაუსვენებიათ... როდესაც ძლევაშემოსილმა, მეფე დავით აღმაშენებლმა ანისი აიღო და ეს ქალაქი დამპყრობლებისგან გაათავისუფლა, ვაზის ჯვარიც ამოაბრძანეს და მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში განუსვენეს. მაგრამ მტრების შემოსევების გამო, დიდხანს ვერც მცხეთის საპატრიარქო ტაძარში დატოვეს და სხვა სიწმინდეებთან ერთად, მთაში გადამალეს: ჯერ ანანურსა და შემდეგ, სტეფანწმინდის წმინდა სამების ტაძარში ყოფილა თურმე დაცული.

ისტორიკოსთა ცნობით, 1749 წელს, თბილელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა ვაზის ჯვარი საიდუმლოდ გააპარა საქართველოდან და მოსკოვში მყოფ ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეებს გადასცა. მეფე თეიმურაზ მეორე, ერეკლე მეორე, კათოლიკოს-პატრიარქი და მორწმუნე ერი ევედრებოდნენ ემიგრანტ უფლისწულებს, სამშობლოში დაებრუნებინათ ეს უდიდესი სიწმინდე, მაგრამ ამაოდ...

პლატონ იოსელიანის ცნობით, ვახტანგ მეექვსის მემკვიდრის — ბაქარის შვილიშვილმა, უფლისწულმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, ნინოს ჯვარი 1801 წელს, საჩუქრად მიართვა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომელმაც შეინყნარა მორწმუნეთა თხოვნა და საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს აცნობა, რომ ვაზის ჯვარს საქართველოში აბრუნებდა, თან სთხოვდა, კათოლიკოს ანტონ მეორისთვის ეცნობებინა ეს ამბავი და ჯვრის ღირსეულად დასახვედრად მომზადებულიყვნენ.

1802 წლის დამდეგს, ვაზის ჯვარი მართლაც, ჩამოუბრძანებიათ საქართველოში. სიწმინდეს სამღვდელოება და მორწმუნე მრევლის ნაწილი კავკასიის უღელტეხილზე — სტეფანწმინდასთან შეეგება, ნაწილი — ანანურში, ნაწილი კი ღავთისკარში (მცხეთის მახლობლად). იქიდან პროცესია ხატებით, ბაიარაღებით და კელაპტრებით თბილისისკენ გამოემართა. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, მთავარეპისკოპოსი იუსტინე სამთავნელი, არსენ თბილელი, სტეფანე რუსთველი, სამღვდელოება და მორწმუნენი ქალაქის მისადგომთან მიეგებნენ ნინოს ჯვარს, გადაიხადეს წირვა და პარაკლისი. ამის შემდეგ, ჯვარი სიონის ტაძარში დაბრძანეს...

ვაზის ჯვარი დღესაც, თბილისის სიონის ტაძარში განისვენებს. ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანს შეუძლია მივიდეს და თაყვანი სცეს ამ უდიდეს სიწმინდეს, რომლის წყალობითაც, არაერთი სასწაული აღსრულებულა... ■



რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი ბატონი ფრიდონ სულაბერიძე ბავშვობიდანვე ეზიარა ქართული ცეკვის ხელოვნებას და ამის შემდეგ, ამ საქმეს აღარ მოშორებია. მისი თქმით, „ქართული ცეკვა, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, შეუფასებელია, არადა, მას... დღეს ქართულ ხასიათს უკარგავენ ისე, რომ ვერც იგებ — მოცეკვავე რომელ ცეკვას ასრულებს“... რატომ ბრაზობს ბატონი ფრიდონი თანამედროვეობაზე, ვინ აიძულებდა მას, ე.წ. „პლავკებით“ ეცეკვა, როგორ სჯიდნენ სუხიშვილები, უდისციპლინო მოცეკვავეებს და როგორ მოხვდა ფრიდონ სულაბერიძე მათ ანსამბლში? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს, თავად მოცეკვავე გაგვცემს.

სცენაზე ქართული საცეკვაო ილეთების ხილვისას ულდაბუსტილა ფრიდონ სულაბერიძეს დარბაზი დატოვა

ლიკა ქაჩაია

— გამოვიარე ისეთი გზა, რომელსაც სუხიშვილების ანსამბლი ჰქვია. იქიდან დაიწყო ჩემი გასვლა დიდ არენაზე. თუმცა, იქ მისვლამდე, ვიყავი საქართველოს ფილარმონიის სოლისტი, მერე მოსკოვში, ორგანიზაცია „გოსკონცერტის“ სოლისტი. ჩემს მეწყვილე ლატავრა ფოჩიანთან ერთად მოვიარე ავსტრია, ეგვიპტე, ლიბია, ფინეთი. ყველა ცეკვას დუეტში ვასრულებდით, მაგრამ ქართველი კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ — თუ მაგარი ხარ, სუხიშვილებთან რატომ არ ცეკვავო? — მეკითხებოდნენ და მეც ანსამბლში მივედი... იქ მისვლა, ერთმა ამბავმა უფრო გადამაწყვეტინა. კულტსაგანმანათლებლო *(ახლანდელი სერგო ზაქარიაძის სახელობის. — ავტ.)* სასწავლებელში ვსწავლობდი. კლასიკურ ცეკვებში ძალიან ძლიერი პედაგოგი გვყავდა, გვარად ვიხოდცევა. მან, მე და ჩემს მეგობარს, ჯემალ ნავროზაშვილს გვითხრა: ძალიან კარგი მონაცემები გაქვთ და ვახტანგ ჭაბუკიანთან უნდა მიგიყვანოთო... ჩვენი ცეკვა ნახეს და შეიქმნა ექსპერიმენტული ჯგუფი. იქ გვყავდა პედაგოგი, სერგო ნონიაშვილი, რომელიც ქართულ ცეკვებს ასწავლიდა და სპექტაკლებში თავადაც ცეკვავდა (ახალგაზრდა იყო). ერთი სული მქონდა, ქართული ცეკვის გაკვეთილს როდის ჩაგვიტარებდნენ... გაკვეთილისთვის, მე და ჯემალმა „აზიაცკები“, ლეკვერთხი, შარვალ-ახალუხი ჩავიცვით და „გამოწკიპულები“ მივედით. დარბაზში შესულებს, სხვები ე.წ. „პლავკებში“ დაგვხვდნენ. ნონიაშვილმა შემოგვხედა: თქვენ ვინ ხართო? — როგორ თუ ვინ ვართმეთქი? — შევიცხადე... დარბაზიდან გამოგვყარა — რატომ „ტრუსიკებში“ არ დგახართო?!. წადით, თქვენი ბალეტიცმეთქი!.. — შევუკურთხეთ და მოვტრიალდით. ასე გადავრჩით კლასიკური ბალეტის ცეკვას და წავედით სუხიშვილებთან.

— როგორც ვიცი, ამ ანსამბლში მოხვედრა ძალზე ძნელია...

— დიახ, მაგრამ ჩვენ არ გაგვძნელებია. მახსოვს, როგორ გაგვსინჯეს: ილიკო სუხიშვილმა დაიძახა: ნინა, ეს ორი ყმაწვილი გასინჯეო (სხვათა შორის, ილიკო და ნინო შემოგხედავდნენ თუ არა, უმალვე ხვდებოდნენ, როგორ ცეკვავდი). ერთი წრე რომ შემოვიარე, გამაჩერა და მითხრა — მიღებული ხარო. მერე მკითხა: შენი მეგობარი რას ცეკვავსო? ვუპასუხე — ერთად ვცეკვავთ-მეთქი (რადგან ჯემალმა მითხრა — ერთად თუ არ ვიცეკვებთ, გასინჯვაზე არ შემოვალო) და ჯერ „მოხევური“ შევასრულეთ დუეტში, მერე — „ხორუმის“ მოძრაობები და მიგვიღეს. 6 თვე სტაჟიორებად ვიყავით. 6 თვის შემდეგ, სუხიშვილებმა სკანდინავიის ქვეყნებში წაგვიყვანეს და ჩვენთვის გზა ხსნილი იყო... გავიარეთ უზარმაზარი სკოლა, სადაც შრომა, დისციპლინა, ცხოვრება ვისწავლეთ.

— ცნობილია, რომ ქალბატონი ნინო უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ბატონი ილიკო...

— მკაცრი სულაც არ იყო — ის მომთხოვნი გახლდათ. ცეკვავდა ჩვენთან ერთად, სულ ფორმაში იყო, გრამი არ ჰქონდა მომატებული — ამით მაგალითს აძლევდა თითოეულ ჩვენგანს. მოცეკვავე ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც თვითონ იქცეოდა: კონცერტზე არ უნდა დაგეგვიანა, გრიმი უნდა გაგეკეთებინა, წონაში არ უნდა მოგემატებინა, რეპეტიციის დროს თავდაუზოგავად უნდა გემუშავა. თუ ამ ყველაფერს ასრულებდი, შენიშვნას არ მოგცემდა, მაგრამ თუ რეპეტიციას გააცდენდი ან სვამდი — გაგაგდებდა. ამიტომ ეძახდნენ მკაცრს. იმასაც ამბობენ — რამიშვილს ხელში მათრახი და ჯოხი ეჭირა და მოცეკვავეებს ფეხებში ურტყამდაო. მე არც ერთი მინახავს მის ხელში და არც მეორე.

— სცენის მიღმა როგორები იყვნენ?

— არაჩვეულებრივი, თბილი, ნამდვილი ქართველები იყვნენ. ილიკო იუმორით იყო სავსე. საოცარი წყვილი იყო. მათთან სახლშიც დავდიოდით ხოლმე... ერთ-ერთი უძლიერესი მოცეკვავე (რომელსაც არ დავასახელებ) სუხიშვილებს სახლში ეწვია (იმ საღამოს კონცერტი გვქონდა). სტუმარს სუფრა გაუშალეს, კონიაკი გამოუტანეს. კარგად მოულხინა... საღამოს, კონცერტზე ნასვამი მივიდა. როცა გაუბრაზდნენ, მან თავი იმართლა: როგორ, თქვენ თვითონ არ დამალევინეთო?!. — კი, მაგრამ ჩვენთან ოჯახში მოხვედი, აბა, სტუმარს სხვანაირად როგორ მივიღებდით, შენ თვითონ კი არ უნდა დაგელიაო, — უპასუხეს... ეს არის სიმკაცრე?

— საზღვარგარეთ ხშირად დადიოდით. როგორ ხვდებოდნენ უცხოელები თქვენს შემოქმედებას?

— თითქმის სულ უცხოეთში გვიხდებოდა ყოფნა. 2, 3, 4 თვით მივდიოდით და საქართველოში დაბრუნებულები, აქ მხოლოდ 1 კვირა ვრჩებოდით. რამდენჯერმე მოვიარეთ მსოფლიო. კონცერტებს ვატარებდით ისეთ თეატრებში, რომლებმაც ეჭვი მეპარება, იმ ანსამბლებს უმასპინძლონ, რომლებიც დღეს არსებობს... დღეს ყველაფერი გართულდა. მეც სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი ვარ და ამას იმიტომ ვამბობ. მაშინ, ერთ ქვეყანაში 120 კონცერტს ვმართავდით, დღეს კი, 10-20 კონცერტი რომ იცეკვო, ესეც დიდი მიღწევაა. ამას წინათ, ანსამბლ „რუსთავის“ მთელი შემადგენლობა საფრანგეთში წავედით და 27 კონცერტი გავმართეთ. ეს ძალიან ცოტაა ისეთი დიდი ქვეყნისთვის, როგორიც საფრანგეთია... სუხიშვილების ანსამბლში ყოფნის დროს, მაყურებელს საორკესტრო ორმო არ აძლევდა საშუალებას, თორემ, სცენაზე ამოვარდებოდა.

...ახალს მეც ვეძებ, მაგრამ ეს სიახლე, მოცეკვავის დაბადებაა, რომელიც ისე შეასრულებს ამა თუ იმ ქართულ ცეკვას, რომ მაყურებელს განაცვიფრებს

მაყურებლები ორმოსთან ხელებს ისე ურტყამდნენ, რომ სისხლი სდიოდათ... სცენიდან არ გვიშვებდნენ. მაგალითად, ერთხელ ავსტრიაში, კერძოდ, ვენაში გამოვდიოდით. კონცერტი დასრულდა და ბატონმა ილიკომ გვითხრა — ტანსაცმელი გამოიცვალეთო... მაგრამ ხალხმა არ გაგვიშვა. დაგვაბრუნეს, კოსტიუმები ჩაგვაცვეს და კიდევ ვიცეკვეთ... იმ დროს, ასეთ კონცერტებზე მხოლოდ ასაკოვანი ხალხი დადიოდა. იმ წელს, სანდერლენდში (სადაც კონცერტს ვმართავდით) ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებიც იქ იყო და სუხიშვილების ამბით დაინტერესდნენ. გაგიჟდნენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სრული ანშლაგი იყო, მეორეც — დარბაზი ახალგაზრდებით იყო გადაჭედილი. ამას ჩვენც არ ველოდით. სცენიდან — „აზიაცკის“ ნაგლეჯიც რომ გადაგვეგდო, ხალხი ერთმანეთს ახტებოდა... ავტოგრაფებს პირდაპირ ძვირად ღირებულ ტანსაცმელზე გვაწერინებდნენ... დიდი ტრიუმფით მოიარა ქართულმა ცეკვამ მთელი მსოფლიო. ჩვენს დანახვაზე, უცხოეთში მცხოვრები ქართველები ტიროდნენ... ჟენევაში, 2000-კაციან ელიტურ დარბაზში ვატარებდით კონცერტს. გასუსულები გვიყურებდნენ. როცა ქართული დუდუკი ააკვნესეს და მის ფონზე გოგო-ბიჭი ერთმანეთს ესიყვარულებოდა (ცეკვით), ვიღაც წამოხტა და დაიყვირა — გაუმარჯოს საქართველოსო! ეს გრიგოლ რობაქიძე იყო...

— როგორ ფიქრობთ — საჭიროებს თუ არა ქართული ცეკვის ილეთები განახლებას?

— დღეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ანსამბლ „რუსთავში“ ვმოღვაწეობ. ეს ანსამბლი, სხვებისგან განსხვავებით, სუფთა ფოლკლორს არ სცილდება — ე.ი. ფოლკლორის ფესვებს არ ვღალატობ. ხშირად გვეკითხებიან — ახალი რა გააკეთეთო? მეცინება: ახალი რა უნდა გავაკეთო, როცა ჩვენმა მართლაც რომ ვარსკვლავმა მოცეკვავეებმა ყველაფერი გააკეთეს! ისინი საოცარ ილეთებს ქმნიდნენ!.. ახლა თავიანთ თავს მეფეებს უწოდებენ. დაუვიწყარ ჰამლეტ გონაშვილს, მართლაც რომ შეუდარებელს, არ უთქვამს მეფე ვარო... თვითრეკლამას იკეთებენ... ახალს მეც ვეძებ, მაგრამ ეს სიახლე, მოცეკვავის დაბადებაა, რომელიც ისე შეასრულებს ამა თუ იმ ქართულ ცეკვას, რომ მაყურებელს განაცვიფრებს. ქართული ცეკვა სხვა ფენომენია. მას სჭირდება ადამიანები, რომლებსაც ღმერთმა, ნიჭის გარდა, სილამაზეც უხვად უნდა მისცეს, რათა მას ქართული, ნაციონალური კოსტიუმი მოუხდეს. მოცეკვავე თუ არ არის დაბადებული ჩოხისთვის, ქართული სამოსი ისეთი პრეტენზიულია, რომ ვერ ჩაიცვამ... ასეთ მოცეკვავეებს მე დღეს ვერ ვხედავ...

— თქვენი აზრით, ცეკვაში სიახლეების შეტანა იმას ნიშნავს, რომ ძველი დაიკარგება?

— ქართულ ცეკვას სიახლეები არ სჭირდება. ის მაინც გააოცებს მაყურებელს. მე შეიძლება, ძველებურად მოაზროვნე ადამიანად ჩამთვალონ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არაწორი შეხედულება იქნება ჩემზე... რომ მოიშალოს „მრავალჟამიერი“, „წინწყარო“, „ჩაკრულო“, „ხასანბეგურა“, ცეკვა „ქართული“, „ხორუმი“ და ა.შ. ამით მთელი საქართველოს ისტორიას წავშლით. მინდა, მაგალითი მოგიყვანოთ: ბავშვების ანსამბლი წავიყვანე თურქეთში, სადაც კავკასიელთა ფესტივალი ტარდებოდა. კონცერტს ბოლომდე ვერ ვუყურე, დარბაზი დავტოვე, იმიტომ, რომ ქართულ ილეთებს ადიღელები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები და სხვები იყენებდნენ... წარმოიდგინეთ, ფესტივალი „აბესალომ და ეთერის“ „ქართულით“ გახსნეს ისე, რომ სიტყვა „ქართული“ არ უხსენებიათ... იქ იყო ერთი მოცეკვავე, წარსულში, სუხიშვილის ანსამბლის წევრი — ნოდარ ფილიევი, რომელმაც ჯანო ბაგრატიონის მიერ შექმნილ მუსიკაზე, დუდუკებზე, ქართული ცეკვა შეასრულა და არ უთქვამს, რომ ის ქართული იყო. ამ ფესტივალს 7000 მაყურებელი ესწრებოდა. რა უნდა მექნა?.. აღარ ვაცეკვე ჩემს ანსამბლს ის ცეკვები, რომლებიც მიახლოებული იყო მოხევურ მოძრაობებთან (რადგან ეს ილეთები სხვებმა შეასრულეს) და ფესტივალის დახურვის დღეს, წარმოვადგინე სუფთა რაჭული ცეკვა, რომელიც საქართველოშიც არ არის კარგად ცნობილი... საოცრად გულდაწყვეტილი წამოვედი თურქეთიდან. ასე თუ გაგრძელდა, ქართული ცეკვა საერთოდ დაიკარგება. მაგრამ ხდება საპირისპიროც: ჩვენებიც ცდილობენ, უცხო რაღაცები გადმოიღონ. ეს დიდი შეცდომაა. სრული ქაოსია, ამ ყველაფერს კულტურის სამინისტრომ უნდა მიხედოს. უნდა გაარკვიონ, ვის აქვს უფლება, ქართული ცეკვები საზღვარგარეთ გაიტანოს და ვის — არა... ხდება ისიც, რომ მოცეკვავეები თავიანთ ჩოხებს იღებენ, უცხო ქვეყანაში მიდიან, ქუჩებში ცეკვავენ და ამით ფულს აკეთებენ! ეს ხომ ქართული ცეკვის შერცხვენაა!.. ძალიან კარგი წამოწყებაა, ყოველ წელს, ტარდებოდეს ცეკვის დღესასწაული. ამ დღეს, მთელი თბილისის მოსახლეობას ნაციონალური კოსტიუმები უნდა ეცვას (ვისაც შეუძლია), უნდა გამოვიდნენ რუსთაველზე და ყველას უნდა ვაჩვენოთ — ვინ ვართ სინამდვილეში. ხომ არსებობს ჩოხოსანთა საზოგადოება! ცუდი ბიჭები არიან?!. მათ რიგშია ჩემი კოლეგა — ომარ მხეიძე, რომელიც თეთრ ჩოხას ატარებს. იგი ამ კოსტიუმში ულამაზესია. ჩოხა კი ჰგონიათ, რომ თუ ცალ ფეხზე წითელ, მეორეზე კი — ყვითელს ჩაიცვამენ, თმას აიჭრელებენ და საყურეებს გაირჭობენ, მაგრები არიან. ასე სხვებმა იარონ, ჩვენ კი, ჩვენს ტრადიციებს ნუ დავივიწყებთ!..

■



როცა ქართული დუდუკი ააკვნესეს და მის ფონზე გოგო-ბიჭი ერთმანეთს ესიყვარულებოდა (ცეკვით), ვიღაც წამოხტა და დაიყვირა — გაუმარჯოს საქართველოსო! ეს გრიგოლ რობაქიძე იყო...

პიჩველი დიდი ტუჩნე

~ 6 ქვეყანა, 11 კონცერტი, ფილმი, ჩოქლიჩ ეჭოპული ტელევიზიის ეთერში გაჟღ

ახალგაზრდა „ქართული ხმები“ ერთთვიანი საგასტროლო ტურნედან დაბრუნდა. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო რადიოს ფესტივალში და ბიჭების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ დიდი მოწონება და აღიარებაც დაიმსახურეს. იმის შესახებ, თუ რითი მოხიბლეს ქართველებმა იქაური მსმენელი და რატომ ატყდებოდა ხოლმე ყოველი სიმღერის შემდეგ დარბაზში წივილ-კივილი, ბატონები — თემურ ჭკუასელი და როგერტ გოგოლაშვილი მოგვითხრობენ.

ნინო ჯავახიშვილი

თემურ ჭკუასელი:

— სიმბოლურია, რომ თქვენს ჟურნალში დაიბეჭდება მასალა ჩვენი გასტროლების შესახებ — იმხელა გზა გავიარეთ, იმდენი ვიარეთ, რომ... თურქეთი, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია — ასეთი იყო ჩვენი მარშრუტი. კონცერტები გვქონდა საფრანგეთში, ავსტრიასა და გერმანიაში. ერთი თვის მანძილზე 11 კონცერტი ჩავატარეთ. წლების მანძილზე დაგროვდა პროგრამის შედგენის უზარმაზარი გამოცდილება. ამიტომ ვეცადეთ, პროგრამა ისე შეგვედგინა, რომ იქაური მსმენელისთვის მოსაბეზრებელი და ერთფეროვანი არ ყოფილიყო. მხოლოდ ხალხური სიმღერები და საგალობლები მიუჩვეველი ყურისთვის რთული აღსაქმელი იქნებოდა. ამიტომაც კონცერტის ორგანიზატორებს ვთხოვეთ, რომ ყველა ჟანრის თითო სიმღერას შევასრულებდით. დაგვთანხმდნენ და კონცერტის მიმდინარეობისას ერთ-ერთმა ცერით გვანიშნა — დიდებულია, აღფრთოვანებული ვარო! ნახა მსმენელის რეაქცია და ამიტომ, ახლა ბიჭებზეა ყველაფერი დამოკიდებული.

— ბატონო თემურ, ცოტა რამ გვითხარით რადიოს ფესტივალის შესახებ — ვინ მონაწილეობდნენ ან თქვენ როგორ მოხვდით იქ?

— რადიოს ფესტივალი ტარდება ყოველ წელს და მასში მსოფლიოში ძალიან ცნობილი კოლექტივები მონაწილეობენ. ფესტივალის ხელმძღვანელები ნებისმიერ ანსამბლს არ იწვევენ. ჟოზეფ მარტელი წლების მანძილზე, „დიდი“ „ქართული ხმების“ იმპრესარიო გახლდათ და 2-წლიანი პაუზის შემდეგ შეძლო დაერწმუნებინა ორგანიზატორები, რომ ახალგაზრდა თაობა ღირსეული გამგრძელებელია ჩვენი ტრადიციებისა. კონცერტის შემდეგ, ფესტივალის ორგანიზატორები თვითონაც დარწმუნდნენ ამაში. ჩემს მობილურზე მოდიოდა მესიჯები — „ბრავო, ბის, ბის, ბის“... ბიჭებისთვის ეს იყო პირველი ამხელა მნიშვნელობის ტურნე და მიხარია, რომ თავი კარგად გაართვეს ყველაფერს. თავიდან ძალიან ღელავდნენ, მერე და მერე კი, როცა მაყურებელი 10-15 წუთი სცენიდან აღარ უშვებდა, ირწმუნეს, მაგრები ვართო და თავდაჯერებულები გახდნენ. გულის გარეთ რომ მღერი, ამას მსმენელი კარგად ხვდება. ბიჭები ცდილობდნენ, ბოლომდე დახარჯულიყვნენ, სცენიდან საოცარი ენერგია და ემოცია მოდიოდა და სწორედ ამით მოხიბლეს უცხოელი მსმენელი. მე და რობერტი წლების მანძილზე ერთად ვიდექით სცენაზე, მაგრამ როდესაც დარბაზიდან ვუსმენდით ბიჭებს, უფრო მეტი ემოცია გვქონდა, უფრო მეტად ვღელავდით მათი ნამღერის გამოც და მაყურებლის რეაქციის გამოც. ბევრმა არც კი იცოდა, რისთვის მოდიოდა, რა უნდა მოესმინა, ფესტივალზე რომ მოდიოდა. მოდიოდნენ და აბსოლუტურად სხვა სამყაროში ხვდებოდნენ, ქართული სიმღერა მათთვის აღმოჩენა იყო. ბოლოს სცენიდან მხოლოდ იმის გამო უშვებდნენ ბიჭებს, რომ ხვდებოდნენ, ძალიან დაღლილები იყვნენ. ზოგჯერ 15-20 წუთი ფეხზე იდგნენ და ტაშს უკრავდნენ.

როგერტ გოგოლაშვილი:

— ერთ-ერთ კონცერტზე რამდენიმე სიმღერა ისე მომეწონა, ცრემლებიც კი წამომივიდა. მერე ვუთხარი ბიჭებს — დღევანდელი თქვენი მუშაობისთვის მადლობელი ვარ და ისიც მინდა გითხრათ, დღეს მართლა მეამაყებოდა, ქართველი რომ ვარ-მეთქი. ჩემგან ასეთი ქება არ ახსოვთ, არ ვათამამებ მათ და რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდათ, ასეთი რამ რომ ვთქვი... ვგრძნობდი, კონცერტიდან კონცერტამდე როგორ იზრდებოდნენ. პროფესიონალიზმი წლებს, გამოცდილებას მოაქვს. პირველ ორ-სამ სიმღერაზე მაყურებლის რეაქცია ნული იყო. ბიჭები გაგიჟდნენ — არ მოეწონათო!.. ვამშვიდებდი — ნუ გეშინიათ, ცოტა ხანს მოიცადეთ და თვითონ ნახავთ, აქ რა წივილ-კივილი იქნება-მეთქი, — და ასეც მოხდა... პირველ სამ სიმღერას, მსმენელისთვის შეწირულს ვეძახით — არ იციან, ვინ ხარ, რას მღერი, მსგავსი რამ არასდროს მოუსმენიათ. მთელ მსოფლიოში ქართული სიმღერის მსგავსი ხომ არ არსებობს! უნდა შეეჩვიო ამ ყველაფერს. თუმცა, ჩვენც ვნერვიულობდით ხოლმე ასეთ დროს...

თემურ ჭკუასელი:

— ერთ-ერთს — კახაბერ გრიგალაშვილს ჯერ სიმღერის ტექსტი აერია, მერე — ერთი კუპლეტი საერთოდ გამოტოვა. სცენასთან ახლოს მივედი და მოვიხმე — ყველა კუპლეტი იმღერე, რა მოგივიდა-მეთქი?!. კახაბერს გაეცინა და დაძაბულობა მოეხსნა.



ერთ-ერთს ჯერ სიმღერის ტექსტი აერია, მერე — ერთი კუპლეტი საერთოდ გამოგოვა. სცენასთან ახლოს მივედი და მოვიხმე

— როგორც წესი, გასტროლებს ახალი წინადადებები, შემოთავაზებები მოსდევს...

— სექტემბრიდან უკვე იწყება მუშაობა მომავალი წლის გასტროლებზე და რამდენიმე თვეში, ალბათ, კვლავ მივიღებთ მიწვევას. რადიო MDR-ის შეფმა

მაყურებელი 10-15 წუთი სცენიდან აღარ უშვებდა, ირწმუნეს, მაგრები ვართო და თავდაჯერებულები გახდნენ

ერთ-ერთ ვახშამზე განაცხადა, რომ ჩვენ მათთან ისევ დავბრუნდებით. ტელევიზია MDR-მა კი გადაიღო ფილმი ახალგაზრდა „ქართულ ხმებზე“. ეს ფილმი გავა ევროპულ არხებზე, გამოგვიგზავნიან ჩვენც და ქართველ მაყურებელსაც ექნება საშუალება, ნახოს ჩვენი კონცერტი და აღიარება. გარდა ამისა, ყოველი წლის 25 დეკემბერს, ცნობილი საოპერო მომღერალი — ხოსე კარერასი, რომელიც ადრე ლეიკემიით ყოფილა დაავადებული, ლაიფციგში ატარებს საქველმოქმედო კონცერტს ლეიკემიით დაავადებული ადამიანებისთვის. იწვევს ძალზე ცნობილ მომღერლებს. მაგალითად, შარშანდელ კონცერტში მონაწილეობდა სტინგი. ჰოდა, კარერასმა გამოთქვა სურვილი — იქნებ, ბიჭებსაც მიეღოთ მონაწილეობაო?.. ვნახოთ, რა იქნება.

— უფრო უახლოეს გეგმებზე რას მეტყვით — ფილარმონიაშიც ხომ არ გეგმავთ კონცერტის ჩატარებას?

როზერტ გოგოლაშვილი:

— გეგმა არ გვაქვს და ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. ადრე, როდესაც ანსამბლ „ფაზისში“ ვმოღვაწეობდი, კომკავშირის ცეკამ პრემიით დაგვაჯილდოვა. პრეზიდიუმის სხდომაზე პროფკავშირების თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა — ძალიან კარგი ანსამბლია „ფაზისი“, მაგრამ ნაკლოვანი მხარეები აქვსო. ნეტავ, რაშია საქმე-მეთქი? — გავიფიქრე. — მართალია, ორი თვის მანძილზე 55 კონცერტი ჩაატარა, მაგრამ გეგმა არა აქვსო, — აი, რა ყოფილა ნაკლი!.. თურმე, გეგმა უნდა გვქონოდა იმისი, რომ დღეს ვთქვათ, „ოდოიას“ ვიმღერებდით, ხვალ — სხვას... ასეთი ადვილი ხომ არ არის სიმღერის პოვნა და მერე — უკეთესი ვარიანტის შერჩევა!.. გეგმაში გვაქვს ორისამი სიმღერის მომზადება — ეს ძველი სიმღერებია, რომლებიც ახალი ინტერპრეტაციით აჟღერდება. გარდა ამისა, ვაპირებთ სიმღერას — „ხმალი ავლესოთ, ქართველებო!“ — ჩაწერასაც: როგორც იცით, მას ცხონებული გოგი დოლიძე მღეროდა. მაინტერესებს, როგორ გაიშლება ეს სიმღერა ხმებში. რაც შეეხება ფილარმონიაში კონცერტის გამართვას, გვაქვს ამის სურვილი, მაგრამ ვნახოთ — ფილარმონიაში წელიწადში ორჯერ ხალხის მიყვანა, ცოტა არ იყოს ძნელია, ჩვენ კი თითქმის ყოველ წელს ორ კონცერტს ვატარებთ. „ქართულ ხმებს“ თავისი მსმენელი უნდა — მსმენელს კი ძველის გარდა, რაღაც ახალიც აუცილებლად უნდა შესთავაზო... ■

ზაზა ფაჩულია
ადამიანი, რომელსაც ბავშვებისთვის სიხარული მოაქვს

შაკილ ო'ნილის ქართველი მეგობარი



ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ზაზა ფაჩულიამ ასპარეზობა ჯერ „ორლანდო მეჯიქში“ დაიწყო, შემდეგ „მილუოკი ბაქზში“ გააგრძელა. ხოლო მომავალ სეზონს ქართველი ცენტრალური თავდამსხმელი კვლავ ახალ გუნდში შეხვდება. განვლილ ზაფხულს ფაჩულიამ „ატლანტა ჰოუქსთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი შრომის ანაზღაურება წელიწადში 4 მილიონი დოლარი იქნება. ევროპის ჩემპიონატის „ბ“ კატეგორიის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრებში ასპარეზობის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებამდე ზაზა თბილისში ვარჯიშობდა და ჩვენი საუბარი მის ბინაში შედგა.

გიორგი ლანჩავა

შესვენებაზე შემჩნეული ორმეტრიანი ბავშვი და გადამტერებული დიდინი

— დედაჩემი, მარინა კოდუა თავის დროზე, კალათბურთს მისდევდა, ხოლო ყველასთვის კარგად ნაცნობი ქართველი კალათბურთელი კახა შენგელია, რომელიც ამჟამად ირანში გამოდის, ჩვენი ოჯახის ახლობელია. სწორედ ამ ორმა პიროვნებამ განაპირობა, რომ სპორტის ეს სახეობა ავირჩიე. თუმცა, ვიდრე 9 წლის ასაკში ზურა სამხარაძესთან „მართვეში“ ვარჯიშს დავიწყებდი, ფეხბურთშიც მოვსინჯე თავი და ცურვაშიც. ჩემი მშობლებისთვის მთავარი სწავლა იყო, ამიტომ მათ, სულეიმან დემირელის სახელობის კოლეჯში შემიყვანეს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. 1998 წელს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში საქართველოს ნაკრები თბილისში თურქეთის კალათბურთელთა გუნდს შეხვდა. საქართველოში ჩამოსულმა თურქებმა დემირელის კოლეჯი მოინახულეს და მეცადინეობებს შორის შესვენებაზე მათი ყურადღება მივიქციე, რადგან 14 წლის ვიყავი და უკვე 2 მეტრის სიმაღლის გახლდით. როდესაც მათ გაიგეს, რომ კალათბურთსაც ვთამაშობდი, სპორტის სასახლეში

ქართველების საკმაოდ დამაჯერებლად დამარცხების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულებმა ჩემს თაობაზე ინფორმაცია გაავრცელეს. თურქული კლუბებიდან, თბილისში პრველი „ულქერის“ წარმომადგენელი ჩამოვიდა და მეზობელ ქვეყანაში ოჯახთან ერთად გადასვლა, სწავლის გაგრძელება და კალათბურთში ვარჯიში შემომთავაზა. აქვე გეტყვით, რომ თურქეთში, „ეფეს პილსენთან“ ერთად „ულქერი“ დღესაც წამყვანი გუნდია და ევროლიგის გათამაშებაშიც მუდმივად მონაწილეობს. კლუბის ხელმძღვანელობამ დაპირება შეასრულა და სტამბოლში მშობლებთან ერთად წამიყვანა, რაც ჩემთვის ძალიან კარგი იყო, რადგან ასეთ ასაკში, უცხო ქვეყანაში მარტო ცხოვრება ძალიან ძნელია. 1999-2000 წლებში, სეზონი „ულქერის“ კადეტთა გუნდში დავიწყე, ჩემპიონატის მსვლელობისას კლუბის ახალგაზრდულ შემადგენლობაში გავაგრძელე თამაში, ხოლო სეზონის მიწურულს, უკვე ძირითად გუნდში გადამიყვანეს და ფლეი-ოფშიც ვითამაშე. მახსოვს, პირველი შეხვედრა „დარაშა ფაგასთან“ ჩავატარე და ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშისას 9 ქულა მოვაგროვე. იმ დროს, სიმაღლით უკვე 207 სანტიმენტრი ვიყავი. ვინაიდან საკმაოდ კარგად ვიასპარეზე ფლეი-ოფში, მეგონა, მომდევნო წელს „ულქერის“ პირველ გუნდში თამაში უფრო ხშირად მომიწევდა, მაგრამ კლუბში იგივე მწვრთნელი მურატ დიდინი დარჩა, რომელმაც სამწუხაროდ, თავის გამოჩენის საშუალება ფაქტობრივად არ მომცა. საერთოდ, თურქებს ერთი ცუდი თვისება აქვთ: მათი აზრით, ჯერ გამოცდილმა კალათბურთელმა სრულად უნდა ამოწუროს საკუთარი შესაძლებლობა და ახალგაზრდას მხოლოდ ამის შემდეგ აძლევენ თამაშის შანსს. გარდა ამისა, „ულქერის“ თავკაცი დიდინი რატომღაც ჩემზე გადაკიდებული იყო. ორჯერ, სრულიად უმიზეზოდ ვარჯიშიდან გამაგდო... ერთხელ, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი წამყვანი გუნდის, „სანანტონიოს“ სკაუტები ჩამოვიდნენ, რათა დამკვირვებოდნენ და მწვრთნელმა მათთან ძალიან ცუდად დამახასიათა. მიუხედავად ასეთი ყოფისა, საკუთარ თავზე მუშაობას ვაგრძელებდი. ერთ მშვენიერ დღეს, დიდინი გუნდიდან გაუშვეს. მთავარ მწვრთნელად ტოლგა ოლგარენი დანიშნეს. სხვათა შორის, ვიდრე საქართველოს ნაკრებს გორდონ ჰერბერტს ჩააბარებდნენ, ამ პოსტზე ოლგარენის კანდიდატურა განიხილებოდა და მასთან სტელეფონო საუბარი პირადად მქონდა. ახალ მწვრთნელს უფრო ხშირად გამოვყავდი მოედანზე, თუმცა „თურქულ პრინციპს“ ისიც არ ღალატობდა. მაგალითად, იმ წელს, როდესაც ქვეყნის ჩემპიონები გავხდით, ერთ მატჩს რომ მათამაშებდა, მეორე შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე დამსვამდა, რათა მისი აზრით, ძირითად შემადგენლობაში ყოფნა „თავში არ ამვარდნოდა“.



უარი თურქებს და დუდუ დადიანის ღვაწლი

— 14 წლის ასაკში, საქართველოს კადეტთა ნაკრებში მოხვედრის ერთ-ერთი კანდიდატი ვიყავი, რომელსაც ნუგზარ ჭეიშვილი და ზაზა სამხარაძე ავარჯიშებდნენ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გუნდი 12 კალათბურთელით უნდა გამგზავრებულიყო მაშინ, როდესაც 13 კანდიდატი ვიყავით. ისე მოხდა, რომ ტურნირზე მე არ წამიყვანეს. სხვათა შორის, ამის შემდეგ, თურქეთს მალევე მივაშურე, სადაც ჩასვლის პირველი დღიდანვე უნდოდათ, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიმეღო. მაგრამ ჩემმა მშობლებმა, მიუხედავად თურქების ზეწოლისა, ყველაფერი გააკეთეს, რომ საქართველოს მოქალაქეობა შემენარჩუნებინა. შემდეგ, როცა ჩვენი ქვეყნის ნაკრებში ვითამაშე, ამან თურქები „გააგიჟა“: როგორც ჩანს, ისინი თავიანთი ეროვნული გუნდისთვის მამზადებდნენ. საქართველოს ნაკრებში დებიუტი 2001 წელს, ევროპის ჩემპიონატის „ბ“ კატეგორიის შესარჩევ ჯგუფში მქონდა თბილისში ბულგარელების წინააღმდეგ. ნაკრებიდან მიწვევა რომ მომივიდა, დიდინი საქართველოში არ მიშვებდა, რადგან მისი თქმით, გუნდს ვჭირდებოდი — არადა, მწვრთნელი „ულქერში“ თამაშის საშუალებასაც არ მაძლევდა!.. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა, აწ გარდაცვლილმა დუდუ დადიანმა მაინც მიაღწია იმას, რომ ნაკრებში მეთამაშა. საერთოდ, დღეს რომ საქართველოს ღირსებას ვიცავ, დუდუს დამსახურებაა. მე გავოცდი, როდესაც „ულქერის“ მენეჯერმა თავად დამირეკა, ავტომანქანით შინ გამომიარა და აეროპორტში წამიყვანა, რათა თბილისში გამოვფრენილიყავი. ასეთი რამ, საზღვარგარეთ არ ხდება. ბულგარეთს თბილისში 16 ქულის სხვაობით მოვუგეთ და ნაკრების დებიუტანტის რანგში 20 ქულა მოვაგროვე. ის, რომ ამ მატჩში გუნდის ლიდერი ვიქნებოდი და პარტნიორები ასე მენდობოდნენ, თავად არ მჯეროდა. ლამის სიზმარში მეგონა თავი. თამაშის დასრულებისას, გასახდელში მიშა ქორქია შემოვიდა და დებიუტი მომილოცა. როგორც შემდეგ მითხრეს, იგი ჩემს თამაშს თვალზე სიხარულის ცრემლმომდგარი უყურებდა და ტაშს მიკრავდა... აქვე გეტყვით, როცა ნაკრებში პირველი თამაში ჩავატარე, 17 წლის ვიყავი.

მეორე დრაფტით გაბრაზებული

— „ულქერში“ თამაშისას ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის სკაუტები მადევნებდნენ თვალს და ჩემ შესახებ ცნობილ მენეჯერ მარკ ფლეიშერს შეატყობინეს. ეს უკანასკნელი ევროპულ კალათბურთელებთან მუშაობს და NBA-ს ისეთ მოთამაშეებთან აქვს ურთიერთობა, როგორიც მაგალითად, კირილენკო, უქური, პარკერი არიან. აღ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. „სეფუკუ“ და „ჰარაკირი“ სინონიმებია.
2. ჰიპოფობია ცხენების პანიკურ შიშს ნიშნავს.
3. კვაჭი კვაჭანტირაძე სამტრედიელი იყო.
4. დაბა ყაზბეგს ადრე, სტეფანწმინდა ერქვა.
5. ღვრიაწყალი, სოფელია ხაშურის რაიონში.
6. ინდოელებს ტრადიციულად, იატაკზე სძინავთ.



7. მამალ კუებს ბაკნის ქვედა მხარე ოდნავ შეზნექილი აქვთ, რათა სასიყვარულო აქტის დროს, დედლის ზურგიდან არ ჩამოცურდნენ.
8. ალოიზ მიზანდარი პირველი ქართველი პიანისტი იყო.
9. თანგირა, სპილენძის ფართოძირიანი, მოზრდილი ქვაბია.
10. საზღვაო კურსანტებს ამერიკის ფლოტში „შვაბრებს“ ეძახიან.
11. ხიდად გადებულ ძელს — კიპორჭი, მეორენაირად კი — წანწალა ჰქვია.
12. „ქალს მამაკაცისგან მხოლოდ ერთი რამ სურს — ყველაფერი“, — ამტკიცებს მიხაილ ზადორნოვი.
13. სათამაშოს მუზეუმი ქალაქ ნიურნბერგში მდებარეობს, ღვინის მუზეუმი — რიუდესხაიმში, „ბიბლიის“ მუზეუმი — შტუტგარტში.
14. ტერმიტების დედოფალი 30 წელი ცოცხლობს.
15. დიდი ბრიტანეთის სამეფო გვარდიის ცხენოსანთა უნიფორმა 6.000 გირვანქა სტერლინგი ღირს. ამ შენაერთის კავალერისტებს ირმის ტყავისგან შეკერილი შარვლები აცვიათ.
16. როდესაც ლეონარდო და ვინჩი და მისი ეპოქის მხატვრები ფრესკებს შეკვეთით ქმნიდნენ, ნახატის ყველა დეტალი წინასწარ, კონტრაქტით იყო შეთანხმებული.
17. ვაზუზა, ვეტლუგა, დუბნა, ერმელანი, ერუსლანი, კამა, ოკა, სოკი, ლამა, სურა, ტმა, უპსა, შოშა, ილეტი, მაინა, პერლი, მოლოგა, სამარა, სვიაგა, ტვერცა და შეკსნა — მდინარე ვოლგის შენაკადებია.
18. დაუძველებლად გამოშვებულ ღვინოს ორდინარულს უწოდებენ, დაძველებულ მაღალხარისხოვანს — სამარკოს. განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ღვინოს, რომელსაც კასრებში ან ცისტერნებში საწარმოო დაძველების გარდა, ბოთლებშიც აძველებენ (2-3 წლიდან — განუსაზღვრელი დროით), საკოლექციო ეწოდება.

არადა, პირველ რაუნდში არჩევის შემთხვევაში, კლუბთან გარანტირებულ კონტრაქტზე მოვაწერდი ხელს...

ორლანდოელი ფანების საყვარელი ყალათბურთელი

— „ორლანდო მეჯიქში“ ჩემი მისვლისას, გუნდში ქაოსი სუფევდა. სეზონი წაგებებით დავიწყეთ, რის გამოც, ჯერ მწვრთნელი შეიცვალა, შემდეგ კლუბის მეპატრონეებმა მენეჯერი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. რეგულარულ სეზონში გუნდმა სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი დაიკავა. ჩემთვის ძალიან ცუდი იყო, ასეთ ქაოსში რომ მოვხვდი, რადგან ახალბედას, საადაპტაციო პერიოდის გასავლელად დახმარება მჭირდებოდა, მაგრამ მე პირიქით, იქით ვეხმარებოდი სხვებს. საერთოდ, NBA-ს კლუბში თვითდამკვიდრება ძნელია და ამისთვის თავგამოდებული შრომაა საჭირო. წარმოიდგინეთ, რომ კლუბში 7 თუ 8 ცენტრალური თავდამსხმელი იყო. ვარჯიშზე ხუთიხუთზე თამაშისას კი, თითოეულ გუნდში ორ-ორ „ცენტრს“ უწევდა მოედანზე ყოფნა, დანარჩენები თვალყურს ვადევნებდით თამაშს და ერთმანეთს ლამის „ვხოცავდით“, რათა მატჩში მონაწილეობა მიგვეღო. სხვათა შორის, მწვრთნელსაც მოსწონდა, რომ მისი კალათბურთელები თამაშს ასეთი მოწყურებულნი იყვნენ... „ორლანდოში“ შექმნილი ვითარების გამო, მწვრთნელებს ჩემთვის არ ეცალათ და ამიტომ გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის თვითონ მიმეხედა. იმ პერიოდში, მაიამიში ახალგაზრდა კალათბურთელებს თურქი მწვრთნელი ფატმირ ცუკა ავარჯიშებდა, რომელსაც „ულქერში“ ყოფნისას ვიცნობდი. ის საკმაოდ კარგი სპეციალისტია და ამიტომ გადავწყვიტე, ცუკა პირად მწვრთნელად ამეყვანა. ეს



სანიშნავია, რომ იგი ბოლო დრომდე, ჩემი, ცქიტიშვილისა და სტეფანიას მენეჯერიც გახლდათ, მაგრამ ამჟამად მასთან კონტრაქტი მხოლოდ მე მაკავშირებს. საერთოდ, თუ კალათბურთელს NBA-ში თამაში სურს, ის აფორმებს კონტრაქტს მენეჯერთან, რომლის საშუალებითაც, საკუთარ მონაცემებს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ოფისში აგზავნის. ეს უკანასკნელი თავის მხრივ კალათბურთელის შესახებ ინფორმაციას აწვდის კლუბებს, რომლებიც დრაფტზე სასურველ მოთამაშეს ირჩევენ. თურქეთიდან ჯერ ნიუ-იორკში ჩავფრინდი, შემდეგ ლოს-ანჯელესში წავედი, რასაც ასევე სან-ანტონიოში გამგზავრება მოჰყვა. ყველა საჩვენებელ ვარჯიშს ვატარებდი, სხვა კალათბურთელების მსგავსად. როდესაც დრაფტის დრო დადგა, ველოდი, რომ პირველ რაუნდშივე ამირჩევდნენ, მაგრამ მეორე რაუნდში 42-ე ნომრად ორლანდოს „ორლანდო მეჯიქმა“ ამირჩია. ამან ძალიან გამაბრაზა და ფლეიშერს ისიც კი ვუთხარი: NBA აღარ მინდა, ევროპაში წავალ-მეთქი. მაგრამ მან დამაწყნარა და მთხოვა, მოთმინება გამომეჩინა. არადა, პირველ რაუნდში არჩევის შემთხვევაში, კლუბთან გარანტირებულ კონტრაქტზე მოვაწერდი ხელს, მეორე რაუნდში არჩეულს კი, ზაფხულის ლიგის თამაშების ჩატარებამ მომიწია და თან, „ორლანდომ“ ხელშეკრულება NBA-ში მინიმალურ თანხაზე გამიფორმა. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებ, ალბათ ჩემთვის უკეთესი იყო, რომ მაშინ მოვლენები ასე განვითარდა.

პიროვნება მაიამიდან ორლანდოში ჩამოვიყვანე, სადაც ცხოვრების ხარჯს მე ვუნაზღაურებდი და ხელფასსაც ვუხდიდი. ის დღემდე ჩემს პერსონალურ მწვრთნელად რჩება. ძალზე ხშირად, ცუკასთან ერთად, დილის 3 საათამდე მივარჯიშია, რათა მზად ვყოფილიყავი ნებისმიერ მომენტში, როდესაც მწვრნთელი მოედანზე ჩემს შეყვანას გადაწყვეტდა. ორლანდო ძალიან მიყვარს და იქ უერთგულესი ფანები მყავს. მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულ სეზონში მატჩში საშუალოდ 3,3 ქულას ვაგროვებდი, ადგილობრივი გულშემატკივრების ფავორიტი ვიყავი. ისინი შეჩვეული იყვნენ, რომ გუნდის ლიდერი, ტრეისი მაკგრეიდი მატჩში 30 ქულს მაინც აგროვებდა, ჩემში კი, აგრესიული ხასიათი და გუნდისთვის გამოჩენილი თავდადება მოსწონდათ. ქომაგები ჩემი გვარის გამოცხადებისას ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს და როდესაც ორლანდოში უკვე „მილუოკის“ შემადგენლობაში ჩავედი, იგივე გააკეთეს. ახლაც ფანები ქალაქის ქუჩაში რომ მხვდებიან, მეუბნებიან: ძალიან გვენატრებიო...

„მილუოკიში“ მოულოდნელად გაცვლილი...

— ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ, „ორლანდო მეჯიქის“ ახალმა მენეჯერმა მითხრა, რომ პერსპექტიული მოთამაშე ვიყავი და ვინაიდან გუნდს ვჭირდებოდი, იქ მომდევნო წელსაც დავრჩებოდი. ამით გახარებულმა, ორლანდოში სახლი შევიძინე. მენეჯერთან საუბრის შემდეგ, ბევრი დრო არ იყო გასული, რომ ახალ სახლში პირად მწვრთნელთან ერთად ტელევიზორს ვუყურებდი, სადაც მორბენალ სტრიქონში დაიწერა: „ორლანდომ“ ფაჩულია „მილუოკის“ კალათბურთელში გაცვალაო. ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობას ჩემთვის არაფერი შეუტყობინებია, თუმცა, ეს გასაკვირი არაა, რადგან NBA-ში კალათბურთელები მონებივით არიან და რამდენჯერაც სურთ, იმდენჯერ გაცვლიან. მე ტელევიზიით გამოვედი და საგაზეთო ინტერვიუშიც აღვნიშნე, რომ ორლანდოს დატოვებით გაბრაზებული ვიყავი. ჩემთან დაკავშირებით სინამდვილეში, ასეთი რამ მოხდა. NBA-ს მოევლინა ახალი გუნდი — „შარლოტ ბობქეთსი“, რომლის დასახმარებლად საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ სხვა კლუბებს სთხოვა, მისთვის ზოგიერთი კალათბურთელი დაეთმოთ. „ორლანდომ“ ამ გუნდს ჩემ გარდა, კიდევ 3 მოთამაშე დაუთმო. „შარლოტ ბობქეთსმა“ ჩემი თავი დროებით „მილუოკის“ დაუთმო, რის სანაცვლოდაც, დრაფტის მეორე რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო. ახალ გუნდში ყველაფერი გაცილებით უკეთ იყო ორგანიზებული, ვიდრე „ორლანდოში“, მაგრამ თავიდან ქალაქი მილუოკი არ მომეწონა, ის ამერიკის ჩრდილოეთით მდებარეობს და ცოტა არ იყოს, ცივია, მაგრამ ეს გულშემატკივართა სითბომ შემიმსუბუქა... „მილუოკი ბაქზში“ რეგულარული სეზონის მსვლელობისას, თამაში საშუალოდ 19 წუთი მიწევდა და NBA-ში ჩემი საუკეთესო შედეგიც იქ ვაჩვენე — როდესაც ერთ მატჩში 15 ქულა მოვაგროვე და კალათიდან 13-ჯერ მოვხსენი ბურთი. ამერიკაში პირველი ორმაგი დუბლიც „მილუოკიში“ თამაშისას გავახერხე, სტუმრად „ორლანდოსთან“ დაპირისპირების დროს. თამაშის დაწყებამდე ადგილობრივი გულშემატკივარი ტაშით შემხვდა, რამაც უფრო გამამხნევა და საბოლოო ჯამში, 9 ქულა, 11 მოხსნა, ასევე 6 შედეგიანი გადაცემა გავაკეთე. მატჩის შემდეგ სიხარულით მთელი ღამე არ მეძინა. აღსანიშნავია, რომ „მილუოკის“ ფანებმა თავიდანვე კარგად მიმიღეს.

ამერიკაში ევროპელისგან ძალისმიერ თამაშს არავინ ელის და როდესაც მათ დაინახეს, რომ მე სწორედ ასეთი თამაშის სტილი მომწონს, პირველსავე

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

19. საბჭოთა კავშირის პირველი „იუბკა“ — ასე ეძახდა ხალხი ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილს, გალინას. მან 1998 წელს, ფსიქიატრიულ კლინიკაში დაასრულა სიცოცხლე. ამ ქალს ცხოვრებაში ყველაფერი ჰქონდა, გარდა ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერებისა.

20. ფრანგი მომღერალი ედიტ პიაფი 1963 წლის 11 ოქტომბერს გარდაიცვალა. ამ ამბით თავზარდაცემული მისი უახლოესი მეგობარი პოეტი და ფრანგული აკადემიის წევრი ჟან კოქტო 2 საათის შემდეგ, გულის უკმარისობით გარდაიცვალა.

21. „საპატიო წითელარმიელის“ წოდება რუსეთში სამოქალაქო ომის დროს გაჩნდა. პირველი საპატიო წითელარმიელი 1919 წლის 19 ოქტომბერს, დასავლეთის ფრონტის საგანგებო დანიშნულების წითელ კომუნართა პოლკის გაერთიანებულ კრებაზე იქნა არჩეული. ეს ვლადიმირ ლენინი გახლდათ.

22. ქალაქი ახალი ორლეანი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. ამ ცოტა ხნის წინ, ამ ქალაქს ქარიშხალი „კატრინა“ დაატყდა თავს, რის შედეგადაც, წყლისგან დამცავი დამბა დაინგრა და ოკეანეში მობინადრე ზვიგენები დატბორილი ქალაქის ქუჩებში აღმოჩნდნენ.

23. თეატრ „გლობუსში“ სპექტაკლის დროს, ინგლისის დედოფალმა ელისაბედ ტიუდორმა ხელთათმანი ისროლა სცენაზე. შექსპირმა, რომელიც მეფის როლს თამაშობდა, ვერ გაბედა, ყურადღების გარეშე დაეტოვებინა დედოფლის ეს ქმედება და პარტნიორს მიმართა — აიღე და მომაწოდე ჩემი დის ხელთათმანიო.

24. ბეთჰოვენი ნაპოლეონს აღმერთებდა. მას საკუთარ ძმად, მამად მიიჩნევდა. ეგონა, რომ იგი ევროპას უტოპიის მსგავს სამყაროდ აქცევდა. მაგრამ როდესაც ნაპოლეონმა თავი იმპერატორად გამოაცხადა, ბეთჰოვენმა ეს ღალატად მიიჩნია და მამაცობისადმი მიძღვნილი სიმფონიის პარტიტურიდან მისი სახელი ამოშალა.

25. რომაელთა სამ არმიას — კრასუსის, პომპეუსისა და ლუკულუსის არმიებს შორის მომწყვდეულმა სპარტაკმა, უკანასკნელი ბრძოლის წინ, საკუთარი ცხენი გამოიყვანა და თავისი მეომრების თვალწინ ხმლით მოუღო ბოლო: „თუ დავმარცხდით, — თქვა მან, — ის აღარ დამჭირდება, თუ გავიმარჯვებთ, მტრის საჯინიბოებში საუკეთესო ცხენებს ავარჩევ!“

დღიდან შემიყვარეს.

„ატლანტა ჰოუქსი" _ სწორი არჩევანი

—NBA-ში ყოფნის მესამე წელს, მესამედ მომიხდა გუნდის გამოცვლა. გასული სეზონის დასრულებისას „ატლანტა ჰოუქსმა" მიმიწვია. „მილუოკის" ჩემი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ მე მენეჯერს დავურეკე და ვთხოვე, არ დავებრკოლებინე, რადგან ატლანტაში წასვლა მსურდა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ახალგაზრდა ვარ და სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, ხოლო „მილუოკიში" დარჩენის შემთხვევაში, მოედანზე გამოსვლის საშუალება ნაკლებად მომეცემოდა. ატლანტაში ჯერ არ ჩავსულვარ, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელი მაიკლ ვუდსონი და მენეჯერი უკვე გავიცანი. ვუდსონი „დეტროიტ ჰისტონსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, როდესაც ეს გუნდი ლიგის ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, ჩემი დაბრუნების სურვილი „ორლანდოსაც" ჰქონდა, მაგრამ სასტიკი უარი ვუთხარი: როცა „ატლანტის" ვარიანტი გამოჩნდა, უკვე სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობდი. მიუხედავად იმისა, რომ კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, სოლიდური შრომის ანაზღაურება მექნება, ამით ნამდვილად არ ვამაყობ. საამაყო ის მექნება, რომ პირველ ხუთეულში დავიწყო თამაში და ჩემი ქვეყნის სახელი დარბაზში გამოაცხადონ. ყველანაირად ვცდილობ, საქართველოს დავეხმარო, განსაკუთრებით — ბავშვებს. გასულ ზაფხულს, კემპის მოწყობა ჩემი იდეა იყო და ამერიკელი მწვრთნელის ჩამოყვანით დაწყებული, ბავშვებისთვის საჩუქრების შეძენით დამთავრებული, ყველაფრის ხარჯი პირადად გავიღე. როდესაც პატარებს საჩუქრებს ვაძლევდი და მათ გახარებულ სახეებს ვხედავდი, მათზე ორჯერ მეტად მიხაროდა. თან კემპი, თბილისის გარდა, რუსთავსა და ქუთაისში იმიტომ გავმართე, რომ ვფიქრობ, საქართველო მხოლოდ თბილისი არ არის... გაისად კემპს ისევ ჩავატარებ და წავალ, როგორც რაჭაში, ასევე აჭარაში. რამდენიმე დღის წინ, ზურა სამხარაძის გუნდი მივინახულე, რომელსაც ჩემს პატივსაცემად, „ზაზა" ჰქვია და ბავშვები მეკითხებოდნენ: მომავალ წელს კემპზე ჩვენც ხომ ვიქნებითო?.. გარდა ამისა, მსურს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ ერთი დარბაზი გამომიყოს, რომელსაც თანამედროვე დონეზე გავაკეთებ და იქ, როგორც მოზარდ, ასევე გამოცდილ კალათბურთელებს ვარჯიშის საშუალება ექნებათ.

ზრდილობიანი შაკილი და ისტორიული შეხვედრა ჯორდანთან

— ამერიკაში თამაში ყველაზე მეტად შაკილ ო'ნილთან მიჭირს, რომლის შეკავება მსოფლიოში არც ერთ კალათბურთელს არ ძალუძს. საერთოდ, ჩემი აზრით, NBA-ში 3 მოთამაშეა, რომელიც გუნდის სასარგებლოდ ბოლომდე იხარჯება. ესენი არიან: შაკილ ო'ნილი, კევინ გარნეტი და ტიმ დანკანი. იგივე „ორლანდოში" ჩემი თანაგუნდელი ტრეისი მაკგრეიდი ვარსკვლავი კი არის, მაგრამ პოპულარობა თავში აქვს ავარდნილი და თამაშის დროს უფრო შოუს დადგმაზე ფიქრობს, ვიდრე გუნდის ინტერესებზე. აქვე გეტყვით, რომ შაკილი ორლანდოში ჩემი მეზობელია და იგი მოედნის მიღმა ძალზე ზრდილობიანი ადამიანია. მას იმხელა სახლი აქვს, რომ 216 სანტიმეტრის სიმაღლისა და 150 კილოგრამი წონის მქონე ადამიანის შიგ მოძებნა გაგიჭირდება კაცს. ჩემი სახლი მის გვერდით ფაქტობრივად, არ ჩანს... ამ ზაფხულს ორლანდოში მეგობრები მყავდა ჩაყვანილი და მათთან ერთად ბართან გარეთ ვიდექი. შაკილი თავისი მოტოციკლეტით მოვიდა, რომელიც სპეციალური შეკვეთითაა გაკეთებული და ჯერ ჩემს მეგობრებს მიესალმა, შემდეგ — მე. ამით მან თავისი პატივისცემა დამიდასტურა. შაკილი 5 შვილის მამაა და გარდა იმისა, რომ პოლიციელი (რეზერვისტი) გახლავთ, საკუთარი 136-კაციანი დაჯგუფებაც ჰყავს. ამერიკაში ყოფნისას კალათბურთის ცოცხალი ლეგენდა მაიკლ ჯორდანი პირადად ნანახი არ მყავდა. ერთხელ ბარში შესულს მითხრეს, რომ ჯორდანი იქ იმყოფებოდა. მაგრამ მცველები ეხვივნენ გარს და არავის აკარებდნენ. მათ ვუთხარი, რომ ლიგის მოთამაშე, ზაზა ფაჩულია ვიყავი და ვთხოვე, ჯორდანთან მივეშვი. მაიკლი ფეხზე რომ წამოდგა და დამინახა, მცველებს უთხრა — შემოუშვითო. ჯორდანს საიდან უნდა სცოდნოდა, ვინ ვიყავი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, მკითხა — შენ ტონი კუკოჩის „უმცროსი ძმა" არ ხარო? თავის დროზე ჯორდანი და კუკოჩი „ჩიკაგო ბულზში" ერთად თამაშობდნენ, ხოლო მე და ტონი „მილუოკიში" დავმეგობრდით. როგორც ჩანს, ჩემ შესახებ კუკოჩს ჯორდანთან უსაუბრია და გამიხარდა, რომ მას ინფორმაცია ჰქონდა, თუ რას წარმოვადგენდი. მაიკლს მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, მაგრამ დიდხანს არ გავჩერებულვარ. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო.

დედა – ყველაზე ძვირფასი ადამიანი

— საქართველოსა და თურქეთში თამაშისას, როდესაც ცნობილი კალათბურთელი არ ვიყავი, არ იყო სასიამოვნო, გარშემო მყოფები რომ ამბობდნენ, ჩემს დანახვაზე — აუ, რამსიმაღლეაო!.. ერთხელ, რაჭაში ყოფნისას, მეგობართან ერთად, რომელიც ასევე კალათბურთელია, ქუჩაში მივდიოდი და გავიგონე, ერთ-ერთ სახლში როგორ იკითხა ვიღაცამ — ეს ორი ცხენინი კაცი ვინ იყოო? ეზოს მესერი მკერდამდე ძლივს გვწვდებოდა... ახლაც, თბილისში საკუთარ სახლში თავით შემთხვევით ჭაღი ჩამოვაგდე და დავამსხვრიე. დედაჩემს ვუთხარი კიდეც — სასწრაფოდ მაღალჭერიანი ბინა მოძებნე, თორემ, ეს ჭაღები შემიწირავს-მეთქი. სხვათა შორის, ამერიკაში ძალიან უკვირთ, რომ დედასთან ერთად ვცხოვრობ. მე კი, სადაც წავედი, დედაჩემი ყველგან წავიყვანე, რადგან 15 წლის ვიყავი, როდესაც მამა დავკარგე და დედაზე ძვირფასი ადამიანი არ მყავს. მით უმეტეს, რომ დედისერთაც ვარ... აღსანიშნავია, რომ ჩვენს ურთიერთობაზე ამერიკულ გაზეთებში, მათ შორის, „ნიუ-იორკ ტაიმსში" საკმაოდ თბილი სტატიები გამოქვეყნდა და ჩემი დამოკიდებულება დედის მიმართ იქ მისაბაძ მაგალითად მიიჩნიეს. საერთოდ, სპორტსმენთა მიმართ დამოკიდებულებაში მე ამერიკული ცხოვრების წესი უფრო მომწონს. იქ, ევროპისგან განსხვავებით, არავინ ეუბნება კალათბურთელს, რომ მან აუცილებლად 11 საათზე უნდა დაიძინოს. სპორტსმენს შეუძლია, ვარჯიშზე ან თამაშზე პირდაპირ დისკოთეკიდან მივიდეს, — მთავარია, სათანადოდ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ NBA-ში დაძაბული სეზონის შემდეგ განტვირთვა აუცილებელია და მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობ, ეს გავაკეთო. მაგალითად, შარშან, მომღერალ ბედინასთან ერთად ჩავწერე დუეტი. თურქეთში თამაშისას, ჯგუფ „ემის" კლიპში მივიღე მონაწილეობა. მალე, „ადიდასის" სარეკლამო რგოლში გადამიღებენ. ეს ყოველივე საკმაოდ მახალისებს.

■

კაილი მინოუგის ახალი რეკორდი

პოპვარსკვლავი კაილი მინოუგი მწვანე კონტინენტის უმდიდრეს ადამიანთა სამეულში მოხვდა. ამ სიაში, მოდელ ელ მაკფერსონთან ერთად, მეორე ადგილი გაიყო. სადღეისოდ კაილის ქონება 25 მილიონი გირვანქა სტერლინგად (45 მლნ დოლარი) არის შეფასებული.

ცნობილი გამოცემის — Business Review — მონაცემებით, კაილი მინოუგი და ელ მაკფერსონი სიმდიდრით მხოლოდ ნიკოლ კიდმანს ჩამორჩებიან, რომელიც დღეს ავსტრალიელ ცნობილ ახალგაზრდებს შორის სიმდიდრით პირველ ადგილს იკავებს. მის აქტივში 66 მილიონი გირვანქა სტერლინგია (120 მლნ დოლარი). უმდიდრესი ავსტრალიელი მზეთუნახავების კომპანიაში, 18 მლნ გირვანქა სტერლინგით, მათზე არანაკლებ პოპულარული რასელ კროუ აღმოჩნდა. უმდიდრეს ვარსკვლავთა სიას კეიტ ბლანშეტის (8 მლნ გ.ს.) და ჰიუ ჯეკმენის (5,5 მლნ გ.ს.) გვარები ასრულებს. აღსანიშნავია, რომ კაილი მინოუგი ერთადერთი მომღერალია, რომელმაც ფოტომოდელთა და მსახიობთა მჭიდრო რიგები გაარღვია და ავსტრალიის უმდიდრეს ადამიანთა სიის სათავეში მოექცა. ■

ანჯელინა ჯოლი და მრედ პიტი იტალიაში იქორწინებენ

ცნობილი გახდა, რომ ერთი თვის წინ, საქმროსთან განშორებით დანაღვლიანებულმა ანჯელინამ (ბრედი ფილმის — „ჯესი ჯეიმსი“ — გადაღებებზე კანადაში გაემგზავრა) თავს ნება მისცა, მანჰეტენზე მდებარე რესტორან „ჟირასოლში“ საიდუმლო ვახშამზე მისულიყო. რაოდენ დიდი იყო თვითმხილველთა გაოცება, როდესაც სახეგაბრწყინებულ ანჯელინას 10 წუთში ბრიტანელი პლეიბოი, რაიფ ფაინზი შეუერთდა. მოწმეების თქმით, მათი შეხვედრა უფრო მეგობრულ ვახშამს ჰგავდა, ვიდრე რომანტიკულ პაემანს. მაგრამ ამ ამბავმა ბრედ პიტი მაინც შეაშფოთა და რამდენიმე დღეში, ის უკვე ნიუიორკში იყო, რათა საცოლე პრესტიჟულ რესტორანში თავად დაეპატიჟებინა. შესაძლოა, სწორედ ამ ვახშამზე გადაწყდა, რომ მათი მომავალი ქორწილი იტალიაში შედგება. როგორც იქაური ჟურნალისტები იუწყებიან, მათი ქორწილი კომოს ტბის მიდამოებში მდებარე, ჯორჯ კლუნის ვილაში ჩატარდება. საზეიმო ცერემონიის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ბრედ პიტისა და ჯენიფერ ენისტონის განქორწინების სასამართლო პროცესი ოქტომბერში დასრულდება, მაგრამ ბრედი კანადაში გადაღებებითაა დაკავებული და შესაძლოა, ქორწილი მომავალ წლამდეც გადაიდოს. როგორც ამბობენ, ცნობილ წყვილს კლუნიმ თავად შესთავაზა, რომ ქორწილი მის ვილაში გადაეხადათ, რადგან ეს „განმარტოებული ადგილი“ ზედგამოჭრილია იმ ცერემონიის ჩასატარებლად, სადაც დაუპატიჟებელი სტუმრები არავის სჭირდება. ■

ჯონი დეპი ჰოლივუდის მულვარზე

ჯონი დეპის ნატიფ ხელის მტევნებს, რომლებიც ფილმში — „ხელმაკრატელა ედვარდი“ — გრძელ, ბასრ დანას მოხერხებულად მალავენ, ხოლო სურათში — „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“ — ხელთათმანებით იყო დაფარული, ამიერიდან ბეტონი უკვდავყოფს. ჯონი დეპი, რომელსაც ჰოლივუდის უდიდესი პატივი ერგო წილად, ლოს-ანჯელესში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე მეუღლესთან, ვანესა პარადისთან ერთად გამოცხადდა და ჰოლივუდის ბულვარზე, რბილ ბეტონში ხელისა და ფეხის ანაბეჭდი დატოვა. ცერემონია კომპიუტერული მულტფილმის — „გარდაცვლილი საცოლე“ — გამოსვლას დაემთხვა, სადაც დეპი, მისივე გარეგნობის მიხედვით შექმნილ მთავარ გმირს ახმოვანებს. 2006 წელს, ახალი ფილმის — „კარიბის ზღვის მეკობრეები-2: მკვდრის კიდობანი“ — პრემიერა შედგება. ამჟამად ჯონი დეპი „კარიბის ზღვის მეკობრეები-3“-ის გადაღებებითაა დაკავებული. ■

სტივენ სპილბერგი პარიზელთა მცდარობას აღიარებს

ბუდაპეშტში ჩატარებული გადაღებების შემდეგ, სადაც სტივენ სპილბერგმა ქუჩების გადაკეტვის გამო მოსახლეობის გულისწყრომა დაიმსახურა, ფილმის — „მიუნხენი“ გადამღებმა ჯგუფმა პარიზში გადაინაცვლა და ბირ-ჰაკეიმის ხიდის მხრიდან ეიფელის კოშკის მისადგომები დაიკავა. ფილმში მოქმედება 1972 წელს ვითარდება. ზოგიერთი პარიზული სცენის გადასაღებად, უკვე გაუქმებული ბაზრობის აღდგენა გახდა საჭირო. ამისათვის სპილბერგმა 250 ფრანგი სპეციალისტი დაიქირავა. სურათში პარიზელი მსახიობები — ერიკ ბანუ, მატიე კასოვიცი, ივან ატალია და მატიე ამალრიკიც არიან მიწვეული. ■



არავის აუწონ-დაუწონია მისხალ-მისხალ ჰოლივუდის ავი და კარგი ისე გულმოდგინედ, როგორც მიკი რურკს. ამ ზმანებათა იმპერიისადმი მისი არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება, მის მიერ დაშვებული შეცდომები დადასტურებაა იმისა, რომ ვარსკვლავებიც ადამიანები არიან...

...ოდესმე ჰოლივუდთან ომი დაძმობილებულად გამოცხადდა

„მივხვდი, რომ ნაგავი მე ვიყავი და არა ისინი, ვინც მეჯავრებოდა...”

თავის დროზე, მეამბოხის გარეგნობითა და ქცევით გამორჩეული ახალგაზრდის გამოჩენას ჰოლივუდი დიდი აჟიოტაჟით შეხვდა: მას „ახალ ბრანდოს“, „ახალ დინს“ უწოდებდნენ და დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებდნენ. არადა, 1953 წლის 16 სექტემბერს ნიუ-იორკის ღარიბთა უბანში დაბადებული და ფლორიდის გეტოში გაზრდილი მიკი ეკრანზეც და რეალურ ცხოვრებაშიც ნონკონფორმისტი აღმოჩნდა.

გადაიღეს ფილმებში: „სადილი“ (1982 წ), Rumble Fish (1983) „გველის წელიწადი“ (1985) „9 1/2 კვირა“ (1986), „ანგელის გული“ (1987). ეკრანზე მიკი იმდენად დამაჯერებელი იყო და ისე ლაღად ართმევდა თავს რთულ როლებს, რომ სულ მალე, ვარსკვლავად აღიარეს. ერთი მხრივ, არნახული წარმატების, მეორე მხრივ კი, მსახიობის მეამბოხე სულის მიზეზით, მსახიობი საკუთარ წინსვლას თავადვე ამუხრუჭებს, რადგან გამუდმებით კონფლიქტში შედიოდა ხან რეჟისორებთან, ხან პროდიუსერებთან და ეს ჰოლივუდის მთელი სისტემის დაპირისპირებით დააგვირგვინა. ბოლოს, ის ბუკოვსკის ნაწარმოების ეკრანიზაციაში — Batterfly — გადაიღეს, სადაც ლოთი მწერლის როლი შეასრულა. ამის შემდეგ, მთელი 15 წლის განმავლობაში, მიკი რურკი არც ერთ რეჟისორს აღარ მიუწვევია, მას „ხელიდან წასულ“ ადამიანად მიიჩნევდნენ. კაცმა ყველაფერი დაკარგა: კარიერა, მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახი, ცოლი... და აი, შარშან, ის, როგორც იქნა, კინოს დაუბრუნდა. რეჟისორმა რობერტ როდრიგესმა მიკი ფილმში „ამომავალი ქალაქი“ გადაიღო. ახალ ნამუშევართან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ, რამდენიმე ამერიკულ და ევროპულ გამოცემაში მსახიობის ვრცელი ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელთაგან ერთ-ერთს გთავაზობთ.

— მისტერ რურკ, დაღლილი ჩანხართ...

— დიახ, გაუთავებელმა წვეულებებმა დამღალა. კინოს დავუბრუნდი, ეს დიდებულია და ამას აღვნიშნავთ.

— იყო დრო, როცა ჰოლივუდს აუჯანყდით, არ მოგწონდათ ეს კინოიმპერია. მასზე აგდებულად ლაპარაკობდით და ყველას არწმუნებით, რომ იქ მხოლოდ ფული აინტერესებთ და არა ხელოვნება.

— იცით, ამ ბოლო დღეებში, 94 ინტერვიუ მივეცი. ახლა კი კვლავ ჟურნალისტის წინა ვზივარ და გესაუბრებით. ადრე, უბრალოდ, გაგაგდებდით. ან, თუ მიგიღებდით, მაშინ ათას სისულელეს გეტყოდით. ყოველ შემთხვევაში, პროფესიონალურ საკითხებზე მოთმინებით საუბარს არ დაგიწყებდით... მაგრამ ასე ვთქვათ, უმუშევრობის წლებში, ჟურნალისტებისა და მათი საქმიანობის დაფასება ვისწავლე. მართალი გითხრათ, ძალიან მაკლდით...

— ჰოლივუდისადმი თქვენ დამოკიდებულება შეიცვალა?

— დიახ. ადრე, არ მინდოდა, ამ ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილი ვყოფილიყავი. მეგონა, იმდენად ნიჭიერი მსახიობი ვიყავი, რომ ამ სისტემის დამარცხებას შევძლებდი. დღეს ვხვდები, რომ ეს თამაში თავიდანვე წაგებული იყო: ვისაც მუშაობა უნდა, მან

თამაშის წესებიც უპირობოდ უნდა დაიცვას. ომი დამთავრდა, ახლა ისევ ჰოლივუდში ვარ და ეს მახარებს.

— კერკეტი კაკალი იყავით, როლებზე უარს ამბობდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ესა თუ ის რეჟისორი არ მოგწონდათ. მსახიობებს საერთოდ არ

ელაპარაკებოდით. მთელ დროს ბარებში ატარებდით...

— დიახ, ათ „ჯოჯოხეთის ანგელოზთან“ ერთად ბევრლი-ჰილზზე დავრბოდი. გული ბოღმითა და მრისხანებით მქონდა სავსე. არც ერთი და არც მეორე კარგი მრჩეველი ნამდვილად არ არის... არადა, ყველაფერი შესანიშნავად იყო, უბრალოდ, მე არ ვიყავი ღვთის მადლიერი, არც ფულისთვის, არც წარმატებული კარიერისთვის, არც ჯანმრთელობისთვის, არც ჩემი უმშვენიერესი ცოლისთვის... იცით, ჩემივე თავი მაღიზიანებდა, დაბოღმილი ვიძინებდი და დაბოღმილი ვიღვიძებდი.

— საიდან მოდიოდა ეს ბოღმა?

— ბევრი დრო დამჭირდა, სანამ ამას მივხვდებოდი... სინამდვილეში, საკუთარი თავის მრცხვენოდა. ერთხელაც მოხდა ისე, რომ სარკეში ჩავიხედე და მივხვდი, რომ ნაგავი მე ვიყავი და არა ისინი, ვინც მეჯავრებოდა. ამის შემდეგ, უკვე მხოლოდ საკუ-



თარ თავს ვადანაშაულებდი ანუ თვითგვემის პერიოდი დამიდგა. იმათაც კი აღარ ვადანაშაულებდი, რომლებმაც ოდესღაც იმ ადამიანად მაქციეს, ვინც ვარ.

— თქვენ მაიამის გეტოში გაიზარდეთ, მამინაცვალი გცემდათ...

— დიახ, ამქვეყნად ისეთი საშინელი ამბებიც ხდება, რომელსაც ადამიანი ვერ წარმოიდგენს და რომელთა კომპენსირებაც პოპულარობით და ფულითაც კი შეუძლებელია. როცა პატარა, სრულიად ბავშვი ვიყავი... მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მინდა. იცით, ბავშვობაში ჭრილობას რომ მოგაყენებენ, ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ხორცდება, შენს ნაწილად იქცევა; იმას ჰგავს, სამუდამო პატიმრობა რომ მოგისაჯონ...

— მერე ამისგან როგორ გათავისუფლდით?

— 9 წელი, ფსიქოთერაპევტთან ვმკურნალობდი. ჩემმა ექიმმა მითხრა: თუ ყველა ადამიანში იმ კაცს დაინახავ, ვინც ტკივილი მოგაყენა, იცოდე, შენ დამარცხდები, შენი მწვალებელი კი გაიმარჯვებსო... ახლა ეს მომენტი უნდა დავძლიო: მამინაცვალმა სიყმაწვილე და სიჭაბუკე დამინგრია, ახლა კი დარჩენილ ცხოვრებასაც მინგრევს. უნდა მივაღწიო იმას, რომ ჩემს ცხოვრებას აღარ აკონტროლებდეს.

— 80-იან წლებში, უამრავი რამ შეიძინეთ: „როლს-როისი“, ღამის კლუბი, ვილა ბევერლი-ჰილზზე, სადაც ისეთ ხმაურიან ღრეობებს მართავდით, რომ იქიდან ყველა მეზობელი გააქციეთ. თქვენ რა, ასე ცდილობდით ყველაფრის დავიწყებას?

— ალბათ, გიჟი ვიყავი, ხელიდან წასული. საცოდავი იდიოტი, ჩემივე მსგავსი საცოდავი იდიოტებით, უსაქმურებით, ლოთებით გარშემორტყმული... ისინი სულ უკან დამდევდნენ, სიყვარულსა და მეგობრობას მეფიცებოდნენ, სინამდვილეში კი, მხოლოდ ჩემი ფული აინტერესებდათ...

— ძნელია, იყო ვარსკვლავი ისე და ნაგვად არ იქცე?..

— დიახ, ძნელია. როცა ვარსკვლავი ხარ, ადამიანები განსაკუთრებული პატივისცემით გექცევიან. ეს უცნაურია, უჩვეულო. ადრე, როცა ჯიბეში ერთი დოლარიც არ მქონდა, რესტორანში არავის დავუპატიჟებივარ. მერე კი, როცა რესტორანში შესვლა კი არა, რესტორნის დახურვაც კი შემეძლო, ფულს არავინ მახდევინებდა... დიდი ბოდიში და ამ დროს, ძაღლებივით გელაქუცებიან, გლოკავენ... ამას ვერ გავუძელი...

— დასტინ ჰოფმანს, რომელმაც „წვიმის კაცში“ ერთ-ერთი ძმის როლი

შეასრულა, თქვენი აგენტის ტელეფონის ნომერიც კი არ მიეცით. რა მოხდა, მაშინ უკვე შეშლილი იყავით?..

— არა, პატივმოყვარეობით ვიყავი შეპყრობილი. მეგონა, ყველაფერ ამას ვიმსახურებდი, რადგანაც განუმეორებელი ვარ. ეგეც არ იყოს, ფილმებში გადაღებამ დამღალა, მომბეზრდა.

— ისეთ ფილმში, როგორიცაა დონ ჯონსის „ჰარლეი დევიდსონი და კაცი-მარლბორო“ გადაგიღეს, „მაკულატურის“ სცენარი კი, არც წაგიკითხავთ...

— მერწმუნეთ — ამას ძალიან, ძალიან ვნანობ. მაგრამ მე და წარმატება თავს ერთად კარგად ვერ ვგრძნობთ: წარმატების მიღწევისას, დისკომფორტს ვგრძნობ, ვფიქრობ ხოლმე — შეუძლებელია, რომ ეს წარმატებული კაცი მე ვიყო... იცით, ქუჩაში უფრო კარგად და ლაღად ვგრძნობ თავს, ჩემი აკვანი და სახლი ხომ ქუჩა იყო! მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. თუმცაღა, გამოგიტყდებით, ქუჩა არ მიყვარს, მეტიც — ვერ ვიტან. მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.



— თქვენ მეგობრობდით რეპერ ტუპაკ შაკურთან, რომელიც მოკლეს, მაფიის ბოს ჯონ გოტსა და სანი ბერგერთან, „ჰოლის ანგელოზების“ შეფთან...

— დიახ, ქუჩის ბიჭებთან თავს კარგად ვგრძნობ. აი, შეხედეთ ჩემს მეგობარ რობერტს (რურკი ჟურნალისტს ერთ-ერთ მის თანმხლებ პირზე მიუთითებს, რომელსაც მექსიკელი ნარკოდილერის გარეგნობა აქვს), რომელსაც უკვე 15 წელია, ვიცნობ. ადრე ბანკებს ძარცვავდა, ახლა კი, ჩემს მძღოლად მუშაობს. ციხეში 8 წელი აქვს გატარებული. მიყვარს ეგ კაცი...

— 90-იანი წლების დასაწყისში, მოკრივეობა მოინდომეთ. მაშინ მგონი, 35 წლისა იყავით...

— დიახ და ჩემზე 10 წლით უმცროს ტიპებს ვებრძოდი. ისე, მოკრივეობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ახლა, ასე ვთქვათ, ეს ოცნება ავისრულე.

— მოკრივეობას და მსახიობობას აქვს რამე საერთო?

— რა თქმა უნდა: ორივეს სჭირდება ინსტინქტი, სხეულის ენის ცოდნა, კონცენტრაცია. ამ ყველაფრის ფოკუსირება უნდა მოახდინო და კიდევ — აუცილებელია დისციპლინა. კრივში ძალიან მონდომებით და ბეჯითად ვვარჯიშობდი, რადგანაც დარტყმის ძალიან მეშინოდა.

— კრივით თქვენი გატაცება იმით დამთავრდა, რომ ხუთჯერ გაგიტეხეს ცხვირი, დაგისერეს ლოყები, მოგინგრიეს ყბები და რაც მთავარია, ნერვული სისტემა შეგერყათ. თანაც ფეხსაცმლის ყუთისხელა „აპარტამენტი“ გქონდათ ნაქირავები და კვირაში 200 დოლარს იხდიდით...

— დიახ, ფსკერზე აღმოვჩნდი. იძულებული გავხდი, ჩემი მოტოციკლეტები გამეყიდა, რომ ბინის ქირა გადამეხადა. ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. 10 მოტოციკლეტის პატრონს დღეს, მხოლოდ ერთი მყავს.

— როდის მიხვდით, ფსიქოთერაპევტი რომ გჭირდებოდათ?

— ეს ალბათ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე შავი დღე იყო. 9 წლის წინ, ლოს-ანჯელესში, სახლში, რომელიც უკვე ბანკს ეკუთვნოდა, ვიჯექი. გარეთ ჭექა-ქუხილი იყო და კოკისპირულად წვიმდა. ყველაფერი დავკარგე — მეგობრები, მოტოციკლეტები და რაც მთავარია, ცოლი. მან მითხრა: შენთან რომ დავრჩე, ისევ ნარკოტიკების მიღებას დაიწყებ, არ არის გამორიცხული, რომ მომკლა კიდეც, შენ არ ხარ ის კაცი, რომელსაც შეიძლება, ადამიანი ენდოსო... დღეს ვხვდები, რომ ჩემი ცოლი მართალი იყო. პატარა ბავშვივით ვტიროდი, ვეხვეწებოდი, არ წახვიდე-მეთქი...

— პრესა იუწყებოდა, რომ ნეკა თითი მოიჭრით.

— დიახ, ცოლისთვის წასვლაში ხელი რომ შემეშალა. ერთიანად სისხლში ვიყავი ამოსვრილი, დაკლული ღორივით... მაგრამ მერე, თითი მიმაკერეს.

— მასმედია ვრცლად აშუქებდა თქვენს ქორწინებას მოდელ კერი ოტისზე. ამბობდნენ, რომ დიდმა სიყვარულმა დაგაკავშირათ. მაინც დაშორდით ერთმანეთს. ცოლს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეთ და ამიტომაც გაგეყარათ. ისევ გიყვართ?

— რაღა თქმა უნდა. ამ 9 წლის განმავლობაში, ქალთან ურთიერთობა არ მქონია, მხოლოდ — გოგონებისა და ძაღლების ხროვასთან. 7 ძაღლი მყავს და ეს არის ჩემი ოჯახის იმიტაცია. 100 მილიონი დოლარიც რომ შემომაძლიონ, არც ერთს არ გავყიდი. ისინი მასულდგმულებდნენ ამ წლების მანძილზე და მასულდგმულებენ დღესაც. ძაღლები მაშინ შევიძინე, როცა ცოლმა მიმატოვა. ცოლის შეცვლა ვინმე სხვა ქალით არ მინდოდა.

— და გადაწყვიტეთ, თავად შეცვლილიყავით, ხომ?

— დიახ. შეშუპებული სახე მქონდა, უხეში გამომეტყველება, გრძელი თმა, უფორმო, გაბერილი სხეული და ერთ დღესაც, სარკეში რომ ჩავიხედე, იქ მონსტრი დავინახე, მერვინი...

— მერვინს თქვენ ასახიერებთ ეპოსში ძალადობაზე — SIN CITY. თქვენი პერსონაჟი იქ მეგობარ ქალს კლავს. ბევრ საერთოს ხედავთ თქვენსა და თქვენს პერსონაჟს შორის?

— სამწუხაროდ, კი. ვისურვებდი, რომ ასე არ ყოფილიყო. მერვინი, ჩემი არ იყოს, კონტროლს არ ექვემდებარება. საკმარისია, ვინმემ ალმაცერად შეხედოს, რომ საშინელი მრისხანება ეუფლება.

— ბევრი ისეთი როლი შეგისრულებიათ, რომელსაც თქვენს ფსიქიკაზე — უარყოფითად, ასე ვთქვათ, დამანგრეველად უმოქმედია...

— პირიქით — ასეთი როლები უფრო გამომდის, იმიტომ, რომ თავად ვარ მათი მსგავსი და ამის გამოცდილებაც მაქვს. თან, ასეთი როლები თანდათან უფრო მძიმდება, რთულდება... მაგრამ ვინ იცის, ახლა როგორ შევიცვლები. იქნებ, სულ სხვა ხასიათის როლები შევასრულო?.. ერთადერთი, ვისი თამაშიც ნამდვილად არ მსურს, ეს მოსაწყენი ტიპებია.

— თქვენ რა, მოსაწყენი ადამიანი გახდით?

— ძველი მიკი ახალ მიკის ვერ იტანს! ახალი მიკი კვირაში ორჯერ ეკლესიაში დადის, დილით 6.30-ზე დგება, ფიტნესკლუბში სავარჯიშოდ მიდის. მერე საუზმობს, იოგას ვარჯიშებს აკეთებს, ძაღლებს უვლის... საღამოს ხშირად, მარტო ატარებს და 10 საათზე იძინებს.

— ერთობ მოსაწყენად ჟღერს.

— ასეა. ლოს-ანჯელესი მსოფლიოში ყველაზე მოსაწყენი ქალაქია და აქ ამიტომაც ვცხოვრობ. ეს ქალაქი არ მიყვარს, მაგრამ ლონდონსა თუ ნიუ-იორკში თავს ვერ გავაკონტროლებდი.

— ამბობენ, თქვენს ფერისცვალებაში თქვენს აგენტს, დევიდ ანგერს მიუძღვის წვლილი.

— დიახ, დევიდმა გადამარჩინა. ღმერთმა ის მაშინ გამომიგზავნა, როცა ასე ვთქვათ, მიწაზე ვფორთხავდი.

— ღმერთმა?

— დიახ. ღრმად მორწმუნე ვარ. როცა ჩემი უმცროსი ძმა ავად იყო, ბევრს ვლოცულობდი, მის გადარჩენას მამაზეციერს ვევედრებოდი... ის 5 თვის წინ გარდაიცვალა. ახლა ზეცაშია და ბინას მიმზადებს... ძმა გიჟად მთვლიდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა: არა მგონია, რომ ოდესმე, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა მოახერხოო...

— თქვენ კი მოახერხეთ და ამას მხოლოდ დევიდ ანგერს უნდა უმადლოდეთ?

— დიახ, 10 წლის განმავლობაში, ჩემთვის სამუშაოს შემოთავაზება ვერავინ გაბედა, ყველა ხელიდან წასულ ადამიანად მთვლიდა. ერთი სიტყვით, ცოცხლად დამმარხეს. დევიდმა კი გაბედა, დამირეკა და მითხრა — უკან უნდა დაგაბრუნოო. მისი ერთადერთი მოთხოვნა იყო, რომ მისთვის დამეჯერებინა.

— მერე, უჯერებთ?

— ვუჯერებ. მხოლოდ იმ როლებზე ვთანხმდები, რომლებსაც ის მირჩევს — ნაკლებად მძიმეს. სასიამოვნო ინტერვიუებს ვიძლევი. იმ ბიჭებისგან, რომლებსაც ჩემთვის კარგი არაფერი მოუტანიათ, თავი შორს მიჭირავს. ჭაობში აღმოვჩნდი იმ დროს, როცა „ავტობუსის საჭეს“ ვმართავდი... ახლა დევიდს ნამდვილად არ გავუცრუებ იმედს. ჭაობში ვეღარავინ ჩამითრევს.

— დაბრუნების შემდეგ, ძირითადად, ახალგაზრდა რეჟისორებთან მუშაობთ...

— დიახ, მაგალითად — როდრიგესთან, ტონი სკოტთან. გენიალური ხალხია. ისინი არც არაფერს მსაყვედურობენ და არც ჭკუას მარიგებენ. უბრალოდ, მათთვის კარგი მსახიობი ვარ და პატივს მცემენ.

— თავად თუ გჯეროდათ, რომ უკან დაბრუნებას შეძლებდით?

— არა. ის კი არა, ახლაც ვერ დამიჯერებია. მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი: ახლა აქ მინდა დარჩენა. ამისთვის ვიბრძვი. ვიცი, თუ რა იოლად ვკარგავ კონტროლს...

■

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲓᲝᲓᲝ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲛ

Citroen C3 – განახლებული ჰეჩბეკი

ეს მოდელი ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე იქნა წარმოდგენილი. ახლა C3, ბენზინის ძრავას გარდა, აღჭურვილია 1,6 ლ მოცულობის დიზელის ძრავათიც, რომელსაც ადრე, მხოლოდ C4-სა და C5-ზე იყენებდნენ. აგრეგატის სიმძლავრე 110 ცხ.ძ-ს შეადგენს და ის სრულად შეესაბამება მკაცრ ეკოლოგიურ სტანდარტს — Evro-4-ს, ხოლო საწვავის ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 4,5 ლ-ს არ აღემატება.

განახლებულ C-3-ს შეცვლილი აქვს საკიდარი, რომელიც დიდ სიჩქარეზე მოძრაობის დროს, მანქანის მდგრადობას უზრუნველყოფს. მოდერნიზებულია აგრეთვე საჭის გამაძლიერებელი. გარდა ამისა, წინასგან განსხვავებით, ამ მოდელის ახალი C-3-ის საბაზო ვერსიაც აღჭურვილი იქნება სტაბილიზაციის ელექტრონული პროგრამით.

გარეგნულად მანქანას დიდი ცვლილებები არ განუცდია: საკმაოდ გაიზარდა წინა ქვედა ჰაერშემწოვი, სანომრე ნიშნის ჩარჩომ კი, ბამპერის ზემოთ გადაინაცვლა. ხელსაწყოთა პანელს მრავალფუნქციური დისპლეი დაემატა. ბოლოს დავძენთ, რომ მოდელის სპორტულ ვერსიას — VTR-საც გამოუშვებენ, რომელსაც კარის შავი სახელურები და ქრომირებული სააირე მილი ექნება. ■

სპორტული Accent

ფრანკფურტის ავტოსალონზე კორეული კონცერნი Hyundai კომპაქტური მოდელის — Accent — სპორტული მოდიფიკაციით წარდგა. ეს მანქანა ჯერჯერობით, როგორც მხოლოდ კონცეპტუალური არსებობს. სამკარიანი ვერსიის სიგრძე — 4,04, სიგანე — 1,75, სიმაღლე კი — 1,74 მ-ს შეადგენს. Accent-ის ახალი სედანისგან განსხვავებით, რომელიც ცოტა ხნის წინ, აშშ-ში იყო წარმოდგენილი, სპორტული ჰეჩბეკი 25 სმ-ით მოკლეა. Accent-SR 2 ლ მოცულობის, 200 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოდიზელით აღიჭურვება. მის სპორტულ ხასიათს, 18-დუიმიანი საბორბლე დისკები უსვამს ხაზს. სალონი ტყავის სავარძლებითა და ალუმინისგან დამზადებული პედლებით გამოირჩევა.

ევროპულ ბაზარზე Hyundai Accent-SR მომავალი წლის აპრილ-მაისში გამოჩნდება. ■

VW 25 წმ-ში „გაიხდის“

გერმანულმა ავტოგიგანტმა ფრანკფურტის ავტოსალონზე წარმოადგინა კუპე-კაბრიოლეტი Eos, რომელიც ცნობილი კომპაქტური მოდელის — Golf-ის ბაზაზეა შექმნილი. მანქანის გაბარიტები ასეთია: სიგრძე — 4,41, სიგანე — 1,79, სიმაღლე — 1,44 მ. კონცერნის სამოდელო რიგში ამ მანქანას ე.წ. Beetle-სა და Golf-ს შორის მიუჩინეს ადგილი. მის უმთავრეს საკონსტრუქტორო ხიბლი, დასაკეცი სახურავი — CSC გახლავთ. ის 5 ელემენტისგან შედგება. ელექტროამძრავის მეშვეობით, ტრანსფორმაციის პროცესი 25 წმ-ს გრძელდება. Eos-ის საბარგულის მოცულობა 221 ლ-ს, ხოლო კუპეს ვარიანტისა — 401 ლ-ს შეადგენს. ძრავების პალიტრაში 4 ბენზინის და 1 დიზელის აგრეგატი შედის. ბენზინის ძრავების სიმძლავრის დიაპაზონი 115-დან 250 ცხ.ძ-ს შორის მერყეობს; მათ შორის უმძლავრესი, 3,2 ლ მოცულობის, 6-ცილინდრიანია. დიზელის ძრავა 2-ლიტრიანია და 140 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ევროპის ქვეყნების ბაზრებზე ახალი „ფოლკსვაგენი“ მომავალი წლის გაზაფხულზე გამოჩნდება. მისი მინიმალური ფასი 25.950 ევრო იქნება. ■

Fiat + Ford = „ნამცეცას“

იტალიურმა კონცერნმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მცირე კლასის მანქანებზე სამუშაოდ, ამერიკულ კორპორაცია „ფორდთან“ თანამშრომლობას იწყებს. სტრატეგიული პარტნიორობის ძირითად პროდუქტად თავიდან, 2 მოდელი — Fiat 500 და Ford Ka მოგვევლინება. იტალიურ პრესაში გამოქვეყნებული წერილების თანახმად, ორივე მათგანს, პოლონეთში მდებარე, „ფიატის“ ქარხანა გამოუშვებს, სადაც ამჟამად მოდელებს — Panda და Fiat 600 — აწარმოებენ.

იტალიური მინი პირველად, კონვეიერიდან 2007 წელს გადმოვა, ხოლო Ford Ka — 2008 წელს. როგორც ფირმების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ამგვარი თანამშრომლობა დაახლოებით 30%-ით ამცირებს საკონსტრუქტორო სამუშაოსთვის საჭირო ხარჯებს და ამგვარად, ფასის თვალსაზრისით ძალზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების საშუალებას მისცემს მათ. ამის მკაფიო მაგალითია, ავტობაზარზე ცოტა ხნის წინ გამოსული Fiat Grand Punto, რომელიც იტალიელებმა კორპორაცია „ჯენერალ მოტორსთან“ ერთად შექმნეს და გაისად, იდენტურ ტექნიკურ პლატფორმაზე აგებულ Opel Corsa-ს შესთავაზებენ მომხმარებელს. თუმცა, ამით „ჯენერალ მოტორსთან“ „ფიატის“ ურთიერთთანამშრომლობა ამოიწურა. ახლო წარსულში, იტალიური კონცერნის თავკაცმა, სერჯიო მარკიონემ მინიშნებით აღნიშნა, რომ უკვე ამ წლის ბოლოსთვის, ავტოგიგანტი ახალ სტრატეგიულ პარტნიორს შეიძენდა და ასეც მოხდა: „ჯენერალ მოტორსთან“ ალიანსი, ორივე მხარის გადაწყვეტილებით, წლეულს დაიშალა. ■

ფიკეპის შკაფასკნელი ფსტაფი

ანუ ჯაკი, ჰომელიც ბრძნელ გამონათქვამებს აგროვებს...

გამოჩენილი ადამიანების ნააზრევისა და ხალხური სიბრძნისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. ბევრი ცნობილი პიროვნება კრებდა აფორიზმებს, ბრძნულ გამონათქვამებს და ცალკე წიგნებადაც კი სცემდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს გაზეთ „ივერიაში“ ჰქონდა რუბრიკა — „დამაკვირდი“, — სადაც აქვეყნებდა ბრძნულ გამონათქვამებსა და სენტენციებს.

ჩემმა რესპონდენტმა მთელი ცხოვრება მოანდომა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან ამონარიდების შეგროვებას. ყველაფერს ერთად მოუყარა თავი და „აზრთა ზარდახშა“ უწოდა. ეს ბრძნული გამონათქვამები 30 ტომს გადააჭარბებს და ეს იქნება ქართულ სინამდვილეში უნიკალური შემთხვევა. ასეთი მოცულობის ნაშრომი ჯერჯერობით სხვა ენაზეც კი არ მოიძებნება. მაგრამ არსებობს სერიოზული მიზეზი, რის გამოც წიგნები, რომლებშიც მსოფლიოს დიდ მოაზროვნეთა სიბრძნეა აკუმულირებული, შეიძლება, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ვერ გახდეს. ამ მიზეზზე და წიგნის უსაზღვრო სიყვარულზე გვიამბობს ბატონი ოთარ ოსაძე:

ლელა ჭანკოტაძე

— გოეთეს უთქვამს, კოლექციონერობა დიდი სიამოვნებაა. არ ცდება ბრძენკაცი. მართლაცდა რამდენნაირი გატაცება არსებობს: ზოგი ხელოვნების ნიმუშებს აგროვებს, ზოგი — საფოსტო მარკებს, ძველ მონეტებს და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენნაირ საგანსა თუ ნივთს. მე მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების ბრძნული აზრების შეგროვებით ვიყავი გატაცებული. დროთა განმავლობაში იმდენად დიდი მასალა დამიგროვდა, რომ საჭირო გახდა მათი ერთგვარი სისტემატიზაცია. ასე გამზადდა დაახლოებით 34 ნაკვეთი (ტომი). უკვე დავბერდი. მათ გამოცემას რაღას მოვესწრები?! მინდა, 3-4 ნაკვეთი მაინც გამოვცე. დანარჩენს ვინმეს დავუტოვებ, ვინც არ გადაყრის და შეინახავს. სხვა ნაშრომებიც მაქვს. რაც კი ოდესმე ჩვენს დიდ ადამიანებზე სადმე დაბეჭდილა, ყველაფერი შევაგროვე. მაგრამ მერე, სოფელ ფცაში წავიღე და რუდუნებით შეგროვილ პუბლიკაციებს ახლა ვწვავ. ფურცლებით სავსე ყუთები თანდათან ცარიელდება. ტიტანური შრომა ქარს გაჰყვა. აი, „აზრთა ზარდახშის“ დაწვა მენანება...

— რატომ გაგიჩნდათ ასეთი უცნაური სურვილი? რატომ დაიწყეთ სხვათა აზრების შეგროვება?

— თავიდან ეს ერთგვარი გატაცება, სიამოვნება, თუნდაც გართობა იყო. მაშინ წარმოდგენაც კი არ შემეძლო იმისა, რომ ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი ოდესმე წიგნად გამომეცა. რაც შეგნებული მკითხველი გავხდი, ფანქრით აზრების მონიშვნა დავიწყე. ყველგან ვკითხულობ — სამსახურში, სახლში, ტრანსპორტში. შესაბამისად, უამრავი წიგნი მაქვს წაკითხული. პირველი ნაკვეთის ბოლოს არის დასახელებული წყაროები, საიდანაც აზრები ამოვკრიბე. იქ სამი ათასამდე წიგნი მაქვს მითითებული. ყველას უკვირს — ამდენი წიგნი როგორ წაიკითხეო?! ბედმა მარგუნა, რომ მთელი ცხოვრება წიგნისთვის დამეკავშირებინა. წიგნი ისეთივე აუცილებელი გახდა ჩემთვის, როგორც საკვები, წყალი, ჰაერი.

— ისიც გეცოდინებათ, ვინ ითვლება კარგ მკითხველად? როგორ უნდა წავიკითხოთ წიგნი?

— სტალინი ამბობდა, ისე არ დავიძინებ, ასი ფურცელი მაინც რომ არ გადავათვალიერო. ყველას არ შეუძლია ასეთი მოცულობის აღქმა. ამიტომ იმდენი უნდა წაიკითხოს, რამდენის გონებაში



სტალინი ამბობდა, ისე არ დავიძინებ, ასი ფურცელი მაინც რომ არ გადავათვალიერო...

გადამუშავებასაც შეძლებს. ახლახან ერთი სკოლის დირექტორს ჩემი წიგნი ვაჩუქე. მაშინვე შუაში გადაშალა. უწიგნურია და იმიტომ, თორემ, ჯერ თავფურცელი და ანოტაცია უნდა წაიკითხო და წიგნი მერე გადაფურცლო. სტუდენტებს პირველსავე ლექციაზე ვეკითხები ხოლმე — ბოლოს რა წიგნი წაიკითხეთ-მეთქი? პასუხს წერილობით ვითხოვ. ერთმა სტუდენტმა უცნაური რამ დამიწერა: წიგნის კითხვა არ მიყვარს, მაგრამ ახლა თავად ვწერ წიგნსო. უწიგნურმა რა უნდა დაწეროს?!

— პირველი წიგნი რომელ ასაკში წაიკითხეთ?

— ჩემი ბიძაშვილი, მარო სამნიაშვილი გახლდათ — პირველი მშენებელ-ინჟინერი ქალი. მან მომიტანა „ბიძია თომას ქოხი“. ეს იყო ჩემი პირველი წიგნი. სულ მალე, გერმანული ეპოსი — „თქმულება ნიბელუნგებზე“ წავიკითხე. აქედან დაიწყო ჩემი „დაავადება“ წიგნით. სამწუხაროდ, ძალიან ზარმაცი ვარ. მხოლოდ ქართულ ენაზე ვკითხულობ. არც რუსული მისწავლია და არც ინგლისური. ახლა ამას ძალიან ვნანობ. ზესტაფონში დავიბადე და გავიზარდე. საშუალო სკოლა 1944 წელს დავამთავრე. თბილისში მარო სამნიაშვილმა ჩამომიყვანა და პირდაპირ საინჟინრო კურსებზე მომაწყო; სამთვიანი კურსები იყო. ომი მძვინვარებდა, მაგრამ სტიპენდიას მაინც გვაძლევდნენ. ინჟინრობა ჩემი საქმე არ იყო. ბავშვობიდან რკინიგზა და მატარებლები მიტაცებდა. ამიტომ პლეხანოვზე მდებარე სარკინიგზო სასწავლებელში ჩავაბარე. მერე, ფეროს ქარხანაში ზეინკლად მოვეწყვე. ამის შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ასე ვიხეტიალე თბილისში სოფლიდან ჩამოსულმა კაცმა. 1958 წლიდან, ახლანდელ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში ლექციების კურსს

ვკითხულობ. უკვე 79-ე წელიწადში ვარ. ასაკს არ ვეპუები. ფიზიკურადაც ვშრომობ. სამ დღეს თბილისში ვატარებ, ოთხ დღეს — სოფელში. თითოეულ ლობიოს ძირზე სარი აქვს გაკეთებული. სოფლის კაცისგან ვერ გამარჩევთ. საუკეთესო ვაშლის ღვინოს და ვაშლის ძმარს ვაყენებ. ბევრი ხელობა ვიცი. მახსოვს, ბიბლიოთეკებში ახალი საკლასიფიკაციო სისტემა რომ დამკვიდრდა, მისი სწავლება მე დამევალა.


ზოგი ამბობს, ბეწვიანი მხარე შიგნიდან როგორ შეიძლებაო?! მაგრამ ასე აკეთებდნენ ჩვენი მამა-პაპები...

— რამდენი ხელობა იცით?

— უკვე მოგახსენეთ, რომ კარგი ზეინკალი ვარ. მაგრამ სანამ ამ ხელობას დავეუფლებოდი, მანამდე მედოლედ ვმუშაობდი. დოლზე დაკვრა ცხონებულმა მამაჩემმა მასწავლა. სტუდენტობის დროს, ავთო ხვედელიანთან ერთად ქორწილებში დავდიოდი: ის აკორდეონზე უკრავდა, მე — დოლზე და ამით ვირჩენდით თავს. ჩემს სოფელში ჭიდაობა იმართებოდა ხოლმე. ფოტოაპარატით დაუვიწყარ კადრებს ვიღებდი. მსურველი ბევრი იყო. ეს 1946-47 წლებში ხდებოდა. მაშინ ფოტოაპარატი საოცრება ეგონათ. ხალხი აღტაცებას ვერ ფარავდა. სურათის საფასურად, ზოგს ლობო მოჰქონდა, ზოგს — სიმინდი, კვერცხი ან ყველი... ერთი ისეთი სპეციალობაც მაქვს, რომელიც საქართველოში ალბათ, აღარავინ იცის. მამაჩემი განთქმული ხელოსანი იყო — ტიკებს აკეთებდა. მისი ხელსაწყოები დღემდე მაქვს შენახული და კარგი მეტიკეც ვარ. მამამ იცოდა დაკლული თხის „ოთხში ამოღება“.

— „ოთხში ამოღება“ რას ნიშნავს?

— თხა ისე უნდა გაატყავო, რომ მთელი სხეული ყელში ამოატარო. ამას დიდი სიზუსტე და ცოდნა უნდა. შემდეგ, ტყავი უნდა დაამარილო შიგნიდან, ბეწვი გარეთ დატოვო. ორი კვირა უნდა იყოს შაბსა და მარილში. შემდეგ, ბეწვი უნდა გაკრიჭო, კუპრი დიდ ქვაბში აადუღო, ტყავში ხელი ჩაყო ყელიდან და ბეწვიანი მხარით კუპრში ამოავლო. კუპრი ღვინოს გარეთ აღარ გაუშვებს. ზოგი ამბობს, ბეწვიანი მხარე შიგნიდან როგორ შეიძლებაო?! მაგრამ ასე აკეთებდნენ ჩვენი მამა-პაპები. ეს ჩვენი ისტორია და ტრადიციაა. ჭიპის ადგილას ხარატული უნდა გაუკეთო და თოკით დაამაგრო. ერთერთ მკლავში გაუკეთებ პირს, საიდანაც ღვინოს გადმოასხამ. ასე მზადდება ტიკი, რომელიც ახლა უკვე სამუზეუმო ექსპონატიღაა... მამაჩემს ზესტაფონში ჰქონდა სახელოსნო. მამაჩემს არასდროს უთქვამს: მოდი, გასწავლი ამ ხელობასო. რომ ვუყურებდი, როგორ ფრთხილად აკეთებდა ტიკებს, ვისწავლე კიდეც. ერთხელ, ჩვენს ეზოს ერთი კაცი მოადგა, მაშინ 15 წლის ვიყავი. ღამით ხმა ჩამესმა: „ვანო! ვანო!“ — ეძახდნენ მამაჩემს. მამა შინ არ იყო. უცნობმა მთხოვა — ტიკი გამეხა და გამიკეთე, დილას ადრე თბილისში ღვინო უნდა წავიღოო. ავდექი, გავუკეთე. მადლიერმა, ორი ბოთლი ღვინო მაჩუქა. მეორე დღეს, სკოლის მეგობრები მოვიყვანე, ღვინო დავლიეთ. ეს პატარა ბიჭისთვის იცით, რას ნიშნავდა?! ომის პერიოდში შემეძლო, ტიკები მეკეთებინა და შემოსავალიც მქონოდა.

— ახლა თუ აკეთებთ ტიკებს?

— მინდოდა, მეკეთებინა და მაღაზიაში ჩამებარებინა, როგორც სუვენირები. ისიც ვიფიქრე, ტიკების სახელოსნოს გავხსნი-მეთქი. მაგრამ ისეთი ჭურჭელი იყიდება, ტიკს ვინღა იყიდის?!

— ბატონო ოთარ, ისევ „აზრთა კონას“ დავუბრუნდეთ. თქვენი საყვარელი გამონათქვამი რომელია?

— დაუვიწყარია ორი შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან. 1950 წელი იყო. ვერის ხიდზე ჩამოვდიოდი. იქვე ჯიხური იდგა. სადაც სოსისი იყიდებოდა. რუსი ფედია გიტარაზე უკრავდა, გალაკტიონი კი არაყს სვამდა. დამიძახა: ძამიკო, მოდი აქო. თავისი V ტომი მაჩუქა. მითხრა — ახლა გამოვიდა და მაღარიჩს ვსვამთო. 3-4 ჭიქა არაყიც დამალევინა... გავიდა ხანი. ლენინის *(ახლანდელი თავისუფლების. — ავტ.)* მოედანზე, ცეკავშირის შენობის ადგილას იყო სასადილო. იქ შევედი. გალაკტიონი ქეიფობდა. დამინახა თუ არა, მიცნო, დამიძახა, არაყი დამალევინა, ბედნიერი ვარ ამ ორი შემთხვევის გამო... გალაკტიონს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს „აზრთა კონაში“. ასევე განსაკუთრებულია ილიას აზრები. როცა ილიას აზრებს კითხულობ, იქ სხვათა აზრები რაღა მოსატანია?!. ■

1950 წელი იყო. ვერის ხიდზე ჩამოვდიოდი. იქვე ჯიხური იდგა. სადაც სოსისი იყიდებოდა. რუსი ფედია გიტარაზე უკრავდა, გალაკტიონი კი არაყს სვამდა. დამიძახა...

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რას ასმევდნენ ზანზიბარელი მეომრები გრძოლის წინ თავიანთ საგრძოლო სპილოებს?



ა) სპირტიან სასმელებს;
ბ) გაზიან სასმელებს;
გ) სოდიან წყალს.

2. ჩინური ანდაზა ღაღადებს — „საკუთარი ოცნებებიბის...

ა) ...გეშინოდეს“;
ბ) ...გერიდებოდეს“;
გ) ...სილაღე გახარებდეს“.

3. რამდენი წლით უმცროსი იყო ჟაკლინ კენედი თავის მეორე ქმარზე არისტოტელე ონასისზე?

ა) 23-ით;
ბ) 33-ით;
გ) 13-ით.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ბედს ერევა ბაბუანა სიტყვა

ხუტა იოსავა

კაცი სახურავზე სწრაფად ავიდა, ჯერ წაბარბაცდა, მერე წელში გასწორდა და მოპირდაპირე სახლის მესამე სართულის ერთ-ერთ ფანჯარას პისტოლეტი დაუმიზნა. კაცი ცალთვალა იყო და გასროლას არც აპირებდა... ინსტინქტურად იყურებოდა ამოჩემებული ფანჯრისკენ და ორივე უპიდან ცრემლი მოსდიოდა. მერე ფეხი დაუცდა და... პატრულმა დააკავა.

მოპირდაპირე მხარეს, ხუთსართულიანი სახლის მესამე სართულის გამოღებულ ფანჯარასთან კი ბადრი იჯდა და ყველაფერს ხედავდა, მაგრამ კმაყოფილების ნაცვლად, შინაგან დისკომფორტს განიცდიდა და სინდისიც ქენჯნიდა.

ყველაფერი კი ერთი თვის წინ დაიწყო... იმ დღეს ბადრი სამსახურიდან გვიან გამოვიდა, ორმოც წელს გადაცილებულ მარტოხელა კაცს შინ არავინ ელოდა და ამიტომ მაინცდამაინც არც ის ჩქარობდა. თავის მოწითალო „ოპელ-ვექტრაში“ ჩაჯდა, ძრავას გახურებას ორი წუთი მოანდომა და დაიძრა... საფრთხის მოახლოებას არსაიდან ელოდა, მაგრამ ვაჟა-ფშაველას ქეგლთან ეს საფრთხე შავი „ბე-ემ-ვეს“ სახით გამოეცხადა. ტინეიჯერმა მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და... ფეხმოტეხილი ბადრი ერთი თვით ვაჟა-ფშაველას V კვარტალის ხუთსართულიანი კორპუსის მესამე სართულის ფანჯარას მიაჯაჭვა.

ბადრი გაშტერებული იჯდა ფანჯარასთან და სიბნელეში ჩაძირული, საწოლიდან ფანჯრამდე ერთ ციცქნა მანძილზე გადაადგილებით შეზღუდული, მთელ დღეებს ეზოსა და მოპირდაპირე სახლის თვალიერებაში ატარებდა, მაგრამ არც ღამით ეკიდებოდა ძილი და ხშირად, გვიანობამდე, უცნობი მეზობლების უნებლიე თვალთვალით იქცევდა თავს. ცხელოდა. მწერები რომ არ დასეოდნენ, შუქს ჩააქრობდა და წოლით დაღლილი, კვლავ ფანჯარასთან მოკალათდებოდა ხოლმე...

თავიდანვე, რამდენიმე ოჯახი „ამოიღო მიზანში“. ახალშეუღლებული წყვილი, რომელიც მეორე სართულზე ცხოვრობდა, ხშირი ფაციფუცით იპყრობდა ბადრის ყურადღებას. ისინი თითქმის ყოველ საღამოს სადღაც გარბოდნენ — ალბათ, გასართობად — და მუდამ შუქის ჩაქრობა ავიწყდებოდათ. სახლიდან გავიდოდნენ, კარს გაიკეტავდნენ და ორივე ფანჯარა განათებული რჩებოდა... მაგრამ არც ერთხელ არ მომხდარა, რომ გზად არ გახსენებოდათ: ორიოდე წუთში, ბიჭი სირბილით უკან ბრუნდებოდა, ბინაში შევარდებოდა, ოთახებში შუქს გამოთიშავდა და გარეთ გავარდებოდა...

მათ გვერდით მარტოხელა დედა ცხოვრობდა. მასაც სულ გარეთ ეჭირა თვალი, ოღონდ — წყვილზე გვიან გადიოდა ხოლმე შინიდან. პატარა ბავშვი ჰყავდა. აჭმევდა, საწოლში ჩააწვენდა. ცოტა ხანში, ჩაძინებულს დააკვირდებოდა, დაკოცნიდა და იქვე ახლოს სარკეს მიუჯდებოდა. სწრაფად გაიკეთებდა მაკიაჟს და ფეხაკრეფით გასასვლელისკენ გაემართებოდა. დაბრუნებით კი, უმეტესად, გამთენიისას ბრუნდებოდა...

მათ თავზე, ორი სართულით მაღლა, შუახნის წყვილი ცხოვრობდა. ეს წყვილი ბადრის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა, რადგან თვითონ, ცოლი არასოდეს ჰყოლია და ძალიან უკვირდა იმ მამაკაცების, რომლებიც მეუღლეებს თავს ევლებოდნენ: მიაჩნდა, რომ ცოლქმრული სიყვარული კაცების მოსატყუებლად მოგონილი მითი იყო და მეტი არაფერი. ქალი აშკარად სნეული იყო ან შესაძლოა, უბრალოდ, დროებით აწუხებდა რაღაც. ყოველ შემთხვევაში, ოთახიდან ოთახში ძალზე ნელა გადაადგილდებოდა და სულ ხალათი ეცვა — სხვა სამოსი ბადრის მის ტანზე არ უნახავს. ზოგჯერ ფანჯარას მიუჯდებოდა, ნიკაპქვეშ ხელს ამოიდებდა და ეზოს გადაჰყურებდა, როგორც ბადრის ეჩვენებოდა — ძალზე სევდიანად, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ მანძილიდან სახის გამომეტყველების ზუსტი გარჩევა შეუძლებელი იყო. მისი ქმარი შინიდან თითქმის არსად გადიოდა, ის ქალს თავს დასტრიალებდა და გამუდმებით ეფერებოდა. ან არ მუშაობდა, ან კიდევ, ცოლის მოსავლელად დაეთხოვა სამსახურიდან... ზოგჯერ ღამით, ფარდაჩამოფარებული ფანჯარა, რომელიც აშკარად საძინებელ ოთახს ეკუთვნოდა, გვიანობამდე განათებული იყო. შესაძლოა, ქალს რაღაც განსაკუთრებით აწუხებდა და ქმარიც არ იძინებდა. ის ამ დროს, ბადრის მსგავსად, ფანჯარასთან იჯდა და გარეთ იყურებოდა. მის ცქერაში უცნაური თითქოს არაფერი იყო, მაგრამ კაცს ცალი თვალი მთვარის შუქზე არაბუნებრივად უელავდა. იმ ღამით კი, შუქი დილამდე არ ჩაუქრიათ: ის 3 საათამდეც ენთო — სწორედ ამ დროს მიატოვა ბადრიმ თავისი „სათვალთვალო პუნქტი“ და სკამიდან საწოლზე გადაფოფხდა, — და 7-ზეც, როცა ის, უძილობით შეწუხებული, კვლავ ფანჯარას დაუბრუნდა...

ცოტა ხანში, ფარდის მიღმა კაცის სილუეტი გამოჩნდა, გაუჩინარდა და წამში, მეორე ფანჯარასთან გამოჩნდა. ალბათ, ქალს მხოლოდ ახლა ჩაეძინაო, — გაიფიქრა ბადრიმ და დაინახა, რომ კაცმა სამზარეულო კედლის კარადიდან რაღაც გამოიღო, ცოტა ხანში, სადღაც ქვემოდან — ალბათ, მაგიდიდან, — აიღო და პირთან მიიტანა. ბადრი მიხვდა, რომ უძილობით დაღლილმა კაცმა, სულის მოსათქმელად, სასმელი გადაჰკრა. ის ასე მანამდე არასოდეს მოქცეულა... მერე სიგარეტს მოუკიდა და ფანჯარასთან გაჩერდა. ალბათ, ცოლის ავადმყოფობით

შეწუხებული, გულს აყოლებსო, — იფიქრა ბადრიმ და თანაგრძნობით აივსო. მაგრამ ცოტა ხანში, რაღაც ეუცნაურა, უცებ ვერც გააცნობიერა — ზუსტად რა. ყოველ შემთხვევაში, სხვისი ცხოვრების ეპიზოდის საკუთარი ინტერპრეტაცია ხინჯიანი მოეჩვენა. დაფიქრდა და მაშინღა მიხვდა შეუსაბამობას: დარდით შეპყრობილი კაცი საკუთარ თავშია ჩაძირული და ერთ წერტილს ჩააშტერდება ხოლმე, ბადრის მეზობელი კი, აშკარად, მოპირდაპირე სახლის ფანჯრებს აკვირდებოდა, მზერა ნელ-ნელა ერთი ფანჯრიდან მეორეზე გადაჰქონდა, თითქოს რაღაცას ეძებდა ან ათვალიერებდა...

მთელი დღე, ფარდა, სამიდან მხოლოდ ერთ ფანჯარას ფარავდა. ბადრის წარმოდგენით, მის მიღმა ავადმყოფ ქალს ეძინა... კაცი შუა ფანჯარაში (როგორც ჩანს, ეს სასტუმრო ოთახი იყო) გამოჩნდა, ცოტა ხანში კი — ეზოში.

ის მხოლოდ საღამოს, შებინდებისას დაბრუნდა შინ. პირველად, სამზარეულოს ფანჯარაში გამოჩნდა. შუქი აანთო, ისევე, როგორც დილით, ერთი ჭიქა გადაჰკრა, კვლავ ფანჯარასთან გაჩერდა და სიგარეტი გააბოლა. საოცარი ის იყო, რომ შინიდან მთელი დღით გასული, ავადმყოფ ცოლთან მოსიყვარულე ქმარი შესვლას არ ჩქარობდა. ბადრიმ უნებლიეთ უკან დაიხია, თავში ერთმა აზრმა გაუელვა... და ინტუიციამ უკარნახა: მან ცოლი მოკლა!

ბადრიმ თვალთვალი განაგრძო. როგორც იქნა, ის სამზარეულოს ფანჯარას მოშორდა, შუქი ჩააქრო და... შუქი მეორე ფანჯარაში — ე.ი. სასტუმრო ოთახში აინთო!.. კაცი თითქოს არც აპირებდა საძინებელში შესვლას და ავადმყოფი ცოლის მონახულებას. მან საიდანღაც ამოიღო დიდი, თურქული, „დაკლეტკილი“ ჩანთა, ისეთი, ბაზრობაზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ იყიდება, ფანჯრის ძირას დადო და რაღაც ნივთების ჩალაგება დაიწყო. ეს აშკარად ტანსაცმელი იყო, ოღონდ, არა მამაკაცის, არამედ ქალის — ამას ბადრი სამოსის ფერებით მიხვდა.

საქმეს რომ მორჩა, ჯერ სამზარეულოში გავიდა, კიდევ ერთი ჭიქა გადაჰკრა, შემდეგ კი, კვლავ შუა ფანჯარაში გამოჩნდა, მაგრამ არ გაჩერებულა და პირდაპირ საძინებელში გავიდა. იქ შუქი არ აუნთია. კაცი სწრაფად მიუახლოვდა სასტუმრო ოთახის ფანჯარას, ორივე ხელი ჩასჭიდა იქ დადებულ დიდ ჩანთას და, როგორც ჩანს, გასასვლელი კარისკენ წაიღო. რამდენიმე წუთში კი, ამ ჩანთით ხელში, სადარბაზოდან ვიღაც სხვა ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. „აი, რაში ყოფილა საქმე, — გაიფიქრა ბადრიმ, — მან ცოლი მოკლა და ახლა, თანამზრახველებთან ერთად, ჯერ მის ნივთებს გადამალავს, მერე კი — ცხედარს... ჰმ!.. აკი, ცოლქმრული სიყვარულიო?!. აკი, თავს ევლებოდა?!.“

ბადრი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სრულიად შემთხვევით, კრიმინალის მომსწრე გახდა. მაგრამ პირველი აზრი, რომელიც გონებაში ამოუტივტივდა, ის იყო — უნდა ემხილებინა თუ არა დამნაშავე?.. და თუ უნდა ემხილებინა, რა სამხილები ჰქონდა, ინტუიციისა და მისი აზრით სრულყოფილი ლოგიკური მსჯელობის გარდა?!.

ამ დროს, შემოსასვლელი კარის გაღების ხმა გაიგონა: კახა მოვიდა, რომელიც გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს პატრონობდა. სწორედ მისი შემოსვლის მომენტში, „დამნაშავე“ სასტუმრო ოთახის სიღრმეში გაუჩინარდა. ბადრი გუმანით მიხვდა, რომ ის სახლიდან გასვლას აპირებდა. მართლაც, რამდენიმე წუთში, კაცი ეზოში გავიდა და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას.

— გუმარჯოს, — მექანიკურად უპასუხა მან მეგობრის მისალმება-მოკითხვას, — არა მიშავს რა.

კახამ მხოლოდ თავი შემოყო კარში, მერე სამზარეულოში შევიდა, პურისა და სხვა პროდუქტების დასაბინავებლად, და მობრუნდა.

— კახა, ერთი რაღაც უნდა გთხოვო.

— რაც გინდა, შეფ, — მხიარულად უპასუხა მეგობარმა და მიუახლოვდა.

ბადრიმ ახედა, გამომცდელად დააცქერდა, თითქოს ამოწმებდა — შეიძლებოდა თუ არა, გაენდო მისთვის საიდუმლო.

— ჰა, რა ხდება? — პაუზით გაკვირვებულმა წამოიძახა კახამ.

— არ გაგიკვირდეს, ცოტა უცნაური რაღაცა უნდა გთხოვო.

— მიდი, რა! როდის აქეთ გახდი ასეთი მორცხვი?!.

— ჰმ... კაი. აი, იმ ფანჯარას ხომ ხედავ, „კლეტკიანი“ ფარდა რომ ფარავს?.. ეგ და კიდევ ორი ფანჯარა მარჯვნივ, ერთი ბინისაა...

— მერე?

— მაგ ბინის პატრონის გვარი მაინტერესებს. გამიგებ?

— რა ხდება? — კახა გაშტერებული დაჰყურებდა ბადრის.

— გამიგებ თუ არ გამიგებ?

— რაზეა ბაზარი?!.

— ჰოდა, დანარჩენს მერე გეტყვი, კარგი?

— რაზეა ბაზარი?!. — გაიმეორა კახამ და კარისკენ შებრუნდა.

რამდენიმე წუთში დაბრუნდა და „შეფს“ მოახსენა:

— კარზე აწერია: „საბა ჩირქაძე“.

ბადრიმ სკამზე შემობრუნება სცადა, მაგრამ იქიდან მაგიდას ვერ მისწვდებოდა და მხოლოდ ხელი გაიშვირა.

— რა გინდა, მითხარი.

— ტელეფონის წიგნი.

კახამ ძველისძველი ტელეფონის წიგნი მიაწოდა და ბადრიმ სწრაფად დაიწყო ფურცვლა.

— კახა, — მიმართა მან მეგობარს, რომელიც გაშტერებული უყურებდა, — მოთმინება იქონიე და მერე ყველაფერს მოგიყვები, ოკეი?..

— რა გაეწყობა?! — მორჩილად თქვა კახამ.

— დიდი მადლობა, შეგიძლია წახვიდე... რა თქმა უნდა, თუ გინდა, — დასძინა ბადრიმ. კახა ვერაფერს მიხვდა, ცოტა ეწყინა კიდეც, მაგრამ მაინც ხმის ამოუღებლად წავიდა...

როგორც კი კარის გაჯახუნების ხმა გაიგონა, ბადრი ტელეფონს დასწვდა და სწრაფად აკრიბა ნომერი. თავის ძველ მეგობარს, პაატას ურეკავდა, რომელიც წლების მანძილზე გამომძიებლად მუშაობდა.

ერთმანეთი რომ მოიკითხეს, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— მისამართი და გვარ-სახელი ჩაიწერე...

დუმილის შემდეგ, პაატამ იკითხა:

— რად მინდა?

— გამოსაძიებლად. ნამდვილად ვიცი, რომ იქ მკვლელობა მოხდა.

— როგორ?

— ქმარმა ცოლი მოკლა. ფაქტებს ნუ მომთხოვ — დარწმუნებული ვარ.

— მაინც რა იცი, რომ მოკლა? — ბადრიმ მეგობრის ხმაში შეპარული ირონია ამოიკითხა და გაღიზიანებულმა მოკლედ მოუჭრა:

— გუმანით. — პაუზის შემდეგ მაინც დასძინა: — თუ ახალი ფაქტები გამომიჩნდა, ეგრევე გაცნობებ, — და ყურმილი დაკიდა.

რამდენიმე საათი ისე გავიდა, რომ ბადრის თითქმის არ მოუცილებია თვალი ჩირქაძის ბინის ფანჯრებისთვის, თან იმაზე იმტვრევდა თავს, თუ რით დაემტკიცებინა პაატასთვის, რომ მართლაც, კრიმინალი მოხდა. უეცრად რაღაც აზრი მოუვიდა, ლამის სკამზე შეხტა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— კახა, შეგიძლია, მოხვიდე?

— რაზეა ბაზარი, ძმაო?! — უპასუხა დახმარებისთვის მუდამ მზადმყოფმა უმუშევარმა მეგობარმა.

ბადრიმ პატარა ფურცელი აიღო და დაწერა: „რა უყავი ცოლი?..“

რამდენიმე წუთში კახაც მოვიდა. ბადრიმ ფურცელი გაუწოდა:

— თუ ძმა ხარ, ჩვენი ახალი ნაცნობის კარის ქვეშ შეაცურე, — თავი გააქნია მან მოპირდაპირე სახლის ფანჯრისკენ. — ოღონდ, ჩქარა, თორემ, შეიძლება, მალე დაბრუნდეს.

...სადარბაზოდან კახას გამოსვლიდან სულ მალე, ეზოში საბა ჩირქაძე გამოჩნდა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სახლს... ბადრი დაძაბული იცდიდა, თუ რა რეაქცია ექნებოდა მის მიერ გაგზავნილ

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ბარათზე. უეცრად, სკამზე შეხტა:

— კახა, თუ ძმა ხარ, სამზარეულოში, კარადა რომ არის, იქ ზედა თაროზე პატარა ბინოკლი უნდა იყოს! ჩქარა მომიტანე, რა!

— შენ რა, გამომძიებლობა დაიწყე?..

— ჩქარა-მეთქი!

...სასტუმრო ოთახის ფანჯარა განათდა, კაცი მძიმე ნაბიჯით შევიდა და ოთახის შუაში გაჩერდა. ორივე ხელით ფურცელი ეჭირა და ზემოდან დასცქეროდა.

კახამ ბინოკლი მოურბენინა. ბადრიმ ყურმილი აიღო და ნომერი აკრიბა. ბედად, საბას ტელეფონი ფანჯარასთან ახლოს ჰქონდა. ბადრი ბინოკლით უყურებდა კაცს — ის ზანტად დაიხარა, ასევე ზანტად აიღო ყურმილი...

— ალო, — ყრუ და როგორც ბადრის მოეჩვენა, დამნაშავისთვის შეუფერებლად სევდიანი ხმა გაისმა, მაგრამ ამაზე ახლა ყურადღების გამახვილება არ ღირდა.

— თქვენ ჩემი წერილი მიიღეთ, — უთხრა ბადრიმ და მის სახეს დააკვირდა.

— რომელი ხარ?

— ის, ვინც ყველაფერი იცის...

— მე მგონი, ნომერი შეგეშალათ, — სიტუაციიდან გამოძრომა სცადა ჩირქაძემ.

— არა, სწორედ თქვენ გირეკავთ... — მტკიცედ უპასუხა ბადრიმ და თითქმის დამარცვლით გაიმეორა: — მე ყველაფერი ვიცი... — მერე, „დამნაშავეს“ ფანჯარაზე რომ არ გაემახვილებინა ყურადღება, დასძინა: — ორი დღის წინ, პატარა შეცდომა დაუშვით — შესასვლელი კარი დაგრჩათ ღია...

მძიმე პაუზა ჩამოწვა. მან კიდევ ერთხელ სცადა გაბრძოლება:

— არ მესმის, რაზე მელაპარაკებით.

— რაზე და — ბიზნესზე... ამით ფულის გაკეთება მსურს. აბა, პოლიციაში რა მინდა!..

— პოლიციაში?!.

— ჰო, თუ რა თქმა უნდა... — გაწელა ბადრიმ და ისიც წამოეგო:

— თუ სწორად მივხვდი, ჩემთან შეხვედრა გსურთ.

— ცხადია, პოლიციაში სირბილს ეგ აჯობებს, — უპასუხა გახარებულმა ბადრიმ.

— კი, მაგრამ... ახლა მხოლოდ 200 დოლარი მაქვს...

ბადრიმ კინაღამ შეჰყვირა სიხარულისგან. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და პაუზის შემდეგ უპასუხა:

— დასაწყისისთვის, ეგეც იკმარებს. მერე მოვრიგდებით...

შეხვედრა მუშთაიდის ბაღთან დაუთქვა — წასვლა-წამოსვლას ნახევარ საათს მაინც მოანდომებდა.

— რამდენი იქნებით? — იკითხა ბოლოს ჩირქაძემ.

— მარტო ვარ. ვისთან რა მაქვს გასაყოფი?!.

საბამ ყურმილი დაკიდა და ოთახის სიღრმეში შევიდა. ახლა, ბინოკლის წყალობით, ბადრი მის მოძრაობას იქაც ადევნებდა თვალს.

საბამ კარადის კარი გამოაღო, ხელი შეყო ზედა თაროზე და რაღაც ნივთი ამოიღო. პისტოლეტი! — მიხვდა ბადრი.

— კახა! — დაუძახა მან მეგობარს, რომელიც სამზარეულოში „გადაკარგულიყო“. — რას აკეთებ მანდ?..

— ტელევიზორს ვუყურებ, — უპასუხა კახამ წყენანარევი ხმით კარის ზღურბლიდან. — კიდევ რამეს ხომ არ მიბრძანებთ?

— ერთი თხოვნა მართლაც, მაქვს, — დაუდასტურა ბადრიმ. — თან მეშინია, ცოტა სახიფათოა...

— მიდი, მიდი, ნუ გრცხვენია! — გაამხნევა კახამ.

— მაშინ... ხომ ხედავ — სახანძრო კიბიდან იმ ფანჯრამდე ხელის ერთი გაწვდენაა. ხომ მისწვდები?.. ფანჯარა ღიაა. შეხვალ და მხოლოდ რამდენიმე ნივთს გადააადგილებ: მცირე არეულობის შთაბეჭდილება მჭირდება, მიხვდი?.. სულ ოციოდე წუთი გაქვს... ჩქარა, თორემ, ის მალე დაბრუნდება.

...კახა სწრაფად მოქმედებდა. ბადრი დაძაბულად ჩაშტერებოდა ბნელ ფანჯრებს და დროდადრო, სადარბაზოსკენ გადაჰქონდა მზერა... კახა დროის მოცემულ ლიმიტში ჩაეტია და ბოროტმოქმედის ბინა დატოვა.



— მადლობელი ვარ, ჯიგარო, — უთხრა ბადრიმ, როცა ის აქოშინებული შემოვიდა, მაგრამ კახამ სიტყვა გააწყვეტინა.

— ბადრი!.. იმ ოთახში მიცვალებულია!.. მკვდარი ქალია! — ძლივს სუნთქავდა კახა.

— აჰა!.. — თითქოს გაუხარდა ბადრის. — არც ახლა დამიჯერებს ბატონი პაატა?!. — თქვა და ტელეფონს დასწვდა.

პაატა არც სამსახურში აღმოჩნდა და არც სახლში. მისი მობილური კი მიუწვდომელი იყო.

— მდაააა... ახლა რა ვქნათ?!. — იკითხა ბადრიმ და კახას შეხედა.

— მე ვიცი, სადაც იქნება... ის ბარი ნახევარსარდაფშია და იქ მობილური არ იჭერს.

— მაშინ გაიქეცი, ყველაფერი მოუყევი და 10 წუთში აქ გაჩნდით, მანამდე დამნაშავეს დავაკავებ.

კახა ოთახიდან გავიდა, მერე შემოსასვლელი კარის ხმა გაისმა და ბადრი კვლავ მარტო დარჩა.

რამდენიმე წუთში, საბა ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა სადარბაზოს და შიგ გაუჩინარდა. როგორც კი მის სასტუმრო ოთახში შუქი აინთო, ტელეფონიც აწკრიალდა. ჩირქაძე ფანჯარას მიუახლოვდა, ყურმილი აიღო.

— თქვენ ფული უნდა მოგეტანათ და არა იარაღი... — უთხრა ბადრიმ და დასძინა: — კარგად დავინახე, როგორ მოიკიდეთ ხელი გულის ჯიბეზე სახლიდან გასვლისას... — და გაიფიქრა: ასეც რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა, ზუსტად ახსოვდესო...

პასუხად ჩირქაძე ფანჯარასთან მივიდა და ბადრის მხარეს გაიხედა, მერე ყურმილში ოხვრის ხმასავით გაისმა, ბადრიმ კი განაგრძო:

— ასე რომ, ტყუილი გასეირნება გამოგივიდათ. მე კი ახალი ინფორმაცია მივიღე...

— მომისმინეთ, თქვენ ყველაფერი არ იცით...

— მე ყველაფერი ვიცი! — ცოტა ხმამაღლა და უხეშად გამოუვიდა ბადრის და უნებურად ტელეფონი გათიშა.

ჩირქაძე ფანჯარას მოშორდა და ოთახის სიღრმეში ჩაიკარგა. კარგა ხანს არ გამოჩენილა. მერე, ისევ ფანჯარას მიუახლოვდა. ცოტა ხანში კი, მისი ფანჯარა ჩაბნელდა. ერთხანს, ბნელ ოთახში სანთებლისა თუ ასანთის ალი აკიაფდა...

დაძაბულობით გადაღლილმა ბადრიმ თვალები დახუჭა და კარგა ხანს, გაუნძრევლად იჯდა...

კარს მიღმა თითქოს რაღაც გაჩხაკუნდა. ბადრი ამას ელოდა, მაგრამ სრულიად მოუმზადებელი იყო თავდამსხმელის მოსაგერიებლად. ტელეფონს დასწვდა და სწრაფად აკრიბა პაატას მობილურის ნომერი. ავტომოპასუხემ აუწყა: მომსახურების ზონიდან გასულიაო. შველა არსაიდან ჩანდა...

ბადრიმ კარის გაღების ხმა გაიგონა. კუთხეში, წიგნის თაროების უკან მიიყუჟა, თავსა და ცალ მხარზე პლედი გადაიფარა, მეორეზე კი, მრგვალი ფორმის დიდი საყვავილე დაიდგა, რომელიც რამდენიმე წამს მოაგებინებდა და იმის საშუალებას მისცემდა, რომ თავისი ძლიერი მკლავებით მაინც შებრძოლებოდა...

მკვლელი მართლაც, მოტყუვდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ცხოვრების ცხრა წესი

(ძველინდური მეტაფიზიკური ტრაქტატის ინტერპრეტაცია)

ნათქვამია — ყველაფერი გენიალური მარტივიაო (თუმცა, ყველაფერი მარტივი გენიალური როდია). როდესაც მოცარტს ეკითხებოდნენ, თუ როგორ წერდა ასეთ შედეგრებს, ის ამბობდა: „განსაკუთრებული არაფერია, უბრალოდ, ყველა ნოტი თავის ადგილზე უნდა ჩასვა“.

აღმოსავლელ მოაზროვნეთა მეტაფიზიკური ტრაქტატებიც უბრალოებით გამოირჩევა, თუმცა, მასში ნამდვილად დიდი სიღრმეებია. ლაო-ძი, კონფუცი, ბო-ძიუი, კრიშნამურტი, თაგორი — ეს მცირე ნაწილია იმ აღმოსავლელი მოაზროვნეებისა, რომლებმაც საკუთარი შემოქმედებით მთელი კაცობრიობის აზროვნება და მსოფლმხედველობა შეცვალეს. დიდი გოეთე წერდა: „უნდა ვაღიარო — პოეზიაში აღმოსავლეთის ფასი უფრო დიდია, ვიდრე დასავლეთის“.

„ცხოვრების ცხრა წესიც“, ერთ-ერთი აღმოსავლელი ბრძენის (სავარაუდოდ, შრი ნილაკატა დაივაგნიას) მეტაფიზიკური ნაშრომია. გთავაზობთ ამ ტრაქტატის მცირე ნაწილის თანამედროვე ინტერპრეტაციას.

— ნუ აანალიზებ
— ნუ წუწუნებ
— ნუ ადარებ საკუთარ თავს სხვებს
— ნუ ელოდები, რომ შენ ნაცვლად სხვა გააკეთებს
— ყოველდღიურად დაეწაფე ცოდნას
— მოძრაობა ეკუთვნის მას, ვინც მოძრაობაშია
— ყველა პრობლემა შენს თავშია
— ნუ ეძებ სრულყოფილებას შედარებითში
— შეინარჩუნე მთლიანობა საკუთარ თავში

ნუ აანალიზებ

ეს წესი პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. ის მხოლოდ გვახსენებს, რომ არ უნდა „დავტკბეთ“ საკუთარი ინტელექტუალური მონაცემებით, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ცნობიერების ცვლილებასთან ერთად, იცვლება ჩვენი წარმოდგენები და აზროვნების სტილიც, ამან კი შესაძლოა, შეცდომები დაგვაშვებინოს. თუ შევინარჩუნებთ სიმშვიდეს, მხოლოდ მაშინ დავაგროვებთ ჭეშმარიტ ცოდნას, რომელსაც არ სჭირდება ინტელექტუალური ანალიზი.

ნუ წუწუნებ

ჩვენი ახლანდელი ადგილი ცხოვრებაში — შედეგია ჩვენ მიერვე წარსულში ჩადენილი მოქმედებებისა. ცხოვრებაში ნეგატიური მოვლენები იმიტომ ხდება, რომ მივიღოთ გარკვეული გამოცდილება და ცოდნა (მიუხედავად იმისა, რომ ეს ნეგატიური ხანდახან ძალიან მწარეა). ამის გამო არ უნდა ვიწუწუნოთ და არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას. ნებისმიერი პრობლემა ჩვენი სულისა და სხეულისთვის არის საჭირო და სასარგებლო. საჭიროა ვიყოთ მადლიერები ღმერთის და საერთოდ ყველაფერის მიმართ.

ნუ ადარებ საკუთარ თავს სხვებს

ყველა არსება ინდივიდუალურია. არ არსებობს იდენტური წყლის წვეთიც კი, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, ორი ადამიანის ცხოვრება ერთმანეთს აბსოლუტურად ჰგავდეს. ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ სულის რაობით (ტრანსცენდენტული აზროვნებით) ჰგვანან, ეს კი ფიზიკურ სიხშირეს არ ემორჩილება. ნურასოდეს ინატრებთ სხვის ცხოვრებას: თქვენ ხომ არ იცით, ბედი მათ რას უმზადებს. იყავით კმაყოფილი საკუთარი ცხოვრებით (ბედით) და მიიღეთ ის.

ნუ ელოდები, რომ შენ ნაცვლად სხვა გააკეთებს

ყოველი ადამიანი იმისთვის იბადება, რომ შეასრულოს საკუთარი დანიშნულება („დხარმის“ კანონის თანახმად). თუ ადამიანი საკუთარ მისიას სხვას გადააბარებს, ის უბრალოდ, უარს იტყვის სიცოცხლეზე და დატოვებს ფიზიკურ სამყაროს. ჩვენი ვალი ჩვენ თვითონ უნდა მოვიხადოთ და არა სხვა ვინმემ. არც ჩვენ უნდა შევასრულოთ სხვის მაგივრად რაიმე (აქ, რა თქმა უნდა, სულიერი მხარე იგულისხმება).

ყოველდღიურად დაეწაფე ცოდნას

ჯერ კიდევ კონფუცი ამბობდა: „უმეცრება — ღამეა, ღამე მთვარისა და ვარსკვლავების გარეშე“. ამ წესის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ყოველდღიურად უნდა დაეწაფოს ცოდნას (არა ინფორმაციას!). მით უმეტეს, XXI საუკუნეში, როდესაც ძალიან ძნელია ნამდვილი და ყალბი ცოდნის ერთიმეორისგან გარჩევა (ქართველებს უნიკალური სიტყვა გვაქვს — „განათლებული“. ეს სიტყვა ცოდნის მიღებით ნათლისღებას ნიშნავს — ანუ „მიიღო ცოდნა და განათლდა“. ჩვენში ზოგს განათლებული, ინგლისურისა და კომპიუტერის მცოდნე ჰგონია).

მოძრაობა ეკუთვნის მას, ვინც მოძრაობაშია

აქ მოძრაობა სირბილს ან გადაადგილებას არ ნიშნავს. ეს არის ყოველმხრივი განვითარება, პროგრესი, მოძრაობა უკეთესობისკენ. უძველესი სიბრძნეა: „მოძრავი ამარცხებს უძრავს“ — ანუ ერთსა და იმავე ადგილზე წყლის წვეთის დაცემა ქვას ხვრეტს (ამ ძველინდურ წესს ქართული ანდაზაც ეხმაურება: მაწანწალა ტურამ აჯობა მწოლიარე მგელსაო). ეს კიდევ, რომ გავამარტივოთ, ასე ჟღერს — გაბედე და გაიმარჯვებ.

ყველა პრობლემა შენს თავშია

ყველა ადამიანი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად აქვს მას ცნობიერება განვითარებული, ირჩევს იმას, რასაც იმწუთას ხედავს და მისთვის (მისი ახლობლებისთვის) საჭირო ჰგონია. გარკვეული დროის მანძილზე, ის ქმნის საკუთარ ინდივიდუალურ ცხოვრებას (ბედს) და რაღაც ხნის შემდეგ აღმოაჩენს, რომ წარსულში მას სწორი არჩევანი ვერ გაუკეთებია, სწორედ აქედან იწყება პრობლემები. თუმცა, პრობლემა იმდენადაა პრობლემა, რამდენადაც ამას თვითონ ადამიანი აღიქვამს (თუ ამას ერთი ცნობილი ოკულტისტის სიტყვებით გამოვხატავთ: „ნამდვილი მამაკაცები პრობლემებზე არ ნერვიულობენ, ისინი პრობლემებს აგვარებენ“). ასე რომ, პრობლემაზე ნუ ინერვიულებთ (ამით მას მაინც ვერ გადაწყვეტთ), უბრალოდ... მოაგვარეთ.

ნუ ეძებ სრულყოფილებას შედარებითში

სრულყოფილება არის აბსოლუტური მოწესრიგებულობა და ჰარმონია. საერთოდ, ჭეშმარიტ შემოქმედთა უმეტესობა მიიჩნევდა (და მიიჩნევს), რომ სრულყოფილება არ არსებობს, თუმცა, ზოგიერთის აზრით, მისი მიღწევა შესაძლებელია. შრი ნილაკატა დაივაგნია კი გვასწავლის, რომ სრულყოფილება არ მიიღწევა შედარებით. ცნობიერების განვითარება, როგორც ეგზოთერული (გარეგანი), ისე ეზოთერული (შინაგანი) კუთხით იძლევა საკმაოდ ძლიერ იმპულსს სრულყოფილებისთვის.

შეინარჩუნე მთლიანობა საკუთარ თავში

სრულყოფილება მთლიანობის გარეშე უბრალოდ, წარმოუდგენელია, ამიტომ საჭიროა აბსოლუტური კონცენტრაცია, საკუთარ აზრებში კარგად გარკვევა. სხვადასხვა ადამიანი, სულიერი და ფიზიკური საწყისების ჰარმონიზაციისთვის სხვადასხვა საშუალებას მიმართავს — მედიტაციას, იოგას, ფიზიკურ ვარჯიშებს (ქართველებს ამისთვის უნიკალური საშუალება გვაქვს — ლოცვა, ოღონდ, როგორც წმინდა მამები ამბობენ — „გულიდან ამოსული ლოცვა“...). ეს ერთიანობა შენარჩუნებული უნდა იქნას ყოველდღიურ, ყოფით ცხოვრებაშიც — სხვაგვარად, ის აზრს დაკარგავს. ■

ტიპიური ასევე აქტუალური

ხამოსი შეჯამ ჰამეზე მეცყვილებს..

27 სექტემბერს კლუბ „16 რაუნდში“ სამოდელო სახლის — „თიკო და ნინო“ გამოფენა გაიმართა. ამ სახლის დიზაინერები, დედა-შვილი, ქალბატონი ნინო ხიჭაკაძე და თიკო ნებიერიძე არიან. მათთვის პრინციპული იყო, რომ ამ საღამოს, სწორედ გამოფენის ფორმა ჰქონოდა და არა კოლექციის ჩვენებისა, რათა საზოგადოებისთვის მათ მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხარისხიც თვალსაჩინო ყოფილიყო. მართალია, გამოფენაზე რამდენიმე ქართველი მოდელი იყო, მაგრამ ისინი ჩვეულებისამებრ პოდიუმზე კი არ დადიოდნენ, არამედ სახლის კოსტიუმებით შემოსილნი, სცენასა და სკამებზე გაშეშებულნი ისხდნენ. მთელი საღამო, ნარინჯისფერსა და მწვანეში იყო გადაწყვეტილი. მიმტანებსაც კი ამ ფერის მაისურები ეცვათ. საღამოს სტუმრებს შორის, ბევრი ცნობილი სახე იყო: ნატო გელაშვილი მეუღლითურთ, ნატო მეტონიძე, მერაბ სეფაშვილის მეუღლე, ქალბატონი ნინო, აჩი მეფარიძე, მარიკა თხელიძე, „შაბათის შოუს“ თითქმის ყველა წევრი, პეტრე მამრაძე და სხვები. უმეტესი მათგანი ამ სახლის მუდმივი კლიენტი ყოფილა. გამოფენის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომლის წამყვანიც, მომღერალი ლიზა ბაგრატიონი გახლდათ. ის ჩვეული, მომხიბლავი ღიმილით ხშირ-ხშირად არბოდა სცენაზე და ისიც კი თქვა — როგორც ყოველთვის, უზრდელად ვიქცევიო. ჩვენების დაწყებამდე, ორივე დიზაინერს საკუთარ შემოქმედებაზე ვესაუბრეთ.

ნათია ქივიძე

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ თქვენი კოლექციის გამოფენა მოგეწყოთ და არა ჩვენება?

თიკო:

— შესაძლოა, სულელური პრინციპია, მაგრამ მე მგონია, რომ ფეხსაცმელი, რომელიც ხარისხიანია, გამოფენის ფორმით უნდა ვაჩვენოთ საზოგადოებას და არა — ჩვენების. გადავწყვიტე, რომ ამისთვის რაღაც შოუს სახე მიგვეცა და ჩავრთე მანეკენებიც. სხვათა შორის, ამ გამოფენის იდეა ხათუნა ჟორდანიასა და აჩიკო მეფარიძეს ეკუთვნით, ხოლო ორგანიზატორი, ირინა იაშვილი გახლდათ. ხათუნა სულ მეუბნებოდა — არ შეიძლება, რომ თქვენ ჩუმად იყოთო. დამარწმუნეს, რომ ეს გამოფენა მომეწყო. თან დამპირდნენ, რომ ისინი ამ გამოფენაში თავიანთ წვლილს შეიტანდნენ. მათი წვლილი კი ის იყო, რომ ყველა მომღერალმა, რომელმაც ჩვენს შოუში მიიღო მონაწილეობა, ჩვენი სახლისთვის საჩუქრად ანუ ყოველგვარი ჰონორარის გარეშე იმღერა.

— თვითონ ხათუნა და აჩიკო ალბათ, თქვენი კლიენტები არიან. მათ გარდა, ვინ იკერავს თქვენთან ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელს?

— ხათუნა და აჩიკო მართლაც, ჩვენთან იმოსებიან. სხვაც ბევრი ცნობილი მომხმარებელი გვყავს: ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, თითქმის ყველა მინისტრის მეუღლე, ყოფილი თბილისის მერის, ზურაბ ჭიაბერაშვილის მეუღლე, ძალიან ბევრი საქმიანი ქალი და ა.შ.

ნინო:

— მოდი, ახლა, სულ თავიდან დავიწყოთ: მოგვიყევით თქვენი სადიზაინერო კარიერის შესახებ და გვითხარით, ხართ თუ არა პროფესიონალი დიზაინერი.

— დიზაინერობის სპეციალური განათლება არ მაქვს მიღებული. ტანსაცმელზე ყოველთვის ვმუშაობდი, ოღონდ — სახლში. მაგრამ 1992 წლიდან, მეგობართან ერთად, მოდების სალონი გავხსენი. მერე უკვე ასეთივე სალონი მარტომ გავაკეთე. ჩემი ქალიშვილის სალონიც ჩემთან ახლოს იყო, მცირე ფართობის გამო მაშინ ვერ მოხერხდა ჩვენი გაერთიანება. მერე გადავწყვიტეთ, რომ ერთად აგვეშენებინა მოდების სახლი და ამ ყველაფერზე ერთად გვემუშავა. ასეც მოვიქეცით და ახლა უკვე აქ ვართ.

ფეხსაცმელი, რომელიც ხარისხიანია, გამოფენის ფორმით უნდა ვაჩვენოთ საზოგადოებას და არა — ჩვენების

— თიკოს ალბათ დედის ნიჭი გამოჰყვა, არა?

— თიკო ბავშვობიდანვე ძალიან კარგად ხატავდა. ჯერ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელი დაამთავრა, მერე — სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. ასე რომ, მას სხვა სპეციალობაზე არც უფიქრია, თუმცა, ერთი პერიოდი, სერიოზულად იყო გატაცებული ფოტოხელოვნებით. მოგვიანებით კი, ჩემთან დაიწყო ქამრებისა და სხვა აქსესუარების კეთება. ამასობაში, რატომღაც თვითონვე გაუჩნდა იდეა, რომ ფეხსაცმელზე ემუშავა. მის ამ გადაწყვეტილებას ოჯახის წევრები ძალზე სკეპტიკურად შეეხვდით, რადგან მან საერთოდ არაფერი იცოდა ფეხსაცმლის შესახებ. მაგრამ მეოთხე წელია, ამაზე მუშაობს და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ახლა უკვე გამოცდილება შეიძინა და ფეხსაცმლის ყველა დეტალი ძალიან კარგად იცის.

— როცა ბავშვი იყო, თქვენ რომ ტანსაცმელს კერავდით, თიკო ალბათ, გეხმარებოდათ...

— არა, კი არ მეხმარებოდა, რაღაცებს მიფუჭებდა. ყველაფერს დაუკითხავად იღებდა და თავისთვის რაღაცებს აკეთებდა, უფრო — ფეხსაცმელს, ხან რას მიაკერებდა და ხან რას მიაწებებდა!.. მაგრამ მაშინ არც მიფიქრია, რომ საბოლოო სპეციალობად თიკო ფეხსაცმლის დიზაინერობას აირჩევდა. ეს ჩემთვის ძალიან მოულოდ-

ნელი იყო, რადგან რატომღაც მეგონა, რომ ის ფოტოხელოვნებას გაჰყვებოდა. მოულოდნელი იყო, მაგრამ სასიამოვნო. როცა სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება გადაწყვიტა, მაშინ ძალიან მინდოდა, რომ დიზაინის ფაკულტეტზე ჩაებარებინა, რადგან ვფიქრობდი, ჩემს საქმეს თიკო გააგრძელებს-მეთქი. მენანებოდა ამდენი წლის ნაშრომის დაკარგვა და მსურდა, ის ურთიერთობა, რომელიც ჩემს მომხმარებელთან მაქვს, თიკოს გაეგრძელებინა. მაგრამ მისთვის ძალა არასოდეს დამიტანებია, ეს ყველაფერი თვითონ გადაწყვიტა. ასეც არის, ადამიანმა საკუთარი თავი თვითონ უნდა იპოვოს და რაც მოსწონს, ის უნდა აკეთოს.

— თიკო, რატომ გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც ფეხსაცმლის დიზაინერი გამხდარიყავი?

— ეს გადაწყვეტილება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ამას საერთოდ არ ვაპირებდი. უბრალოდ, რაღაც აქსესუარებს ვაკეთებდი ხოლმე. ჩემი კარიერა ლიზა ბაგრატიონის ქამრიდან დაიწყო: მას ვუკეთებდი ქამარს, როცა მოულოდნელად დამებადა იდეა, ფეხსაცმელზეც მემუშავა. ეს იდეა იმდენად ღრმად ჩავიბეჭდე გონებაში, რომ ფეხსაცმლის შესახებ ბევრი რამ შევისწავლე. შორიდან, ეს ყველაფერი თითქოს ადვილია, მაგრამ ფეხსაცმელს, ჩაცმის გარდა, კიდევ უამრავი რაღაც სჭირდება. დღეს ვფიქრობ, რომ ჩემი თავი ამ სფეროში ვიპოვე.

— რადგან ფეხსაცმლის კერვა გადაწყვიტე, მას ალბათ, შენს ცხოვრებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს...

— ყოველთვის ძალიან მიყვარდა და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. დღესაც ვთვლი, რომ ადამიანის ჩაცმულობაში ფეხსაცმელს, ჩანთასა და საერთოდ, აქსესუარს ძალიან დიდი როლი აკისრია.

— მაშინ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ. წლეულს, შემოდგომა-ზამთარში, რა სტილისა და ფორმის ფეხსაცმელია მოდაში?

— ჩემი ბოლო კოლექცია ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ფეხსაცმლისგან შედგება, რადგან მომხმარებელი რამდენიმე კატეგორიად იყოფა: არიან მომხმარებლები, რომლებიც ექსტრავაგანტურ ჩაცმულობას ანიჭებენ უპირატესობას, არიან საქმიანი ქალები და ადამინები, რომლებსაც ყოველდღიური ფეხსაცმელი სჭირდებათ. ასეთივეა მამაკაცების კოლექცია. სწორედ იმიტომ შევქმენი განსხვავებული კოლექცია, რომ ყველანაირი გემოვნების ადამიანი დავაკმაყოფილო. ამ კოლექციაში მასალად გამოვიყენე: ბეწვი, აპლიკაციები, ნაქსოვი, რომელიც წელს ძალიან მოდაშია. ჩემი კოლექცია ზოგადად რომ შევაფასო, მასში უფრო ექსტრავაგანტურობა სჭარბობს.

— როდესაც ფეხსაცმლის დიზაინს ქმნი, მთლიანად შენს გემოვნებას ენდობი თუ მომხმარებლის აზრსაც ითვალისწინებ?

— მათ აზრს რაღაც დონეზე ვითვალისწინებ, მაგრამ ერთ რამეს მივაღწიე: ჩემთან მოსული თითქმის ყველა ადამიანი მიჯერებს და მენდობა. შეიძლება, მას რაღაც უნდოდეს, მაგრამ ვიცი, რომ ის არ ივარგებს. ამას რომ ვუსწავლი, ჩემი გამოცდილების წყალობით, მიჯერებენ.

— წელს ქამრები ისევ აქტუალურია?

— ქამრები ისევ მოდაშია, მაგრამ — შარშანდელისგან აბსოლუტურად განსხვავებული, უფრო „დანაზებული“ და ამავე დროს, აქსესუარებით ძალიან გადატვირთული. რაც შეეხება ჩანთებს — ისევე მოდაშია პატარა ჩანთები, როგორც დიდები. არჩევანი მყიდველზეა დამოკიდებული. ჩანთის ფორმაც თავად უნდა შეარჩიოს, რადგან არსებობს ჩანთა, რომელსაც საქმიანი ქალი ვერ დაიკავებს ხელში, ან პირიქით. იგივე ტენდენციაა, რაც ფეხსაცმელთან დაკავშირებით.

დანამდვილებით ვიცი, რომ ბაგონ მიშას ეს ფეხსაცმელი აცვია კიდეც და ყველას აჩვენებს – ნახეთ, საქართველოშიც შეიძლება, კარგი ფეხსაცმლის შეკერვაო...

— ქალბატონო ნინო, ახლა წლევანდელი ტანსაცმლის მოდაზე ვისაუბროთ. თქვენ უფრო მეტად რა სტილის ტანსაცმელზე მუშაობთ?

— ჩვენ ძირითადად, შეკვეთებზე ვმუშაობთ. მასობრივი წარმოება, პრეტა-პორტე რასაც ჰქვია, ჩვენ არ გვაქვს. პირადად მე კი, გამოსასვლელ, კლასიკურ ტანსაცმელზე მუშაობა მომწონს. ეს ისეთი სამოსია, რომელიც მოდიდან არ გადის — ადამიანს შესაძლოა, 10-15 წლის წინ ეცვა და დღესაც შეუძლია ჩაიცვას. ეს იმიტომ, რომ კლასიკა ისეთი რამეა, პატარა დეტალის შეცვლის დროსაც კი, ძალიან მოდური ხდება... ტანსაცმელის მიხედვით, შესაძლოა, ბევრ რამეზე იმსჯელო — მაგალითად, იმ დროინდელ პოლიტიკურ წყობაზე, რა ეკონომიკური სიტუაცია იყო მაშინ ქვეყანაში, რა დონეზე იყო იმ პერიოდის ადამიანების აზროვნება და ა.შ. ბევრი რამის განსაზღვრა შეიძლება თუნდაც, ერთი კაბის მიხედვით. ამიტომ მიყვარს ჩემი საქმე. მომავალში გადაწყვეტილი მაქვს, რომ ხელსაქმის სკოლა დავაარსო, სადაც პირველ რიგში, უდედმამო ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს შევასწავლი ამ საქმეს. ამასთანავე, ჩემი ოცნებაა, ექსკლუზიური ქსოვილების წარმოება. მინდა, რომ ამისთვის მინიფაბრიკა შევქმნა: შევიძენ კარგი ხარისხის აბრეშუმს ან ხავერდს და მეორედ დავამუშავებთ — ანუ მივანიჭებ სრულიად განსხვავებულ სახეს, რომელიც მხოლოდ ჩემი იქნება. ამ სკოლაშიც ბავშვები პირველ რიგში, ესკიზის შექმნას, ხატვას ისწავლიან. ეს აუცილებელია, რადგან როცა რაიმეს ქარგავ, ეს იგივეა, რომ ხელში ფუნჯი და საღებავი გეჭიროს. დარწმუნებული ვარ, ბავშვთა სახლებში არიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც ამის ტალანტი აქვთ — უბრალოდ, მათი აღმოჩენაა საჭირო.

— ახლა თუ აწარმოებთ თქვენ მიერ დამუშავებულ ქსოვილებს?

— რა თქმა უნდა, ამას სულ ვაკეთებ. ვყიდულობ კარგი ხარისხის აბრეშუმს და მერე ვამუშავებ. ასეთი ქსოვილები (ალბათ ნახავდით) გამოფენაზეც იყო.

— ბისერები ისევ აქტუალურია?

— რა თქმა უნდა. მაგრამ მე ძალიან მომწონს ძაფი და ბისერი ერთად. შერეული ტექნიკით გაკეთებული ნივთი ძალიან ლამაზია. ბისერმა უკვე მთელ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი. ნათელია, რომ თანდათან ეს ტენდენცია უკან დაიხევს და წინა პლანზე ის წამოვა, რაც უფრო რთულია — ე.ი. ბისერი და ძაფი.

— რაც შეეხება თავსაბურავებს — როგორი ქუდებია მოდაში?

— ჩვენ ბევრნაირ ქუდს ვკერავთ, მათ შორის — ბისერებისასაც. ჩემს ახალგაზრდობაში მახსოვს, თბილისში, ძალიან ბევრ ფანჯარაში სულ ქუდები იყო გამოფენილი. მაშინ ქუდების კეთების ძალიან დიდი კულტურა გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დაიკარგა, რადგან თუ ვინმე ამ საქმის საუკეთესო ხელოვანი გვყავდა, ან გარდაიცვალა, ან საქართველოდან წავიდა. მაინც მინდა, ქუდების პატარა სახელოსნოც გავხსნა, მაგრამ ამასაც თავისი სირთულეები ახლავს. მართალი გითხრათ, ამ საქმეს მოყვარულის დონეზე ვაკეთებ, ეს კი სწორად არ მიმაჩნია. არსებობს ქუდები, რომლებსაც ტექნიკის ზედმიწევნით ცოდნა ესაჭიროება და ამას შევისწავლი კიდეც.

— როგორც ვიცი, თქვენთან ფეხსაცმელი საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმაც შეიკერა. თიკო:

— არ შეუკერავს. ეს ჩემი სურვილი იყო. ბატონ პრეზიდენტს, დაბადების დღის მისალოცად, საჩუქრად ფეხსაცმელი გა-

ვუგზავნე. სამაგიეროდ, მისგან საახალწლო მოლოცვა მივიღე. ეს ალბათ, იმის მანიშნებელია, რომ მას ჩემი საჩუქარი მოეწონა.

ნინო:

— დანამდვილებით ვიცი, რომ ბატონ მიშას ეს ფეხსაცმელი აცვია კიდეც და ყველას აჩვენებს — ნახეთ, საქართველოშიც შეიძლება, კარგი ფეხსაცმლის შეკერვაო...

— ვიცი, რომ ცნობილ სახეებს საჩუქრებით მაინცდამაინც არ ანებივრებთ, მაგრამ პრეზიდენტის გარდა, იყო კიდევ ერთი შემთხვევა...

თიკო:

— მართალი ხარ. ადამიანებს რაღაცრაღაცებს კი ვჩუქნი, მაგრამ ეს ჩემი პირადი ურთიერთობიდან გამომდინარეხდება. წინააღმდეგი ვარ, საჩუქრები სულ ვარიგო. რაც არ უნდა ცნობილი იყოს ადამიანი, ვთვლი — როცა შენს ნაშრომს გააუფასურებ, სხვაც აღარ დააფასებს მას. ძალიან დიდი შრომის ფასად მიჯდება ის, რასაც ვაკეთებ და არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ეს ფეხსაცმელი ვარიგო. იმ საჩუქრის ამბავსაც მოგიყვები. ნატო გელაშვილს მაღაზიაში ჩემი შეკერილი ქოში მოსწონებია და უკითხავს — ვინ შეკერაო? უთხრეს, თუ როგორ შეიძლებოდა ჩემთან დაკავშირება. მაშინ მას სოლო კონცერტისთვის სჭირდებოდა ჩექმა. მითხრა — ავთო ცქვიტინიძე მიკერავს კაბას, ჩექმა კი შენ შემიკერე, თავიდან ბოლომდე გენდობი, რაც გინდა, ის გააკეთეო. შევუკერე ჩექმა, რომელიც 65 ნაჭრისგან შედგებოდა. როცა ნატო მის წასაღებად მოვიდა, მე არც მიფიქრია, რომ ის აუცილებლად უნდა მეჩუქებინა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც კომპოზიტორი და მომღერალი, ძალიან მიყვარს. ჩექმა რომ გამოვუტანე, ისეთი რეაქცია ჰქონდა, რომ გავგიჟდი: აღარ იცოდა, ეტირა თუ ეცინა, მითხრა — სულ სხვა რაღაცას ველოდებოდი და ეს რა დამხვდაო!.. ჩემს თანამშრომლებს მაშინვე უთქვამთ — გამორიცხულია, ასეთი რეაქციის შემდეგ, თიკომ ნატოს ფული გამოართვასო... ნატოს რომ ვუთხარი — საჩუქრად მიიღე-მეთქი, — უარი მითხრა: ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარიაო. მაშინ მე ვუთხარი — ჩემს ამ შრომას ვერ შევაფასებ და შენ შეაფასე-მეთქი... ეს მართალიც იყო: იმდენად არანორმალური რეაქცია ჰქონდა, რომ იმწუთას ის ჩექმა ჩემთვის ისეთი ძვირფასი გახდა, მართლა ველარ შევაფასებდი. აი, ამ რეაქციით მივიღე მე ის „თანხაც“, რომელიც მასში უნდა ამეღო და ჩემი შრომის შეფასებაც.

— ვიცი, რომ ასეთივე ქამარი გაქვთ, რომელიც პარიზში მოღვაწე დიზაინერს, ირაკლი ნასიძეს არ მიჰყიდეთ...

ნინო:

— ეს ქამარი არ იყიდება, რადგან იმდენად დიდხანს ვქარგავდი და მასში იმდენად დიდი შრომა ჩავდე, რომ ვერ შევაფასებ. ის არის ბისერით მოქსოვილი, მასში ძალიან ბევრი ბისერია გამოყენებული. ეს ქამარი ყველა ჩვენს გამოფენაზე იქნება, როგორც ჩვენი ემბლემა და სავიზიტო ბარათი.

— ქალბატონო ნინო, თქვენ ალბათ, თიკოსავით არ აგიჩუყდებათ გული, რომ ვინმეს, რეაქციის გამო, რაიმე აჩუქოთ...

— როგორ არა?!. ძალიან ბევრი ადამიანისთვის მიჩუქებია რაღაც, მაგრამ ისინი ჩემი მეგობრები არიან. ასე რომ, საჩუქრებს გამორჩენის მიზნით არ ვაკეთებ. ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე, ქალბატონი ნანული შევარდნაძე სულ ჩემთან იკერავდა ტანსაცმელს. შეიძლება, მისთვის რაიმე პატარა საჩუქარი მიმერთმია, მაგრამ ეს ისეთი საჩუქარი ყოფილა, რომ მისთვის ამით შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. შემიძლია ვთქვა, რომ არ მახსოვს, ქალბატონი ნანულისთვის ოდესმე რამე მეთხოვოს, მიუხედავად იმისა, რომ მას წლების განმავლობაში ვუკერავდი ტანსაცმელს.

— როგორც ცნობილია, ქალბატონი ნანული საკმაოდ კეთილი და თბილი ადამიანი იყო. თავად არ გასჩენია სურვილი, რომ თქვენთვის რაიმე გაეკეთებინა?

— კი, ძალიან ხშირად. მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნებოდი. ერთი პერიოდი, ავად ვიყავი და თვითონ შემომთავაზა, რომ გულიკო ჩაფიძის კლინიკაში დავეწვინე და მკურნალობის თანხაც გადაეხადა, მაგრამ ამაზეც უარი ვუთხარი: საავადმყოფოში დაწოლის დრო არ მაქვს, თორემ, თუ დავწვები, ფულსაც თვითონ გადავიხდი-მეთქი, — ვუპასუხე. რა ვქნა, ასეთი პრინციპი მაქვს. არ მინდა, ვინმე ცნობილმა ადმიანმა იფიქროს, რომ მას იმიტომ ვყვები თან, რომ მისგან რაიმეს ველოდები. ჩემთან შემოსულ პრეზიდენტის ცოლსაც და რიგით კლიენტსაც აბსოლუტურად ერთნაირად ვხვდები.

— ირაკლიმ საიდან შეიტყო თქვენი ქამრის არსებობის შესახებ?

— ირაკლის, ნანული შევარდნაძისთვის უნდა შეეკერა კოსტიუმი. ქალბატონმა ნანულიმ უთხრა, რომ ერთადერთი, ვისთანაც შემიძლია ურთიერთობა, ნინოა და თუ შეგიძლია, მის სალონში იმუშავე ჩემს კოსტიუმზეო. ირაკლი ჩვენთან მოვიდა. ამ ქამარს ვქსოვდი, ჯერ დამთავრებული არ მქონდა და დაუმთავრებელი ნახა. გაგიჟდა, ისე მოეწონა და ძალიან გვთხოვა, რომ მიგვეყიდა მისთვის, მაგრამ უარით გავისტუმრე. ეს ქამარი არ იყიდება. ის შრომა, რომელიც ამ ქამარშია ჩადებული, შეუფასებელია და საქართველოში ამის მყიდველი არც არსებობს.

■

რამ აატირა ლიზა ბაგრატიონი სტამბოლში

როგორც უკვე აღვნიშნე, სამოდელო სახლის — „თიკო და ნინო“ — გამოფენაზე გამართული საღამოს წამყვანი, ყველასათვის საყვარელი მომღერალი, ლიზა ბაგრატიონი გახლდათ, რომელმაც აჩი მეფარიძის სიმღერებზე განსაკუთრებით „მოილხინა“ და თავის დასთან, ვანკო თარხნიშვილთან და ზუზუსთან ერთად, დიდი მონდომებით ცეკვავდა... როცა კონცერტის ბოლო მონაწილე, ნატო ყანჩელი გამოაცხადა, ყველა გავოცდით: ვერ მივხვდით, ვინ იყო ნატო ყანჩელი და... სახეზე ყველას ღიმილმა გადაურბინა, როცა სცენაზე ნატო მეტონიძე ავიდა. ამ ამბით თვითონ ლიზამ ძალიან იხალისა, მეგობარს ბოდიში მოუხადა და მიკროფონი გადასცა. მე კი დრო ვიხელთე და მიკროფონს, დიქტოფონი შევუნაცვლე...

ნათია ქევიძე

— ლიზა, როგორც ვიცი, თქვენ ამ სამოდელო სახლის პირველი კლიენტი იყავით...

— არა, მთლად პირველი ნამდვილად არ

ვარ — შესაძლოა, მათი პირველი კლიენტი ვარ, საზოგადოებისთვის ნაცნობი სახეებიდან. უკვე 7-8 წელია, რაც მათთან მუდმივად დავდივარ და ჩემს სამოსზე ყოველთვის ნინო ზრუნავს.

— ვიცი, რომ მათ სულ პირველად, ქამარი გაგიკეთეს.

— როგორც ხედავთ, მათ კოლექციაში ძალზე ბევრი ბისერია გამოყენებული. მაშინ საქართველოში ამას თითქმის არავინ აკეთებდა. ჩემს ქამარში, ბისერთან ერთად, ზამში, ტყავი და მაქმანი იყო გამოყენებული და მართლა ძალიან ლამაზი გამოვიდა. მერე, საზღვარგარეთ ყოფნისას, ერთმა ძალიან მდიდარმა იქაურმა ადამიანმა მილიონჯერ მაინც მითხრა — რა ლამაზი ქამარი გაქვსო! ამას იმდენჯერ გაუსვა ხაზი, რომ მოვიხსენი და ვაჩუქე, რაზეც დღემდე გული მწყდება... მას მერეც ბევრი სამოსი შემიკერავს ნინოსთან. რაიმე საფირმო ტანსაცმელი რომ მაქვს, იმასაც კი ვაკეთებინებ, რადგან მის მიერ შეკერილი ნივთი ჩემთვის თილისმასავითაა, კარგად მაქვს დაცდილი. მიყვარს, როცა კონცერტის წინ, მათთან შევდივარ, სულ თვითონ მაწესრიგებს და ფაქტობრივად, მაცმევს კიდეც. ჩემთვის ეს ძალიან დიდი სტიმულია.

— რატომ გადაწყვიტეთ, მაინცდამაინც ნინოსთან და თიკოსთან მისვლა, როცა საქართველოში ამდენი დიზაინერია?

— ნინოსთან დედაჩემის მეგობარმა მიმიყვანა. მაშინ საქართველოში ამდენი სალონი და სამოდელო სახლი არ იყო. მათი ყველა ნამუშევარი მომეწონა და უკვე ჩვენად მექცა მათთან მისვლა. თანაც, ახლა უკვე, მათი მხოლოდ კლიენტი როდი ვარ — ძალზე დავმეგობრდით, ერთად ვფიქრობთ, ერთად ვიგონებთ ახალ რაღაცებს, ყავას ვსვამთ, ვჭორაობთ, უფრო მეტად — პოლიტიკაზე. მართალია, ამ საკითხზე ხშირად განხეთქილებაც მოგვდის, მაგრამ იმდენად დაახლოებული ვართ ერთმანეთთან, რომ აბსოლუტურად კომფორტულად ვგრძნობთ ერთად თავს.

— დღევანდელი საღამოს წამყვანობაც თქვენი მეგობრობის წყალობაა?

— ეს თიკომ მთხოვა. დღეს მათ ჩემთვის რაც არ უნდა ეთხოვათ, უარს ვერაფერზე ვეტყოდი, რადგან ისინი ყოველთვის მხარში მიდგანან და მეხმარებიან, ამიტომ არ მქონდა უფლება, რომ ასეთ საპასუხისმგებლო საღამოზე, როცა ისინი ასე ნერვიულობენ, დიდი ენერგია, შრომა და ფინანსები ჩადეს ამ ყველაფერში, მათთვის უარი მეთქვა. თუმცა, მათი მოლოდინი გავამართლე თუ არა, ამას ვერ გეტყვით.

— საერთოდ, მოდის მიმდევარი ხართ, არა?

— კი, ვარ. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩემი, ჩამოყალიბებული გემოვნება მაქვს. ჯინსიც მიყვარს, ბოტასიც, ქუსლიანი ფეხსაცმელიც და კლასიკურად ჩაცმაც, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან ექსტრავაგანტურიც არ ვარ. ტანსაცმელში ჩემებური დეტალების შეტანა მიყვარს.

— კიდევ ერთ თემას მინდა, შევეხოთ. სულ ცოტა ხნის წინ, „საქართველოს დღეებზე“ სტამბოლში იმყოფებოდით. თუ შეიძლება, გვიამბეთ ამის შესახებ.

მოლხენა ნამდვილად არ გაგვჭირვებია. 35 გადარეული ქართველი ვიყავით ერთად შეყრილი და რატომ ვერ მოვილხენდით?!. (პეტრე მამრაძესთან ერთად)

— სტამბოლი ფანტასტიკურია. იქ მოქმედებს საქართველოს საკონსულო, კონსული, ზვიად კვაჭანტირაძე — არაჩვეულებრივი ქართველი დიპლომატი გახლავთ. თუ არ ვცდები, სწორედ მისი იდეა იყო, რომ იქ საქართველოს კულტურის დღეები ჩატარებულიყო. როგორც აღმოჩნდა, იქ უკვე ძალიან დიდი ხანია, მსგავსი არაფერი ყოფილა. ბატონ ზვიადს, რა თქმა უნდა, საქართველოს კულტურის სამინისტრო ამოუდგა მხარში, მაგრამ ფინანსური მხარდაჭერა სტამბოლის მერიამ და იქ არსებულმა, საქართველოს სათვისტომომ გაუწია. ამ ყველაფრის ორგანიზატორი კი, სტამბოლის მერი გახლდათ. როგორც მივხვდი, მონაწილეებიც ქართული სათვისტომოს მიერ იყვნენ არჩეულნი. როგორც ჩანს, იქ მაინც ადევნებენ თვალყურს იმას, თუ რა ხდება საქართველოში, რადგან როცა ზვიადმა დამირეკა, მან უკვე კონკრეტულად ჩამომითვალა ის ხალხი, ვისაც ამ კულტურულ დღეებში უნდა მიეღო მონაწილეობა და მე უბრალოდ, მათთან დაკავშირება მთხოვა. რა თქმა უნდა, უარი არც ერთ მომღერალს არ უთქვამს, ყველა დიდი სიხარულით დაგვთანხმდა. მხოლოდ თემურ თათარაშვილი გამოგვაკლდა, რადგან მას ამ დროისთვის უკვე დაგეგმილი ჰქონდა გასტროლი. იქ წავედით: მე, მერაბ სეფაშვილი, ნატო მეტონიძე, ნუკრი კაპანაძე, ფოლკლორული ანსამბლი „ლაშარი“ და ახალი „ქართული ხმები“. ასევე იყო რეჟისორი ნანა ჯანელიძე, რომელსაც რამდენიმე ფილმი ჰქონდა წამოღებული, მათ შორის — „იავნანამ რა ჰქმნა?!“; ეროვნული გალერეის დირექტორი, ქალბატონი ქეთევან კორძახია, რომელსაც თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა ჰქონდა წამოღებული. აგრეთვე: მინანქარი, ბატიკა და ფარდაგები. ჩვენთან ერთად იყო ახალგაზრდა ფოტოგრაფი, ტატო კოტეტიშვილი, რომელმაც ექსპოზიცია — „ვარდების რევოლუცია“ გამოფინა. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო, იქაურ ქართველებთან შეხვედრა გახლდათ. თვითონ მოდიოდნენ სასტუმროში, გვეცნობოდნენ, გვესაუბრებოდნენ, თავის ამბებს გვიყვებოდნენ. გაოცდებით, ისე ლაპარაკობენ ქართულად. საქართველოს შესახებაც აბსოლუტურად ყველაფერი იციან. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ისინი მაინც რაღაცნაირად, საქართველოს ნაწილს წარმოადგენენ... ამ ყველაფრის დაგვირგვინება ჩვენი გალა-კონცერტი იყო, რომელსაც ისეთი ემოციური მუხტი ჰქონდა, რომ არასოდეს დამავიწყდება.

— რა რეაქცია გქონდათ, როცა იქაური ქართველები სცენაზე ამოვიდნენ და ქართული ხალხური ცეკვები შეასრულეს?

— ყველას გვეტირებოდა. ეს ჩვენთვის ძალზე მოულოდნელი იყო და გაგვახარა კიდეც. ბიჭებმა ოთხჯერ იმღერეს ბისზე, რადგან სცენიდან არაფრით გაგვიშვეს. ყველა ვიდექით სცენაზე და ვტიროდით... ყოველთვის ვამბობდი, როცა ადამიანი სცენაზე დგას, მისთვის ემოციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს-მეთქი. იმ კონცერტზე თითოეულმა ჩვენგანმა ისე ვიმღერეთ, რომ შესაძლოა, ასე არასოდეს გვიმღერია. ძალიან გვინდოდა, რომ მათთვის დიდი სიამოვნება მიგვენიჭებინა და მართლაც, არაჩვეულებრივი კონცერტი გამოვიდა. კონცერტის შემდეგაც, კარგა ხანს არ დაშლილან, გველოდებოდნენ, კულისებიდან როდის გამოვიდოდით, გვესაუბრებოდნენ, გვეფერებოდნენ, გულში გვიკრავდნენ და ტიროდნენ... სანამ ჩვენი ავტობუსი არ დაიძრა, არც ერთი მათგანი არ წასულა. ტაშით გაგვაცილეს. ეს არასოდეს დამავიწყდება. ბატონი ზვიადი ალბათ, ამ ინტერვიუს წაიკითხავს და მინდა, რომ მას დიდი მადლობა გადავუხადო ამ დღესასწაულისთვის.

— როგორც ვიცი, კონცერტამდე, კულისებშიც კარგად მოგილხენიათ...

— მოლხენა ნამდვილად არ გაგვჭირვებია. 35 გადარეული ქართველი ვიყავით ერთად შეყრილი და რატომ ვერ მოვილხენდით?!. 4 დღის განმავლობაში, საერთოდ არ გვიძინია, სულ ვსეირნობდით. სტამბოლი ხომ არაჩვეულებრივი, ულამაზესი ქალაქია! ბატონმა ზვიადმა ექსკურსია მოგვიწყო და ამ 4 დღეში, ყველა საინტერესო ადგილი ვნახეთ.

— მანამდე, ამ ზაფხულს თუ ისვენებდით სადმე?

— რა თქმა უნდა. დედასთან და ჩემს შვილთან ერთად მთელი ზაფხული აჭარაში ვისვენებდი და არჩვეულებრივი დრო გავატარე.

■

რობინიო: თავმდაბლობა არასოდეს არ უნდა დავკარგო...

ბილბაოს „ატლეტიკთან“ შეხვედრისას, რობინიომ მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა. მანამდე, „სამეფოკლუბელები“ 0:1-ს აგებდნენ და სწორედ ბრაზილიელი ვუნდერკინდის გოლის წყალობით გაათანაბრეს ანგარიში, რის შემდეგაც, მატჩი გამარჯვებამდეც მიიყვანეს. არადა, ამ პაექრობამდე, „რეალს“ ზედიზედ 3 მატჩი ჰქონდა წაგებული და მასმედიაც უკვე აერცელებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი ვანდერლეი ლუქსემბურგო პოსტს ვეღარ შეინარჩუნებდა.

„სასიამოვნოა, რომ გავიტანე, მაგრამ მთავარი — გამარჯვებაა, — დასძინა მატჩის შემდეგ რობინიომ Marca-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. — ახლა ამავე ინერციით სვლას გავაგრძელებთ მომდევნო მატჩებშიც. „რეალმა“ ყოველთვის უნდა მოიგოს. დღეს ყველა კმაყოფილი ვართ. თავით თამაშის გაუმჯობესებაზე ბევრს ვმუშაობ, დღეს ამან შედეგიც გამოიღო. ჩემი გოლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მისი წყალობით, ანგარიში გავათანაბრეთ. ქომაგებიც არაჩვეულებრივად გვიჭერდნენ მხარს. 0:1 ვაგებდით, მაგრამ შემდეგ დავწინაურდით და გულშემატკივრები უფრო გამხნევდნენ. ყველამ ისე უნდა ითამაშოს, როგორც შეუძლია. თავდამსხმელი ზუსტად უნდა ურტყამდეს, ხოლო მცველმა საიმედოდ იმოქმედოს თავისი გუნდის კართან. რაც უფრო მეტ მატჩს ჩავატარებთ ერთად, უფრო უკეთესადაც გავუგებთ ერთმანეთს“.

— „რეალში“ კარიერის ასეთ დაწყებას თუ მოელოდი? 3 წაგება ზედიზედ, არც ერთი გატანილი გოლი, გუნდის სათამაშო-ტაქტიკური სქემის მუდმივი კრიტიკა...

— ამისათვის მზად ვიყავი. „რეალი“ სახელგანთქმული კლუბია, მის ასპარეზობას უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს. გუნდები ძალისხმევას არ იშურებენ მის დასამარცხებლად... ასე თამაში ძნელია. ისიც გვესმის, რომ სეზონი მხოლოდ ახლა იწყება, ხოლო თავიდან, ყოველთვის ძნელია თამაში. ვფიქრობ, თანდათან უკეთესად ავთამაშდებით და გამარჯვებებსაც მივაღწევთ. არც იმას დავმალავ, რომ პირველ ტურებში მსაჯებმა გამაკვირვეს. ისინი ბრაზილიაშიც ცდებიან, პენალტს მაშინ ნიშნავენ, როდესაც ამის საფუძველი არ არსებობს და არ თვლიან აშკარა გოლს, მაგრამ ეს რაღაც ნორმის ფარგლებში რჩება, აი, ესპანეთში კი... ოჰ... ოთხივე მატჩში ვითამაშე და მათგან ორში არბიტრებისგან მართლაც გვარიანად „მოგვხვდა“. ყოველთვის ასე იქნება?.. საერთოდ, ამ თემაზე საუბარი მაინცდამაინც არ მიყვარს. მაგრამ სინამდვილე ასეთია. ვიმედოვნებ, ეს აღარ გამეორდება.

— გაღიზიანებდა ის, რომ „რეალში“ შენი კარიერა ასე არასახარბიელოდ დაიწყო?

— რა თქმა უნდა, გაღიზიანებული ვიყავი. ჩვენ ხომ ყოველთვის გამარჯვებისკენ მივილტვით. თავიდანვე ვიცოდი, რომ მოგების გარდა, ნებისმიერი შედეგი „რეალში“ არადამაკმაყოფილებლად ითვლება, რის გამოც, გამუდმებით ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვიმყოფებით. თუმცა, მოხარული ვარ, რომ გარდატეხის შეტანა შეგვიძლია. როდესაც ერთ მატჩს ვიგებთ, მომდევნო შეხვედრებშიც წარმატებულად ვასპარეზობთ.

— ბრაზილიურ ფეხბურთთან შედარებით, აქ რა განსხვავება აღმოაჩინე?

— ეს არცთუ ისე ბევრია. აქ უფრო მჭიდროდ თამაშობენ მცველები. თუმცა, ჩემს სამშობლოშიც მსგავსი ვითარებაა. საფეხბურთო მოედნები აქ უკეთესია, რაც ძალიან მომწონს, რადგან ეს ბურთის კონტროლს მიადვილებს. რაც შეეხება „სანტიაგო ბერნაბეუს,“ იქ მინდორი ხალიჩასავითაა.

— ყველაზე მეტად რომელი გუნდის დაცვა თამაშობდა მჭიდროდ?

— „ლიონის“. ბრაზილიელები — კრისი და კასპა კარგად მიცნობენ, ამიტომ მეტისმეტად მჭიდროდ მეთამაშებოდნენ. მაგრამ ეს ნორმალურია, ამას მიჩვეული ვარ. აქ ისევე გირტყამენ ფეხებში, როგორც ბრაზილიაში. ჩვენთან თამაშისას, გუნდები მთელი შე-

მადგენლობით დაცვაში დგებიან. იგივე ხდება, როდესაც ბრაზილიის ნაკრები თამაშობს. რა თქმა უნდა, ეს ძალზე ძნელია.

— „სელტას“ კარში შენ მიერ გატანილი გოლი არ ჩათვალეს. ამის შემდეგ, თავის გამოჩენის წყურვილით იყავი შეპყრობილი?

— რა თქმა უნდა, გოლის გატანა მინდოდა. მაგრამ ასეთ დროს, მთავარი ის არ არის, თუ კონკრეტულად ვინ გაიტანს — მთავარია, „რეალმა“ გამარჯვებებს მიაღწიოს. თუ მოვიგებთ, რონალდოს, რაულისა და ჩემი სხვა პარტნიორის მიერ გატანილი გოლიც გამახარებს.

— „რეალში“ არაერთი ბრაზილიელი თამაშობს, მწვრთნელიც ბრაზილიელი გყავთ. ამიტომ გუნდში თქვენებური მენტალიტეტი ჭარბობს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბრაზილიის ნაკრების მსგავსად ითამაშებთ?

— არ ვიცი. ჩვენ ვიცით, რომ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ეს მწვრთნელს სურს. ბრაზილიის ნაკრები ერთი გუნდია, ხოლო „რეალი“ — მეორე.

— რონალდომ სეზონის წინ, 35 გოლის გატანა დაისახა მიზნად. შენ რამდენის გატანა შეგიძლია?

— ვიმედოვნებ, რომ ბევრ გოლს გავიტან. მოტივირებულად თამაშს გპირდებით და ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ „რეალმა“ გამარჯვებებს მიაღწიოს.

— როგორ ფიქრობ — 35 გოლის გატანა შესაძლებელია?

— რონალდო გოლების გატანის სპეციალისტია. ვნახოთ. მეც თავდამსხმელი ვარ და ასევე მიყვარს ბურთის გატანა. მეც შემიძლია 35 გოლის გატანა. ამის მიღწევა ძალზე ძნელია. თუ ბევრს ვივარჯიშებ, თავის გამოჩენასაც ხშირად შევძლებ.

— იმის შემდეგ, რაც ესპანეთში გადმოხვედი, აქაური ბავშვები შენი ფინტების გამეორებას ცდილობენ...

— ამით ბედნიერი ვარ. ვიმედოვნებ, რომ ფინტების ჩვენებას ხშირად შევძლებ, მაგრამ ამ დროს, მოწინააღმდეგე ფეხბურთელებს არასოდეს დავამცირებ. ის ფინტები, რომლებიც ქუჩაში ვისწავლე, ძალიან მიყვარს. სიხარულით ვთამაშობ ფეხბურთს. მსიამოვნებს, რომ მოედანზე „რეალის“ მაისურით გამოვდივარ. როდესაც „სანტოსში“ თამაში დავიწყე, ძალიან მიტაცებდა მოწინააღმდეგე ფეხბურთელების გაბრიყვება. შეიძლება, ამას ძალზე ხშირადაც ვაკეთებდი. ერთ-ერთ მატჩში კი, ამის გამო არბიტრის ყურადღებაც მივიქციე. მითხრეს, რომ ამით შეურაცხყოფას ვაყენებდი მეტოქეს. მაგრამ „ფინტაობა“ გავაგრძელე, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიჩვენეს. სწორედ ამის შემდეგ შევიგნე, რომ მხოლოდ მაშინ უნდა მოვატყუო მოწინააღმდეგე, როდესაც ეს ჩემს გუნდს სჭირდება... როცა ბავშვი ვიყავი, ეს მეპატიებოდა, მაგრამ ახლა ასეთი საქციელი აღარ შემშვენის.

— როგორ ფიქრობ — შენი საყვარელი ფინტი ეფექტურია?

— ამ ფინტის გაკეთება მართლაც, ძალიან მიყვარს — მაშინ, როდესაც კარს ვუახლოვდები იმ მიზნით, რომ გოლი გავიტანო. იგი ეფექტური უნდა იყოს, რადგან საქმე შეტევის შედეგიანად დაგვირგვინებას ეხება. მე მას იმიტომ როდი ვაკეთებ, რომ ბურთი ისევ უკან წავიღო. „ველოსიპედს“ — როგორც მას უწოდებთ — სისწრაფეში ვასრულებ, რომ შემდეგ, კარში დარტყმის შესაძლებლობა მომეცეს.

— ველოსპორტი თუ გიტაცებს?

— არა.

— კიდევ რა არ გვინახავს რობინიოს შესრულებით?

— კიდევ ბევრი რამის გამოვლენა შემიძლია. ჯერჯერობით, მხოლოდ სეზონის დასაწყისია და ვფიქრობ, პროგრესს მივაღწევთ.

— როგორ ფიქრობ — რამდენი პროცენტით ხარ მზად?

— ვფიქრობ, დაახლოებით 70%-ით. კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ, მაგრამ უკეთესად ვითამაშებ, როდესაც მოედანზე პარტნიორებთან საერთო ენას გამოვნახავ.

— გუნდის წევრებს შორის, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვინ მოახდინა შენზე?

— ზიდანმა. ის ყველაფერს მსუბუქად და შთამბეჭდავად აკეთებს. ფეხბურთელთა შორის ფეხბურთელია... ზიზუ ჯერ კიდევ მაშინ შემიყვარდა, როდესაც 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვიხილე მისი თამაში. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე ის ჩემთვის. ზინედინი შეუდარებლად ფლობს ბურთს. ყველანი ვიმედოვნებთ, რომ ის მალე მოიშუშებს ტრავმას... ძალიან კარგად მიმიღო რაულმა. ის დიდი მოთამაშეა. მუდამ მკარნახობდა, თუ რა უნდა გამეკეთებინა. გამიმართლა, რომ ერთ გუნდში რონალდოსა და რობერტო კარლოსთან ერთად აღმოვჩნდი. ისინი ყოველთვის კარგად მეპყრობოდნენ, ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც ნაკრებში გამომიძახეს. მათ ვუყვარვარ და ჩემი ესმით. როდესაც აქ ჩამოვედი, რობერტომ თავის სახლში ცხოვრება შემომთავაზა, ვიდრე საკუთარს არ შევიძენდი. რონი კი, ყოველთვის მეპატიჟება სადილზე ან ვახშამზე, თანაც — მუდამ თავად კისრულობს ხარჯს. ასე რომ, იქ კარგად მოვეწყვე *(იცინის)*... ბექჰემი სუპერსიმპათიური ადამიანია. ბევრი ამბობდა, რომ მას მხოლოდ იმიჯი ჰქონდა და არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობდა, მაგრამ ცდება ის, ვინც ასე ფიქრობს. დევიდი შესანიშნავად თამაშობს და კარგი პიროვნებაცაა.

— ყველაზე მეტად რომელი ტიტულის დაუფლება გსურს?

— ყველა ტიტული მნიშვნელოვანია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც „რეალში“ იმყოფები. მაგრამ ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება მსურს. ბედნიერი ვიქნები, თუ ამას მოვახერხებთ. საერთოდ კი, ჩემი მთავარი მიზანი, „რეალთან“ ერთად დიდი წარმატებების მიღწევაა. აი, ფიფას ვერსიით საუკეთესო მოთამაშე რომ გავმხდარიყავი?!. თუ ტიტულების დაუფლება ამაში დამეხმარება, ეს ფენომენური მიღწევა იქნება.

— მადრიდს უკვე შეეჩვიე?

— რა თქმა უნდა. ძალიან ლამაზი ქალაქია, სადაც კარგი ხალხი ცხოვრობს. ამბობენ, როდესაც აცივდება, გაგიჭირდებაო. ვნახოთ... აქ საჭმელიც ძალიან კარგია, ბრაზილიურს ჰგავს. უკვე მაქვს სახლი ყველაზე პრესტიჟულ რაიონში — ლა-მორალესში. აქ უკვე გადმოვიდა დედაჩემი და ოჯახურ საქმეებს უძღვება. ბედნიერი ვარ, რომ ის ჩემ გვერდითაა. მას შემდეგ, რაც ბრაზილიაში დედაჩემი მძევლად აიყვანეს, დიდი გამოცდილება მივიღე. ყოველდღიურად ვიზრდები. იმ მძიმე დღეებში, თანადგომის წერილებს ვიღებდი გერმანიიდან, იაპონიიდან, რუსეთიდან... ვერ ვიგებდი, რა ეწერა იქ, მაგრამ იმის შეგრძნებაც მყოფნიდა, რომ ხალხს ჩემზე გული შესტკიოდა. ის პერიოდი ჩემთვის ნამდვილ გამოცდად იქცა. ერთ-ერთი თვისება, რომელიც დედამ ჩამინერგა, ის არის, რომ თავმდაბლობა არასოდეს არ უნდა დავკარგო...

■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი)

ვერძი – 21/III-20/IV

ეცადეთ, მარტომ არ იმოქმედოთ, არადა გარემოებები სწორედ აქეთკენ გიბიძგებთ. თამამად სთხოვეთ დახმარება მეგობრებს, ნუ დაიწყებთ მარტო იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელთა მოგვარებასაც ძალზე დიდი ძალისხმევა სჭირდება. შესაძლოა, ამის გამო ახლობლისგან შენიშვნაც კი მიიღოთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და სასწორთან, ნეგატიური — ვერძსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 29, 1, 3. **ნეგატიური დღეები**: 30, 4.

კურო – 21/IV-21/V

ეს კვირა შემოქმედებითი რეალიზებისთვის მეტად წარმატებული იქნება. ასევე დიდი ალბათობაა იმისა, რომ გაიცნოთ ადამიანი, რომელიც ბევრ ისეთ საკითხში გაგარკვევთ, რომელზედაც ადრე წარმოდგენაც კი არ გქონდათ. საკითხის გადაწყვეტისას ნუ დაიწყებთ მის საფუძვლიანად გაანალიზებას — ინტუიციურად იმოქმედეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — მარჩბივსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 1, 3, 5. **ნეგატიური დღეები**: 29, 2.

მარჩბევი – 22/V-21/VI

თქვენი პარტნიორები და კოლეგები დაგეხმარებიან იმ პრობლემატური საკითხების გადაჭრაში, რომლებიც ბოლო ხანს მოსვენებას არ გაძლევდათ. თუმცა, ეს თქვენს გავლენას ერთიორად შეამცირებს. გარშემო მყოფები შეეცდებიან გიბიძგონ სარისკო და რიგ შემთხვევაში, საეჭვო მოქმედებისკენ, ეცადეთ, გონივრულად იმოქმედოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და თხის რქასთან, ნეგატიური — კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები**: 2, 4, 5. **ნეგატიური დღეები**: 29, 30.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ამ პერიოდში გაგიჩნდებათ დაუოკებელი სურვილი შეცვალოთ საკუთარი ცხოვრება — სულერთია, ეს იქნება იმიჯი, სამუშაო ადგილი თუ სასიყვარულო პარტნიორი. თუმცა, მოსალოდნელია, ამან გარკვეული გაუგებრობა და უსიამოვნებაც მოგიტანოთ. ჯობს, ინტიმურ საკითხებს მაინც დელიკატურად მიუდგეთ, ნუ იქნებით იმპულსური. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — კუროსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 30, 2, 3. **ნეგატიური დღეები**: 1, 5.

ლომი – 23/VII-23/VIII

აუცილებლად გამოავლინეთ ინიციატივა, საკუთარ თავზე აიღეთ პასუხისმგებლობა, რადგან მოგიწევთ თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. ამ დღეებში ახალი და საინტერესო ნაცნობობაც გელით (ეს ადამიანები მომავალში სერიოზულ დახმარებას გაგიწევენ). იყავით გაბედული და მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და ქალწულთან, ნეგატიური — ღრიანკალსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 29, 1, 5. **ნეგატიური დღეები**: 3, 4.

ქალწული – 24/VIII-23/IX

დიდი ალბათობა გაჩნდება იმისა, რომ თქვენი პერსონით პოლიტიკური პარტიები თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაინტერესდნენ და ახალი სამსახურიც შემოგთავაზონ. ამ ყველაფერს გრძელვადიანი პროექტის სახე ექნება და აქედან გამომდინარე, დრო ანალიზის გასაკეთებლად ნამდვილად გეყოფათ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და თხის რქასთან, ნეგატიური — მერწყულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 30, 3, 4. **ნეგატიური დღეები**: 29, 2.

სასწორი – 24/IX-23/X

მიმდინარე პერიოდი სულიერ აღმაფრენას მოგიტანთ და საკუთარი თავის რწმენას შეგმატებთ; რომანტიკული განწყობილება კი მთელი კვირის მანძილზე გაგყვებათ. უახლოესი გარემოცვა საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში დაგეხმარებათ. კარიერაში წინ წაწევასაც მოახერხებთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — სასწორსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 1, 3, 5. **ნეგატიური დღეები**: 30, 4.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

გაგიმახვილდებათ ინტუიცია, მოგიწესრიგდებათ ნერვული სისტემა, გაგიორმაგდებათ ენერგია, თუმცაღა, გაგიმძაფრდებათ სარკაზმის გრძნობაც. ამიტომ, ნუ იქნებით კრიტიკული, რათა კონფლიქტში არ აღმოჩნდეთ ჩათრეული. შესაძლოა, ახლობელმა ადამიანებმა სიურპრიზი მოგიწყონ, რაც მეტად გაგახარებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — მარჩბივსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები**: 2, 4, 5. **ნეგატიური დღეები**: 29, 3.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

მაქსიმალურად შეზღუდეთ ხარჯები, მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, შენაძენების გაკეთებას, საჩუქრების გაცემისგანაც კი თავი შეიკავეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებით. ეს ემოციურად დაგძაბავთ და გამორიცხული არ არის, ამის გამო ახლობლებთან გაუგებრობა მოგვიდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და სასწორთან, ნეგატიური — თხის რქასა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 30, 1, 2. **ნეგატიური დღეები**: 4, 5.

თხის რქა – 22/XII-20/I

შეეცადეთ, გამოიყენოთ ყველა ის შანსი, რომელიც ამ პერიოდში მოგეცემათ, გამორიცხული არ არის, ცხოვრებაში მასშტაბური ცვლილების გატარებაც მოახერხოთ. ეს შეიძლება იყოს ქორწინება, ახალ საცხოვრებელ ბინაში ან უკეთეს სამუშაო ადგილზე გადასვლა და ა.შ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცვლილებები დაუფიქრებლად განახორციელოთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და ქალწულთან, ნეგატიური — სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 29, 3, 4. **ნეგატიური დღეები**: 1, 2.

მერწყული – 21/I-19/II

გამოიყენეთ ნებისმიერი საშუალება, რომ შეძლოთ ცხოვრების „ზედაპირზე დარჩენა“, რადგან ეს კვირა თქვენთვის ნეგატიური იქნება. შესაძლოა, იმის შეგრძნებაც კი გაგიჩნდეთ, რომ ყველაფერი შესანიშნავად მიდის, მაგრამ სინამდვილეში ბევრი ოფლის ღვრა მოგიწევთ, რომ პრობლემებთან გამკლავება მოახერხოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მერწყულთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები**: 1, 3, 5. **ნეგატიური დღეები**: 30, 2.

თევზები – 20/II-20/III

ეს კვირა აუცილებლად ენთუზიაზმით დაიწყეთ და ეს ამაღლებული განწყობილება მთელი კვირის მანძილზე შეინარჩუნეთ (ამაში გაზრდილი სექსუალური ენერგიაც დაგეხმარებათ), რათა მომდევნო რთულ პერიოდებში დეპრესიული ხასიათზე ყოფნისას რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — ვერძსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები**: 30, 2, 4. **ნეგატიური დღეები**: 29, 3.



				უბედური შემთხვევა	საჭიდაო ხალიჩა		ერთგვარი სამხედრო ფორმის შარვალი	გრძელი კარავი	ვენეციური ნავი	ეგვიპტის მეფეთა ტიტული	
				მსხვილი, კერძო მამული ძვ. რომში						პატარა მოთხრობა	
კათოლიკური ჯვარი							ამერიკელი რეპერი	მოგზაურობა აფრიკაში	სპოროვანი მცენარე		
	ხის ვარჯი		მთავრის უმაღლესი ტიტული ინდოეთში			ქალაქი, სადაც კენედი მოკლეს					
			კარგი ამინდი		ფარიკაობის იარაღი	... სხირტლაძე		ერთგვარი რბილი ტყავი		ჭიდაობა	პეპლების საჭერი ხელსაწყო
					ლოკატორი	გეზზე ტვირთის მოსათავსებელი ადგილი					
				სახელმწიფო აფრიკაში	საფრანგეთის ექსპრეზიდენტი	გულუბრყვილო		გეომეტრიული სხეული			
							ვიეტნამის დედაქალაქი				
მადნეულის მოსაპოვებელი ადგილი											
	ჯიში, მოდგმა		ზურგის ტვინის სითხე								
	ვენესუელის ფულის ერთეული	... სორვინო				ცეცხლის ღვთაება ინდ. მით.					
	ერაყის ფულის ერთეული										
						მამაკაცთა სასიმღერო ხმა					
			ისრის წვერი				სუბტროპიკული კულტურა				

49-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა.

ანეკდოტები

***

— არა, არა... თქვენ რომ ჩემი ქმარი იყოთ, აუცილებლად ჩაგიყრიდით ყავაში საწამლავს, — ეუბნება ვაკელი მაკა ახალგაცნობილ მიხოს.

— მე კიდენა, შენი ქმარი რო ვიყო, ეგრევე, ცხელს დავლემდი იმ ყავასა.

***

— ექიმო, ვიცოცხლებ?

— და... აზრი?!.

***

კოღოები ზოგიერთ ქალზე უფრო ჰუმანურები არიან: როცა სისხლს გამოგწოვენ, ისვენებენ და აღარ ბზუიან მაინც...

***

მატარებლის კუპეში სხედან რაჭველი კაცი და მეგრელი ქალი. კაცი ქალისკენ არც იხედება, თავისთვის ზის და გაზეთს კითხულობს. ბოლოს, ქალმა ველარ მოითმინა:

— რატომ არ მაქცევთ ყურადღებას, პატივცემულო? ნახეთ, რა ლამაზი და სექსუალური ვარ, მაგალითად. თანაც კუპეში ჩვენ მეტი არავინ არაა.

კაცი გაზეთს კეცავს:

— ქვე ყოველთვის ვამბობდი, — ჯობია ნახევარი საათი მეითმინო, ვიდრე ქალუკას დაასწრო და 3 საათი ეხვეწო...

***

მიხოს მაგარი ზარმაცი შვილი ჰყავს, მთელი დღე არაფერს აკეთებს.

ერთხელაც მიხო თავზე დაადგება და ეუბნება:

— ბალღო, ადე, ნუ წევხარ, თორე, აღარ გაიზრდები!

— იი, რათ მატყუებ მამი?!. კიტრი რო წევს რა... არ იზრდება?!

***

ჯუდუია ექიმთანაა, ყელი სტკივა.

— რა სიგარეტს ეწევი? — ეკითხება ექიმი.

— ხან „ასტრას“, ხან „მარლბოროს“, ხან „პირველს“, ხან „ვინსტონს“... პატივცემულო.

— ეგრე არ ვარგა, ყოველთვის ერთი მარკის სიგარეტი უნდა მოსწიო.

— რას ამბობ, ექიმო, ყოველთვის ერთ კაცს რომ ვთხოვო, ხომ გამიხეთქა თავი, მაგალითად.

***

მიხას სძინავს, მარო აღვიძებს:

— ადე, კაცო, რა დროი ძილია, მოსავალი კარს მოგვადგა!

— იი!.. მერე მაგაი რა ჯობია. თავის ფეხით მოსულა და მე რაღათ მაღვიძებ?!

***

იმერელი კახელს ტუქსავს:

— ნამეტანი უცნაური ხალხი ხართ, ბოშო, ეს კახელები... თქვენი ნდობა არ შეიძლება.

— რატომა, კაცო?! — ეკითხება კახელი.

— აპა, რავა — კახელის და ვირის ამბავი ვირმა გააბაზრა?..

***

ორი ნარკომანი ოცნებობს:

— კოტე, ძმაკუშ, ძალიან მინდა წყალქვეშა ნავზე ვიმუშაო.

— რატომ, ტო?

— მაგრად მაინტერესებს, ფოსტას როგორ იღებენ წყალში.

***

მოსამართლე ფიცს ადებინებს თავის შეყვარებულს:

— დაიფიცე, რომ დაწვები ჩემთან! მხოლოდ ჩემთან და არავისთან ჩემ გარდა!

***

შეიხი ევროპიდან თავის სასახლეში რეკავს:

— ალო, ეს მე ვარ, ქმარი... შენ რომელი ცოლი ხარ?

***

ნარკომანი თევზაობს, მივიდე მეტყევე და ეუბნება:

— აქ თევზაობა აკრძალულია. სხვა ადგილას ითევზავე.

— შენა, ძმაკუშ, იცი, რას გეტყვი, ტოო?!. ჩემს ჭიას სადაც მინდა, იქ ვაბანავებ...

***

მაკას ეკითხებიან:

— გაუთხოვარი ხარ?

— კი... ორჯერ.

***

— ქმარს უნდა გავშორდე.

— რატომ?

— რაც დეპუტატი გახდა, მას შემდეგ ყოველ საღამოს დადგება ჩემს საწოლთან და მიყვება, რა კარგი სექსი გვექნება... მომავალში.

***

— ვერ მეტყვით, ვინ არის ეს საფრთხობელა?

— ჩემი ცოლია.

— ოჰ, უკაცრავად, ნამდვილი დეგენერატი ვარ.

— დეგენერატი თქვენ კი არა, მე ვარ.

***

კაცი მივლინებიდან დაბრუნდება და რას ხედავს, ცოლი საყვარელთან ნებივრობს:

— აქ რას აკეთებთ?

ცოლი საყვარელს მიუბრუნდა:

— ხომ გითხარი, იდიოტია-მეთქი.

***

მოხუცი ცოლ-ქმარი საუბრობს. ცოლი:

— ექიმმა მითხრა, რომ მკერდი 20 წლის გოგონასავით გაქვსო.

— ბებერ საჯდომზე არაფერი უთქვამს?

— არა... შენზე არ გვისაუბრია.

***

შავი იუმორი:

— ექიმო, ეგ რა გამომიწერე?

— გარდაცვალების ცნობა.

***

ქუთაისის მაღაზიაში ძალიან მსუქანი ქალი შევიდა. გამყიდველი:

— რა გაინტერესებთ, პატივცემულო ქალბატონო?

— ჩემი ზომის საცურაო კოსტიუმი.

— ჰოოო... მაი მეც ძალიან მაინტერესებს.

***

— ექიმმა სამსახურის გამოცვლა მირჩია.

— მერე რას აპირებ, ჭიჭიკია?

— ბუჯო, ვის რა გოვუცვალო, როცა არსათ ვმუშაობ?!.

***

სასტუმროში ქალთან ერთად მისულ მამაკაცს ადმინისტრატორი ეკითხება:

— ცოლია თუ?..

— თუ.

***

სამშობიარო სახლში მომლოდინე ვანიას ახალშობილი მიუყვანეს. ვანიამ დახედა, ბავშვი ზანგია. კაცმა ამოიოხრა:

— მეტს არც ველოდი ჩემი ნატაშასგან, მას ხომ ყოველთვის ყველაფერი ეხრუკება.

რამდენად დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით?

დაკვირვებულ კაცს, მხოლოდ გარეგნული ნიშნების მიხედვით, უამრავი რამის თქმა შეუძლია ადამიანზე. გახსოვთ, რა კარგად ფლობდა ამ ხელოვნებას შერლოკ ჰოლმსი? ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ რამდენად დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით.



1. თქვენ შედიხართ რომელიღაც დაწესებულებაში:

ა) ყურადღებას ამახვილებთ მაგიდებისა და სკამების განლაგებაზე — 3;

ბ) ყურადღებას ამახვილებთ ნივთების ზუსტ განლაგებაზე — 10;

გ) ათვალიერებთ იმას, რაც კედლებზე კიდია — 5;

2. ვინმესთან შეხვედრისას, თქვენ:

ა) მას მხოლოდ სახეში უყურებთ — 5;

ბ) შეუმჩნევლად ათვალიერებთ მას თავიდან ფეხებამდე — 10;

გ) მხოლოდ სახის ცალკეულ ნაკვთებზე ამახვილებთ ყურადღებას — 3.

3. შთამბეჭდავი პეიზაჟის ნახვის შემდეგ, რა გამახსოვრდებათ ყველაზე მეტად?

ა) ფერები — 10;

ბ) ცა — 5;

გ) შეგრძნება, რომელიც პეიზაჟის ხილვისას დაგეუფლათ — 3.

4. დილაობით როცა იღვიძებთ:

ა) მაშინვე გახსენდებათ ის, თუ რა უნდა გააკეთოთ იმ დღეს — 10;

ბ) იხსენებთ, რა დაგესიზმრათ — 3;

გ) აანალიზებთ იმას, რაც წინადღით შეგემთხვათ — 5.

5. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას:

ა) ისე მიიწევთ წინ, რომ ზედაც არავის უყურებთ — 3;

ბ) ათვალიერებთ მათ, ვინც თქვენ ახლომახლო დგას — 5;

გ) თქვენთან ყველაზე ახლომყოფ ადამიანს ორიოდ სიტყვით გამოელაპარაკებით კიდეც — 10.

6. ქუჩაში ყოფნისას, თქვენ:

ა) ტრანსპორტის მოძრაობას აკვირდებით — 5;

ბ) სახლების ფასადებს ათვალიერებთ — 3;

გ) გამვლელებს ათვალიერებთ — 10.

7. მაღაზიის ვიტრინის ყურებისას:

ა) მხოლოდ იმით ინტერესდებით, რაც თქვენ გამოგადგებათ — 3;

ბ) ათვალიერებთ იმასაც, რაც იმ მომენტისათვის არაფერში გჭირდებათ — 5;

გ) ვიტრინაში გამოდებულ ყველა ნივთს ყურადღებით აკვირდებით — 10.

8. თუკი სახლში რაიმე ნივთს ეძებთ, თქვენ:

ა) ყურადღებას ამახვილებთ იმ ადგილზე, სადაც სავარაუდოდ, ამ ნივთის დადება შეგეძლოთ — 10;

ბ) ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში დაეძებთ — 5;

გ) ნივთის მოძებნაში ოჯახის წევრებს სთხოვთ დახმარებას — 3.

9. ახლობლების კოლექტიური ფოტოსურათის თვალიერებისას, თქვენ:

ა) შინაგან მღელვარებას განიცდით — 5;

ბ) სახეზე ღიმილი გერევათ — 3;

გ) მათ ამოცნობას ცდილობთ, ვინც ფოტოსურათზეა აღბეჭდილი — 10.

10. ვთქვათ, ისეთ აზარტულ თამაშში მონაწილეობა შემოგთავაზეს, რომლის წესებიც თქვენთვის უცნობია. თქვენ:

ა) თამაშის წესებში გარკვევას შეეცდებით — 10;

ბ) მოკლე ხანში შეწყვეტთ თამაშს — 5;

გ) საერთოდ არ ითამაშებთ — 3.

11. პარკში შეხვედრა გაქვთ დათქმული და ახლობლის მოლოდინში:

ა) ყურადღებით ათვალიერებთ გამვლელებს — 10;

ბ) ეცნობით პრესას — 5;

გ) რაღაცაზე ფიქრობთ — 3.

12. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ყურებისას, თქვენ:

ა) თქვენთვის ნაცნობი თანავარსკვლავედის პოვნას ცდილობთ — 10;

ბ) უბრალოდ ათვალიერებთ ცას — 5;

გ) უმიზნოდ მიშტერებიხართ ცას — 3.

13. წიგნის კითხვისას, თქვენ:

ა) ფანქრით მონიშნავთ იმ ადგილს, სადამდეც გვერდი ჩაიკითხეთ — 10;

ბ) წიგნში სანიშნს მოათავსებთ — 5;

გ) პირდაპირ დახურავთ წიგნს, რადგან საკუთარი მახსოვრობის იმედი გაქვთ — 3.

14. რა ინფორმაციას ფლობთ საკუთარი მეზობლების შესახებ?

ა) იცით მათი სახელები და გვარები — 10;

ბ) მხოლოდ გარეგნობით ცნობთ მათ — 3;

გ) არც მათი ვინაობა იცით და ვერც გარეგნობით ცნობთ — 5.

ტესტის შედეგები

140-100 ქულა: საოცრად დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით. ამასთან ერთად, საკუთარი თავისა და ქმედებების ანალიზის უნარითაც გამოირჩევით.

99-75 ქულა: საკმაოდ დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ზოგჯერ ვინმეზე წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი, ხელს გიშლით ობიექტურობაში.

74-45 ქულა: დიდად არ გაინტერესებთ და არც გაღელვებთ ის, თუ რა იფარება ამა თუ იმ ადამიანის გარეგნობისა თუ მანერების მიღმა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად, კარგად უგებთ ადამიანებს და მათთან ურთიერთობისას არანაირი ფსიქოლოგიური პრობლემები არ გექმნებათ.

45 ქულაზე ნაკლები: როგორც ჩანს, ახლომყოფთა აზრები და გუნება-განწყობილება საერთოდ არ გაინტერესებთ. თქვენ იმდენად დაკავებული ხართ და იმდენი საზრუნავი გაქვთ, რომ არამცთუ სხვების, საკუთარი ქცევის გასაანალიზებლადაც კი ვერ იცლით. თქვენი ამგვარი ქმედების გამო კი, გამორიცხული სულაც არ არის, რომ გარემოცვიდან ვიღაც-ვიღაცებმა ეგოისტად მიგიჩნიონ.

სპილოს იუბილე გადაუხადეს

გასულ კვირას, პერმის ზოოპარკში უჩვეულო დღესასწაული მოეწყო: თანამშრომლებმა და სტუმრებმა ყველაზე ხანდაზმულ სპილოს, სახელად ჯონს, 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

კეთილმოსურნე და მშვიდი ჯონი, პერმის ზოოპარკის დამთვალიერებლებს შორის, ყველაზე მომხიბლავი და საყვარელი ცხოველის რეპუტაციით სარგებლობს.

მათ, ვინც პირველად ნახეს ინდოეთიდან ჩამოყვანილი ერთი წლის სპილოყვი, რომელიც სიგრძით მეტრზე ცოტათი მეტი თუ იქნებოდა, ჯონის სანახავად უკვე თავიანთი შვილები და შვილიშვილები მოიყვანეს. დღესდღეობით, ჯონი დაახლოებით 4 ტონას იწონის, ყოველდღიურად 300 კგ-მდე საკვებს გეახლებათ და 80 ლ-მდე წყალს სვამს.

იუბილემ ძალზე მხიარულად ჩაიარა. წვეულების სტუმრებმა მხიარული თამაშებით შეიქციეს თავი. თავიანთ ოთხფეხა მეგობარს კი, საჩუქრად, სულ ნარჩევი ხილისა და ბოსტნეულისგან დამზადებული უღამაზესი ტორტი მიართვეს. ■

განცხადება

„გზის“ რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს კვალიფიციურ ჟურნალისტებს.

გასაუბრება:: პარასკევს, 7 ოქტომბერს, 16.00-დან 18.00 სთ-მდე.

საბერძნეთში გიგანტური გაზეთი გამოვიდა

საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე მსოფლიოში ყველაზე დიდფორმატიანი გაზეთი გამოუშვეს. მისი საშუალებით, გამომცემელს პუბლიკის ყურადღების მიპყრობისა და გინესის წიგნში მოხვედრის იმედი აქვს.

გაზეთი სახელწოდებით — Chillot, პირველად, 14 სექტემბერს, 4000-იანი ტირაჟით გამოვიდა. ის 2,1 მ სიგანის და 2,95 მ სიგრძისაა. გიგანტური გზეთი კუნძულის დასავლეთით მდებარე სააკურორტო ქალაქ ჰანას მოსახლეობას უფასოდ დაურიგდება. ის მკითხველს კულტურულ და საზოგადოებრივ სიახლეებზე მოუთხრობს.

დღევანდლამდე, ფორმატით ყველაზე დიდი გაზეთი ბელგიური პერიოდული სპეცგამოშვება, სახელწოდებით — Het Volk იყო. ის 1993 წლის 14 ივნისს, ქალაქ გენტში, 50000-იანი ტირაჟით გამოვიდა. მისი ზომები 1,41X0,995 მ-ს შეადგენდა. ■

მგზავრებმა მატარებელი დაწვეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, იოჰანესბურგთან ახლომდებარე სადგურ დევეიტონზე, დაგვიანებულ მატარებელს მოსახლეობა უჩვეულოდ გაუსწორდა. იმის მაგივრად, რომ სატრანსპორტო კომპანიის მფლობელისგან კომპენსაცია მოეთხოვათ, მათ რადიკალურ ზომებს მიმართეს.

კომპანიის წარმომადგენელი შეეცადა, მგზავრებისთვის აეხსნა, რომ მატარებელს დენის საკონტაქტო კაბელი გაუწყდა, რემონტის დროს მატარებლის მოძრაობა შეჩერდა და რომ დაგვიანების მიზეზიც სწორედ ეს იყო, მაგრამ მგზავრებმა, რომელთაგან ბევრს სამსახურშიც დააგვიანდა, ახსნა-განმარტების მოსმენა არ ისურვეს და გაცეცხლებულებმა, ოთხი ვაგონი და ელმავალი გადაწვეს. საბედნიეროდ ყველაფერი მსხვერპლის გარეშე დასრულდა.

დაზარალებულმა კომპანიამ კლიენტებს სამომავლოდ, მეტი მოთმინების გამოჩენისკენ მოუწოდა და თან მიმართა თხოვნით, ჩვენს ქონებას ასე უმოწყალოდ ნუღარ გაანადგურებთო. ■

მამაკაცმა პროტესტის ნიშნად თავი ჩაიბეტონა



ბრაზილიელი მამაკაცი, მარსიო ოლივერა პატარა ქალაქ ბელენის ერთ-ერთ ხალხმრავალ ქუჩაზე, ხის ყუთში ჩაძვრა და მთელ სხეულზე ბეტონი გადაისხა. ამით მან პროტესტი გამოუცხადა ხელისუფლებას, მის მიერ მიღებული ახალი კანონის გამო — რომლის მიხედვითაც ქალაქში სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აიკრძალება. თუმცა, რა არის სამარშრუტო ტაქსების აკრძალვის მიზეზი, მოსახლეობისთვის უცნობია. თავად ოლივერას მიაჩნია, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს საკმაოდ სულელური ნაბიჯი იყო, რადგან ტრანსპორტის აღნიშნული სახეობა მოქალაქეებისთვის ძალზე მოსახერხებელია.

„სამარშრუტო ტაქსების ქომაგმა“ ამ მდგომარეობაში 32 საათი გაატარა, შემდეგ კი, თვითმხილველებმა მეხანძრები გამოიძახეს, რომელთაც ოლივერა რის ვაივაგლახით ამოიყვანეს. საქმე ის გახლავთ, რომ გამაგრებული ბეტონი მზეზე 32 გრადუსამდე გაცხელდა და შესაძლოა, ოლივერას სიცოცხლეს საფრთხე შეჰქმნოდა. მისდა საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ■

ფოტოკუჩიოზები

ყველაზე ერთვნული მედია-პროექტი

116/21

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი **ჩემი ოჯახი** შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და მოიპოვეთ სტიპენდია

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

-55

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება

პროექტის პარტნიორია თბილისის მერია და საკრებულო;

შეხვედრამდე

„ეგალონი“ ყოველ შაბათს 18 საათზე „იმედის“ არხზე

ეგალონი, ეგალონი, ეგალონი! ეგალონი, ეგალონი, ეგალონი!